

ლიტერატურა და სეროვნება

N2
2/2010

1522
2010

ქალი და დამყვანყვანს

ოთარ ჭილაძე

თეატრი

რობერტ სტურუა

ქანთ

მიხეილ ჭიაურელი

მხეყვანობა

გია მარკოზაშვილი

მუსიკა

ანსამბლი
„მოქანილი“

პოეზია

მზინავარ თურმანაული

წიგნობა

ვაჟა ჩორღალი



გია პარკობაშვილი



ლიტერატურა და ხელოვნება

N2(50)

2/2010

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:

vaja otarashvili

Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი

მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

გია მარკოზაშვილი

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი

მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;

(+995 32) 31 70 47;

(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთავაზობთ რეკლამის განთავსებას ჟურნალის ფურცლებზე. დანვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

ტელ: 31- 70 -47;

მობ: 899 25 60 14;

893 58 95 44;

ს ა რ ჩ ე ბ ი

ქრონიკა

3. მოთხ ქიდაძე - ეთხედ ჟღერ

წიგნი, ლექსი

- 9. შხისავახ თუხმანაული - ლექსები
- 12. ვაჟა ჩოხედელი - ხაფიჯო... ბელა და...
- 30. დავით (დევი) გოგიბედაშვილი - ლექსები
- 32. თინა ბიგანიშვილი - უჯან ითაჯამი (გაგჩი.)
- 41. დათო ახლოუჩი - ლექსები
- 44. გიორგი აღნიაშვილი - მოთხომბები

წიგნი

- 49. შოთა ზოიძე - იხაჯი აბაშიძის მინაჩხუდი ლექსები
- 53. მაჩიაშ ბუფიტაშვილი - ეთიი სასახლის ისტორია

პუბლიკა

57. ევა სიდაგაძე - ანსამბლი მოძახილი..

თეატრი

60. მანანა თევზაძე - ხომეხტ სტუჯა

ქრონიკა

- 71. მაია ლევანიძე - თანამეხმვე ქართული ქრონიკა
- 76. ხვიჩა ყადაბეგაშვილი - აფეხუმ, ბატონო მიხეილი

მხატვრობა

- 78. მაჯა სუხედაძე - გია მაჩხოზაშვილი
- 82. სამსონ ლუჯვა - გამოქსნომხუბელი ხომანტიკოსი

„როგორც ყფალო, სამშობლო, ერთი ქვეყანაზედა!“

რადიელ ერისთავი

საკონსულტაციო საბჭო:

ჭაბუა ამირეჯიბი, ბაჩანა ბრეგვაძე, მერაბ ბერძენიშვილი,
მაყვალა გონაშვილი, ზურაბ ქაფიანიძე, თენგიზ უთქელიძე,
გივი სინარულიძე, ოლიგო ულენტი, ჯანსუღ ჩარკვიანი,
თამაზ ჩხენკელი, გოგი წერეთელი

საუკუნის გამოცემა!

გამომცემლობა „ეროვნულმა მწერლობამ“ საზოგადოებას მიაწოდა „უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ უნიკალური გამოცემა.

ანთოლოგია მოიცავს პერიოდს 1978 წლის 14 აპრილიდან (ქართული ენის დასაცავად იმართა ერთად დგომის დღე იდან) დღევანდელობამდე.

წიგნი 800 გვერდიანია, მაღალი კოლიბრაჟიული დონის. ანთოლოგიაში პოეტურ ძმნილებათა გარდა წარმოდგენილია გამოჩენილ ქართველ მხატვართა ნამუშევრების შერაღი ილუსტრაციები.

იღვის აგტორი და მთავარი რედაქტორია ვაჟა ოთარაშვილი.


ანთოლოგია დაიბეჭდა ქ.თბილისის მერიის თანადგომითა და ხელშეწყობით.



გამოვიდა ვაჟა ოთარაშვილის მიერ შედგენილი მცირე ანთოლოგია – „დედა ქართულ პოეზიაში“ (მეორე სრული გამოცემა), რომელშიც შეტანილია დედა-შვილობის თემაზე შექმნილი რჩეული ლექსები და ქართველ შერმწერთა ნამუშევრები.

წიგნის შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით:

მობ: 899 25 60 14;



თამაზ და ოთარ ჩილაძეები



ოთარ ჩილაძე

ჯიოსხაჯ ხილავ

„გოდორთან“ დაკავშირებით ბევრს ვერაფერს ვიტყვი. რისი თქმაც მინდოდა, მე მგონი, უკვე ვთქვი, ხოლო, „მისი შექმნის ისტორია“ იმდენად ჰგავს ყველა წინამორბედი რომანის ისტორიას, ნამდვილად არ ღირს სალაპარაკოდ. სამაგიეროდ, არ შემიძლია არ ვისარგებლო შემთხვევით და მაღლიერების გრძობით არ აღვნიშნო მკითხველის ინტერესი და გულისხმიერება, რაც მან „გოდორის“ მიმართ გამოიჩინა. ტირაჟი გაიყიდა, მაგრამ წიგნის შექმნის მსურველნი ჯერ კიდევ მრავლად არიან. ასე რომ, ჰონორარისა რა მოვახსენოთ, — დღესდღეისად, უაღრესად ეფემერული ცნება გახლავთ, — მაგრამ ჩემი მწერლური პატივმოყვარეობა სავსებით დაკმაყოფილებულია. ეტყობა, ადგილობრივმა ნიჰილისტებმა მაინც ვერ შეძლეს ანტილიტერატურული ატმოსფეროს შექმნა ჩვენში და ვერც შექმნიდნენ, რამდენადაც ლიტერატურა მხოლოდ გართობის სახეობა არ არის. სხვანაირად რომ ვთქვათ, სულიერი ფენომენია, ანუ მხოლოდ ხალხის სულ-

თან ერთად, ხალხის სულიანად შეიძლება მისი ამოკვეთა თუ ამოშანთვა საერთო ეროვნული სხეულიდან. ამას რომ ვამბობ, თავისთავად ცხადია, მთელ ქართულ მწერლობას ვგულისხმობ და არა კონკრეტულად „გოდორს“, თუმცა, მეც ქართული მწერლობის რიგით წევრად ვთვლი თავს და, არ დაგიმაღავთ, გარკვეულ მნიშვნელობასაც ვანიჭებ საკუთარ ნამოღვაწარს. უმნიშვნელო მწერალი საერთოდ არ არსებობს. ყველა მწერალი ერთნაირად მნიშვნელოვანია მშობლიური ლიტერატურისთვის. ლიტერატურა თანაბართა დაპირისპირება კი არა, განსხვავებულთა ერთობაა, მეც ეს მავალდებულებს (გარკვეული თვალსაზრისით, მაიძულებს კიდევც), ნებისმიერ გარემოსა და პირობებში ვაკეთო ჩემი საქმე, ვიდრე კალმის ხელში დაჭერა და საბჭედ მანქანაში ფურცლის ჩადება შემეძლება... ლექსს ახალი ლექსი, პიესას ახალი პიესა, რომანს ახალი რომანი უნდა მოჰყვეს, აუცილებლად, რამდენადაც მწერლობაც, ცხოვრების მსგავსად, უწყვეტი პროცესია და გაჩერება მისთვის სიკვდილს ნიშნავს. მხატვრული ნაწარმოებიც, ლექსი იქნება თუ რომანი, ნებისმიერ სულიერ არსებასავით ისახება, ვითარდება, მნიფდება და იბადება. „მშობელი“ ამით ამთავრებს მასთან ურთიერთობას. გნებავთ, ამით ამოიწურება „მშობლის“ მოვალეობა. დანარჩენი თავად მხატვრულ ნაწარმოებზე დამოკიდებული. ირმის ნუკრივით, ანდა კამე-

საქართველოს
პარლამენტის
პროცესული
სამსახური



ჩის ზაქივით, „ცის ქვეშ“, „ტრიალ მინდორში“ შობილი, დროულად თუ არ წამოდგა ფეხზე და „ჯოგს“ არ გაეკიდა, ანუ წიგნის სამყაროში მოხვედრის უფლება თუ ვერ მოიპოვა, ან მგელი შეჭამს, ან აფთარი და ამით დამთავრდება მთელი მისი თავგადასავალი, ხოლო, მგელს და აფთარს თუ გადაურჩა, ანუ მშვიდობიანად თუ მიაღწია მკითხველამდე და, რაც მთავარია, ყურადღებასთან ერთად, მონონებაც დაიმსახურა, პირადად ჩემთვის, სულერთია, რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიაკუთვნებენ, რადგან ამით აღარაფერი შეიცვლება არც იმისთვის, არც ჩემთვის. მე მაინც მომეწონება, ან არ მომეწონება და, იმასაც, თავისთავად ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ მხატვრული მონაცემებისა და თვისებების გათვალისწინებით მიუჩენენ ადვილს სხვა წიგნებს შორის. საერთოდ, თუკი ბოლომდე გულწრფელი ვიქნები, მაინცდამაინც კარგად ვერ ვერკვევი ლიტერატურულ თეორიაში და შეკითხვებსაც უფრო თქვენი ხათრით ვპასუხობ, ვიდრე ცოდნის დასამტკიცებლად, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება მაინც შეგვეკამათოთ. ჩემს ერთ-ერთ ნაწარმოებში განუწყვეტილ მოგუგუნე კარადისხელა საათი „ვერმობრუნებული დროის ტკივილი“ კი არა, იგივე დროა და განუწყვეტილი გუგუნით თავის შეუფერხებელ დინებას ახსენებს და ასე აფრთხილებს ყველას (ვისაც გაგონება შეუძლია), სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ ილონოს რამე, ანუ, თავს უშველოს, თუკი საერთოდ შესაძლებელია ამგვარი რამ. აქედან გამომდინარე, ჩავლილი დრო, დაკარგული დროა და მისი დაბრუნება, ან რამენაირად ანაზღაურება არც ერთ სულიერს არ შეუძლია. მათ შორის „საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ ქართველობას“.

„საქართველოს ფარგლებს გარეთ“ ყოფნა, ანუ, ემიგრაცია, უაღრესად რთული, უაღრესად სათუთი თემაა და დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა დაუმსახურებლად არ ვატკინოთ ვინმეს გული, ანდა, კიდევ უარესი, ასევე დაუმსახურებლად არ მივუტყვევოთ „დროებითი“, „ეპიზოდური“, ასე ვთქვათ, სიტუაციიდან გამომდინარე და ამდენად, ვითომ გამართლებული ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტე და სულმოკლეობა. ჩვენი ემიგრაცია, როგორც ყველაფერი ქართული, აშკარად განსაკუთრებულია და, ალბათ, მხოლოდ მიახლოებით თუ ჰგავს ემიგრაციის კლასიკურ მოდელს. სხვათა შორის, არც ემიგრაციაში წასვლის მიზეზია საერთო. ვინ იძულებით მიდის, ვინ საკუთარი ნებით; ვინ ფეხის ხმასა აყოლილი, ვინ ახლობლების რჩევასა თუ მოთხოვნას. მოკლედ, რაც ერთისთვის ტანჯვაა, მეორისთვის ნეტარებაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთს დაბრუნება უნდა, მაგრამ არ შეუძლია, მეორეს შეუძლია, მაგრამ არ სურს. ასე რომ, ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, ლუკმაპურის მაძიებელი

ჭარბობს მათ შორის, თუ „ტკბილი ცხოვრებისა“. ერთი ცხადია, ემიგრანტობა, ცხოვრების წესად თუ არა, მოდად ნამდვილად იქცა ჩვენი, რასაც თავის დროზე თავად ხელისუფლებამაც შეუწყო ხელი. შეიძლება მკრეხელობას ჩავდივარ, მაგრამ ჩვენი ემიგრაციის მთავარი მიზეზი მაინც არასწორად გაგებული თავისუფლება მგონია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სამშობლოსგან ვთავისუფლდებით, ქართველობაზე ვამბობთ პირველ რიგში უარს და თუ ეს მართლა ასეა, ძალიან სერიოზული ძალისხმევა გვმართებს ყველას ამ დამლუპველი პროცესის შესაჩერებლად. ქართველმა ებრაელებმა, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცათ, გენი დაუბრუნეს სამშობლოს, ჩვენ კი, სამშობლოდან, უპირველეს ყოვლისა, გენი გაგვაქვს. მშობლების, ბებია-ბაბუების პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მშობლიურ გარემოს ძალით მოწყვეტილი ბავშვი ქვეყნის ქომაგად ვერ გამოდგება. ეროვნებაც სიქალწულესავითაა — თუ დაკარგავ, ველარასოდეს დაიბრუნებ, მაგრამ სიქალწულისგან განსხვავებით, მისი დაკარგვა სრულებითაც არ არის სასურველი. ჩვენ კი ძალით ვაკარგვინებთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს და, რაც მთავარია, დარწმუნებულები ვართ, სწორად ვიქცევით, დროულად ავუღეთ ცხოვრებას ალლო და ქეჩოზე მოვექეცით ჩვენს წასალეკად აფოფრილ ტალღას, საიდანაც ყველასათვის ერთნაირად საიმედო მინა კი მოჩანს, მაგრამ ჯერ ღმერთმა იცის, რა გველოდება ამ მიწაზე.

აი, ამგვარი გაურკვეველობა სუფევს „საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფთა“ შორის და, თქვენ წარმოიდგინეთ, მათი გაურკვეველობა აქ დარჩენილთა ფსიქიკაზეც ახდენს უარყოფით ზეგავლენას, ანუ, აქაც თავისთავად იბადება ეჭვი, შიში, უნდობლობა, უიმედობა და საუკეთესო პირობები იქმნება ანტიეროვნული, ანტიქართული (რაკი ჯერ კიდევ ბევრს ადგას გულზე ჩვენი არსებობა!) იდეოლოგიის საქადაგებლად. ჩვენდა სამწუხაროდ, არც მოხალისე თუ მოსყიდული ქადაგია სანთლით საძებარი. ხოლო ყველაფრის თავიდათავი ისევ თავისუფლებაა, უფრო სწორად, ნაწყალობევი თავისუფლება, რითაც ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ჩვენი ორასწლიანი მონობა დამთავრდა თითქოს. მაგრამ ამაზე საუბარი, მეტი რომ არ ვთქვათ, ქართულ უმადურობად და ქართული ბუნების აგრესიულობად ითვლება უკვე, არა მარტო საქმეში ჩაუხედავი და ფეხებზემკიდია მსოფლიოსთვის, არამედ ამ თხუთმეტიოდე წლის მანძილზე ჩვენში გამოჩეკილ პოლიტიკოსთა თუ პოლიტოლოგთა საკმაოდ დიდი ნაწილის თვალსაზრისითაც. თავისუფლება შენით უნდა მოიპოვო, განუწყვეტილი ბრძოლითა და შრომით. ჭირნახულივით უნდა მოინიო, თორემ მწყალობელი, მით უფრო შენთან ისტორიულად დაპირისპირებული, აუცილებლად დაგათ-

მობინებს რალაცას, შეგაცვლევინებს მაინც; ხოლო ანგარებით თავსამოხვეული ნებისმიერი ცვლილება, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს ის, ბოროტებაა. თუკი უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე ჩვენში მომხდარ ცვლილებებს თვალს გადავავლებთ, არც იმის დადგენა გაგვიჭირდება, ვისთვის იყო სასარგებლო ამგვარი ცვლილებები, „დანგრეული“ იმპერიისთვის თუ „გათავისუფლებული“ კოლონიისთვის. ამდენი გზასამცდარი ბავშვი, მოშლილი ოჯახი, სასონარკვეთილი ადამიანი არც ერთ ისტორიულ ტრაგედიას არ დაუტოვებია ჩვენთვის. როცა შემოდგომაზე ხეს ფოთოლი ცვივა, ეს ბუნებრივი და, აქედან გამომდინარე, აუცილებელი პროცესია, კი არ გაეჭვებს და გაფორიანებს, გაიმედებს და გამშვიდებს. ბუნებაში მიმდინარე ცვლილებები სამყაროს უცვლელობისა და მარადიულობის დამადასტურებელია მხოლოდ. ხოლო ის „ეპოქალური“ გარდაქმნა, რომელიც ნაწყალობეც თავისუფლებას მოჰყვა ჩვენში, სამსუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ გვაფრთხობს და ავ წინათგრძნობას გვიჩენს, რის გამოც თავისუფლების შეგრძნება პასუხისმგებლობის გრძნობას კი არ გვიმძაფრებს საკუთარი ქვეყნის მიმართ, არამედ მონური თავშეკავებულობისა თუ მონური თავაშვებულობისკენ გვიბიძგებს ისევ.

რაც შეეხება ჩვენში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს, ჩემი აზრით, ეს პროცესები უფრო პრაგმატული ხასიათისაა, ვიდრე ლიტერატურული და, თქვენ წარმოიდგინეთ, ესეც ბუნებრივი მოვლენაა ამ ეტაპზე. ჯერჯერობით ლიტერატურაშიც სრული განუკითხაობა სუფევს და ლიტერატურული სამყაროც უმთავრესად პირადულ ინტერესებსაა დაქვემდებარებული. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, რომელ ლიტერატურულ პროცესებზე შეიძლება ლაპარაკი ხელოვნურად ჩამკვდარ, ხელოვნურად დასაჭურისებულ ქვეყანაში, სადაც გამართულად მეტყველებაც უჭირს უკვე ხალხს და შურნალისტურ ილეთს მეტი გასაგალი აქვს, ვიდრე მწერლურ მიგნებას. დღევანდელი შურნალგაზეთების უმრავლესობა უმნიშვნელო ადგილსაც აღარ უთმობს მხატვრულ ნაწარმოებს და პოლიტიკურ ანარქიასა და აჟიოტაჟში ისიც ვერ გაგვირკვევია, ვქმნით თუ ვანადგურებთ, რას მივიღებთ საბოლოოდ — ლიტერატურული მატრიანის კიდევ ერთ ფურცელს, თუ ლიტერატურული მატრიანის კიდევ ერთი ფურცლის ფერფლს. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ეს ყველაფერი შორსმჭვრეტელთა მითითებითა და ბრმადშობილთა ხელით კეთდება, რაც კიდევ უფრო გარდაუვალს ხდის მოსალოდნელ კატასტროფას, თუკი დროზე არ მოვეგებით ყველანი გონს. არ უნდა დაგვაგინყდეს, ჩვენმა მტრებმა ჩვენზე უკეთ იციან ქართული მწერლობის ფასი და იმასაც ისეთივე დაუნდობლობით ებრძვიან, როგორც ქართულ ენას, ქართულ

ეკლესიას თუ ქართულ მეურნეობას ებრძოდნენ თავის დროზე, ანუ, ებრძვიან ყველაფერ იმას, ურომლისოდაც, უბრალოდ, შეუძლებელია, ქვეყანად იწოდებოდე, მით უფრო — სახელმწიფოდ. რასაკვირველია, მტრების სივერაგისა და სისასტიკის ბრალია ჩვენი მწერლობის დღევანდელი სავალალო მდგომარეობა, ოღონდ, მტერში, მაინცდამაინც, ჟირინოვსკის კი არ ვგულისხმობ, არამედ ჩვენიანსაც, რომელიც ადვილი შესაძლებელია, ჟირინოვსკიზე დაუნდობელიც აღმოჩნდეს საკუთარი სისხლისა და ხორცის მიმართ. მართალია, რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟაფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის ლექვები ვართ, მაგრამ ბოლოს, ეტყობა, მაინც გაეცყდით. ჩვენ დაკნინდით, დავწვირლმანდით და, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმანეთს დავერიეთ, მტრების გულის გასახარად. ახლა აზრიც არა აქვს იმის გარკვევას, ვინ არის ჩვენ შორის ნამდვილი მწერალი და ვინ ცრუ; ვინ განანესა ღმერთმა ქართული სიტყვის მსახურად და ვინ შექმნა „კაგებემ“ ციხის შიგნიდან გასატყვად. ციხე რა ხანია გატყდა, ქვეყნის გასაბჭოებისთანავე, მაგრამ ნამდვილი, ასე ვთქვათ, ღვთით მოვლენილი მწერლები მაინც ჯიუტად ისხდნენ ყოველთვის ქართული მწერლობის სანგარში, რათა ენაშერყვნილ, ეკლესიაშებილწულ, არისტოკრატიადახვერტილ და მეურნეობამოშლილ ქვეყანას იმედიც არ დაეკარგა. ჩვენ კი დღეს იმ სანგრის მინით ამოვსებას ვცდილობთ, ანუ, ძირითადად საყოფაცხოვრებო პრობლემებითა ვართ დაკავებულნი და ეს არის ჩვენი მთავარი საქმიანობა. ვინ ძველი კვალის მოსასპობად იქცევა ასე, ვინ ამ გზით ცდილობს ლიტერატურაში კვალის დატოვებას და მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მსჯელობს და კამათობს ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი აღქმული მომავლისთვის სისხლხორცეულად საჭირბოროტო საკითხებზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, არც ქვეყანა ადარდებს და არც მისი მომავალი, მთავარია, დღეს მიიღოს ხვალისა, ხელისუფალთა ყურადღება მიიქციოს და თანამოქალაქებზე მაღლა დადგეს როგორმე. ამას თუ არ ჩავთვლით „ლიტერატურულ პროცესად“, პირადად მე ნამდვილ ლიტერატურულ პროცესებზე ლაპარაკი ცოტა ნაადრევად მიმაჩნია. თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული, დიდხანს ვერ გაგრძელდება ასე. არათუ დაუშვებელი, შეუძლებელიცაა იმ ინერციის, იმ ენერჯის, იმ სულსკვეთების შეჩერება (შეჩერებაც კი!), ქართულ მწერლობას რომ ამოძრავებს აგერ უკვე მეთექვსმეტე საუკუნეა. ასე რომ, ვიდრე ლიტერატურა გვახსოვს და ლიტერატურაზე ვლაპარაკობთ, ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა, ყველაფერი შეიძლება გამოსწორდეს, რამდენადაც ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ბუნებრივი მოვლენის კი



არა, სწორედაც რომ არაბუნებრივი, ხელოვნურად შექმნილი, შეგნებულად დამახინჯებული მოვლენისა თუ მოვლენების კანონზომიერი შედეგია. ხალხის მახსოვრობა მოკლეა და, თუკი იკადრებ, შეგიძლია იმდენჯერ მოატყუო, რამდენჯერაც მოგესურვება. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, ხანდახან შეგნებულადაც იტყუებდეს ხალხი თავს. ყველა ხალხს და, თავისთავად ცხადია, მათ შორის ქართველ ხალხსაც, ურჩევნია მოსაჩვენებლად, ასე ვთქვათ, დროის გასაყვანად ირწმუნოს ტყუილი, ვიდრე ერთბაშად გადააყოლოს სიმართლეს თავი. მაგრამ, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ამ თემაზე, არაფერი შეიცვლება. რაც მთავარია, ჩვენი ლაპარაკი არა მარტო მტერს, მოყვარესაც აღიზიანებს უკვე, როგორც აქ, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთაც, მით უფრო რუსეთში ემიგრირებულს, რაც, მე თუ მკითხავთ, თავისთავად უკვე უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში. თავს აფარებ იმას, ვინც თავშესაფარი მოგიძალა! ასე რომ, ტყვეობაში შობილი თაობა კი მოვიდა, როგორც თქვენ ამბობთ, მაგრამ აკრძალულსა და წარმოდგენილ თავისუფლებას, რომელსაც, მართას მსგავსად, მერცხლებისა და ყვავილების სახით გამოხატავდა ტყვეობაში, ხელისუფლებისაგან შემოთავაზებული (გნებავეთ, შემოპარებული) ყველაფრის უფლება ამჯობინა, ანუ, პირველ რიგში, მერცხლებსა და ყვავილებს აუბზუა ცხვირი და, მოსვლისთანავე დაგმო სწორედ ის, რამაც ხელი შეუწყო, უფრო მეტიც, რამაც საერთოდ განაპირობა მისი განთავისუფლება. ეს კი თვითმკვლევლობის ტოლფასი აქტია, არადა, ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, ანუ, როგორც ფიზიკური, ისევე სულიერი მონობის ფაშს, ცენზურის განუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ შექმნილი ქართული ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ადამიანის გაუტეხლობის, მისი ამოუწურავი ენერჯისა და შინაგანი თავისუფლების სადიდებელია. თუკი წერა ძნელი იყო როდისმე, მაშინ იყო ძნელი. უფრო მეტიც, წერა მაშინ ომს ნიშნავდა და ყველა როდი ბრუნდებოდა იმ ომიდან ცოცხალი. ბევრმა მწერალმა დადო თავი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ადამიანური და მწერლური ღირსების დასაცავად. წერა დღესაა ადვილი, მაგრამ იმიტომ კი არა, ცენზურა რომ აღარ არსებობს, არამედ იმიტომ, ორსაუკუნოვან ომში დაღუპულ (შეშლილ, დახვრეტილ, ნანამებ, თვითმკვლელ) მწერლების შთამომავალმა განთავისუფლებისთანავე რომ თქვა უარი მწერლობის ტრადიციულ დანიშნულებაზე, ანუ, ჩვენი ისტორიული პრობლემა გადაწყვეტილად მიიჩნია და უცხოელი ექსპერიმენტალისტების მიბაძვით, უაღრესად „თანამედროვე“ და „აქტუალური“ თემებით დაინტერესდა, როგორიცაა, თუნდაც, ჰომოსექსუალიზმი, კოსმოპოლიტიზმი თუ გლობალიზა-

ცია, ანუ მშობლიური ისტორიის კრიტიკა და მშობლიური კულტურის უარყოფა. ქართული მწერლობა მონობაშია შექმნილი, ოღონდ, თავისუფალი ადამიანისთვის. დღეს კი, მეტ-ნაკლებად თავისუფალ საქართველოში, ძირითადად მონებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა იწერება და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ყაზბეგისა და ჯავახიშვილის წიგნებზე უკეთ სადღება. ამგვარი ლიტერატურა, რა თქმა უნდა, ზნეშეცვლილ ოჯახთან, ფუნქციონირებად გულსკოლასთან და კორუმპირებულ საზოგადოებასთან ერთად, ხელს უწყობს ახალი ყაიდის, მე ვიტყვოდი, ანტიქართული აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც მხოლოდ და მხოლოდ მტრის წისკვილზე ასხამს წყალს და, ჩვენდა სამარცხვინოდ, მთლად ახალი მოვლენა არ არის ჩვენში. ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომის დროს ქართველი თავადაზნაურების მარშალმა, ვინმე გურამიშვილმა (მომიტვევოს დიდი დავით გურამიშვილის სულმა მისი გვარის ამ კონტექსტში მოხსენიება), პირდაპირ მოუწოდა ქართველ ხალხს, დედანულიანად გამწყდარიყო რუსეთისთვის, რადგან მხოლოდ ასე დაუმტკიცებდა ერთგულებას ერთმორწმუნე „მფარველს“, რაც, ამავე დროს, (ქართველი ხალხის) ისტორიული მისიის აღსრულებაც იქნებოდა თურმე. ჩვენი მისია უკვალოდ გაქრობა კი არ არის, მით უფრო, ვინმეს ხათრითა თუ შიშით, არამედ — გამორჩეული, განსაკუთრებული ხმისა და სახის, სულისა და ხასიათის შენარჩუნება სამყაროს აღსასრულამდე, რაც არ უნდა ძნელი მოსასმენი იყოს ეს ვილაც-ვილაცებისთვის. ისტორიულმა კატაკლიზმებმა კი არ უნდა ნაგვანდინოს, კიდევ უფრო უნდა აღგვავზნოს საომრად და სამოქმედოდ. ჩვენ მეომარი და შემოქმედი ხალხი ვიყავით ყოველთვის — ხმალი არ გაგვიგდია ხელიდან, მაგრამ მაინც იმდენი რამის შექმნა შევძელით, თანაგრძობითა და პატივისცემით უნდა გვხვდებოდნენ დღეს ყველგან, სადაც ბედი თუ უბედობა გადაგვისვრის, განათლების მისაღებად თუ თავშესაფრის სათხოვნელად. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ფუტკარიც კი არსებობს ქართული ჯიშისა! მსოფლიომ შეიძლება ჯერ არ იცის (დიდხანს ვიყავით იმპერიის ჯურღმულებში ჩამწყვედულები), მაგრამ აუცილებლად გაიგებს. მთავარია, ჩვენ არ გადავშენდეთ იქამდე. ამის საშიშროება კი ნამდვილად არსებობს. განგებ შეგვყარეს თუ ჩვენ თვითონ დავიმართეთ შეგნებულად, აშკარად ავი სენი ვგჭირს. ამ სენს სამშობლოზე გულის აცრუება ჰქვია და ძნელი სათქმელია, რატომ უნდა შეგვყროდა მაინცდამაინც ჩვენ, როცა ყველა ჯურის გადამთიელს მაინცდამაინც ჩვენს სამშობლოზე რჩება თვალი. მაგრამ რაკი შეგვეყარა, ახლა განკურნებაზე უნდა ვიფიქროთ მხოლოდ. რაც შეიძლება სწრაფად უნდა განვიკურნოთ ამ სამარცხვინო სენისგან, თორემ ოდესღაც შესაშურად წიგნ-

იერი ხალხი, სანიმუშოდ უნიგნურ ხალხად ვიქცეთ ლამის. რასაკვირველია, ერთბაშად არ მომხდარა ეს. როგორც ჩათვლემილ ბავშვს საყვარელ სათამაშოს გამოაცლის ხოლმე დედა ხელიდან, ისე გამოგვაცალა ვილაცამ, „ჩვენზე მზრუნველმა“ ნიგნი, და ჩვენც თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, თვითონაც რომ ვერ გავიგეთ, უმეცრების წყვდიადში აღმოვჩნდით ბოლოს, სადაც უფრო იოლად ვივინყებთ წინაპართა დადგენილს და უფრო თამამად მივდევთ სხვათა ადათ-წესებს. უფრო მეტიც, ლამის ადმინისტრაციული მეთოდებით ვაუქმებთ ძველს და ვამკვიდრებთ ახალ ტრადიციებს. ეს კი მიუტევებელი შეცდომაა, დანაშაულზე რომ არაფერი ვთქვათ. დრომოჭმული ტრადიცია თავისით ქრება და ახალიც, ფაქტობრივად, თავისით მკვიდრდება, თუკი მისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის ცხოვრება. აქედან გამომდინარე, როგორც ძალით დამკვიდრებულ, ისევე ძალით ამოძირკვეულ ტრადიციას მხოლოდ და მხოლოდ არასასურველი და არასასიამოვნო შედეგი შეიძლება მოჰყვეს. განა თბილისის ქუჩებიდან ტრამვაის გაქრობამ, ტრადიციული იერთან ერთად, ხასიათიც არ შეუცვალა ქალაქს?! ვილაცის „ჯადოქრობის“ წყალობით ერთ მშვენიერ დღეს უცხო ქალაქში გამოგვეღვიძა თითქოს, თუმცა, ადვილი შესაძლებელია, ბევრი ჯერ კიდევ ვერ ხვდებოდეს ამას. ტრამვაი არა მარტო ალამაზებდა, უფრო სწორად, არა მარტო ამშვიდებდა, ათვინიერებდა თბილისს, არამედ ჩვენც გვაახლოებდა და გვანათესავებდა, გნებავთ, გვამსგავსებდა ერთმანეთს, სულიერ არსებასავით გაუღენთილი ჩვენი სიტბოთი, ჩვენი სუნით, ჩვენი ნაფიქრალით, ჩვენი სადარდელითა და სანატრელით... მისი ზარის წკარუნი და ბორბლების ღრჭიალი არა მარტო ახალი დღის დადგომას გვაუწყებდა, არამედ გამოვლილ გზასაც გვახსენებდა განუწყვეტლივ. გამოვლილი გზის დავინწყებიდან ერთი ნაბიჯილა რჩება სამშობლოს უარყოფამდე. უფიცი სწავლულზე ბედნიერია, მაგრამ ჩვენ თუკი რამე გვჭირდება დღეს, სწავლა-განათლება გვჭირდება პირველ რიგში, ვთქვათ, ფრანგებისგან განსხვავებით. საფრანგეთი ანყობილი ქვეყანაა და შეუძლია ამგვარი „ფუფუნების“ უფლებაც მისცეს თავს, თუნდაც მარტო იმის გასარკვევად, თუ რამდენად სახიფათო აღმოჩნდება ნიგნისადმი დღევანდელი გულგრილობა მომავლისთვის, ანუ, შეიძლება თუ არა ხვალ და ზეგ ქვეყნის ბედიც ანდო იმას, ვისაც გუშინ და გუშინწინ ორ ბატსაც არ ანდობდი მოსამწყემსად. სწავლა განა არ გვიყვარს, სიბეჯითე გვაკლია, გვეზარება. უფრო გულახდილები თუ ვიქნებით, მოგვბეზრდა, ყელში ამოგვივიდა „განათლების მიღება“ უსწავლელად, რასაც განათლების საბჭოური მეთოდი გვთავაზობდა. სავალდებულო, მაგრამ იოლმა სწავლამ ამკარად არ გავვი-

მართლა, თუმცა მაშინაც ასე ვიყავით მოდებულნი ქვეყანას, თავისთავად ცხადია, შესაძლებლობების ფარგლებში, კივიდან ნოვოსიბირსკამდე, და უნდა ვალიაროთ, ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის კარი იღებოდა ჩვენთვისაც, რამდენიმე ჩურჩხელისა და შინახადი ჭაჭის საფასურად. მაგრამ, საბოლოო ჯამში, სწავლის მძებნელებიც და შინ დარჩენილნიც ერთნაირად უფიცი აღმოვჩნდით ბოლოს და ბევრი სიმწარეც ვიგემეთ საკუთარი უფიცობის გამო. ამიტომაც გვიჩვენია ოცნება სინამდვილეს. ოცნებაში უცებ შეგიძლია იმის ასრულება, რასაც სინამდვილეში ხანგრძლივი, თავაუღებელი შრომა სჭირდება. საქართველო რომ საქართველოა, ოცნებაში ისიც კი შეიძლება წარმოიდგინო ამერიკასავით ძლიერ და მდიდარ ქვეყნად. კი, ბატონო, ვიოცნებოთ. ოცნებას რა სჯობს! მაგრამ ერთი პირობით: აუცილებლად უნდა გვიყვარდეს ეს „დანყველილი“ საქართველო, უნდა გვჯეროდეს მისი და სადაც არ უნდა ვიყოთ, შინ თუ გარეთ, მხოლოდ მის საკეთილდღეოდ უნდა ვიღწვოდეთ, უხმაუროდ და უანგაროდ.

ასე რომ, „ერის, როგორც მთლიანი ორგანიზმის, სულიერი სიჯანსაღე“ რომ დავიბრუნოთ, ხელახლა უნდა მოვინათლოთ ყველანი ქართველებად და ხელახლა უნდა შევისწავლოთ ანი და ბანი. მტერმა შეიძლება სკოლა დაგვინგრეოს, ნიგნი დაგვიწვას, სინათლე ჩაგვიქროს... მაგრამ სწავლის უნარსა და სურვილს ვერ ჩაგვიკლავს. სწავლა სიბნელეშიც შეიძლება და არა მარტო უცხოეთში, არამედ ადგილზეც, შინ. უცხოეთში, საერთოდ, იმის სასწავლებლად მიდიან, რისი სწავლაც შინ არ შეუძლიათ, მაგრამ სწორედ შინ სჭირდებათ. ქართულს, რასაკვირველია, საქართველოზე უკეთესად ვერსად შეისწავლი, მაგრამ შენ თუ აღარ გინდა ქართველობა, შენ თუ მსოფლიო მოქალაქეობას აპირებ, მაშინ... თუმცა, საბედნიეროდ, არც ერთი მოზარდი არ ფიქრობს ასე. ასე ზოგიერთი მათგანის მშობელი ფიქრობს და არა მარტო ფიქრობს, დაუნანებლად იმეტებს შვილს უცხო სივრცეებში უკვალოდ გასაქრობად.

არავითარ შემთხვევაში! ეს დიდი დანაშაულია ღმერთისა და ქვეყნის წინაშე და უმაღლესეთ მშობლებს გააგზავნის საქართველო „გასანათლებლად“, ვიდრე მათ შვილებს. მათი შვილები საქართველოს საკუთრებაა. მათი შვილებია ხვალინდელი საქართველო, რომელიც, ღვთის წყალობით, ერთხელ კიდევ აღსდგა დღეს მკვდრეთით, ისევე სახელმწიფოდ იწოდება და საკუთარი დროშა, ჰიმნი და გერბი აქვს, თუნდაც, გამარტივებული. სხვათა შორის, სახელმწიფო გერბი ჩვენსავე თავგადასავალს გვიყვება ჰერალდიკის ენაზე. უფრო სწორად, სხვებისთვისაც წარმოაჩენს, თუკი რამე მნიშვნელოვანი და საინტერესო გავაჩნია. სამეფო

გვირგვინი, ყალყზე შემდგარი ლომები და წმინდა გიორგი, რასაკვირველია, ძვირფასი სიმბოლოებია თავისთავად, მაგრამ მათი გამოსახვა ნებისმიერი ქრისტიანული ქვეყნის გერბზე შეიძლება და არის კიდევ გამოსახული; ხოლო ქრისტეს კვართზე, მით უფრო კი ოქროს სანმისზე, მხოლოდ ოცნება თუ შეუძლიათ სხვებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, რუსეთსაც, რომელმაც ჯერ კიდევ ამ ორასი წლის წინ გაგვიუქმა სახელმწიფოცა და სახელმწიფო სიმბოლოებიც და, ალბათ, მაინცდამაინც არ ესიამოვნება, მისგან ერთხელ და სამუდამოდ დამარხულის აღდგენას თუ მოინდომებს დღეს ვინმე. მოკლედ, ჩემსავით გამოუსწორებელი ეჭვიანები რომ იყვნენ ჩვენი პარლამენტარებიც, დარწმუნებული ვარ, უფრო ღრმად დაფიქრდებოდნენ, არ აჩქარდებოდნენ გერბის საბოლოო ვარიანტის მიღების დროს. მაგრამ ჩვენი ბედ-იღბლის ხალხისთვის ისიც დიდი მიღწევაა (მე ვიტყოდი, ბედნიერება), რასაც, ჯერჯერობით, მივალწიეთ. ასე რომ, მიუხედავად ყველაფრისა, დღეს გაცილებით უკეთ ვართ, ვიდრე გუშინ ვიყავით. რადგან დღეს უფრო მეტმა ვიცით, რატომ ვართ ცუდად. იმედია, ხვალ კიდევ უფრო მეტს გვეცოდინება. ეს ეხება „გახიზნულ, გაჩუქებულ, გაყიდულ“ შვილებსაც, რომლებსაც ვერაფრით ვეღარ დავიბრუნებთ, თუკი თავად არ მოუნ-

დებათ დაბრუნება. დაბრუნება არა მარტო კეთილშობილური მიზანი, არამედ მოურეველი სურვილიც უნდა იყოს მათთვის. ოღონდ შურის საძიებლად კი არ უნდა დაბრუნდნენ, არამედ გვერდში ამოსადგომად და მხარის შესაშველებლად. როგორმე უნდა მოერიონ თავს და გამხიზნავ, გამჩუქებელ, გამყიდველ მშობლებს მიუტევონ, აპატიონ ყოვლად გაუმართლებელი სისუსტე და სიბეცე, უპრინციპობა და უნებისყოფობა. ეს არა მხოლოდ სულიერ შვებას აგრძნობინებთ, არამედ „უსამშობლოდ დაკარგული დროის ანაზღაურებადაც“ ჩაეთვლება. დარწმუნებული ვარ, ასედაც მოხდება. როგორც კი განვიზმინდებით მონური ყოფის შლამისგან, ყველას, წასულსაც და დარჩენილსაც, ერთად, ერთდროულად გაგვახსენდება „ვისი გორისანი ვართ“ და სულის შემძვრელი სიცხადით დაგვიდგება თვალწინ ჩვენი საერთო დედის, ჩვენი მარადიული, დაუღვეველი, ამოუნურავი, აუნონავი, გაუზომავი, ფასდაუდებელი, თვალშეუდგამი, ხელშეუხებელი სამშობლოს ულამაზესი და უძვირფასესი სახე...

პირველად გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომავალ გაზეთ „იპერიუსი“, №84, 2004.



მზისვარ აურმანსკი

მაჰკვდია, ბეჩავო იერემო,
დასდეთ სილარიბის ჯოხი,
მინანიმც დაილოცებთან,
შიშველნი დაგიმალნეს ხორცნი.

გიორგი თურმანაული

ძმავა ვაჟა!

ამ ოთხიოდ ბზკარმა მთელი საქართველო მოიარა. თავის დროზე ცნობილ პოეტს, იან გოლცმანს გავაცანი. მან რუსულად თარგმნა, ხოლო რუსულიდან მრავალი ევროპული ლექსების კრებული დაამუშავა. გოგი ამას ვერ მოეხწრო... იგი ჩინებული მელექსე, ინტელიქტუალი და მრავალთა ხელგაშლილი მასპინძელი გახლდათ ფშავში. მისი ქალიშვილი, მზისავარ თურმანაული, მამის პოეტური ნიჭის მემკვიდრე და იმავე სკოლის დირექტორია დღეს, სადაც გოგი მოღვაწეობდა. მოკრძალებული ქალბატონია ჩემი ძმაცაცის ასული; დაჟინებით თხოვნა დამჭირდა, რომ თავისი ლექსები გამოსაქვეყნებლად გამოემეტებინა.

ქვემოთყოფანილი ლექსები ქართული ენის ფშავურ კილოზე დაწერილ შედეგად მიმაჩნია და გთხოვ, თქვენს ჟურნალში მოუხანხოთ ადგილი.

ჭაბუა ამირეჯიბი

11.01.2010 თბილისი

ქებათა ქება

იმედის კოშკის ბროლები
სასწორფროდ ფიქალდებისა,
შენი საფეთქლის იების
შუქიც ზედ ფინებისა;
თამარის კაბის კაკები
შენ ნამკალიდან ფრთხებისა, —
არაგვის ჭავლში დაჩქევით
ცის კივკავებზე სხდებისა,
არნივთა ჩამონაშხივლი
წირვის გრილოებს ჰყვებისა!
წმინდა გიორგის მოყმეო,
ყორეო ოფლის ცვრებისა,
მზე, დილის ბროლში მჭვირვალი
ზედ ბეჭზე დაგეთლებისა!
სურვილით ნაქვესკნელარო,
ნაბანო ცეცხლის წყლებისა,
შენი ნამკალის კაკები
ჩემს პერანგს ეკვართებისა, —
სასწორფრო ფარაგებზედა —
წიალო ნაღვერდლებისა!
შენი გალობის იებსა
ირმის ჯოგ შამაჰყვებისა,
ნაფრენი წიამორების
შენს შუბლად შემყარდებისა;
წმინდა გიორგის სარტყელო,
ყორეო ცეცხლის ცვრებისა,
თამართან ნადარბაზვესა
მზე ძვლებად გესახსრებისა;
დღევ, ბრონეულში განხმულო,
ვენახო მაღალ მთებისა,
მამის ხელებით დარგულო
ნახსლევო ვარსკვლავებისა...
ფიქალთა ფარაგებზედა
მჭვრეტო ზესთ მწყობრთა წყებისა,
კაემნის კოშკის ბროლები
სასწორფროდ ყირმიზდებისა!
„ცისკარო ნარგიზნარეო“,
კარო შე მოწყალებისა,
შენი საფეთქლის იების
ცვარი ნუმც გამინყრებისა!

ხმელგორი*

ზეცისკარს სანთლად ნანთებო,
ცრემლნ შავეთს დაგცვივიანო,
ხმელგორის წმინდა მუხაო,
წვერნი ცად დაგინვდიანო;
წირვა-ლოცვისა სხეულო
საკმევლის ტალავრიანო, —
შენ პირჯვრისწერის ფესვზედა
ფხოვს ყოილნ ამოდიანო;
შენ ნატერფალნი ბილიკსა

თავთავად მაუსხმიანო,
არწივის ჩრდილით მომკილნი
ცის ბელელს ხვავდებიანო;
არ დაალონო პირიმზე
ვაჟო, ხმა-სახელიანო,
ბნელშიით გამოპარულა
ცისკარნ ტანთ ჩაუცმიანო,
შაუკრავ მარგალიტითა
სხივნ თითად დაუთლიანო;
დამდგარა კლდისა ფხაზედა
სურვილის ქარნი ხრიანო, —
პეპლების ჩქამის ქვეშაგნი
პირზითში დაუვიანო;
ნაზელსა ლოცვის ვარცლშია
ცეცხლის ფარდაგზე შლიანო!
წირვა-ლოცვისა სხეულო,
საკმეველის ტალავრიანო,
ცხელის ნიავის პერანგნი
შენ ტანზემც გაცვდებიანო!
არ დაალონო პირიმზე,
ვაჟო, ხმა-სახელიანო,
უშენოდ ბეჩავაია
უკვდავად არ ჩასთვლიანო,
შავეთში მიშავებულსა
ხელისკვრით მაიცლიანო,
ცრემლის მძივს, ცხრაკეც აცმულსა,
კალთაში ჩაუშლიანო,
ბენვის ხიდაზე შამდგარსა
მადლს ცოდვად ჩაუთვლიანო;
არ დაალონო პირიმზე,
ვაჟო, ხმა-სახელიანო,
ბნელშიით გამოპარულსა
ცეცხლის პერანგნი სცვიანო!

* ხმელგორი — იგივე ლაშარის გორი

ქმოდისგორის ყვავილი*

ცრემლნი მქონ ღიმილიანნი, —
შავეთიც გაბრწყინდებისა,
ყელი მზე-მთვარეთ ჩამააქვ,
ნათალი ნათლის სვეტისა;
შენთვის ქვესკნელში ჩამხდარსა
სამზეოც თან ჩამყვებისა, —
იქ სიცოცხლე და სიკვდილი
ჩემ თვალწინ შაიყრებისა!
ვაჟო, ჭიუხის ჩრდილო,
შიგავ ჩხრიალო ქვებისა,
ჯიხვების ჩაჯახჯუხების
ჯაჭვი ტანთ გემოსებისა!
უფლის წყალობით ნაჭირხლო,
ნაკვალო რიჟრაჟებისა,
გიბარებს ფშავლის ქალაი,
სიზმარი ბროლის ქვებისა, —

„ყოილ მქნა ქმოდისგორისა,
შენამც — ნიავი მთებისა,
პირიმზის გულმკერდზეითა
ამწყვეტი ცვარ-ნამებისა!
არ გეფიქრება, ნეტარა,
სანთელი ქარაფებისა
ვის კერას ჩაიღვენთების,
ვის ხელში ჩამოდნებისა!
ვაჟო, ჭიუხის ჩრდილში
წინ-წინ ჩხრიალო ქვებისა,
არწივთა ქვე-ქვე ტევებავ
ნაბლუჯო ნაპრალებითა, —
ჯიხვების ჩაჯახჯუხების
ჯაჭვი სად ნაგეყრებისა,
სათოფურებით შაკრული
ჭმუნვა სად შაგეხსნებისა?!
გიბარებს ფშავლის ქალაი,
ნასიზმრი ბროლის ქვებისა,
ცვარგრეხილათი**ნარმთქმელი
მთვარესთან თათბირებისა...“

* ქმოდისგორი სალოცავია ფშავში

** ცვარგრეხილა — ნაქარგის სახეობა

სწორფერი

პირიმზედ დაბადებულსა
ამისხავ ნათლის ტანიო,
ფესვით კლდეს ჩაკიდებულსა
მლოკავს სულეთის წყალიო,
ისევ პირალმე მაბრუნებს
დაბლით ნაბერი ქარიო...
წუთისოფლისა წისქვილზე
ვიფქვები ბროლისკანიო,
ბროწეულისა ბარძიმსა
მზის მიდგას პირსაბანიო!
შავსევდის ციხედ დავმჯდარვარ,
ზედ მიბავ ცეცხლის კარიო,
იმ კარის შამამლეული
უშენო არვინ არიო.
სანთელო, სახატობოო,
კაიყმად შაგიცანიო, —
ჩემ ცრემლზემც ჩამაიქცევა
შენი ამბორის ბანიო!
უშენოდ ჩემი სიცოცხლე
წყვდიადის კალო არიო,
დეღემისა მიგავ ლოგინი
მხურთან ცრემლის ცანიო...
ჩემი და შენი სიშორე
ჯავრის ბელელად მდგარიო,
უფლისა დაკურთხებული
ძირი აქვ შაუძრავიო,
სხივიც ვერ ჩაიპარება, —
ისე ნაგები არიო!

ქართული

„ობლოებით ამის ზარდა, ევ თორღვა ძავან
 გვარით,
 ამავს ამაიყოლა ნავითი და ნაკვერცხალიო“
ხევსურული

ნულო ძონისავ, მოვით მოსილო,
 შუბის ნახნავით განკვეთე ბნელი,
 ზენამ გიბოძა ღილი ნავთისა,
 კვართი — ნალვერდლით შესამკობელი;
 მოგცა ლაჟვარდი ტბათა გუგებში
 ლოცვის კარვებში — ცის საროკველი,
 ბიბლიურ მტევნით და თოთო ბუდით
 გაგვისო უბე სვეტიცხოველის,
 გიძღვნა ფიალი საფირონისა
 მზის მარგილებზე მისამსხვრეველი...
 ძონის მტევანო, მთვარით ნასთვლევეო,
 შუბის აღმასით გამპობო გველის,
 კუპრის პერანგზე მარგალიტები
 ჩამომანყვიტე, მომძარცვე ბნელი
 და სიყვარულის ჭვირვალ ჭურჭელში
 გამომიბრწყინვე ნუთისოფელი...

ფსოვის მოქცევა


ფრინველთ ყელიდან ფიქალდება აქ ცა
 გალობის
 და ბროლქვის სიზმრის უელვარეს ტეხილში
 ქრება, —
 ცეცხლოვან დისკოს მონახვენო სხვა
 სამშობლოდან
 შენი ხმის ია ბრონეულის თასებს ადნება...
 ამოგისხნია ვაზის ცრემლშივ ნიშანი
 მტევნის, —
 ცის ბრონეულში დასახული ვარსკვლავთა
 წყებაც, —
 არაგვის მტკვარში გადარეკვლა, — ვით
 ნელი ფხოვის,
 ცეცხლოვან დისკოს დრეკილ მკლავს რომ
 შემოეგზნება...
 გვიხვევს არაგვი განსაცდელის გამდნარ
 სმარაგდის, —
 მზეჭრილობების კლდეკარიდან გვინდა
 გაღწევა...

ქავის გავშვთა სავანე

ცეცხლოვან მტევნად გარდაგვსახე, ვაზი
 — ჟამია,
 უბეს გვიბროლებს მზის ბორჯღალთა
 გადაღმა ხმოზა,
 გაგვართვი კალთა შეხებათა ელვარე
 წყებით,
 ლაჟვარდის სკნელში მოგვიხელთე, —
 მოგვეც შენდობა!
 შემოგვაფეთე გარესკნელის მზიანი ზღვარი,
 ცისკარეული ცარგვალეების გადაფერდებაც,
 —
 ჯვრის თეთრ ნახნავთან განგვიზიდე იელის
 ცეცხლით
 სალბუნად დაგვედ ვარსკვლავების
 კრთომით მუხლდრეკაც...
 ...მოგეახლებით განსაცდელის მგზნებარე
 რკალთან,
 ცეცხლგადანაცვრევ მარგალიტებს
 შევიხდენთ წყებად, —
 ამოგვასკდება ხელებშუა შენი არსობა
 მენამულ მტევნად და ცეცხლოვან
 შენაკადებად!

ბივრილის ბჭე

სად ნახვედ, ტბით ანასხლეტო,
 ძონით წთობილო სხივო,
 მირონში ნაკამკამარო,
 ცის სვეტებს გადანწულო;
 ბროლის ფიცარო, გათლილო,
 შუბლზე შუქმონურვილო,
 ლალთა ციაგში ჩამტყდარო,
 ჩემს მწუხრში გამხელილო...
 ტბით ანასხლეტო, მართალო,
 ცვარით მკობილო სხივო,
 შინდისფერ მოვზე მგორვალო,
 შვიდგან შაკრულო ღილო;
 ბივრილის ბჭეო, ირიბად
 ქვესკნელში ჩაღერილო,
 სად გადიკარვე, ვისთანა,
 ცვარით ცხებულო სხივო?



ვასილ ხორეჯი

ჩაქო... ბაღა და... ხანოხი... თაოლოხა...

ჰოოოდა... იმას ვამბობდი, კაცო, რაჭაში, ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა წარსულს რომ ჩაბარდა — მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ფრინველი თუ ფუტკარმწარმოებელი რომ გაიყიდა და გაუღვალავდა, და ეს ყველაფერი — უძრავ-მოძრავი ვილაცამ ნაურაზე და გროშებში რომ წაიღო, ბეჭედი და შტამპი უშიშროებისა თუ საშიშროების სამსახურმა რომ ჩაიბარა, ააა, მაშინ დაბრუნდა სახლში რაჟიკო ცხვირჩამოშვებული...

— რა იყო, შე კაცო, ქვე რავა იმასავით ჩამოგკიდებია ეე ცხვირი, კიდე მოხდა სოფელში რაიმე უბედურება? — ბუხრის პირს აყუდებულ ქმარს კითხვა შეაგება კალისტინემ, მერე მკერდზე ხელები დაიკრიფა და პასუხს დაელოდა.

— რავა ფიქრობ, შე ქალო ახლა შენ, სამოცდაათი წლის ნაშენები ქვეყანა თავზე რო ჩამოგვექცა და ჩამოგვემთხლა, გახარებული უნდა ვიყო? რავა გგონია შენ! არ გინდა ახლა, ახალ ცხოვრების გზას დავადგე ეს დროული კაცი? — ამოიგმინა რაჟიკომ და ჯერ ჭაღარა ხშირი უღვაში მოიქექა ნეკა თითით, მერე კი

კეფა და კისერი იფხანა და იფხანა.

— დასაქცევი იყო და დეიქცა! პატრონიც მაგას მოკვდენია და დამტირებელიც! ახლა ეგ სულაც არ მადარდებს, შენ იმაზე მიპასუხე, თავ-პირს რო იგლეჯ, მკბენარი ხო არ დაგეხვია, კაცო, ჭკუიდან არ გადამიყვანო! — უპეები დაუფართოვდა კალისტინეს.

— თუ მეკითხები, ქვე გეტყვი! მკბენარი მე კი არა, ამ ქვეყანას, ჩვენს ქვეყანას დაეხვია!.. ჰო, ჰო, ისეთი ახალი მკბენარი, წამლითაც რო არ შეიძლება მოცილება!.. გუმანი მიგრძნობს, გულის გუმანი მკარნახობს, დღე-ხვალ ზევით, დედა გვეტირება!.. — სინანულით გააქნია თავი რაჟიკომ.

— ბევრი არა ვიცირა, ბოშო, მარა, იმდენი ქვე ვიცი, თავისუფლება და საკუთარი ოჯახი-ანობა რო ჯობია მონობასა და სხვისი ხელის შემყურეობას, აპა!.. ჰოოდა, თავისუფლება თუ იქნა, ქვეყანას როგორმე ააშენებენ! რალაცით ქვე რავა ვერ გვეტირებთ თავს, შე კაცო! — ისე გულჯერად თქვა კალისტინემ, თვითონაც კი მოენონა თავისი ნათქვამი.

— პოლიტიკა ვაკლდა ახლა შენ!.. გადი გარეთ და აიტეხე მჯიღების ცემა მკერდზე, გაჰყვირე და გამოჰყვირე, ჩვენ გავიმარჯვეთო!.. მიდი, მიდი!.. შენნაირი გულშემატკივარი კიდე მეორე რო გამოუჩნდეს ამ ბიჭუნებს, მართლა დეიჯერებენ, რაცაღას ვაკეთებთო და ნახავ, რა მოუვა ამ სოფელსო!.. რუსეთს ხო გამოვეყავითო, მეტი რალა გინდათო!.. ვინ ვის გამოეყო, მაგას ქვე ვნახავთ მერე! ამხელა მტერს რო კიდე იმტრობ, არაა კარგი საქმე! — ისევ გააკანტურა თავი რაჟიკომ და საუბარ-საუბარში ჩიბუბიც „გამართა“.

— ჰო, მართლა, ხო გამოვეყავით! ეგ არც გამხსენებია! ეტყობა, შენს ხელში, მეც ქვე გამოვპრუტუნდი!.. ჰოდა, აპა, ქვე რალაზე ჩხუბობენ და ალიხუზურობენ ეე ბოშუნეები და იი ბიჭუნეები, ქვე რალა უნდათ მეტი, ვეღარ გავიგე? — ტუჩები მოჭუჭკა კალისტინემ და ქმარსაც ირიბად გახედა.

— ყველაფერი უნდათ! ყველაფერი თავისთვის უნდათ რომ მიითალონ, მარა როგორ, ეს არ იციან!.. საქნარი არ იციან, საქნარი! ცხოვრებას, ქვეყანას ჭარმაგი კაცი უნდა მართავდეს! ქუა-დამჯდარი კაცი უნდა მართავდეს!.. ღინცილბილცინა ბიჭების სამართავი არაა ჩვენი ქვეყანა! თუ ვერ გავიგე, ქვე იყავი ისე! — რაჟიკომ ჩიბუხს ასანთის ღვრით ჯერ შეუჩინჩხალა, მერე კი გულისძირ დაანაფაზა.

— შენც გამოყეყენდი მგონია! მგონია, კი-არა, ასეა, ღმერთმანი!.. აპა, ქვე ასე თუ არაა, ქვე რავა ისე მელაპარაკები, ვითომ ერასტის მონაგრიდან ვიყო გამოსული — ექვსი ნახევრად შტერი და იმათგან, სამი მთლად სულელი რომ დაუდის სახლში!.. ხო არ დაგავინწყდა, ლებანძიების ჯიშის ქალი რო ვარ მე, და... ჰო, იმას ვამბობდი, კაცო ის უნდა მეთქვა, რას მიქვია, არაფერი არ უნდათ! არ უნდათთი ვის აუშენებია

რამე, ან ვის უშოვია და უპოვია რაიმე! თუ უნდათ, მაგათ უნდათ ახლა!..

— მაცალე, ქალო! ნუ გაუტყე გაღმისკენ! მოიმხრე ყური აქეთ და კარგად მომისმინე! ესენი, კაცო, სახლის აშენებას სახურავიდან იწყებენ, გაიგე შენა?! მერე უნდათ რო ძირი და საძირკველი გამოუშენონ!.. გაგონილა ასეთი, ბოშო? არა?... ჰოოდა...

— როგორც ეტყობა, არც შენი საქმე არაა პოლიტიკა! რავარცა ვხედავ, ამათ ქვე ეშველება, ნაიფოჟიალებენ რაცალას, მარა, ჩვენს საქმეს... კი, ჩვენი საქმე უკან დარჩა, დავბერდით, ბოშო, ვერა ხედავ? კი, ასეა, დავბერდით! — კალისტინე „ახლების“ მხარეზე დადგა მაინც.

— შენთან ლაპარაკს ვჯობია, კედელს ცერცვი შევაცარო, ეგება ილბალმა ერთხელ მეც ქვე გამიღიმოს და მარცვალი აღარც კი ჩამოცვივდეს ძირს! — რაჟიკომ ხელი ჩაიქნია, მერე ჩიბუხს ნაფაზი ჩაუნაცვლა და ფანჯარას ირირმიცვლად გახედა.

— მიდი, მიდი, აგერაა ცერცვი, ტომარა-შია, ბელელში დევს და გამოიტანე, ცარიელი კედლების მეტი რა გაქვს, აყარე და აყარე! — გაიგულისა გული კალისტინემ.

— მოდი, ქალო, შევრიგდეთ, საქმისთვის ასე აჯობებს!.. მოდი, მოდი, აგერ ჩამოვჯდეთ, ჩემო ბებერო მზეთუნახავო! სხვა რამე უნდა გითხრა! კაი საქმე და საქნარი! პოლიტიკას მოუკვდა პატრონი! მე ერთი ვიცი, ბაბუასგან ვიცი, ის იტყოდა ხოლმე, ადრეც აგრე იყოო, ძალდი ყეფდა, ქარავანი მიდიოდაო... ჰოოდა, შენ გააჩერებ ახლა ახალ ქარავანს? მიდის, მარა, საით მიდის, ეს არავინ არ იცის... ისეთი ხმები ისმის, ამ ქარავანმა შეიძლება წირვაც კი გამოგვიყვანოს, აპა! — რაჟიკომ საუმიძრახოდ გაამწლაკუნა ენა.

— კიდე იმას ამბობ, კაცო? ქვე რავა იმასავით ერთსა და იმავეს გეიძახი... აი, იმასავით, ერასტისიანები რო გეიძახიან ერთსა და იმავე სისულელეს!.. აცალე, გეიზრდებიან ეე ბიჭუნეები და ყველაფერი კარგად იქნება!.. რავა, ჩოჩორის დავიერება არ გინახავს? არ გაგიგონია? — კალისტინე წინ ჩამოუჯდა ქმარს, თავშალი შეისწორა და მოსასმენად განეწყო.

— კაი, ბატონო, შენ გეიმარჯვე!.. ჰო, ისა, ქვეყანა ინგრევა თუ შენდება, მერე გამოჩდება!.. ხო გაგიგონია, ქალო, ბაბუას ნათქვამი, წინილებს შემოდგომაზე ითვლიანო!.. ჰოოდა, დეველოდოთ ჩვენც იმ კეთილ შემოდგომას, გზა-შია, აგერ-აგერ ქვე შემოაღებს ალაყაფის კარებს, აპა!.. ჰოოდა, მერე ქვე რალა უნდა წინილების დათვლას, შე ქალო, ვთვალოთ და ვთვალოთ!.. ეს ჩვენი გარჯაც კიდე ცოტათი მაინ ნაადგება ბიჭუნეებს, ანგარიში არ შეეშალოთ, ხო იცი, ამაშიც კი უჭირთ მაგათ! — ისევ გაამწლაკუნა რაჟიკომ პირი.

— შენრო პრუტუნობ რაცხასა და იმაზე მეტს გულისხმობ, მაგდენი ქვე ვიცი, შე კაცო... უფრო მეტიც, ეგ შემოდგომა ნამეტანი შორს როა, ისიც ვიცი, ჰოოდა... ისა, იქამდე მიგვყვება სული? —

ახლა თვითონ დაიეჭვა გული კალისტინემ.

— ჰოოდა, იმას გეუბნებოდი, ქალო, იმასა... ჰო, იმასა, ქალაქში რო ფაბრიკა-ქარხნებს დედა უტირეს და ათასობით ხალხი ქუჩაში დარჩა უმუშევარი, ამაზე აღარავინ დავობს, არც ქვევით და არც ზევით, შენ რომ მთავრობას ეძახი, იმ მთავრობაში!.. უფრო მეტს გეტყვი, ჩემო ბებერო მზეთუნახავო, აი იმას, თუ რამე რუსეთიდან შემოტანილი რკინის მაგვარი მოიძებნებოდა ლურსმანიდან დანყებული ჩარხიან-დანადგარიანა, სულ უცხოეთს მიაჩუქეს და მიაჯარეთს გროშებში!.. ჰო, ის უნდა მეთქვა, მთავარი, შენ ხარ ჩემი ბატონი, არც ძველ და არც ახალ მთავრობას, ერთი ნუთითაც არ გახსენებია, რო აგერ, კაცო, ფეხის ნაბიჯზე, რუსთავში, კაცო, მეტა-ლურგიული ქარხანა რო აქვს, რკინების გადსადნობი ქარხანა, კაცო! ადნე, აკეთე და შენ თვითონ მიყიდე ეე მილები მერე ევროპელებს თუ ჯანდაბეთელებს!.. ჭკვიანი კაცი რო უნდოდა და ახლაც რო უნდა ამ ჩვენს კურთხეულ მინა-წყალს, ეს საკამათოა?... არა მგონია, არა მგონია, ეს სადაო იყოს!.. ეეე, ჩემო კალისტინე, კი შემოგაბერდი, მარა, ჭკუა არ გამომლევია!.. ცხონებული ბაბუაჩემი იტყოდა ხოლმე, გრძელი ვჯობია მოკლესაო... ჰოოდა, რალაი ბაბუაჩემი ამბობდა, ამაზე კამათი შეიძლება?

— შენ ისეთები მოყევი, ან რა საჭირო იყო, ან მაგდენს ქვე რა დაიმასხოვრებს!.. მარა, შენ მაგის თქმა არ გინდოდა?! რაცხა, სხვა უნდა გეთქვა, კი, ასეთი გუმანი მაქვს, ჰოოდა, მიდი, ის მითხარი, რაც უნდა გეთქვა! — ირიბად გახედა კალისტინემ ყალიონ „მომარჯვებულ“ რაჟიკოს.

— ჰოო, იმას ვამბობდი, კაცო, ქალაქში იქნება, თუ არ იქნება სამუშაო ადგილები, ჩვენ რა ბედენა მერე? აქ რა გვეშველება, ამ ყრუ მთაში, ის მითხარი შენ! ქვე რას გვიზამს და ქვე რას გვიშველის ორ-ორი გროში სამარცხვინო პენცია!.. მეტი მაგათ რა ვუთხარი!.. ასეთი დამათხოვრებული ქვეყანა, ალბათ, მეორე არც იქნება ამ მინის ზურგზე!.. აფსუსი არაა, ამ ნალკოტს ერთი ჭკვიანი პატრონი არ ყავდეს?

— ამ მთავრობას თავი დაანებე, აცადე, შორიდან უყურე ბიჭუნეებს, იზამენ რაცხას, თავზე მთლად რავა დეიხსამენ ლაფს! ხმალი ქნევამი ცთვებაო, სულ ამას გეიძახოდა დარიკო ბებია!.. ჰო, ისაა, პენციასაც დაანებე თავი, საბანი როგორც გაგწვდეს, ისე დეიფარეო, ამასაც ხო ამბობდა ცხონებული ბაბუაშენი!.. ჰოოდა, კეთილი ინებე და შენც ისე დაიხურე, როგორც გაგწვდება!.. მეტი არც თქვა და არც გეიმეორო! შენი ნუნუნე და საჩივარი რაიონიდან ქალაქამდე არ ჩაიტანოს ვინცალამ და ბიჭი არ დამიზარაღდეს, თვარა, ღამე-კუნაპში, საცერ-სამტკიცში გატარებულ მარილს ჩაგაყრი ყურში და ისე გაგისტუმრებ მსხვილი მარილის მოსატანად!.. არ მითხრა მეტი!.. რაცხას ფოჟიალობს ბიჭი ქალაქში, რაცხას ეხლაფორთება და არ დამიზარალონ, სოფელში მამაშენი თურმე განაწყენებულია ჩვენზეო... ოპოზიცია და ჯანდაბაო, ესააო,

ისააო, ასეო, ისეო... ენას რო ძვალი არა აქვს, ესეც ხო იცი!.. ბიჭი არ დამიზარალებს, თვარა, ავ საქმეს დაგყრი თავზე! — კალისტინემ წარბები ისე აქაჩა, კინალამ თვალები გადმოუცვივდა უპეებიდან.

— კაი, კაი, ნუ გეიგიუებ თავს! ჩემი ლიყლიყის თუ ეშინია ამ მთავრობას, მაშინ მთლად დაქცეულა ეს ქვეყანა და ეგ არის!.. კაი, კაი, დეინყნარე ნერვები, შენ გეიმარჯვე, აი, ის ხარ, გმირი რო იყო, ანაბაჯი, ის ხარ! კაი, ბატონო, კაი!..

— რა კაი-კაი აგიტყდა! ნელან რაცხას, სხვას ამბობდი! ჰოდა, მიდი და ის მითხარი, ეგებ იმან აჯობოს ამას!.. აი, ამას, ერთმანეთს რო ვეკინკლავებით!..

— გეტყვი, ჩემო კალისტინე, გეტყვი, აპა, არ გეტყვი?.. სანამ სხვას ვეტყვოდე, შენ უფრო ახლოს არა ხარ ჩემთან? ქვე რავა ეჭვის თვალთ მიყურებ, შე ქალო, დღე-გუშინ გამიცანი? რა ხანია ოქროს ქორწილის დრო ისე გაილია, არც კი გაგვხსენებია!..

— ჰოდა, მითხარი, ნუ ამომიშრე ყური!

— ნელან რაცხას ისეთს ვამბობდი და ბოლომდე არ მათქმევინე, ჰოდა... მაშინ იმას აღარ ვიტყვი და იმას ვიტყვი, რაც ძალიან მანუხებს... ხო ხედავ, არც სოფელში აღარაა სამუშაო ადგილები, დეიშალა და დეინგრა ყველაფერი, გაქრა საკოლმეურნეო პრომადღეები... კოლმეურნეობის მოსპობამ ფერმებიც მიიყოლა უკან... ფერმის საქონლობას ბუღებიც მიაყოლეს ზედ და დავრჩით ოლოლიკზე... კი, ოლოლიკზე!.. თუ აკვირდები, გაღმა-გამოღმა, იმ სოფლებსა და ამ ჩვენ სოფელყურეს, ბულა სანთლით საძებარი რო გახდა!.. ცოტას თუ აცლი, ამ ხეობაში, საერთოდ არ ეყოლება ბულა არავის! პირუტყვს მოვლა და შენახვა რო უნდა, რავა, არ იცი თუ რა!.. ჰოოდა, რო დევითვალე... ჰო, ამ წინეებზე ვიჯექი აივანზე და ჩემთვის ვითვლიდი... არა თქვა, ახლა, უსაქმური კაცი მახათის ყუნწში ყვერებს უყრიდაო... ჩემთვის ვითვლიდი და ვანგარიშობდი და სამას სულამდე გამოვიდა ძროხა და დეკეული... ბოჩოლები კიდევ მოვიტოვე, არ შევსულვარ სათვალავში...

— სხვისი ძროხა და დეკეული ჩვენთვის რა მერე, ვინმე რძესა და ერბოს შემოგანოდებს, რაჟიკოს ოჯახს არ მომივდესო?.. ელოდე მაგას!..

— კალისტინემ ერთი წარბი ჩამოსწია ძირს, მარა, მეორე, გამჭრიახობის გამოსახატავად რომ ჭირდებოდა, ისევე შუბლის პირზე დაიტოვა.

— მაცალე, ქალო, რაცაღას, მგონია, კაის გეუბნები და ვიმსჯელოთ და ვისიტყვაპუროთ ერთად!.. ადრეც კი იყავი ესეთი, მარა, დღეს პირდაპირ ენის წვერიდან მაკრიჭავ სიტყვებს დაუნახავი მაკრატლით!.. რა მოგივიდა, მაცალე ქალო, ვააა!

— ნუ იცი შენ ეგეთები და იგეთები! როდის ერთი იყო, წინ გიტებოდი!.. — უპასუხოდ არ დატოვა ცოლმა ქმარი.

— ჰოოო, იმას გეუბნებოდი, აგერ, სამი წლის ბულა რო გვყავს, დაკოდე რო მინდოდა და ხარ-

ად ქცევა რო მინდოდა, აგერ-აქეთ ქვე გედევიფიქრე!.. დავტოვებ სანაშენოდ, ხომ გითხარი, დათვლილი მაქვს, რამდენი ძროხა და დეკეულია ამ სოფელში-თქვა!.. ჰოოდა...

— ეგლა მაცალია, პირუტყვი ბულად შევინახო, თივა-ჩალაბულო ვაჭამო, ქატოიანი წყალი ვასვა და იმან კი ერასტის, დომენტისა და მიტუშა ჯღვარკლიანის ძროხები და უშობელები ამაკოს!

— ერთი შეცხადება ხმამაღლა შეიცხადა კალისტინემ, მერე ხმას ოდნავ დაუნია და ისევე გააგრძელა, — ჰო, მეტი საქმე არა მაქვს!.. კაცო, სანამ რამეს იტყოდე, წინარე აზრი არ უნდა დაყარო?.. იცი, კაცო, რა მოყვება ამას?.. არ იცი? გეტყვი, თუ არ იცი!.. აიხირავებენ ამ ჩვენს ნაზარდ პირუტყვს, დაუნყებენ სოფელ-სოფელ თრევას, დაამშვევენ, დააფხვებენ, გამოუშრობენ ყვერებს და ისე მომიგდებენ უკან!.. იმასაც კი იტყვიან, აქით დაგდებენ ვალს, რა მოხდა, სამჯერ შეახტა ჩემს ძროხას და მაგას გვამადლითო? მეზობლობაში მაგაზე უნდა იყოს ლაპარაკიო?.. აი, ასე იქნება ეს! ჰოდა, — გულზე მოსული რიხით გააგრძელა კალისტინემ, — ასე რო არ მოხდეს, ხვალვე დავუძახებ ვარდენა ზოვეტექიმს, აგერ, ჩვენს კართან დაეთრევა ყოველ დღეყურე, დავაკოდინებ და ხარად ვაქცევ!.. სახნავი ხო გვაქვს, პატარა ყანა, შეშაც მოსატანია, სარ-სახრე და გამოვიყენებთ გამწვევ ძალად, რომელი ტრაქტორი და კომბაინი ჩვენ გვიყენია ეზოში!.. — კალისტინემ ჩამონეული წარბი მალლა ასწია და რაჟიკოს ისე მკაცრად ესროლა მზერა, ეშმაკი რომ ეშმაკია, იმასაც კი გაუჭირდებოდა თვალის დაჭერა.

— მაცალე, ქალო, მაცალე, ვაა, ბიჭოს!.. ისა, აი, პირველი ის, რო, მეორედ არ თქვა ბულის დაკოდევა, თვარა ენას მოგაჭრი, სახალხოდ მოგაჭრი ენას! მეორე — რაცაღას კაის ვამბობ და მაცალე!.. არ მაცლი? კაი, ბატონო, მიდი, მიდი, მიდი და ილაპარაკე, გამოიქოთე ენა-პირი, რო დეიღლები, მითხარი და მერე გეტყვი სათქმელს... აპა, ისე ერეკები, ტვინი გადაამბრუნდა მგონია, რა უნდა მეთქვა, კინალამ ქვე დამავინყდა, კაცო... ჰოდა, ჰოდა, მიდი, მიდი, მოიშოშე ენა, მიდი, მიდი...

— კაი, ბატონო, სამარე ვარ!.. — კალისტინემ ხელები მალლა ასწია, სანაცვლოდ კი, ორივე წარბი, თავის ადგილ-სამყოფელს დაუბრუნა.

— ჰოოო, იმის თქმა მინდა, ქალო, დევიტოვოთ ეე პირუტყვი ბულად!.. რა არის ამაში ცუდი და გლახა!.. ხო გითხარი, დათვლილი მაქვს ძროხა-დეკეულები-თქვა, ამ პატიოსან ბულას მთელი წელი ერთი წუთით არ ექნება მოცლა, ხან ერთ ოჯახში მივა სიძედ, ხან — მეორეში!.. ბუღლას თავისი ყვერები თვითონ შეინახავს... ჰოდ-აა... ჩვენც ქვე დავგრჩება რაცაღას... ვინცაღა რაცაღას არ დატოვებს, არ ინამუსებს?... ყველას ერთნაირად გაუნყრება ღმერთი?

— შენ სულ გადახვედი ჭკუიდან, კაცო? ქვე რავა იმასავით ლაპარაკობ, შამშეს სერგუა როა, ცარიელი თავი რო აქვს! რავა, ბულის ყვერებიდან მინდი უნდა ავილოთ? რომელი წისქვილი

ნახე! არ თქვა მეორედ!.. გინდა, სოფელში ბიჭს თავი მოვჭრათ?.. მაგას ვინ ჩივა, ჩვენი რძალი ცოცხლად ჩაგვალაგებს მინაში!.. გეუბნები, არ თქვა ეგეთი მეორეთ! ანდა, რა უნდა ქნას ერთი იმ პირუტყვმა, რო ბელელი გაგვივსოს!.. — უეცარმა გაბრაზებამ ლოყები აუჭრელა კალისტინეს.

— ქალო, თუ კიდე ჩამეჭრები სიტყვაში და ბოლომდე არ მათქმევინებ, რა მიდევს ჩანაფიქრში და რა როგორ მოხდება, იმას ვერ მივხვდები და ვერ გაიაზრებ, არაფერს აღარ ვიტყვი, გაიგე? ჰოო? მაშინ გავაგრძელებ და კარგად მომისმინე, — საჩვენებელი თითით „დატუქსა“ კალისტინე ქმარმა, — შენ ქალი ხარ, ენაც კარგად გიჭრის და შენგან აჯობებს ამის თქმა, რასაც ახლა გეტყვი... ჰო, ისა, ბუღას ვინც წიეყვანს, ან აქეთ მოიყვანს აჩემებულ-ატეხილი ძროხა იქნება თუ დეკეული, ბოლო დროს ბოჩოლებიც კი ეშმაკობენ ბუღებთან, იმ პირუტყვის პატრონს ჩაულაპარაკებ, კი არ უნდა გეუბნებოდე, ჩემო მეზობელო, მარა, ხო ხედავთ, როგორ გაჭირდა ცხოვრება, კაპიკებზე და პენციაზე დარჩა სოფელ-ქვეყანათქვა, ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამ ბუღასაც რჩენა უნდა, თივა უნდა, ქატო უნდა-თქვა... კარგად რო ინარმოოს, ქერისა და სოიოს სალაფავი უნდა-თქვა... ამას კიდევ ჩვენ ვერ ავუღივართ-თქვა... სოფლები და მეზობლები ძალიან გვიყვარს, მარა, მარტო სიყვარულით კუჭი ვის დაუზურებია-თქვა... აგერ, გუშინწინ, შალიკოს ქვრივმა ხუთი ლარი დამიტოვა, ამ ბუღას ჩემს სახელზე ერთი ტომარა ქატო უყიდეთო... ჰო, ისა, კიდევ, რუბენა იყო ამ წინებზე, ორი ოქროსავით თვალხატულა დეკეული მოიყვანა, გამოვუშვით ბუღა და ერთ საათში ისე დააგრიალა ორივე, რუბენას სიხარულს საზღვარი არა ქონდა-თქვა... იმან კიდე იმხელა მადლობა გვითხრა, მთას იქეთ გაიგონებდა კაციო, მერე ათ ლარიანი დატოვა და დააყოლა, ჯიბეზე მეტი არ გამომიყოლია, თვარა ამ საქმისთვის მეტიც კი გეკუთვნოდათო... ჰოდა, ასე აგორდება ეს ამბავი, ჩემო კალისტინე, ამით კი სოფლის საქმეც გაკეთდება და ჩვენიც... ჰო, ისა, არ ჩამიგდო სიტყვა, მომისმინე, აი, წყაროსთან რო დგანან მოჭორავე ქალები, იმათთანაც თქვი რაცაღ-რაცაღეები, დაინუნუნე კიდევ, ბუღის შენახვას, მენველი ძროხის შენახვა ჯობია-თქვა, შეიძლება ეე ბუღა თვის ბოლოსათვის კიდევ გავყიდოთ-თქვა...

— სულ ვამბობდი, დღემდე ვამბობდი, ჭკვიანი ქმარი მყავს-თქვა და საჩემისიანოში ერთი ორს თუ ჯეროდა! მოდი, უნდა გაკოცო მაგ ბებერ ლოყაზე! — უცებ ისე გუნებიერ გამოიდარა კალისტინემ და წელანდელი ვიშვიშები ისე მოისროლა სანაკელეზე, ვითომც და აქ არაფერიო.

რაჟიკო მიშტერებოდა ცოლს და ფიქრობდა, კალისტინე მგონი მეორედ დაიბადაო...

...სიხარულისაგან სახეგაბადრული კალისტინე ხან აქეთ მიდგებოდა, ხან — იქეთ. ხან კედლებს შელაპარაკობდა, ხან — ქმარს, ხანაც თავის თავს ეჩურჩულებოდა რალაცებს.

— რა იყო, კალისტინე, ცუდად ხო არა ხარ, ბოშო! — ეჭვის თვალთ შეხედა ქმარმა ცოლს.

— რა შენდება და რა ინგრევა, რა იჭმევა და რა ისმევა, ეს ისევ იმათ არკვიონ, იმათ, ზევით რო ზიან!.. მე კი, ხვალიდან, რვეულსაც კი შემოვიღებ, საანგარიშო რვეულს, აღრიცხვას ვანარმოებ, ვინ რამდენს გადაიხდის და ბუღა რამდენჯერ ინარმოებს... თანხა ნებაყოფლობითი იქნება, ვინ რა გასაძრავს იქნება, იმას დაჯვერდებით მე და ჩემი ხელით ნაზარდი ბუღა... ვინც რა უნდა ისა თქვას, თავშიც ქვა უხლიათ... ამას მინდსაც კი დავარქმევ ჩემს გულში... ეს რა მაგარი რამე გამოიგონე, კაცო, ჰა! ჭკვიანი კაცი რო იქნებოდი, მაგარი კაცი რო იქნებოდი, ოდესღაც რო გამოიღებდი ფხას, ქორწინების პირველი ღამიდან მჯეროდა...

— მინდი მეორედ არ ახსენო, თვარა, მოგვეჭრება თავი! რას იტყვის სოფელი, რაჟიკო ყვერების მინდით ცხოვრობსო!.. გეუბნები, მეორედ არ ახსენო მინდი! — თითი დაუქნია რაჟიკომ ცოლს.

— კაი, ბატონო, რაღაი სოფლის თვალი გადგას, სოფლის ენა გჭორავს და სოფლის ყური გისმენს, რა მეტი გზაა, გავჩუმდები მეც! — ხელი ჩაიქნია კალისტინემ და აქცენტის გადასატანად, ბუხარს შეუჩინჩხალა მუგუზალი.

რაჟიკომ ჩიბუხი ისევ გააწყო და ისევ გულიან დაანაფაზა...

...მთელი ღამე იმის გამჩინებაში იყვნენ ცოლ-ქმარი, თუ როგორ წარიმართებოდა ახლად დაწყებული საქმე. რა ბედი ენეოდა და, საერთოდ, როდის დაძლევენენ სირცხვილს, რაც ბუღის „საქმიანობის“ შემდეგ უნდა გაჩენილიყო.

...როგორც იქნა გათენდა. მზის სხივები ისე წამოეხვივნენ წყაროს წყალს, კაცი იტყოდა, დასიცხულები არიან და ყელის გასველება უნდათო.

...გვიან ჩაძინებული ცოლ-ქმარი არც კი იყვნენ კარგად მოფხიზლებული, რომ ჭიშკარს კაკულიკა ლობჯანიძე მოადგა ორი დეკეულით.

რაჟიკო კარში გაეგება სტუმარს...

— რავა ხარ, ბიჭო, კიდე ტკვერ ქვას? თუ, ჩემი არ იყოს, ჩამოყარე ყურები!.. მიდი, მიდი, ჩემო რაჟი, არ დანებდე, არ ჩაუმუხლო სიბერეს! — კაკულიკამ სალამი და მონოდება ერთად „ეს-როლა“ მასპინძელს.

— ვარ, ჯერ ვარ, ჩემო კაკული, არა მიშავს! მართალი თუ გინდა იცოდე, ძველებურად, ბიჭუნობაში, შენ რო იცი, იმითი ბლოკს რო ვტეხდი შუაზე, ისე არა ვარ, მარა აგურს დედას ვტირობ! ჩემი თუ არ გჯერა, აგერა კალისტინე და კითხე, თუ იცის, მაგან იცის ჩემი ვაჟკაცობის ამბავი! — გაიცინა რაჟიკომ თავის ტრაბახზე და სტუმარი შინ მიიპატიჟა.

— შინ მერე! შენთან კი არა, ჩემთან ჩავიდეთ! საქმეს რო მორჩება შენი ვაჟკაცი ბუღა, მერე მივხედოთ სუფრას! ქვე სად გვეჩქარება,

შე კაცო, მთელი წლის ოდენი დღე წინ გვიდევს!
— ხელები გაშალა კაკულიკამ.

— შემოდი, შე კაცო, შემოდი! წყალში კი არ მიდგას ფეხი, პურუკაც მომეძებნება და ღვინუ-კაც! — რაჟიკომაც გაშალა ხელები და სტუმარი თავისკენ იხმო.

— ჯერ საქმე, ჩემო რაჟიკო, საქმე! ესენი ორივე უცადა! არ გაგიკვირდება, კაცო? ტყუ-პები არიან! ჰოდა, ერთად აჩემდნენ, კაცო! ისე გამეხარა, მეტი რო არ შეიძლება! მეც, ავდექი და ჩავაბი საბელი, აქეთ გამოვნიე და შენს ბუღას კარზე მოვგვარე, აპა, იქით ხო არ შევანუხებდი, კაცო, ბუღას! — გაიციხა კაკულიკამ, მერე კეფა მოიფხანა და გააგრძელა, — რა კაი კაცი ხარ, რა კაი კაცი, შენ აგაშენა ღმერთმა! სოფელი რო გიყვარს, ხალხი რო გიყვარს, ამაშიც გეტყობა, თვარა, რატომ სხვას არ ყავს ბუღა, თუნდაც მე!.. სოფელი მეც კი მიყვარს, მარა, ადგილი ვერ გამო-ოვუყავი ბუღას ბოსელში, ბევრი მსხვილფეხო-ბა მყავს და იმიტომ! მაგარი კაცი ხარ, ყველას ჯობნი, ყველას, ღმერთმა გაგიმარჯოს!..

კაკულიკას კიდევ უნდოდა რაჟიკოსათ-ვის საქებარი რამეები ეთქვა, რომ კალისტინე „გამოგოგმანდა“ კარში.

— ოო, ქალბატონ კალისტას, ძვირფას კა-ლისტინეს, ჩემი სალამი! როგორ ბრძანდებით ჩემო რძალო, ხომ ხართ ჯანზე და გულმხიარ-ულზე, თქვენკენ ხომაა ღმერთი, ჰა! — კაკუ-ლიკამ მაგრად ჩამოართვა ხელი ქალს.

— ხვთის წყალობით, ქვე ვართ, არა გვიშავს! ჰო, ისა, შემოდით, შინ შემოდით და იქ დაილა-პარაკეთ, საუზმესაც გაგიწყობთ! — ქმარი და სტუმარი ერთად მიიპატიჟა კალისტინემ.

— სუფრა მერეო, თვითონ ბრძანა კაკუ-ლიკამ, ჰოდა, რაღაი საქმეზეა მოსული, ჯერ იმას მივხედავთ, აგერ, აა, ორი დეკეული, უცადი და ბულაუნახავი, ღობეზე ყავს გამობ-მული, მარა, ეს ორი დღეა ბუღა რო შეუძლოთ არის, თივა-ჩალის ხემსიც რო არ მიუკარებია, გამოდგება ვითომ ახლა მაგ საქმისთვის? ქვე რა ვიცი, კაცო, მერე უდღეური ხბოები არ გაგიჩი-ნოს შენმა დეკეულებმა, ესეც კია საფიქრალი! — ჩამომთავრა რაჟიკომ „მოხსენება“ და თან ერთი თვალი მოუჭურტა ცოლს.

— ჰოოო, ეს კი აღარ გამახსენდა, — რა-ჟიკოს აებანა ტყუილის თქმაში კალისტინე, — გუშინ ტანტალა ვარდენა ვეტექიმიც კი მყავდა მოყვანილი, რაცალა „პარაშოკები“ გახსნა ვე-დროში და ბუღას მწვანე სითხე ძალით ჩაასხა ყელში, აპა! — კალისტინემ ისე გულდამჯერად თქვა ახლად გამოგონილი ტყუილი, კაკულიკამ ტუჩებიც კი მოჭურტა.

— ჰო, ბუღა კია შეუძლოთ, მარა, შენ ქვე რავა გეტყვით უარს, თვალისჩინივით მეზობელ კაცს! — ხელები მოიფხვნიტა რაჟიკომ.

— მიდი, კაცო, მიდი, გამოუშვი, რალა ახლა მოუვა ბნედა, რალა კაკულიკას დეკეულებთან შეირცხვენს თავს ჩვენი თავმოძნონე ბუღა, — ენა გაშალა კალისტინემ, მერე უშობლებისკენ

იბრუნა თვალი და დააყოლა, — შეხედე, კაცო, შეხედე, რა მონყენილი თვალები აქვს ამ დეკეუ-ლებს, ჩვენი ბუღისა არ იყოს, ესენიც შეუძლოთ ხო არ არიან? — ჰკითხა კაკულიკას კალისტინემ და პირუტყვთან უფრო ახლოს მივიდა.

— ამათი რა მოგახსენო, ქალბატონო, მაინც-დამაინც ვერაფერს მაგეთს ვატყობ, მარა, შინ რო ძროხები მყავს, იმათ ქვე აქვს მონყენილი თვალები, ჰოდა, რაშია საქმე, ეს მართლა ქვეა საკითხავი! — მთელი სერიოზულობით თქვა სტუმარმა.

— რა ჭირს შენს საბოსლეთს, ხორველა დაერიათ? — ეჭვიანობის „გასამაგრებლად“ თვალები მოჭურტა კალისტინემ.

— ქვე რავა რა ჭირს, შე ქალო, მაგას კითხვა უნდა? მერო შენთვის, მთელი წელიწადი თორმე-ტი თვე მარტო ძუძიები მენველა და მესრისა და ერთხელ მეხმარე ორიოდე წუთით, რანაირი თვალები გექნებოდა, იმასაც ნახავდი! — გადა-ფიჩინებამდე გაიციხა რაჟიკომ.

— შე ენადასამარცხებელო, არ გრცხვენია ამ პატიოსან კაცთან მაგეთი უნამუსო ლაპარ-აკები? — დაიმორცხვა კალისტინემ და თვალი ღობის პირისკენ იბრუნა.

— ქვე რა ვთქვი, კაცო, ისეთი და მიუღე-ბელი! რაც სიმართლეა, ისა ვთქვი! როგორც ხდება ძროხების ცხოვრებაში, ისა ვთქვი, კაცო, ვააა! — გაშალა ხელები რაჟიკომ.

— კაი, კაი, მიდი, გამოუშვი ბუღა! — თქვა კაკულიკამ მაშინ, როცა თვითონაც მორჩა სი-ცილს.

...ამ საუბარში იყვნენ მეზობლები, რომ ერასტის ორი ყყყინიც მოადგა რაჟიკოს ეზოს ჭიშკარს — შავშუბლიანი, თეთრად ჭრელი ძროხა იქვე მიაბეს ღობეზე და კალისტინეს ტუჩების ღრეჭვით მოახსენეს მამის დანაბარები:

— მამამ თქვა, ქალბატონ კალისტინეს უთხარით, ახლა ფული არა მაქვს და ცოტა მადროოსო, ნისიების რვეულში თუმანი ლარი ჩამინეროსო, პენციას მივიღებ თუ არა, მაშინვე გადავუხდით... —

— თქვენ მიდღეჩი არა გაქვთ ფული!.. ამ წინეების ვალიც კი აქვს მოსაცემი, რავა, აქამდე პენცია ვერ მიიღო? — არ მოეწონა ნისიაზე მოსული ერასტისიანები, — ისე, რა ვიცი, შეუ-ძლოდაა ბუღა და შეძლებს კი ამდენს? აგერ აა, ორი დეკეულიც ელოდება, ქალწული დეკეულე-ბი, მადერ „სვიდანიაზე“ რო არიან, ვერ ხედავთ? — ისე გაშალა კალისტინემ ხელები, თითქოს მისი ასაშენებელი ყოფილიყოს მთელი სოფელი.

— ბოშუნებო, ჩამოჯექით მადანა და რიგს დეელოდეთ! ისე რავა ნახდება ჯეელი ბუღა, სამივეს რო ვერ განვდევს! — მიაძახა ჭიშკარზე აყუდებულ სტუმრებს რაჟიკომ, მერე კაკული-კას მიუბრუნდა, ხელი გამოსდო და სახლისკენ წაექაჩავა.

— მოდი, კაცო, თითო ჭიქა დავლიოთ! დღენათელის დავლიოთ! გამრავლების დავ-ლიოთ! სიცოცხლის დავლიოთ! და შენს დე-

კეულებსა და ჩემს ბულას გაუმარჯოს კიდე!
აჰა, შევიდეთ სახლში, ჩემი გამოხდელი არაყი
მაქვს, ღვინო ხო მაქვსა და მაქვს და მეშოვება!
ამასობაში ცოცხა მოდღვედება, ბულასაც გაეხს-
ნება გული და მერე შენც ქვე იცი, როგორც უნდა
მოხდეს საქმე და საქნარი... წამო, წამო სახლში
შევიდეთ! — რაჟიკო სახლისკენ გაუძღვა სტუ-
მარს.

კალისტინემაც მიატოვა ერასტისიანები და
შინ შევიდა...

...ის დღე იყო და იმ დღის მერე მეორე დღე
გადაება პირველს, მეორე დღეს მესამე დღე მი-
ჰყვა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მერე დღეები თვეე-
ბად იქცნენ... მუხლჩაუხრელად „მუშაობდა“
ბულა ამ სოფელსა თუ იმ სოფელ-უბანში, საქმე
გამოჩენილი კალისტინე კიდეც — ნაღდისა თუ
ნისიების ჩანანერებით ავსებდა რვეულის ფურ-
ცლებს, მარა...

...რალა მარააა!.. მარაა, კაცო!.. იმ დღემ
ამინდი უკულმა დაიწყო, ჯერ იყო და მონმენდილ
ცაზე მეხი გავარდა, მერე კი ფოცხვრების მთას
ისეთი საავდრო ღრუბელი ჩამოაწვა მხრებზე,
ცას ფეხი ხომ არ დაუცდაო, გაიფიქრებდა კაცი.

...მარა?.. მარაა, კაცო?.. ყოფილი კოლმეურ-
ნეობის ყოფილ კანტორის ოთახში, ხანდახან
სოფლის გამგებელიც რომ იჯდა ხოლმე, ახლა
მასთან ერთად, რაიონის მუნიციპალიტეტის თუ
რალაცის სამი წარმომადგენელი, კარგა ხანს
ელოდნენ რაჟიკოს.

...როგორც იქნა, გამოჩნდა რაჟიკო. გრძელი
ნაბიჯებითა და მართალი კაცის რიხით მიადგა
კანტორის კარს და ფართოდ შეალო.

გამგებელმა სტუმრები წარუდგინა რაჟიკოს
— ეს პატივცემული საგადასახადო ინსპექციი-
დანაა, ეს მეორე — საგადასახადო პოლიციი-
დანააო, აი, ეს კი, ახალგაზრდა, რაიონის მთა-
ვარი ვეტერინარია, ჰოლანდიაში აქვს ნასწავლი
პირუტყვმცოდნეობაო, სულ ინგლისურად ელა-
პარაკება ხარ-კამეჩსო, იხუმრა კიდეც... ბევრი
რომ არ გავაგრძელო, ჩემო რაჟიკო, საქმეზე არ-
იან მოსული, შენთან სურთ გასაუბრებო...

— ჩემთვის უცხო ხილია ასეთი ხალხი, მარა,
რალაი მოზრძანებულხართ, კეთილი და პატიო-
სანი, მკითხეთ, რაც გინდათ! — თავი დაუქნია
სტუმრებს რაჟიკომ და მოსასმენად ყური დაი-
გრძელა.

— ბატონო რაჟიკო, რო არ მივიკბ-მოვიკბო,
ასეო და ისეო რომ არ გამომივიდეს, — „გახსნა“
შეკრება იმ სამთავან უფრო ასაკოვანმა სტუ-
მარმა, — ჩვენს განყოფილებაში წერილია შე-
მოსული თქვენი ოჯახის საქმიანობის შესახებ!
გარკვევით წერია, რომ თქვენ საკუთრებაში
გყავთ ბულა, რომელიც ხან სოფელ-სოფელ
დაყავთ, ხანაც თქვენთან მოყავთ აჩემებულ-
ატეხილი პირუტყვი, ბულა თავის საქმეს აკეთებს
და თქვენი ოჯახი, პირადად თქვენი მეუღლე, ამ
საქმიანობაში ფულს იღებს! რვეულებშიც კი
ატარებს, ვინ ნაღდი გადაიხადა და ვინ ნისიად
მოილია ეს საქმე! და ამ დროს სახელმწიფო ბიუ-

ჯეტს, თქვენი ოჯახი ზედმეტი, შეიძლება ითქ-
ვას, არაკანონიერი შემოსავლიდან, არც ერთ
გროშს არ უხდის!.. ბატონო რაჟიკო, სახელმწი-
ფოს და მის ბიუჯეტს ვინც ზედმეტი შემოსავ-
ლის წყაროს უმაღლავს და პროცენტს არ უხდის,
ჩვენში ასეთი ქმედება, მოგვხსენებათ, კანონით
ისჯება!..

— რას მელაპარაკები, კაცო! აჰა, დასაჭერი
ვყოფილვართ მე და ჩემი ცოლი და ეგ არის! —
გაკვირება ვერ დამალა რაჟიკომ, მერე, სახეზე
წამოჭარხლებულმა, მაგიდაზე ხელი დაჰკრა და
დააყოლა, — ჩვენს ქვეყანაში როდის ყოფილა
პატიოსანი კაცის სამშველი და არასდროსო, —
თვითონ დაიმონმა თავისი თავი რაჟიკომ, ერთი
შეიკურთხა კიდეც, მერე ჩიბუხი გაანყო და გააბ-
ოლა.

— ბატონო რაჟიკო, ნუ ცხარობთ, თქვენი რა
ბრალაია, ყველაფერი ახალმა ცხოვრებამ მოიტა-
ნა, — რაჟიკოს დამშვიდება სცადა მეორე სტუ-
მარმა, — მართალია, ასაკოვანი ბრძანდებით,
მაგრამ კარგა გვარიან ჯანზე გამოიყურებით,
ჰოდა, თქვენც ჩაებით ახალი ცხოვრების რიტ-
მში, გახსენით შპს, დაარქვით სახელი, გინდაც
— შპს — „ბულა“, აიღეთ შტამპი და ბეჭედი,
შეიძინეთ სალარო აპარატი, აწარმოეთ ბულალ-
ტერია შენ და შენმა მეუღლემ და სახელმწი-
ფოსაც გადაუხადეთ მისი წილი, სულ ესაა! არ
თქვა ახლა, ბულა მშეირ-მწყურვალი დამიდისო!
ხომ დადის სახელმწიფოს მინაზე, ხომ სვამსა და
ჭამს სახელმწიფოს ბალახსა და წყალს, ჰოდა,
გადასახადის გადახდაც არ გინდათ? სახელმ-
წიფო რომ თავის წილს მიიღებს, აღარც შური-
ანი მომჩივანი გეყოლებათ და აღარც მოძალადე
დააკაკუნებს თქვენს კარზე! ასე ქენი, რაჟიკო ბი-
ძია და ყველაფერი კარგად იქნება! — ჩამთავრა
გრძელი სიტყვა მეორე სტუმარმა და თვითონაც
გააბოლანა ნითელბოლოიანი სიგარეტი.

— რა წილი უნდა გადაუხადო, ძამიკო,
სახელმწიფოს, რისი წილი უნდა გადაუხადო,
არ მესმის და მამკალით თუ გინდათ! რაა, კაცო,
კრამიტის ქარხანა გვაქვს ერთად გახსნილი, თუ
რა!.. წვალობს რაცხას ბულა, ამრავლებს პირუ-
ტყვს, არ ერევა სახელმწიფოს საქმეებში და
კიდეც წილი უნდა გადავიხადოთ?.. ვაი, და მარ-
თლა ვაი, თქვენს პატრონებს უბედურს!.. ჰოო,
ისა, — რაჟიკომ ორჯერ დაანათფაზა ჩიბუხი,
მერე ასაკოვან სტუმარს მიუბრუნდა და სიტყვა
გავაგრძელა, — რა თქვით თქვენ, კაცო, რალაცა
ისაო, შუპუსუო... რა არის ეგ შუპუსუ, მითხარი,
თუ კაცი ხარ, რამე ისეთი უბედურება კიდეც
არის, სოფლამდე რომ არ მოუღწევია ჯერ? —
შპს-ს გაშიფვრა მოითხოვა რაჟიკომ.

— ბატონო რაჟიკო, შპს ნიშნავს შეზღუდუ-
ლი პასუხისმგებლობის საზოგადოებას! რამე
ისეთი კი არაა! ჰოდა, შპს რომ გექნება, მერე შე-
გიძლია აწარმოო ნაირ-ნაირი საქმიანობები...

— შეზღუდულიო?.. შეზღუდული რო კაი
ყოფილიყო, აქანა კი არ მოხვიდოდით!.. ამ ტყეში,
ამ მთაში, ამის იქეთ მამალი რო არ ყიფა, ძლივს

2404

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რო მიდგას სული, ძლივას რო ვარსებობ, კიდევ შეზღუდვა მინდა? შუპუსუ მინდა? ლუკმას მართმევთ პირიდან?.. სახლიდან რო გამოხვედით, ცოტა სინდისი ვერ გამოიყოლეთ?.. რაცხას ნვალობს ბუდა, უნდა, არ უნდა, მაინც ირჯება!.. თავისი თავი რო გეიტანოს, თავი რო შეინახოს, ოფლსა ღვრის! ბულის ნაოფლართ, წელიწადში ერთი ტომარა ფტევილი რო ვიყიდო, იმასაც ზღუდავთ? არა ხართ თქვენ მართალი ხალხი, არა! — ისევ დაჰკრა ხელი მაგიდას რაჟიკომ, მერე სათუთუნე ქისა გახსნა, ჩიბუხი ისევ „გამართა“ და გააბოლა.

— რაჟიკო ბატონო, — ახლა სოფლის გამგებელმა ამოიღო ხმა, — საქმე რომ არ გაირთულო, დაკოდე ეე ბუდა და შენც ისე იცხოვრე, როგორც სხვები არიან, მთელი სამეზობლო და სოფელი...

— რაოო? დაკოდეო? ქვე რას მეუბნები, კაცო, შენ! რას მიქვია, დავკოდო! — სულ გადაირია რაჟიკო, საჩეჩელზე ზისო, იფიქრებდა კაცი, — ამხელა ბუდას როგორ გევიმეტებ დასაკოდად, ამხელა ბუდას როგორ გამოვაცლი სანაშენო ყვერებს, ქვე რას ამბობ, კაცო, შენ!.. ის კაცია, ბიჭო, კაცი!.. ყველა ჯიშისა და რჯულის მთავრობას, დიდსა თუ პატარას, შენის თამაღობით, ისე დავაკოდივებ ვარდენა ვეტექიმს გაულესავი სამართებლით, თვალს არ დავახამხამებ! იმას, იმ ბუდას კი ვერ გავიმეტებ? ის კაცია, ბიჭო, კაცი, აჰა!.. იმას ჭირდება თუ ჭირდება ყვერები, აჰა, თქვენ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რაში გამოიყენებთ ყვერებს, ანდა, ვის რაში ჭირდება თქვენს ყვერები, ვის რა ჯანდაბად უნდა თქენი ნასაქმარი!.. მეორედ არ მითხრათ, დაკოდეო, თვარა, მე თქვენ განახებთ დაკოდვას!.. — ორივე ხელი შემართა რაჟიკომ.

— რაჟიკო ბატონო, თუ არ დავგვლახავ, კარგი იქნება!.. ერთი წუთით მომისმინე, ძალიან გთხოვ, დანყნარდი, კაცო, დანყნარდი, — „დეღეგაციის“ ნევრთაგან ისევ ასაკოვანმა სტუმარმა სცადა რაჟიკოსთან საუბარი, — დაკოდეო, რომ გითხრა გამგებელმა, ეს მისთვის კი არავის დაუვალეზია, ისე გითხრა საკუთარი ინიციაციით... ეს სიმართლე რომ არის, შემიძლია ასჯერ შეიღებო დავიფიცო... ჰო... ისა... აქ სხვა რამეშიც არის საქმე და გეტყვი, ბიძაჩემო, დასამალი კი არაფერია! კარგად მომისმინე, კეთილო კაცო და აგიხსნი! აქ სხვა რამეშია საქმე და მის გამჭვირვალობაზე ახლავე მოგახსენებ: გადასახადი ყველამ რომ უნდა გადაიხადოს, დიდმა თუ პატარამ, ამაზე უკვე აღარსად დავობენ, ხომ ასეა? კაი, ბატონო, მეთანხმები! ეს ერთი ხომ გითხარი, ახლა მეორეს გეტყვი, აგერ რომ გვახლავს ახალგაზრდა, რაიონის მთავარი ვეტერინარი, ორასკაციან კონკურსშია გამარჯვებული, თანაც ჰოლანდიაში აქვს დამთავრებული პირუტყვთმცოდნეობა, ამან და იმან, ჩვენი კუთხის კაცმა, აქ დაბადებულმა და ქალაქში გაზრდილმა კაცმა, ამასწინებზე რომ ავირჩიეთ, შენც რომ გაქვს ხმა მიცემული და შენს მეუღლესაც, აგერ

აა, კედელზე კიდევ რომაა შემორჩენილი საარჩევნო პლაკატის ნახევი, ნახევარსახე და ცხვირი რომ უჩანს, აი, მაგან, ბატონმა თეოდორემ, კანონმდებლობაში ერთი სკამი რომ უჭირავს, მაგრამ ათს რომ უღრის, პირტყვის ხელოვნური დათესლისთვის და დამაკებისთვის, იმდენი თესლი ჩამოიტანა და ჩამოაქვთ კიდევ, სად ნაიღონ და როგორ გახარჯონ, მაგაზე მუშაობს რაიონის მუნიციპალიტეტის მთელი აპარატი ახლა, აჰა!.. ჰოო და...

— ჰოოდაო? უყურე ახლა ამათ შენ, რა მუხანათობა მოუფიქრებიათ! გამოდის რო, ჩვენებური ბულები საჭირო აღარ იქნება! — ჯერ ენა „გამოყო“ რაჟიკომ, მერე ტუჩები მოჭუჭკა, მერე კი აზრების „დასალაგებლად“, მარჯვენა ნარბი შუბლისკენ „შეისროლა“.

— ბიძაჩემო, ბულები ყოველთვის იქნება საჭირო, მაგრამ ეს მეთოდი, ეს სიახლე, რასაც ბატონი თეოდორე იწყებს და მე და მარტო მე კი არა, მთელი რაიონი ვეხმარებით, რა თქმა უნდა, უფრო პრაქტიკული იქნება, ის სულ სხვა ქვეყანაა ამ მხრივ! იმათ ფერმებში ავიდგი ფეხი და ჩემი თვალთ მაქვს ნანახი ყველაფერი! იქ იმხელა ტანის ბულებია, იქ ისეთი ტანის ძროხებია, ისეთი სარძევე საშუალებები აქვთ, სამ-ოთხ ვედროს ისე იწველიან, გაკვირვებასაც ვერ მოასწრებს კაცი! ცოცხალ სიმართლეს ვამბობ! აბა, აქაური ძროხები რას გვანან, არც კი შეეხედებათ! — ახალგაზრდა ვეტერინარი საკმაოდ გრძელი სიტყვით ჩაერთო „საქმეში“.

— გამოდის, რო ჩვენი ნახირი პატარებია, დამსოგვილი ძროხუკეებია, ხომ კი?! ვერ მოგართვი, ბიძიკო!.. შენ რომელ და ვის ბოსელში აიდგი ფეხი, სულ არ მაინტერესებს მე! ნამობრძანდი, ნამო, ნამო და ნახე ჩემი ძროხები, რა შეხედულეზია და როგორ არიან გაზიზინებულნი!.. ქვე თუ არ აჭამე, ქვე თუ არ ასვი, ქვე თუ არ მოუარე, ქვე თუ არ დაუურვე, იი შენი ნაქები ჰოლანდიელი ჯიშის ძროხაც ისე გაბეხრენდება და დაიმსოგვება, როგორც დაგობარებია!.. ჰო, ისა... ჰო, ისა, ძვირფასო უფროსო სტუმარო და ბატონო გამგებელო, ამ ბაღანამ, იქაურ ფერმაში რო აიდგა ფეხი, ასე თქვა, წედან, იქო, იმხელა სარძევე საშუალება აქვს ჰოლანდიურ ძროხებსო, თვალი რას ნახავს უკეთესსო!.. ამან, ეტყობა, ისიც არ იცის, რომ იმ საშუალებას, ჩვენებურად, ჯიქანი ქვია! დიდ ძუძუებიან ქალზეც ამბობენ ხოლმე, ერთი იმის ჯიქანში ჩამაყოფია ცხვირიო!.. ჰოდა, ამ ბაღანამ ჯიქანი არ იცის რა არის და მისი ხელით გამარავლებული საქონელი ნაადგება აქაურობას? მეტი არ იქნა ჩემი მტერი!..

— ბატონო რაჟიკო, იცი რას გეტყვი? რისი თქმა მინდა...

— სათქმელი არ დაივინყო და მერე მითხარი, რაცხას ისეთს ვიტყვი და მერე, — შეაჭრა სიტყვა რაჟიკომ საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელს, — ჰო, ისა, ამ ყმანვილს და რაიონში მის გამვეტერინარებელს ისე მოუვა,

ადრე, რაიკომის მდივანობანობა რო იყო, იმათ რო მოუვიდა! კი, კი, ისე მოუვა!.. რა მოხდა, გინდათ, გითხრათყე? — შეეკითხა რაჟიკო სტუმრებს.

— ისეთი მაგარი კაცი ყოფილხართ, თქვენ-გან ტყუილიც კი დაიჯერება და, გვიამბეთ, გისმენთ, ბატონო რაჟიკო! — ახლა საგადასახადო პოლიციის წარმომადგენელმა სცადა „თქვენობით“ რაჟიკოს „დაყოლიება“.

— ჰო, იმას ვამბობდი... ქვე კი არაფერს ვიტყუები, კაცო!.. მაშინ, ადრე, რაიკომის მდივანობანობა რო იყო, ჩვენს რაიონს ერთი ბატვაცად მოსიარულე და მოლაპარაკე კაცი გამოუგზავნეს რაიკომის მდივანად! ჰოოდა, იმ მდივანმა, კაცო, ადგილობრივი კაცების ჭაჭანი არ დატოვა თანამდებობებზე — მთავარი ექიმი ჩამოიყვანა, მილიციის უფროსი ჩამოიყვანა, იმას პროკურორი და მოსამართლე მოაყოლა, რძე-ყველის ქარხანას თავისი კაცი გაუდირექტორა, საგზაოში სხვა ინჟინერი მოიყვანა... კიდე ისა... ჰო, მთავარი მავინყდებოდა, კაცო, რაცხა რომ უნდა მეთქვა, ის მავინყდებოდა, რა ვუთხარი ამ სიბერეს, ამა... ჰო, ისა, მთავარი ვეტექნიკი თავისი ჩამოიყვანა. იმ ვეტექნიკმა თავისი ხალხი მოიყვანა ფულის გასაკეთებლად, ისინი კიდე ჩამოყვანის წილს ამ ვაჟბატონს ჩაუჯიბავდნენ და გაგიხარია ცხოვრება!.. აი, იმას ერქვა წილი, თუ ერქვა! აჰა, ამის და აქედან რა წილი უნდა მოქცეთ, კაცო, რაცხას რო წვალობს ბუღა, ოფლად რო იღვრება, საქვეყნოს თუ არა, სასოფლო საქმეს რო აკეთებს, ამაში ითხოვთ წილს? სირცხვილნამუსი საერთოდ დაკარგა ამ სახელმწიფომ?

— მაგ წილებს თავი დაანებე, ეგ სხვა დროში იყო! დღეს წილზე კი არა, გადასახადზეა ლაპარაკი, ზედმეტ შემოსავლის დაბეგვრაზე! — ცოტა განყრომით უთხრა გამგებელმა რაჟიკოს.

— ქვე რავა დამიბღვირე, ბიჭო! შენი გამგებლობა ფეხებზე რო მკიდია, თუ იცი შენ!.. საბჭოს თავმჯდომარეს კი არა, აღმასკომის თავმჯდომარეს ვერ უთქვამს ჩემთვის გადაკრული სიტყვა და შენ ვინ ხარ, ჭკუას რო მასწავლი, უყურე შენ!.. — ისე გაბრაზდა რაჟიკო, გული ლამის იყო, მაგიდაზე გამოდო, მერე ჩიბუხს უნაფაზა და უნაფაზა, ბოლში გაახვია იქაურობა, მერე სტუმრებს მიუბრუნდა და გააგრძელა, — იმას ვამბობდი, კაცო, აქაურები არ ჩანხართ და იმიტომ გიყვებითყე წვრილად ამ ამბავს! ისე, თუ არ გინდათ, გავჩერდები, კაცო, სხვას მოუყვები, კიდე მოვა ვინცალა აქ...

— რას ბრძანებთ, ბატონო რაჟიკო! ისეთი ინტერესით გისმენთ, მთავრობის სხდომაზე მგონია თავი, ძალიან გთხოვთ, მოყევით ბოლომდე! — საგადასახადოს წარმომადგენელმა გამოიჩინა „ინიციატივა“.

— ჰოოდა, იმას ვამბობდი, კაცო, რიონის ხეობაში, ზევით, მალლა, რაჭის სოფლებში ყველაზე დიდი სოფელია, ღები ქვია, გაგიგონიათ, ალბათ! მაგარი სოფელია, ძაან მაგარი! იქ ძაან მაგარი ხალხია, ისეთი, რომ კეთილმოსურნეს ნამდვილად გაეხარება! იქაურები ყველა და

ყველა, ქალი და კაცი, სულ ნიჭიერები არიან და ნასწავლები! ჰოოდა, იმას გეტყვით ახლა, იქ, იმ სოფელში, ადგილობრივი კადრი ყავდათ, ვეტექნიკი კაცი, კაი კაცი, ვიცნობდი, კაცო, იმ კაცს, აცხონა ღმერთმა, გარდაცვლილია ახლა, ის მოხსნეს და თბილისიდან ჩამოყვანილი ახალგაზრდა ვეტექნიკი დანიშნეს იმის ადგილზე!.. თავი და ტანი ერთად გაიგიჟა მთელმა სოფელმა, მარა, თქვენც არ მომიკვდეთ, არც ზევით და არც ქვევით კრინტი არავის დაუძრავს, ჰოოდა, მარტო სოფლის სიგიჟე ქვე რას უმველიდა საქმეს, რაიკომის მდივანმაც, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, ამის თქმისა არ იყოს, ქვა აავდო და თავი შეუშვირა, ჩემს სიტყვას უკან იმიტომ არ წავიღებ, აქცენტი ახალგაზრდა კადრებზე მაქვს გადატანილიო...

— მერე, კაცო, მერე რა მოხდა? ეგ ამბავი მად რომ არ დამთავრდებოდა ცხადია, ბოლომდე გისმენთ, ბატონო რაჟიკო! — საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელმა უფრორიგ ათხოვა ყური რაჟიკოს, მერე უცხოურ სიგარეტს მოუკიდა და თვითონაც გულისიერ გააბოლა.

— ჰოო, იმას ვამბობდი, კაცო, ქვა ჩამოვარდა ძირს, მდივანსაც კი დაეცა თავზე, მარა რად გინდა, იმისი არ იყოს, მეხი ჩამოვარდა და ძირს ქვა დახვდაო, ისე გამოვიდა ის საქმე, მეხი გატყდა, კაცო, მეხი და რაიკომის მდივნის თავი კი უფერულად გადარჩა, აჰა!..

— მაგარი თავი ქონია იმ მდივანს, სადაური იყო, რომელი უთხიდან იყო, გეცოდინება ისიც! არაა? კაი, ბატონო, გააგრძელე, რალაც რომ მოხდებოდა ბოლოში, წყარძილე ვაუვ! — ისევე საგადასახადოს წარმომადგენელმა იაქტიურა ამბავის ჩამთავრების თაობაზე.

— ჰოოდა, სოფელმა თქვა, ქვე თუ მაგრეა საქმე, ქვეყანაზე ქვე თუ გამოილია სამართალი, ქვეყანა ქვე თუ მართლა ჩალით არი დახურული, იმასაც ვნახავთო და მდივანსაც და ვეტექნიკსაც ისეთი ოინი მოუნყვეს, დღესაც კი იცინიან, როცა ვილაცა ამ ამბავს გეიხსენებს!.. ნელან ხო გითხარითყე, იქ მაგარი, ნასწავლი ხალხი ცხოვრობს-თქვა!.. ჰოოდა, ერთი დღეც იყო, ახალი ვეტექნიკი სოფელს სტუმრობდა, პირუტყვს ათვალღირებდა.. ბიჭებმან იქეთ შეიპატიჟეს და ჟიპიტაურის წინწამონაქარი დააღვეინეს, ხან აქეთ დაუძახეს და წვრილფეხობა ანახეს, იქაც ორი-სამი ჭიქა ჩააფენინეს, კიდევ აქეთური, კიდევ იქეთური და ერთი დიდი ოჯახიდან ქვე აღარ გამოუშვეს — სტუმარი ხვთისააო, ასვეს და აჭამეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, მერე, კაა რო მოსალამოვდა, ქვედა უბნიდან ახლად მოგებული ხბო მოიყვანეს და იმ ოჯახის ბოსელში დასვეს, ხბოს მარილი მოაყარეს, მერე ერთი დიდი მუტრუკა ხარი შეუშვეს შიგ და გაგიხარია, ხარმა ერთი-ორი რო წამოატლიკა, ენამ მარილი რო დაიგემოვნა, ხარი სიცოცხლედ იქცა, ისე დაუნყო ხბოუკას ლოკვა, მათ დედა-შვილობაში ეჭვსაც კი ვერ შეიტანდით... ჰოოდა, უცბად შეიყარნენ მოხუცები, მოლაპარაკებულები იყვნენ წინასწარ იმ შეჩვენებულები, კაცო, ჰოოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ქვე ატყდა

ერთი ამბავი, ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა, კინალამ სოფელიც შეიძრა... ხმაურზე მესუფრეები ერთიან გაცვიფდნენ გარეთ, კარში ვეტექიმიც გაიყოლეს... ხნე კაცებმა ხელში რო იგდეს სტუმარი, მივარდნენ და ყიჟინათი შეუძახეს, მოდი, კაცო, შენი თვალით ნახე, სასნაული მოხდა, ჯერ არ გაგონილი ამბავი მოხდა, გრიგოლანთ ხარმა ხბო მოიგო... ვეტექიმმა ჯერ არ დაიჯერა, სოფელი რაღაცით ერთობაო, გაიფიქრა, მარა, ბოსელში მაინც შევიდა... რო არ შესულიყო, ძალით შეიყვანდნენ... ჰოოდა, მართლა რო დეინახა, ქვე რავარი გულისიანად ლოკავდა და ამშრალედა ხარი ხბოუკას, ეჭვი უმალ გაუქრა... აიო, მომყოლიც კი დააგდო უკვეო, ისიც კი მოეტანათ იმ ხვთის პირიდან გადავარდნილებს, აპა!.. ჰოოდა, აქედან და იქედან რო უტრიალა ვეტექიმმა ხბოუკასა და ხარს, რო უსმინა ქალა-როსნებსა და იმათ ვიშვიშს, კაცო, ამ ხნობამდე მოვიყარეთ, საუკუნეს გადავაბიჯეთ, ჩვენამდეც ხო იყვნენ მამა-პაპანი და ასეთი რამე ამბავი არც კი უთქვამთ და არც რო დაუტოვებიათო, ხო არის ახლა გასაკვირიო... ესაო, ისაო... ჰოოდა, ვეტექიმმა იფიქრა, ასეთი ამბავის გახმაურებაზე სხვამ არავინ დამასწროსო, არც აცია, არც აცხელა, კოლმეურნეობის კანტორაში გაიქცა, გააღებინა ბულალტერს ოთახი, ეცა მოღრაჭუნე ტელეფონს, ატრიალა, ატრიალა „რუჩკა“, დაქოქა აპარატი და რაიკომის მდივანს დაურეკა პირდაპირ, ასე და ასეთი ამბავიაო, ხარმა ხბო მოიგო, ჩემი თვალით ვნახეო... მთელი სოფელი შეყრილია, დიდი და პატარა იმათ უყურებსო... ხარი ლოკავს და ლოკავს ახალშობილს, თავზე ევლებო... რაიკომის მდივანს უთქვამს, ვითამ ცოდნა გამოაჩინა, ეგეთი ამბავი სხვაგანაც მომხდარაო, ჩრდილოეთ პოლუსზეო... ისე, თუ მარიამს ჩაესახა უკაცოდ შეილი, რაჭაში ხარს რო ხბო მოეგოს, რა გასაკვირიაო!.. იმ უწმინდურს, ამას რო კაცი იტყვის, ისეთ ადამიანს, აპა, რა უნდა დაარქვას კაცმა, უმალ ცეკაში დაურეკია, რაჭაში, ჩემს რაიონში, ასე და ისე მოხდაო, ხარმა ხბო მოიგო... ჰოოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ის ბაცბაცა ურწმუნო და უნამუსო რაიკომის მდივანი და ის ყეყეჩი ვეტექიმიც სამ დღეში მოაძვრეს და მოასმევინეს რაჭიდან, აპა! ქვე თუ საქმე არ გემარჯვება, ხელი არ უნდა მოკიდოო, დაუბარებიათ ჩვენთვის წინაპრებს, აპა! — ჩაამთავრა რაჟიკომ ამბავი „ტარიელისა“ და ისევ ჩაუჩინჩხალა ჩიბუხს.

... სტუმრებმა გულიანად იცინეს წარსულის ოხუნჯობაზე, მერე ისევ ასაკოვანი კაცი „მონეს-რიგდა“ და რაჟიკოს ჯერ თვალებში შეხედა, მერე ბეჭზე დაადო ხელი და ენა ამოიღო:

— ის კაცი, კანონმდებელი თქვენებური წარმოშობის თეოდორე, კარგი კაცია, საქმიანი, სოფელი იცის, ტყე იცის, ველი იცის, ლელე-ხევი იცის, ამვლელი იცის, ჩამვლელი იცის... ძროხა და ხარი ხბო იცის და იცის, გლეხების ოჯახშია გაზრდილი, ჰოოდა, იმ კარგ კაცს უნდა რაღაცა ახალი შეიტანოს ქვეყნის ცხოვრებაში, ამ სოფ-

ლისთვის თუ იმ სოფლისთვის, ყველას კეთილდღეობისთვის ხარჯი გაიღოს...

— კაცო, — შეანყევინა რაჟიკომ სტუმარს, — ამხელა, ამსიგრძე ამბავი ტყუილა მოვყევი? ასე გგონიათ თქვენ? ძალსა სცემდნენ და პატარძალო გეიგონეო, ეს არ გაგიგონიათ? მოუყევით ეს ამბავი თეოდორეს და ეგება ქვე მოვიდეს ჭკუაზე! არ დაიღუპოს მაგ კაცმა თავი თავისი კანონმდებლობით!.. ისე, რა მაგის პასუხია და მითხარით, კაცო, თუ იცით, რასაკვირველია, ხელოვნურ თესლს ფაბრიკაში ამზადებენ? ბულა არ ჭირდება თესლის წარმოებას? — გაკვირვებით შეეკითხა სტუმარს რაჟიკო.

— მაგდენი ნამდვილად არ ვიცი... — დაიმორცხვა სტუმარმა.

— იმან ხო იცის!.. თეოდორემ ხო იცის!.. საქმიანი, მცოდნე კაციაო, ხო თქვი წელან!.. აქაც ამბობენ, ბიზმესმენიაო, მაგარი კორუმპირებულიაო, დიდი ფული რო აქვს, დეპუტატობაც იმიტომ შეაწერა ამ მთავრობამო... ზურგს ჩვენ გაგიმაგრემთ, შენ მარტო კენჭი და ქვა იყარეო, ფული გეილეო... ხალხს საჩუქრები დაურიგეო... არ დაუკლია ამ საქმისთვის თეოდორეს არაფერი, კაა გვარიანად აფანთრიოშა ფულები, მარა, საქმე რაშია, კაცო, რა მჭირს ახლა მე! იი სიტყვას რო ამბობენ, კორუმპირებულიო, შინაარსი არ მესმის და თუ მასწავლით, კაი იქნება! რაიმეს ცუდს არ ვამბობდე და თავი არ მომეჭრას ამ ხნის კაცს, სირცხვილი არ ვჭამო, კაცო! — ხელები გაშალა რაჟიკომ.

— კორუმპირებული კარგი სიტყვა არაა! არაა და არც ეკადრება თეოდორეს! კორუმპირებული იმას ნიშნავს, იმას ქვია, აი, ფულს რომ იშოვი მახინაცხებით, თაღლითობით, სხვისი გადაგებით, სახელმწიფოს ტყუილებით, უკანონო ყიდვა-გაყიდვით, ფულის გათეთრებით და კიდევ ათასი მამაძაღლობით! თეოდორე სუფთა კაცია, მაგას წესიერი გზით აქვს ნაშოვი, აპა! — ახლა საგადასახადო პოლიციის წარმომადგენელმა სცადა რაჟიკოს სწორ გზაზე დაყენება.

— შენ ავაშენა ღმერთმა, მართალი რო მითხარი, თვარა, სადღეგრძელოში რო მეთქვა ვინმესთვის, შესაქებად რო მეთქვა, შენი კორუმპირებული თავი ქვეყანას ღმერთმა ნუ მოუშალოს-თქვა, ქვე რა მეშველებოდა მერე, ხო გადამიხეთქავდა თავს კვახივით ვილაცა! — თავისდაუნებურად თავზე გადაისვა ხელი რაჟიკომ და გააგრძელა, — ჰოო, ისა, კაცო, არჩევნების წინა დღეებში ყველას ეგ სიტყვა ეკერა პირზე, ყველა გეიძახოდა: ხმა მაგას უნდა მივცეთ, მაგარი კორუმპირებული კაციაო! კიდე კარგი, ეგ სიტყვა პირიდან არ ამომცდენია, თვარა, ახლა ხო შემცრცხვებოდა საკუთარი თავის, კაცო, რა არის ეს გაუნათლებლობა, კაცო, ჰა! ჰოოდა, რა მაგის პასუხია და პირდაპირ ვიტყვი სათქმელს — არანაირი პრეტენზია არა მაქვს ჩვენს ჰოლანდიელ პატარძალზე, კაი ქალია, ძმაო, ნამდვილად კაი ქალი! რაც მე ჩემს გაჯართიანებულ ტელევიზორში ვუყურებ და ვუსმენ, თვალი და

ყური მიმშვიდდება! ჰოდაა, თქვენ წარმოიდგინეთ, დიდ ტელევიზორში როგორ გამოჩნდება ეს ყველაფერი, აჰა! პატარძლის და ახლა უკვე დედოფლის საქებრად სხვას რო არ დავესესხო, ჩემი რძალიც ეყოფა საქმეს! წერილი მონერა ამ წინებზე დედამთილს, მაგნაირი ქველმოქმედი, ხალხის მოყვარული, ქვრივ-ობლების შემწყალებელი, მეორე არ მოიძებნება დუნიაზეო... ქალებს უფასო მომსახურების კლინიკები და რაცაღებები გაუხსნაო კიდე... სულ უფულოდ ემსახურებიან დიდსა თუ პატარასო... მაგისმა დამბადებელმა დედამ იხარაო... მაგეთი რძლები ნეტა კიდევე ბევრი მოგვცაო... ამას, ძვირფასო სტუმრებო, ჩემი რძალი ინერება!.. კი არ უნდა ვამბობდე რძალზე, მარა, დასტურისთვის მჭირდება! რძალი, რომელიც, რაცაღაზე რო მოუვა გული, სულ ერთია, ვინ იქნება ის, მის დასამინებლად, კვირაში სამჯერ, დილა-საღამოს საჩეჩელზე რო ჯდება, გზადაგზა ტრაკით ვედრო კაკალს რო ტეხსა და სადგურში შემომსვლელ-გამსვლელი ქალების ასავალ-დასავალი რო იცის წყალივით, ის ინერება პატარძალზე სიკეთის ქალადლსა და ისეთი ქალი რო იტყვის მაგნაირებს, ქვე უნდა დაუჯეროს კაცმა! ჰოდა, ქვე მჯერა მეც!.. მარა... ჰოლანდიური ძროხების მომრავლება ნამდვილად არ გვინდა, არ წაადგება ჩვენს საქმეს! ამ მთაგორიან ადგილებზე იმათი ფეხბარჯლა ძროხები ვერ ივლიან, ვერ ივარგებენ! თუ არ ვცდები, ისინი ბაგური კვების ჯიშისანი უნდა იყოს და ჩვენ, ქვე ვინ მოგვცა მაგის ტრაკი, სულ ქატო ვაჭამოთ პირუტყვის!.. აგერ, შე კაცო, თქვე კაი ხალხო, ქვე რავალა შორს მივდივართ, დასაკარგავში, აგერ არაა კვარაცხელიას ჯიშის ძროხები?... ისე გამოგვდის, შინაურ მღვდელს შენდობა დაუნუნესო!.. შე კაცო ქვე... ქვე ის, რო, ცხონებულმა პაპაჩემმა, რაჭის ზამთრობის სეზონში გარე სამუშაოთ გურიასა და სამეგრელოში დადიოდა ხვალმე, იმას უნდოდა იმათი ჯიშის ძროხების მომრავლება ჩვენთან, სამჯერ წამოიყვანა საძროხე და საბუდე ბოჩოლები იქიდან... ტყუილად კი არავის მოუცია, სამ-სამი თვე იმუშავა და უკეთა სახლ-კარი და ბოსლები კვარაცხელიებს ყოველ ჩასვლაზე, მარა რაჭამდე ვერ მოიყვანა — ორჯერ, ხონში არც კი ყოფილა მოსული, დახვდნენ, იარალი დაადვეს შუბლზე და ისე წაართვეს პირუტყვი... მესამედ, კაცო, კაი გზაც კი გამოუვლია, ტყიბულსაც გამოცდენია, მარა, ნაქერალას „პერევალზე“ დაცემიან, წაურთმევიათ და ესეც კი არ აკმარეს, იმ ხვთისპირიდან გადავარდნილებმა, მის თვალწინ გამოჭრეს ყელები ორივეს თურმე... ქვე რა უნდა ექნა პაპაჩემს, იარალსა და სიკვდილის შიშს სად გაექცეოდა, ღმერთმა შეგარგოთო, ესლა უთქვამს ბოლოს!.. აჰა, ასე იყო, ჰოდა...

— რაჟიკო, ძვირფასო მასპინძელო, იმდენი ამბები მოგვიყვივით, მრავალსერიან კინოს ყურებას ჯობდა ნამდვილად, მაგრამ ეგ საქმეს ვერ უშველის, ბუღას ლიცენზია უნდა აულოთ, შპს გახსნათ და სახელმწიფოს თავისი უნდა გად-

აუხადოთ, თუ ასე არ იზამთ, მაშინ, ბუღა უნდა დაკოდოთ, მერე არც მომჩივანი გეყოლებათ და ვერც სახელმწიფო მოგთხოვთ ვერაფერს, ყველაფერი ამით დამთავრდება! — საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელი ფეხზე წამოდგომით „გამოვიდა“ ბოლო სიტყვებით.

— კაცო, ამდენი ტყუილად ვილაპარაკე? ამდენი ტყუილად ვაქე ნეფე-პატარძალი? არაფერი არ შევიდა თქვენს ყურში? კაცო, რავა ვერ გეიგეთ, რო, ბუღა უფრო ჭირდება ამ სოფელს და არა ვილაცა კანონმდებელი თეოდორე?!. ახლა ვხვდები, რო, ის მართლა კორუმპირებული კაცი ყოფილა! ფულით ცდილობს ჩემს ბუღას კაცობა და სამსახური წაართვას! ისიც საკითხავია, სადღაცადან მოტანილი თესლი არის თუ არა ჰოლანდიური! რძალს ასიამოვნა ვითამ თავის ჭკუით, ჰოლანდიურ ძროხების ჩრდილს ამოეფარა ბიჭი!.. ნურას უკაცრავად!.. აი, თქვენს კანონმდებელს! — სამი თითის კომბინაცია უჩვენა სტუმრებს რაჟიკომ და ისევე გააგრძელა, — მეორედ არ გნახოთ აქ ჩემმა თვალებმა! არ ყოფილხართ თქვენ კაი ხალხი! იმ თქვენს კორუმპირებულ თეოდორეს გადაეცით, რო ბუღას არ დავკოდავ, არა! თვითონ იმას კი ისე მოვაჭრი ყვერებს, ვარდენა ვეტექიმი მოგონილი იქნება! კარგად დაიხსომეთ, სანამ პირში სული მიდვას, ჰოლანდიური ჯიშის ძროხა ამ სოფელში ვერ გეიჭაჭანებს!.. აჰა, წადით ახლა აქედან, სანამ სილაქებს გამამტყუემდეთ! — ისე დაკრა ხელი რაჟიკომ მაგიდას, ტარმოტეხილი დოქი იატაკზე გადავარდა და ამჯერად ცხვირი მოიტეხა, მერე მასპინძელი ფეხზე წამოდგა და სანამ სტუმრები კარში არ გავიდნენ, ოთახი არ დაუტოვებია...

...მიუყვებოდა რაჟიკო აღმართს და ახალ სადარდებელს ისე მძიმედ მიათრევედა, წისქვილის დოლაბები ხომ არ გამოაბეს ფეხებზე და მთა ხომ არ წამოკიდეს ზურგზეო, ამასაც კი იფიქრებდა კაცი...

კალისტინე კარში მიეგება ქმარს, ახედა, დახედა, რალაც არ მოენონა მეუღლის დაღრეჯილი სახე და კინალამ შეცხადებასავით შეიძახა:

— უი, მომიკვდეს თავი! სალსალამათი გახვედი სახლიდან და ქვე რას დამგვანებხარ, კაცო, ქვე რა მოხდა ისეთი, ყბა რო მოგიქცია, ბიჭო! — თვალები კინალამ გადმოუცივდა კალისტინეს.

რაჟიკო ხმაამოულელებლად ჩამოჯდა სკამზე, ჩიბუხი ხელახლა გააწყო და მძიმედ გააბოლა...

— შენ ახლა რაჟიკო კი არა, ყუმი ბუყუმბუღი ხარ! არ იტყვი, კაცო, ვინ იყვნენ იმ კანტორაში და რა უნდოდათ შენთან? — ხელები მკერდზე დაიკრიფა კალისტინემ და ყური ერთი-ორად ათხოვა ქმარს.

— ვიტყვი, ქალო, აჰა, არ ვიტყვი? ამბავსა და სათქმელს სხვენში ხო არ შევინახავ? ვიტყვი, მარა, ისეთს ვიტყვი, გული ხელში გექნება დასაჭერი!

— მიდი, მიდი, თქვი! ათას ჭირს გავუძელი აქამდე და მაგასაც გადავიტან როგორმე!.. მიდი, მიდი, ამოღერდე...

— კანტორაში ჩვენი სოფლის განმგებელი იყო და სამი კაცი კიდე რაიონიდან, — დაიწყო ხვნეშით რაჟიკომ, — ერთი საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელი იყო, ასე გამაცნო გამგებელმა, მეორე — საგადასახადო პოლიციის გამოგზავნილი, მესამე კიდე, სულ ახალგაზრდა ბიჭუნა, მთავარი ვეტექიმი, ბატონო ჩემო, რაიონის ცენტრიდან... ესენი იყვნენ სულ, აჰა!

— რა ჯანდაბა და ჯარხანის ქვა უნდოდათ შენტან, სხვა მეტი უსაქმური ვერ ნახეს? — მოიძრო კალისტინემ ენის წვერიდან სათქმელი, — რას ვეძებთო, უკუნის გასაღებსო? ერთი ვიცოდე, რა დაგვრჩენია პოლიტიკაში! არა, გასაკვირვად მიკვირს, მაგ გაუგებარმა გამგებელმა ის მაინც არ იცის, რო ქვეყანაზე თუ არა, ამ სოფელში მეორე რო არ მოიძებნება ჩვენზე პატიოსანი ოჯახი? რა გვინდაო, სახელმწიფოს უჭირს და ჯარის სამსახურში ჩადექიო? თუ სახლ-კარი გაყიდეთ და შეგვენიეთო! თუ რაო? რაო, მაგათ დაადგა უსაშველობა, რაო?!

— რაო და ბულა რო გყავთ სახლში, საქმის მწარმოებელი ბულა, აჩემებული და ატეხილი პირუტყვის დამაგრილებელიო, მისი ყვერებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი ბიუჯეტს უნდა გადაუხადოთო!.. შუპუსუ თუ არ გახსენით და რაცხა ისეთებით, დაგაჯარიმებთო!.. მერე ჯარიმას თუ არ გედაიხდით, მოვა საგადასახადო პოლიცია, ჩააბამს იმ შენს ბულას საბელს და გზას გაუყენებსო!.. ისაო, თუ ასე არ გინდათ, გზას გირვენებთო, ადექით და ბულა დაკოდეთო!.. ასე იქნება თუ ისე, ქვე დარჩები ოლოლიკზე ჩემო კალისტინე, აჰა!.. ჰო, ბევრი რო არ გავაგრძელო, მოკლედ ასეა: სტუმრები ბულის ყვერების დაბეგვრას ითხოვდნენ! ისიც კი მითხრეს, სანამ საბუთებს არ მოავგარებთ, ბულა კარში არ გამოუშვათო, ჩათვალე, რო მის ყვერებს უკვე ყადალა ადევსო, აჰა! — ჩიბუხი მიატრიალ-მოატრიალა რაჟიკომ, ხელები მოიფშინებდა და გზას გახედა.

— ტიტუუ, ტიტუუ! ქვე დავლუპულვართ აჰა და ეგ არი!.. დედა, დედა, თუ რამე შემოსავლის მისხალი შეაგულესყეს კაცს, მაშინვე დაესხიან თავს, ეს გადასაშენებლები!.. ვინცალას ბულის ყვერების ბოსელში ჩაკეტვა რო მოაფიქრდა, ის ეშმაკზე ადრე იქნება დაბადებული! კი, კი, ეჭვიც არ მეპარება!.. ჰო, ისა, ბულა რო დავკოდოთ, სოფლის ამოდენა საქონელს რავა, გამგებელი დაავრილებს? რა ეშველება მოსახლეობას! ჩვენს პირუტყვს, იმისას და კიდეც იქეთ იმისას! ყველას ყავს თითო ძროხუკა სახლში! ჰოდა, ამაზე არ იყვირე? ვინ იზამს ბულის საქმეს-თქვა, არ იყვირე? — ისე გაცხარდა კალისტინე, რაჟიკოს იმის შიში წამოენია, ქალი კარში არ გამივარდეს და სტუმრებს არ დაედევნოსო.

— ვიყვირე, მარა, რა ვიყვირე! მარა, იცი რა მითხრეს? ხო არ იცი! ანდა, მე თუ არ გითხარი, საიდან გეცოდინება!.. გეტყვი, ნუ მეხარჯები სიტყვაში და გეტყვი! გახსოვს, ამ წინებზე არჩევნების მოახლოებისას, ლუიზა ბიბლიოთეკა-

რთან ქვე რო იყავი შეკრული და ჩახუტებული, ნაციონალ ლუიზა ქალბატონთან, ეზო-ეზო და კარი-კარ რო დანანნალობდით, თეოდორეს მიეცით ხმა, ასეთი და ისეთი კაციო, შეძლებულიო, კორუმპირებულიო, ესაო, ისაო, ღმერთმა გამოგვიგზავნაო... მეტყვი ახლა შენ კორუმპირებული რას ნიშნავს? ვერ მეტყვი! არ იცი მაგ სიტყვის მნიშვნელობა და ვერ მეტყვი!.. შორიდან მეც კაი სიტყვა და სახელი მეგონა კორუმპირებული, მარა, ახლოდან თურმე სულ სხვა რამეში ყოფილა საქმე, აჰა! კორუმპირებული ყოფილა აფერისტი, მეტყვილიეზე მეტი, ტყუილების გუდა, კაცის და ქვეყნის გადამგდები, სინდის-ნამუსიდან გარეცხილი და კიდეც ბევრი რაცალების რაცალები, ჰოდა...

— კი, მარა, თეოდორე რა შუაშია ჩვენს ბულასთან! — ისეთი წვრილი და უკანმოუხედავი ხმით დაიჭყვირა კალისტინემ, რაჟიკოს ყურის ბარაბანი გაუნითლდა.

— მაცალე, ქალო! ქვე თუ არ მაცალე, არაფერი გამოვა!.. ჰო, კაცო, იმას ვამბობდი, ბოშო, შენ და შენნაირებს ვაუჩერების ფურცლები რო დაურიგეს, ოც-ოცი ლიტრა სალიარი რო დაურიგეს, ნახევარ-ნახევარი ტომარა ფქვილი რო დაურიგეს თეოდორეს ხმის მიცემაში, აა, მოგიბრუნდა იი კაცი და სკვანტი პირველს შენ გამოგდო!.. სოფელყურე მოსიარულე აგიტატორს!

— რა სკვანტი, კაცო, რომელ სკვანტზე მელაპარაკები! გასაგებად მითხარი, ქვე რას მიგვალამ მაგ ენას და ქვე რას მინანოვრებ სათქმელს!

— ის სკვანტი, რო, შენი ბულა იმ კვირიდან საჭირო აღარ იქნება! იმ შენს არჩეულ თეოდორეს თურმე ჰოლანდიაში ხელოვნური დამაკების საშუალება შეუძენია და ქვე ჩამოაქვს აქანა! ჰოოდა, მერე სოფლებში თავის ხალხს მოიყვანს, დაავრილების ხელობა ქვე რო იციან, ისეთებს და შენი ძროხა რო აჩემდება, მოვლენ, ადგილზე მოგემსახურებიან, ძროხა-დეკეულს დაგიმაკებენ, თითო ბოთლ ღვინოსაც ქვე დაგილევენ, მერე დანესებულ თანხას გამოგართმევენ და წავლენ. შუპუსუ უძახე შენ და ფულს ქვე იშოვიან გემრიელათ, აჰა!.. რავა გეგონა შენ, იმ კაცმა არჩევნების მოსაგებად იმდენი ხარჯი რო განია, სულელი იყო? ანგარიში არ იცოდა? ფულის ამოსაღებად, ისეთი საქმე გამოიგონა, თითს რო ვერ დააკარებ! ერთია, მე თუ შევგაინებ და შენ კიდე თუ დანყვევლი, თვარა, მაგას მეტი მტერი არც ყოვლებს! მარა, ხო ვიცი, ჩვენი ცოდვით რო ვერ გეიხარებს მაგის ოჯახი, იკითხოს მერე, საიდან მოუვიდა უბედურება და უხარელობა! — დააკანტურა თავი რაჟიკომ.

— რას არ გეიგონებს კაცის ყური, მა მიკვდეს თავი! — მთლიანად შეიცვალა საუბრის ტონი კალისტინემ, სკამზე ჩამოჯდა და ტურებ-მონკურულმა, ძირგამშრალ ენას სათქმელი დააძალა, — რაჟიკო, ბიჭო, არაა გასაკვირი სანაშენო თესლს საიდან და როგორ ამზადებენ?

არ მითხრა ახლა, მეთესლეობის ფაბრიკაშიო!.. ყველ-კარაქის ქარხანაშიო!

— რა გითხრა, ჩემო კალისტინე, როგორ გითხრა!.. კაცობაში, უფრო სწორად, პატარა ბიჭობაში, თესლის „წარმოება“ როგორ ხდებოდა, მაგი კი ვიცი!.. მეზობლის გოგოს ცოტა მეტზე რო აწეოდა კაბა და მყვლივი რო გამოუჩნდებოდა, ბიჭები იმ წუთში მივეფარებოდით ღობე-კუთხეს, ბოსელთან თუ ახლოს ვიყავით, მთლად უკეთესი და წამოვარდნილ საოხრეს ერთი ხელით კი არა, ორივე ხელით რო დაგუბლაყუნებდით ყვერებისკენ, იმდენი თესლი გადმოგვდიოდა, ასობით ბერნ ქალს ისე დააორსულებდა, უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებდა ვერავინ, აბა!.. ჰოოდა...

— არავითარი ჰოოდა! მართალი ხარ, რაჟიკო, მართალი!.. ეგ მეც ვიცი, კაცო, კი! — ხელები გაშალა კალისტინემ, — ვალიკუნასა და პაშას შვილი რო არ ეყოლათ კაი ექვსი წელიწადი და მე რო წავყევი მაგათ ექიმთან, გახსოვს? კიი? „მაღადეც“ შენ, მთლად რო არ დაგიკარგავს მესხიერება, კაია!.. ჰოოდა, ექიმთან რო მივედით, მალალი, რიჟა კაცი იყო ექიმი, ასე უთხრა ვალიკუნას, ჩემი ორივე ყურით გევიგონე, შედი იმ ოთახში, მიისრის-მოისრისე საოხრე, ყვერებსაც ამოარტყი ერთი-ორიო... რაგა ისე მიყურებ, არ მითხრა ახლა, დომენტის რძლის ტრაკის ხათრით არ დამინძრევიო, ვიცნობ მე იმ ქალს, ძალიან მაგარი ქალიაო!.. შერცხვა, მარა, რა შერცხვა ვალიკუნას, კინალამ სკამს დაადნა კაცი!.. მერე პაშას მიუბრუნდა, შეყევი, შეყევი, შენც კარგად გასხია ძუძუები, ამოუყარე ლიფჩიკიდან, მიუთანთალ-მოუთანთალე ცხვირწინ, გახელდება და ისაქმებსო!.. მერე შენც მიგხედავს ექთან, ისეთი რამით გიხმარს, ქმარი საერთოდ დაგავინყდებაო!.. ძალიან ცუდი ენით ლაპარაკობდა ექიმი, ხალხში, კაცო, ისე შემრცხვა, წკიპზე გაჩერდი, კინალამ კაი ორი მწარე სიტყვა რო არ გამამტყუა, აი!

— მერე, მერე რაიო! — დაინტერესდა ძველი ამბავით რაჟიკო.

— რა მერე რაიო!.. ექიმმა ჭიქა მიანოდა ვალიკუნას, რალაცნაირი ჭიქა, ამაში ჩაასხი თესლიო, არ მოგერიდოსო, პაშასაც გამოვწურავთო, მერე ამეებს თბილისში გავავაზავნით, დათესავენ და დაადგენენ, ვისი არ ვარგა, ცოლის თუ ქმრისაო, რომელია გაცუდებულიო, პოტენციო, პროცენტიო, რალაც მასეთები თქვა ექიმმა კიდე... მერე, ჰო, ისაო, პასუხი სამ კვირაში იქნებო... ჯობია კაცის იყოს მტყუნა თესლიო, ქალის ხელოვნურათ დაორსულება კარგა ხანია პრაქტიკაში მოქმედებსო, ისეთი კაი და ლამაზი კაცის თესლებს უშხაპუნებენ ქალებს, სულ მეფეები და დედოფლები უჩნდებათ შვილებათო... სხვა რომ არაფერი, შენი დაბადებული როა, შენი შვილი როა, დედა რო გახდები, მარტო ეს რად ღირსო, აბა...

— კაი, ბატონო, კაი, შენ გეიმარჯვე, მარა, ბუღას როგორ გამოაცლი თესლს, ის მითხარი

შენ! ეტყვი და გაიგონებს, მიგიკარებს, ყვერებზე ხელს მოგაკიდებებს, თუ რა!.. აი, ეს არ ვიცით ჩვენ! ვინც იცის, ისაა, შენ რო ხმები მოუგროვე, ყუთი რო აუვსე, იმან იცის და იმიტომაც ქვე გვიტირა დედა!.. ჰო, კაი, კაი, მათქმევინე, შე ქალო, დღეს არა, ხვალ არა, ზეგ ხომ მაინც გიტირებს დედას! მაგას აღარ უნდა ჩიჩინ-ფიჩინი! ის იმიტომაცაა კანონებში გაბმული, რო იცის ეშმაკობა, თვარა, რატო მე არ ვარ იქ! — სინანული ყალიონის ბოლს გააყოლა რაჟიკომ.

— ქვე რაგა იმასავით ჩამოყარე ყურები!.. ჰო, იმასავით, ერთხელ ნახმარი დეკეულივით, მოიხედე, კაცო, აქეთ, ჩვენი ბულის თესლი რო აწარმოონ, რაგა არ შეიძლება? იმის წილი აქეთ რო მოგვცენ, არ შეიძლება? არა, რა სავალდებულოა, ევროპული ბულის თესლი იქნება თუ ეშმაკისა, იმ სიშორიდან ჩამოტანა!.. მარა... არავითარი მარა, კაის გეტყვი, კაის!.. თავპირ კაი ფიქრი დამეხვია, ხვალვე ჩადი რაიონში, მიდექმოდექი, გეიკითხ-გამოიკითხე, ვინცალას ნანახი თუ არა, გაგონილი მაინც ქვე რაგა არ ექნება ასეთები, ამნაირები როგორ და რანაირად ხდება!.. შოფრებს კითხე, ავტობუსის შოფრებმა ყველაფერი იცინა, გაზეთები მოგონილია იმათ ცოდნასთან, რასაც ეგენი ქუჩა-ქუჩა დაეთრევიან, რას არ გევიგონებს მაგათი ყური და რას არ იტყვის მაგათი ენა... ჰო, ისა, მიტუშკას თუ ნახავ, მთლად უკეთესი, მისი სიდედრი რო გეიძახის, ჩემი სიძე ენცილოპედიაო, ეგება ქვე იცის იმან რაცალა და გეტყვის, არ დაგიმალავს!.. ჰო, იმასაც კითხე, ისიც მაგარ ჭორაობაშია ჩაფლული, „ჩისტიაკა“ რო აწერია, ტუფლებსა და ჩექმებს რო მაზავს და აპრიალებს... დაუჯექი, დაუჯექი იმ კაცს, შენც გადაუხადე ათი შაური, მერე ჩექმების გაფნკრიალებში შენი სათქმელიც შეაპარე, ეგება იმანაც იცოდეს რაიმე ამეების შესახებ... ჰო, ასე ქენი, ასე, ჩემო ბებერო რაინდო!.. მიდი, მიდი, რაცალას ქვე რაგა ვერ გეიგებ, ვინცალას ქვე რაგა არ მოუცდება ენა! — კალისტინემ გზაზე დააყენა ბებერი რაინდი.

...დიდი, ძალიან გრძელი ამოხვნეშა დააყოლა რაჟიკომ კალისტინეს გაშხვილიფებულ დარიგებებს.

— ქვე რათ უნდა, ბოშო, ამას ახლა ხვნეშა და ზმუილი!.. ხვალიდანვე მიხედამ საქმეს!.. ისიც კაა გეიკითხე, შუპუსუ რა ეშმაკის მსახურებას ემსახურება! ქვე რაგა ყველაფერი უკულმართი ამათ უნდა მოიგონონ! არა, არ ეშველება ამ ქვეყანას, არა!.. სხვა კაცი უნდა ავეერჩია, ოჯახის მცოდნე კაცი!.. ცაში აფრენილ ბაშალ-ბუშალა ბიჭუნებს ანი ძირს ქვე ვილა ჩამოახედებს, დაგვექცევა ცა თავზე, აი, ნახავ თუ არა! — ხელები მარაოსავით გაშალა კალისტინემ, მერე ბელელს მიადგა და კარი ჭრიალით შეაღო.

„ამის წინებზე იმ ბიჭუნების და ბოშუნების მხარეს იყო, იმათი ქებით ყურები გამომიჭედა, ახლა კი აქეთ მოექცა, მიხვდა, რო იმათი ბაქი-ბუქები წყალწყალა გამოდგა... სიმართლემ შეანუხა, სიმართლის სინდისმა და მიტომაც

მოიხედა აქეთ! ახლა მართალს ამბობ, ჩემო კალისტინე, მართალს! აქ იქნება თუ იქ, ქვეყანას მართალი ოჯახიდან გამოსული კაცი უნდა მართავდეს...” — მწარეზე მწარე, ჟიშხა ფიქრები მიადია ცოლის ნალაპარაკებს რაჟიკომ, მერე განუყრელ ყალიონს ერთ გრძელ ნაფაზს კიდევ დაესესხა, ხელები მოიფშვნიტა და ცის დასალიერს აღმაცერად გახედა...

...ჰოოოდა!

— აპა, შენ იცი ახლა! რაც გუშინ და იმას წინ ვილაპარაკეთ, ყველაფერს კარგად მოუყარე თავი, დაამწყაზარე, მიდექი-მოდექი, იქით მიდგი ფეხი, აქეთ მოდგი ნაბიჯი, იმასთან იამბე, ამასთან იამბე, ქვეყანასა და მასზე მოსიარულეს, ამვლელსა თუ ჩამვლელს, ქვე რა ჩაუნყვეტს ენას, რაცალას ქვე რავა ვერ გეიგებ!.. ვარდენა ვეტექ-იმსაც შეაგულე დრო, თუ ვერაფერი ვერა ვქენით, მართლა პოლიციას ხო არ გავატანთ ჯარი-მაში ამ ნაფერავებ ბუღას, დავაკოდინოთ უნდა... რავარც სხვისი პირუტყვი გეიტანს თავს, იმათ ჩვენიც მიყვება, აპა!.. გაყიდვას დაკოდვინება ჯობია, ჰოდა, ერთად დაგვადგება სამველი ჩვენც, ბუღასაც და კანონმდებელ თეოდორესაც!.. ამონყდა მისი ამრჩევი და ხმის მიმცემი ჩემიანად, ჩემი შვილის კაა ყოფაში!.. მეშინია, ძალიან მეშინია, ბიჭს არაფერი უხიზანონ, მამაშენი ქვეყანას გადაუდგა, ჩვენს კანონებს არ ემორჩილებო!.. რომელ კანონში წერია, ბუღა არ ჭირდება სოფელსო, ერთი ის წამაკითხა!.. ჰო, ისიც იკითხე, ბაზართან თუ მოხვდი, ცოცხალი წონა...

— სულ გადახვედი ჭკუიდან, ქალო? — ცოლის ბოლო სიტყვაზე ახტა და დავარდა რაჟიკო, — ქვე რანაირად, რა ენაზე მელაპარაკები, ქალო!.. ამას უკან სხვანაირად ჭიკჭიკობდი, ახლა კი, ისაო, დავაკოდინოთო, ისიც კი მაკადრე, ხორცის ფასი იკითხეო!.. მეტი გვერდები არ აუდგა ჩემი ოჯახის ავად მახსენებელსა და ხარბი თვალთ შემომყურეს ჩემი ბუღის კაა ყოფაში!.. მე რაჟიკო არ ვიყო, — მჯილი დაიკრა რაჟიკომ, — ჩემი ბუღის დაკოდვამდე, ვარდენა ვეტექიმს, იმ კანონმდებლის ყვერები თუ არ დავაჭერინო ხელში!.. აი, იმ კანონმდებლისა თუ ვილაც ოხერის, არჩევნებში თითო კალთა ხმები რო მიართვით შენ და ლუიზა ბიბლიოთეკარმა!.. მერე ვნახოთ, უყვეროდ დარჩენილი კაცი იქნება კანონმდებელი თუ მე, ყვერებიანი რაჟიკო!.. მეორედ არ თქვა, დავაკოდინოთო!.. — რაჟიკომ რატომღაც ისევ დაიკრა მჯილი, მერე ხვანჯარი შეისწორა, ხელებიც დაიფერთხა, მერე ყალიონი ისე მომეტებულად გააბოლა, ფილტვებმა ნანკანუნკი დაუნყეს.

...საჩრჩილზე დამჯდარ ქმარს გახევებული შესცქეროდა კალისტინე.

— ბიჭოს! ეს რა ხალხი მოვიდა, კაცო! შუპუსუსო! რა შუპუსუსო, რიი შუპუსუსო!.. ამათ, მე მგონია, სახლიდან რო გამოვიდნენ, ჭკუა არც ერთს არ გამოატანეს, თვარა, რაცალას ქვე დეელაპარაკებოდა კაცი!.. დავაკოდინოთო! ხმა, კრინტი!..

არავითარი დაკოდვა! — უარის დამდგინებისთვის ისე და ისესიგანე გაშალა ხელები რაჟიკომ, კინალამ მთელი ეზოს სივრცე არ ეყო.

— შენ ხო ხასიეთს ვერ აგინყოფს კაცი!.. მე ჩემი შვილის მეშინია, ამ დაწყველილებმა არაფერი ჩაუდონ ჯიბეში და რაიმე ისეთი არ დააბრალონ, თვარა, მინაც გასკდომია იმ დოდაყელია კანონმდებელს და ზეცაც თავზე ჩამოქცევია ჩემი ხელით არჩეულ მთავრობას! აი, ეგრე! — წყველა-წყველაში კალისტინემაც გაშალა ხელები, ბელლის წინ სამჯერ დატრი-ალდა და, ცის დასანახად, პირჯვარი სამჯერ გამოისახა!..

ჰოოოდაააა...

რაჟიკო რომ დაბრუნდა სახლში, სამხარი უკვე მირთმეული ქონდა სამხრობას... ფოცხვრების მთის ბოლო წვერზე მზე ნელ-ნელა კრეფდა ფეხათრეული სხივებს და უშველებელ კალთაში ილაგებდა...

— კაცო, ქვე რავა იმასავით ჩამოგიშვია ცხვირი, ცუდი ამბავი მოგატქეს? ვერაფერი გაანყვე? ვერაფერი ილონე? — კიბეზე შეეგება კალისტინე ქმარს.

— ქვეყნის დაქცევა ამ სოფლიდან რო უნდა დეინყოს, ეს ცაშია გადანყვეტილი!.. მარა, დაქცევამდე, შენ ხარ ჩემი ბატონი და მე შენი შინა მოსამსახურე, იმას მოგახსენებ რომა, აქა-იქა კი იციან, გაუგონიათ ხელოვნური დამაკებისა და დაგრილების ამბები, მარა, როგორ და რანაირად, ბაიბურში არ არის არავინ!.. ისე, ხურუთში რო სილოვანა გობეჯაშვილი ცხოვრობს, ხო გინახავს და გაგიგონია სილოვანა, შავი ფაჩხა ულვაშები რო აყრია ფიჩხის კონასავით, ბუღა ყოლია იმასაც, ჰოდა, რო გაუგია ასეთები და ისეთები შეიძლება მოხდესო, მაშინვე გაუყიდა პირუტყვი, ვაიდა, მერე ფასი არ დაუვარდესო... თვითან მითხრა, ასე და ასე მოვიქეციო... ესენი ისეთები მოვიდნენ, ფული რო იშოვონ, კაცო, რიონის ქალაში რიყე გაყიდესო და შენ ბუღას შეგარჩენენო? გაყიდე და დეისვენემო, თუ არადა, დაკოდეო, ასე მირჩია, კაცო! ამის თქმაზე ისეთი დავუღრიალე, ჯერ კინალამ ჩაიფსა, მერე კი შიშმა მანამ არ გაუარა, სანამ ულვაშებში ოფლმა არ გამოჟონა! ის კი არა, სილაც კი უნდა შემომერტყა, მარა ხალხი გვიყურებდა და სირცხვილს ხო არ ვაჭმევდი, ყალიონით დავიურვე ნერვები!..

— მერე, კაცო, მერე? სულ ეგ იყო? — თვალის უპეები მოჭუჭკა კალისტინემ.

— რატომ სულ ეგ, მაცალე, ქალო და გეტყვი! ვაა, არ ამომაჭამა სათქმელი ამ გამშრალ ყელიდან? — განყრომა იმით გამოხატა რაჟიკომ, რომ ხვანჯარზე ვერცხლის აბზინდიანი მარვალი მოიხალვათა, მერე ცოლს ქვემოდან ზემოთ თვალის აატარა და გააგრძელა, — ჰოო, ის უნდა მეთქვა, იმას ვამბობდი... შოფრებმა მგონი გამაგლახავეს... ერთმა მითხრა, ხელოვნურს რა ჯობია, ძროხებს სიფილისტი არ აეკიდებო... მეორემ თქვა, ტრიპერიდანაც დაზღვეული იქნებიან დეკეულები, ჯანსალი და ჯანმრთელი ხბოები

გაუჩინებდათ... ჰო, ისა, შენმა არჩეულმა „ჩისტ-კამ“ ჩექმები რო დამიმაზა, რო რჩებოდა, ჩემს შეპარულ კითხვაზე ისეთი უშნო და უგვანი პასუხი მითხრა, იმასაც კინაღამ მისივე შავ მაზში ჩავაყოფინე ცხვირი, მარა, იქაც ხალხი იდგა, იმის სირცხვილს ჩემმა კაცობამ აჯობა და ქვე გედავიფიქრე...

— შენ ცემა-ტყეპაზე ნახვედი თუ საქმეზე, კაცო? როდის იყო, მკლავებაკაპინებული დადიოდი ქუჩაში!.. მერე, მერე რა ქენი, რა მოხდა, დაგრჩა კიდე ვინმე გასალახი? — გამოაჭენა კალისტინემ ნერვები.

— რა მერე-მერე აგიტყდა, ქალო, მაცალე, ამომასუნთქე და გეტყვი ყველაფერს, ხვალისთვის ხო არ გადავდებ სათქმელს, ვაა, კაცო! — ახლა აივანზე გამოტანილ პაპისდროინდელ საკარცხულში ჩაჯდა რაჟიკო, ყალიონი თავიდან გაანყო, გააბოლა და გაღმიანეთს ნაღვლიანი თვალით გახედა.

— რა უნდა ვქნათ, მაინც ვერ გევიგე! ქვე რავა იმასავით იღეჭავ სათქმელს, იმასავით, სიმონანთ მოუკოდავი წისქვილივით! — კიბის თავზე „ჩამოდო“ შეკითხვა კალისტინემ.

— არაფერსაც არვიღეჭავ, ქალო, არაფერს!.. აქეთ რო მოვდიოდი, გამგებელი შემხვდა სანახშოზე, გამაჩერა და წყნარად მითხრა, შენ მარჯვე კაცი ხარ და თუ გცალია, ხვალ დომენტის მიეხმარე, პატარა ნამუშევარსაც ქვე გამოგინერს ბულალტერიო, ჯიხური უნდა გავაკეთოთ, მოძრავი ლამაზი ჯიხურიო, შიგ რას დადგამენ, მეც არ ვიცი, მარა, კარგი და ლამაზი რო უნდა იყოს, იმდენი ქვე ვიციო! თანაც ასე აქვს დანაბარები თეოდორესო!.. მერე იქ ვეტექიმის თანამემწე მოენყობა და ჰოლანდიური ჯიშის ძროხების გამრავლებაც დაიწყებაო!.. კიდე გამიმეორა, თეოდორემ ასე თქვა და წყალი არ გაუვავო!.. რას ვეტყოდი, როგორ ფიქრობ ახლა შენ!.. არ იცი, ხო!.. გინება ხო არ დავაკელი და არ დავაკელი, ხელდახელაც მივინიე!.. როგორ მიბედავ, ჩემი ხელით მაშენებინებ ჩემი ოჯახის დამაქცევარ ჯიხურს-თქვა, ეს კიდე არაფერი, ბუღას მიყენებ შეურაცხოფას-თქვა!.. კაცები ჩაგვიდგენენ შუაში, თვარა, ბებიამისის ნაფერავებს კარგა ხნით დავავინყებდი, აბა!..

— კაცო, ჭკუა ბუღის ყვერებსა და თესლს უნდა გააყოლო?!. ხელი რო ანიე, ხო იცი, მთავრობის მოსამსახურე კაცია მაგი და რო გიჩივლოს? ხო არა გგონია, ხელი აუკანკალდება და განცხადებას ვერ დანერს!.. მაგათ მოსამსახურე კაცს ყანის ბოლომდე არ მიყვება კაცობაო, შენ არ თქვი ამ წინებებზე? — ავმა ეჭვმა „უჩქმიტა“ კალისტინეს.

— მიჩივლოს და მერე ვნახავ, ვისი აჯობებს!.. ჰო, ის უნდა მეთქვა... მთავარი უნდა მეთქვა და არ მაცლი... რო წამოვედი და გული მიეცა, რაჟიკოს ხელი ვეღარ მომწვდებო, გულისად მომადახა, ბულა ბოსელში გამოკეტე, ურდული კარგად გაუყარე, კლიენტები აღარ მიიღო, თვარა, ხო არ დავავინყდა, რა დავიბარა საგადასახადო

პოლიციის კაცმაო, რო გავიხაზირონ ბულა, მე არ დამაბრალოო... ერთი მაგის დედაც-თქვა, იმასაც კაა გვარიან შევეუკურთხე!.. ენა მაინც არ გააჩერა, კიდე მამადახა, თავის ჭკუაში ვითამ გზაზე დამაყენა, იმ კვირის შუა თუ თავზე, კარგად არც მე ვიციო, მარა გავიგებო, ის კანონმდებელი მოვა, რაიონის კაცებიც მოყვებიან და ახალ ვეტექიმსაც მოიყვანენ და ძროხების დაგრილების პრეზენტაციაც გაიმართებო... შევატყობინებენ წინასწარ და თუ სურვილი გექნება, ქვე დაესწარიო... ერთხელ კიდე შევაგინე, ჩემთვის ჩავილაპარაკე გინება გულის გასამხნეველად და სახლისკენ ვქენი პირი!..

— ეგ გამგებელი უტიფარი და უხარელი ოჯახიდანაა გამოსული და მეტი სიგლახე რო არ მოინდომა, არ გიკვირს? — თითზე იკბინა კალისტინემ.

— მიკვირს, მარა, ეგ გაკვირვება შველის საქმეს? რა დრო მოვიდა, ხედავ, ქალო? პრეზენტაციო! ჰაი, დედასა, ჰაი!.. ჩვენს ბუღას არც პრეზენტაცია ჭირდება, არც კიდე ხელისმომკიდე და მეჯვარე, არც საბჭოს მდივანი!.. ზედმინვენით იცოდა და იცის დღესაც თავის საქმე, მარა, დაუფასეს რამეში? არა, ჩემო კალისტინე, არა!.. ჰოდა, შენ ახლა ის მითხარი, რა გზას უნდა დავადგეთ მე და ჩემი ბულა, საგონებელში ვარ ჩავარდნილი! — ისე შემოეხვია ნერვები რაჟიკოს, დანა კბილს ვერ გაუხსნიდა.

კალისტინემ გვერდი უბრუნა ქმარს, ოჯახის საქმეს მიატანა ხელი და, თითქოს ენა გადაყლაპაო, ისე მიმოდიოდა, ერთს აღარ შეპასუხებია მეუღლეს.

აღარც რაჟიკოს უთქვამს რაიმე, იჯდა გულგასიებული მკერდით და გაღმიანეთს ისე გაჰყურებდა, მისი ძველი ღიმილამი ახლა შეეცოდება კაცს...

...თითქოს სიჩუმემ შეჭამა იქაურობაო, ერთ ნუთობას ამასაც კი გაიფიქრებდა კაცი, რომ რაჟიკომ უცბად „მუნჯად“ „დავარდნილ“ ცოლს აღმაცერად გახედა, მერე წამოდგა, კარში გავიდა, კიბე ჩაიჯლიგინა და მარანში ქუცა თავი...

დიდი დრო არ დაჭირვებია, დოქი ღვინით აავსო, უკან გამობრუნდა და კიბე ახლა მძიმე ნაბიჯით აიღია...

კალისტინემ ხელსაქმე მიატოვა, ხელები მკერდზე დაინასკვა და ქმრის საქმე-საქციელს მიათვალყურა...

რაჟიკომ ბუხრის წინ, ფეხებმოკლე ტაბლის მაგიდაზე, დოქი მძიმედ დადო, ყველი და პურიც მიულაგა გვერდით, დიდი ჭიქაც ჩამოიღო, ჩაყვას რომ ეძახდა, ის ჭიქა, მერე ბუხარს შეუჩინჩხალა, ნაკვერჩხლები ერთმანეთზე წააქეზა, მერე საკარცხულში ჩაჯდა, სასმისი ღვინით გაავსო, მალლა ასნია და ცოლის გასაგონად რიხი ამოიღო:

— კალისტინე, მომისმინე, ქალო, მოდექი აქეთ, ქვეყანაზე კაცობას გაუმარჯოს, კაცობას! ნაღდ კაცობას! და მთავარი, კაცობის მატარებელ კაცს გაუმარჯოს!..

— გაუმარჯოს, კი ბატონო, გაუმარჯოს!.. მარა, გეტქვა, თავიდან დაგეპატიჟებიე, გვერძე მოგიჯდებოდი, სხვა თუ არაფერი, სიტყვაში მაინც შეგენოდი, შე კაცო! — თავპატიჟი გამოიოდო კალისტინემ.

— კაი, კაი, არ მიწყინო, ჩემო უბერებლო მზეთუნახავო, მოდი, ახლა გპატიჟებ!.. გულის მოფხანა მომინდა, ჭირის მოჭმა მომინდა და იმიტომ მივატანე ღვინოს ხელი, თვარა, შენ უკეთ არ იცი, მარტვა რო არა ვსვამ სასმელს?.. ჭირი რომ ბოლომდე დავახრჩო, შენის თანხმობით ერთს კიდევ დავლევ, — თქვა რაჟიკომ, ჩაყვა მეორედ გაავსო და ისევ მალლა შემართა ხელი, — ჩვენი ბულის თამაღობით მთელ დუნია ბულებს გაუმარჯოს, მე გამიმარჯოს და კიდევ კვარაცხელიას ჯიშის ძროხებს გაუმარჯოს! — რაჟიკომ სასმისს მეორედაც უჩვენა ძირი.

კალისტინემ ბუხარში მუგუზლებს გვერდი უცვალა...

...ჰოოოდააა!

კვირა არც კი იყო ჩამომთავრებული, რაჟიკომ ცოლის დაუკითხავად გადანყვეტილება რომ მიიღო...

— ასე რო გამონკიპულხარ, ქვე საით გაგინევია, ვაჟბატონო! რა, მიიპარები სახლიდან? რა ისეთმა სიგიჟემ წამოგიარა, ვიცოდე მაინც! არა, არ უნდა ვიცოდე? არ უნდა დამიბარო, საითკენ და საით მიდიხარ? არა, არ უნდა ვიცოდე, ქმარი სად დამიდის? ბეჩა, სულ არ მიმაგდო და მიმაკუნჭულა? ამის მერე მქონდეს ახლა ამის იმედი? მეტი მეხი კი დაეყარე აქაურობის ორგულსა და ოთხთვალისას!..

რაჟიკოს ენა კბილით ეჭირა...

— ახალი საბელი რო ჩაგებია იი ბულისთვის და შენ კიდევ ასე რო გამოგიმზეურებია, მოხვედი გონებაზე და გასაყიდად მიგყავს პირუტყვი, ხომ?! თუ ვარდენა ვეტექიშ უნდა ჩავგარო დასაკოდათ, მარა, ასე გამონკიპულმა?! მოხმარება ხო უნდა იმ პატიოსან კაცს, ბუღას ნაქცევა ხო უნდა, კაცო! — კალისტინემ, წელანდელივით, ისევ დაიკრიფა ხელები და ქმარს ანცრად გახედა.

— შენი ენა ქვას, — დანამ კბილი გაუხსნა რაჟიკოს, — ქვასა და რიყეს, ჭალის ქვას!.. ქვეყანა რო იქცეოდეს და მის ჭირსა და ვარამს ამ პირუტყვის ამ ქვეყნიდან მოცილება რო შევლიდეს, მაინც ჩემ გულზე ვიქნები და ამ ბუღას არა და არ გავყიდი, დაკოდვით კიდევ რო არ დავკოდავ და ამის ცოდვაში რო არ ჩავდებები, ცაშია გადანყვეტილი! გინდა დამიჯერე, გინდა არა, მთელ კანონმდებლობას გევიმეტებ დასაკოდად, ამას კი ვერა!.. ისინი რანი არიან, საიდან მოვიდნენ და საით წავლენ ხვალზევით, არ ვიცი მე, არ ვიცნობ იმათ! მე ამას ვიცნობ, ამას! ეს კაცია, ნამდვილი კაცი! ეს ასეთად დაბადა გამჩენმა და ასეთივე უნდა მოკედეს!.. ბევრი არ ილაპარაკო, სიტყვასთან ერთად სხვა რამეც არ გამამტყუო

ამ სიბერეში, ხალხს არ ათქმევინო, ამ მთავრობამ ისე გადარია და გააგოჟა რაჟიკო, ცოლზეც კი აალებინა ხელი!..

— ჯანდაბამდე ქონია გზა მთელ სოფელს, ეგენი მე არ ვიდარდო! შენ ის მითხარი, კაცო, ისა... იმას მაინც არ იტყვი, საით მიდიხარ?

— იქით, სადაც ამათი კანონები ჯერ არ შესულა, შენს ამორჩეულ კანონმდებელს რო არ ცნობენ კაცად და მისი შუპუსუც რო ფეხებზე კიდათ!.. ამ რაიონის იქით მიმყავს, ჩვენი შორეული ნათესავის ოჯახში!.. ასკალონის ოჯახში! იმასთან დავტოვებ ამ ბუღას, ორ ჭიქა ღვინოსაც ქვე დავლემ და აქეთაც ქვე წამოვალ მეორე დღეს გულდასვენებული!.. მერე, ჩემო მზეთუნახავო, ნიავივით რო დაყვები ამ მთავრობის ბიჭუნებსა და ბოშუნებს, ხან ასე რო გჯერა და ხან ისე, დრო რო გავა და ამათი დროც რო გავა და ყავლიც, ისევე უკან მოვიყვან ჩემ ბუღას!.. მე და ასკალონი ისე არ დავიფეხვებით, ამათ დროს რო არ ვეყოთ!.. შენსავით ამათაც ისე გონიათ, რო ცასა და მინას გამოეკერებიან! ბებიამაგათისამ!.. ოსმან ფაშასაც ასე ეგონა, მარა ქვე წევს იქ დედაბუდიანად! მეტს გეტყვი, სადღა შორს მივდივარ! გუშინ, აგერ არ იყვნენ ბალშევიკები? ხო გაქრნენ! ესენი უფრო მალე გაქრებიან, ხალხმა განათლება მიიღო და იმიტომ! ღმერთმა გაუმარჯოს კაცის სიმართლეს! — ჩამთავრა სათქმელი რაჟიკომ, კიბე მდგინე ნაბიჯით ჩათვალა, ბულა აუშვა, კარგად ბრძანდებოდე ჩემო ბებერო მზეთუნახავო, დაემშვიდობა მეუღლეს და ჭმუკარი გაიხურა...

„ოო, რა უჯიათი კაცია, რა თავის ნათქვამა კაცია...“ — ჩაითიფთიფა კალისტინემ და მეუღლის გზის დასალოცად, სამჯერ გამოისახა პირჯვარი.

...სანახშოზე კინალამ მთელი სოფელი შეგროვილიყო. ვინ რას და რანაირს ლაპარაკობდა, მხოლოდ გამჩენმა თუ უწყოდა... ამ აგნიასებას ისიც ინვევდა, რომ მეზობელი სოფლებიდანაც იყვნენ მოსულნი ახალი „სეირის“ საყურებლად... ისე, კაცმა რომ თქვას, რა იყო სასეირო, კაცმაც და ქალმაც, ბიჭმაც და გოგომაც, გუშინდელმა დიდმა თუ პატარამ, ყველამ კარგად იცოდა ქალისა და კაცის შეწყვილების „წესდება“, ბულისა და კერატის ამბავი, მაგრამ ხელოვნურად უნდა მოხდეს ეს საქმეო, აა, ამან გამოყარა ხალხი ოჯახებიდან, ეს ახალი „ხილი“ ინვევდა დიდ ინტერესსა და ინტრიგას...

...ასე და ამასობაში პელაგიაც გამოჩნდა შარაზე თავის დეკუელით. საშუალო ტანის მკერდმორეული ქალი უკანარსაც ისე მოათამაშებდა, ბრმაც რომ ქონოდა კაცს თვალი, უნდოდა არ უნდოდა, იქეთ მაინც გაექცეოდა...

...ზედა უბნიდან ხარიტონ მაისურაძეც მოვიდა გადაბეხრენებული ძროხის თანხლებით.

...სამიოდე ძროხაც იქვე იყო მიბმული. პირუტყვი ისე ზმუოდა და ისე მიინევდა ერთმანეთისკენ, თოკები განყვეტაზე იყო მისული.

— ქალბატონო პელაგია, კინალამ დაგავგი-

ანდათ! — სიტყვა და სალამ-ქალამი ვერავინ მოასწრო მიტუმას ზალიკოს.

— კინალამ არ ითვლება, მაგდენი ქვე ვიცი, ბოშო!.. ისე, ქვე რავა არ დამაგვიანდებოდა, სანამ წყალი გავაცხელე, სანამ ბოსელში შევედი, სანამ გამოვბანე ამ უცადას უკანარი, ქვეყანა დრო დამეხარჯა, შე კაცო!.. აჰა, ისე ქვე რავა ნამოვიყვანდი, დაუბანელი რო ენახა კანონმდებელს, რას იტყოდა ჩემზე, რა თვალთ შემომხედავდა მერე! ეე, აჰა შენა ხარ, აი!

— კაი, ბატონო, დაგვიანებაში არ ჩაგეთვლება, მარა, რიგში დგომა მაინც მოგიწევს, ხედავ რა კუდის ქნევამი არიან მეზობლის ძროხები? მარტო შენსას კი არ უჭირს იმაში! — ზალიკომ საბელი ჩამორთვა პელაგიას და დეკეული ვეტ-პუნქტის ფარლალა კედელზე ჩამაგრებულ კაკვზე მიანასკვა.

— კარგია, შენც რო აქ მოხვედი, ჩემო პელაგია და რაჟიკოს კარზე რო არ მიხვედი სამათხოვროდ, — კარგა გასაგონ ხმაზე ნამოიწყო რაღაცის თქმა არქიფოს ქვრივმა, — ამას წინებზე ვიყავი და ბულა დამიკავა, შეუძლოთ არიო! აა, ყავდეს ახლა თავის ბულა, რამდენსაც შემოუტანს ანი, ბელელში დეითვალოს!

— არა, მე მაგრე ვერ ვიტყვი, ცოდვას ვერ ვიტყვი, ჩემი ორივე ძროხა მისი ბულისგან დამიდის დამაკებული, აგერ დამიდის აა! და თანაც უფასოდ!.. ისე, კაცმა რო თქვას, ცუდი რა იყო მაგაში! ისიც ვიცი, არავის არაფერს არ თხოვდა, შენი ნამუსით თუ რამეს დაუტოვებდი ქატოსთვის, თვარა... — მეზობლების საუბარს სათქმელი ჩაამატა ბიკენტის ქსენიამ.

...აქეთ-აქეთ ანეკდოტებს ყვებოდა ვილაცა.

— როგორ მოგწონს, ქალბატონო პელაგია, სოფლის ახალი ცხოვრების დასაწყისი! ჯობია ვითამ ძველს? არა მგონია, ამან კაი რამე მოუტანოს ქვეყანას! — კორესპონდენტის როლში შევიდა ლავრენტი მენისქვილე.

— მონონებისა რა მოგახსენო, ლავრენტი ბატონო, — ხალხის გასაგონად, ცოტაზე მალალი ხმით, დაიწყო პელაგიამ, — ქალისთვის კაცი რო გაუჩენია ღმერთს და ძროხისთვის — ბულა, რავა, ამაში ეჭვი ხო არ გეპარება, შე კაცო! აგერ აა, ორი წლის უკან, მესამედ გავთხოვდი, შე კაცო და... ღმერთმა კაა მიმყოფოს ჩემი ამბაკო, რაცხა ცუდი ფალარათებუ უტრიალებს მუცელში ამ ბოლო ხანობა, ჰოოდა, ხვალზევით ფეხები რო გაჭიმოს, ორმოცსაც არ დაველოდები, ისე გავყვები მეოთხე კაცს, აჰა!.. ისე, ბატონო ლავრენტი, — სერიოზულზე დააყენა ხმა პელაგიამ, — ჩემი დეკეული, ბულაუცადია, ხო იცი შენც! კი მეცოდება ხელოვნური ჩიჩხინისთვის, გული მწყდება, ბულის ნამდვილ შმაშურს რო ვერ იგემებს, მარა, როცა სხვა გზა არაა, რას ვიზამ, უნდა მივყვე ცხოვრების ფეხის ხმას... მარა, არ დაგიმალავ და იმას მაინც ვიზამ, განზრახული მაქ, ვეტექიმს კანონმდებლის ხელით დავამაკებინებ ჩემს დეკეულს!.. მერე ნახე შენ, რო დაძროხდება, რა კანონებს დაატრიალებს ბოსელში!

— ისე გადაიკისკისა პელაგიამ, სოფელმა აქეთ იბრუნა ყური.

— შენ რო არ იტყვი და არ მოიგონებ, ხო არ იქნება! კაი დასამსები ენა გაქვს, კაი! მარა, რალა დასამსები, ცამდე მართალი ხარ პელაგია, მართალი!.. ქვე რა მამცა უკაცობამ!.. თექვსმეტი წელია აფრასი აღარა მყავს და დევიტანჯე ქალი, ძნელი ყოფილა უკაცობა, ძაან ძნელი!.. სხვა ისეთი რო არაფერი, ზურგის მოფხანა ხო მინდოდა! ამოდენა ძუძუებზე ნალიფიკარების მოფხანა ხო მინდოდა! ისეთები იცოდა აფრასიმ, ხელახლა ვიბადებოდი ხოლმე, აჰა! — ახლა ლოლიამ მიაკვნიტა ნეკა თითი ჩავლილ წელიწადებს.

— მე რო მაგი მიჭირდა, მიტომ გავთხოვდი მესამედ, — თქვა კაცების გასაგონად პელაგიამ, მერე იქეთ იბრუნა პირი და ხელის ქნევას მიძახილი მიაყოლა, — ბოშუნებო, ღობე-ყორიდან ნუ იჭვრიტებით, გამოდით, გამოიწიეთ აქეთ, რაც-აღას ქვე რავა არ ისწავლით ამდენი ხალხისგან!.. ისე, ხელოვნური და გამოჩორკნილი კარგი რო არ იქნება, მაგას რათ უნდა ბევრი ჩიჩინი, კაცი-სას მიატანეთ ხელი, კაცისას!..

...კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა პელაგია, რომ, ამ დროს, შავი მანქანა შემოგრიალდა სანახშოზე.

— მოვიდნენ! — თქვა ერთმა.

— მოვიდნენ, კი, ისინი არიან! აი, ჩვენი კანონმდებელიც მობრძანდება! — თქვა ლევანტიმ და რატომღაც, ქუდი მოიხადა.

...სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს მიესალმნენ...

...სოფლის გამგებელი თითის ტარივით დატრიალდა.

...ვეტექიმი და მისი თანაშემწე ჯიხურში შევიდნენ და თან რაღაც-რაღაცები შეიტანეს.

— აჰა, მიდექით, მოდექით, რიგი დაიკავეთ!.. რამდენი ძროხაა? — ჰკითხა ვილაცას ამასობაში გამგებელმა და თვითონაც დაიწყო პირუტყვის დათვლა.

— სულ შვიდია, შალვოვიჩ, მარა, ორი კიდევ მოყავთ, გზაში არიან! — შეეხიდა დათვლაში გამგებელს ბესარიონ კვირიკაშვილი.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი! ისეთი პრეზენტაცია იქნება, თვალი დაუდგება ზოგიერთ გამგებელს! — სიხარულით სავსე თვალებს აქეთ-იქეთ აცეცებდა გამგებელი.

...კანონმდებელი ჯიხურის გვერდით იდგა და მოლოდინს მოლოდინით ელოდა.

...სოფლის აქტივისტებმა დრო იხელთეს და აქეთ-იქედან კითხვები „ესროლეს“ თეოდორეს.

— მაგეთები არ იყოს, აცალეთ კაცს სულის მოთქმა! — თვალეები დაუბრიალა „მოლაყბეებს“ გამგებელმა.

...ვეტექიმი და მისი თანაშემწე „ჯამ-ჭურჭელს“ არანკუნებდნენ ფარლალა „ვეტ-დანესებულებაში“...

...მოსახვევში რაჟიკო გამოჩნდა. ბულა ჯერ გვერდით მოყვებოდა პატრონს, მერე, ცოტა რომ ჩამოიწიეს სანახშოსკენ, ბულამ წინ წაიგდო

ფეხი! რაჟიკომ, ნწუოო, ხმადაბლა ამოიძახა და საბელი უფრო მაგრად დაიჭირა.

...ნიავი, თხელი სიო, სანახშოს პირიდან ზევით ასდევდა შარას, რაჟიკო კი ქვენას საპირისპიროდ, მდგინე ნაბიჯით, ქვემოთკენ მიილევდა ტაშირს.

...პატრონს წინ მიუძღოდა ბულა.

„მოსულან! კი მეუბნებოდა გამგებელი, დღე-ხვალ მოვლენო და აა, მოსულან კიდევ!.. ჯიხურიც გაუკეთებიათ, ხედავ კაცო?.. ეგენი ისეთი ჯიშისანი არიან, თუ თქვეს, ვითამ ახალი რაც-ალა გამოიგონეს, აღარ გადათქვამენ!.. თქვენი ჯილაგის რა ვთქვა, თქვენი ჯალაბობისა!.. ისე... ისე, არ გამომივიდა კარგად, გუშინ რო წამეყვანა, აჯობებდა!.. თუმცა, კაცმა არ იცის, შეიძლება არც აჯობებდა!.. ჰო, აი, რატო აჯობებდა... მარა... ახლა სხვა გზა არცა მაქვს, იმათ წინ უნდა გვეიარო!.. წინ ბულა, უკან — მე! გევივლი, გევივლი, აპა რას ვიზამ... ერთი კია, ზოგიერთი ჩათლახი, ზევითა თუ ქვეითა უბნელი, ჩაიხირხილებს, დედა ეტირა რაჟიკოს საქმიანობასო, ბიზმესი დაახიესო... საქმიანობა კი ვიცი, რაც არის, მარა, ბიზმესი და შუპუსუ თუ ერქვა ამას, ამნაირიანობას, ეს საიდან მეცოდინება, ბალშევიკების დროს არ იყო ასეთები და... ჰო, მეორე მთავარი კიდევ, ისინი, მოსულეები თუ მოთრეულეები, ჩვენი სოფლის გამგებლის თამაღობით, ხმამაღლა არა, მარა, გულში მაინც იტყვიან, რაჟიკო დავაწოქეთო, ბულა გავამეტებეთო, გასახაზირებლად გავამნესებეთო!.. ვერა, ვერ დამაჩოქებთ!.. დამაჩოქებელი და მუხლებზე დავარდნილი რაჟიკო აქაურ კაცს ჯერ არ უნახავს და მით უმეტეს, თქვენ ვერა მნახავთ, ვინცაღა მოწონებული და მოხეტებული შუპუსუები!.. მე რაჟიკო ვარ, რაჟიკო!.. ისე, თქვე საცოდავებო, უკან დახევასაც ვაჟკაცობა უნდა!.. მარა, თქვენ ამის ტრაკი ქვე ვინ მოგცათ!.. სოფელში რაცხას ფოჟიალობს გლეხი და ისიც კი შეგმურდათ!.. საკუთარი ბულის ყვერებზე ფასი დამიდეთ, მინდს იღებო, წილი უნდა გადაიხადო, აპა, რავა გინდაო! ამის მერე თქვენ ხალხი ხართ? მეტი მოგიკვდათ პატრონი!.. ვერ დამაჩოქებთ, ვერა!.. სხვა სოფლიდან შემოვარდნილ ერთ გიჟს ორი ადგილობრივი დამხვდური გიჟი და ოხერი ყოველთვის მოეძებნებაო, ამბობდა ხოლმე პაპაჩემი ნახშობისას!.. ჰოდა... ჭაპანის განყვეტამდე როგორმე მოვითმენ, მარა, თქვენ ჭაპანიც რო არა გაქვთ?.. რაცალის განყვეტამდე მოვითმენ!.. ასაკში ვარ, თვარა, რავა მოვითმენდი, იმასაც ნახამდით!.. უკან დავიხიე, თქვენ კი გითხარითყე, უკან დახევა ვაჟკაცობაა-თქვა, მარა, გეიგონეთ?.. მალე, მალე ვნახამ, როგორ მოუსვამთ ბაყაყურებს!.. ჰოდა, ამ ბუღას ისე დავუბრუნებ სოფელს!.. კი, კი, ასე ვიზამ, ღმერთმანი!.. ეს კი, მარა, ახლა რა ვქნა? მივადექი და ეს არი!.. გამოუვალი არაფერია! სადაც წვრილია, იქ უნდა განყდეს! ცოტალა დამრჩა იქამდე!.. ბუღას უკანიდან სახრეს შევუჩიჩხინებ, გავახელებ, მერე, ბულა რო გაინევს, საბელს გავუშვებ ხელს... ჰოდა... ამხელ

ბუღას ქვე რა დააკავებდა-თქვა, გავემებული პირუტყვი მე დამიჯერებდა-თქვა?! ამასაც ქვე ვიტყვი მერე თუ დაჭირდა საქმეს! ძალა აღმართს რო ხნავს, ახლა გეიგეთ-თქვა!.. რომელი ცხრა თავიანი მღევი მე მნახეთ-თქვა!.. ჰო, ჰო, ეს არის და გორის ციხე!.. მერე ბულამ იცის და მისმა ვაჟკაცობამ!.. ისე, რას ვებოდიშები და ვის ვებოდიშები!.. ატეხილ ძროხებს რო დეინახავს, გედერიევა, აპა, რა მოუვა!.. რა სანახავი იქნება თვალმდაპრანული ძროხები, რა სანახავი იქნება მიშვერილ-მიმარჯვებული უკანარები!.. ეს მე ქვე ვიცი, ვიცი და ბევრჯერაც მინახავს, ახლა იმან უნდა ნახოს, იმან, მთავარმა შუპუსუმ, თუ რა შეუძლია მინიერ ნამდვილ კანონს!“ — აგორებულ ფიქრს ფეხიც ააყოლა რაჟიკომ, ნაბიჯი გაშალა.

...ბულა უცბად შეჩერდა, თავი მაღლა ასწია, აქეთ-იქეთ მიატრიალ-მოატრიალა, ხვიმირადქცეულ ნესტოებით ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა, წამისეირ წამოქაჩული თვალეები დახუჭა და მერე ისეთი გამყინავი ხმით დაიბლავლა, ძონოს კლდის კბოდეებზე მიხლილი ექო ნამსხვრევებად ჩამოაცვივდა ძველ სახარურემო გზას.

„— სუნი იკრა, სუნი!.. სანახშოდან აქეთ მოდის ქვენა ნიავი და თან ძროხის ანდამატს მოიყოლებს!.. მაგარია სუნი, მაგარი!.. ქალის სუნიც ეგეთი არ იყო?.. ახლაც მახსოვს, ქალის სუნს რო ვიკრავდი, რა გამეკეთებია, აღარ ვიცოდი!.. აი, დედასა, პატარა ბიჭობა!.. ახლა... ახლა, აგერ, ბულამ იკრა სუნი და მე გავაჩერებ? ბუნების კანონს მე გადავუდგები? ვერა და ვერანაირ!“ — თავის თავს დასტური წინ დაუდო რაჟიკომ.

...ბულა ისევ შეჩერდა, ისევ ასწია თავი მაღლა, ისევ მოიყნოსა ჰაერი, ისევ დაიბერა ფილტვები და ისევ დაიბლავლა.

...სანახშოზე სოფლელები ისე იყვნენ გართული „სტუმარ-მასპინძლობით“, ისეთი მოლოდინით ელოდნენ ვეტექიმის საქმიანობის დაწყებას, გზად მომავალი რაჟიკო და ბულა არც კი შეუმჩნევიათ!.. ის კი არა, ბუღის გამოვგნებული ორი ბლავილისთვისაც არ უთხოვებიათ ყური.

„უკან დაბრუნებაზე, ნურას უკაცრავად! ბულამ სუნი იკრა და ახლა მე დამიჯერებს?.. რაც მოსახდენია, მოხდეს!.. ფეხები არ მომჭამონ ძირში! ისე, იმას კი იტყვიან, რაჟიკომ ოპერაცია ჩავგიშალაო! თქვან, მერე!.. შუპუსუ გააკეთეო!.. არ ვიზამ იმას, რაც არ ვიცი!.. ისე, რატომ უნდა მემართლებოდეთ, დამნაშავე ვარ?.. არც გაიფიქროთ! ღმერთი და რჯული, მე მართალი კაცი ვარ, ეს ჩემი ბულა კიდე ცასიქითამდე მართალი!“ — აგურგუსალებული ფიქრი და ნაბიჯი აღარ გაუჩერებია რაჟიკოს.

...ბულამ გასწია და გასწია საბელი.

...ქვევით, ჯიხურთან, პელაგია არ აჩერებდა ენას! კაცოო, რო ამბობენ, ძროხას იმიტომა აქვს მონყენილი თვალეები, საფიქრალმა შეჭამა, რა დავაშავე ასეთი, რა შევცოდე ღმერთს ისეთი, სასჯელად რო დამადო, მთელი წელი ძუძუები

მიზილონ და ერთხელ მიხმარონო!.. მერე ნახეთ მაგათი მოწყენილი და ჩამქრალი თვალები, იმ ერთსაც რო წაართმევს ახლა ახალი ვეტექიმი და ხელოვნურად რო იხმარს საცოდავ დეკეულებს!..

— ჰო, ჰო, შენ ეგა თქვი და მართლა რა საცოდავები იქნებიან! — კვერი დაუკრა პელაგიას სერაპიონის მოთქვირინებულმა რძალმა.

— აპა, ბეჩაო, აპა! — უკანა რიგებიდანაც გაისმა ყურის კარგა გასაგონად.

...ჰა-ჰა-ჰააა და, რაჟიკო და ბულა თითქმის თავზე წაადგა თავმეყრილ ხალხს.

...ვეტპუნქტის ფარლალალა ჯიხურის კედელზე მიბმულ პელაგიას უცად დეკეულს უკანარი გზაგასწვრივ ისე ქონდა გამვერილი, კაცი იფიქრებდა, ნამდვილად დარიგებულია ეე ვერანა, ბუღლას ასეთი „მომზადებული“ რომ უნდა შეხვდესო...

...როგორც იქნა, გამოვიდა ვეტექიმი ერთნაქცევ ფიცრის ჯიხურიდან.

...ბულამ ერთი კიდეე მოიყნოსა ჰაერი, ერთი კიდეე დაიბლაგლა ყურის წამლებად, ადგილზე ორიოდ ნახტომიც გააკეთა, რაჟიკოს თოკი ხელიდან გააგდებინა, მერე იშვირა თავი და ფეხი და ვეტპუნქტის ჯიხურის კედელზე მიბმულ, უკანარმომარჯვებულ პელაგიას უცად დეკეულს პირდაპირ გადაეჯლაჯა ზევიდან, მერე ისეთი და იმნაირი უმარჯვა და უსაშველა, პირუტყვმა ენაც კი ამოიდგა, მაგრამ რად გინდა, მისი ხმა არავის გაუგია, შენგრეული ჯიხურის ფიცრების მტვრევამა და ლანა-ლუნმა უმალ ამოქოლა ყურის ბარაბნები...

...ბულა, აპა, რის ბულა იყო — ერთი კიდეე ისეთი მამა-პაპური უმარჯვა ენამოდგმულ პიუტყვს, შუა ჯიხურში ფეხგადგმულმა დეკეულმა თავი „ველარ შეიკავა“ და რქებით გაანგრია მეორე მხარე...

...მეორე მოსახდენი მაშინ მოხდა — ჯიხურის კედელთან ზურგით მდგარ კანონმდებელ თეოდორეს ფიცრები ისეთი ძალით გადაელენა კეფიდან ფეხის ქუსლამდე, რომ მინაზე ცხვირპირით დაეთხლიშა... დათხლესა იყო და იმნაირი ყვირილი ამოუვარდა ხორხიდან, უმალ იფიქრებდით, კანონმდებელმა მეორედ მოსვლა ამცნო ქვეყანასო.

...იყო, მაგრამ რა იყო — გნისი და ხმაური ერთმანეთში ჯერ აირია, მერე ამოდულდა და ამოფუყდა... იმ სოფელს, მგონი, ცა თავზე ჩამოექცაო, ამ ამბავზე ასე იტყოდა მეორე სოფლიდან მაცქერალი კაცი.

...ყველაფერი წამისიერ ხდებოდა.

...ბულამ ბოლომდე „გატანილ“ ვეტპუნქტის ჯიხურსა და პელაგიას დეკეულზე კიდეე „მიიტანა შეტევა“... ამ მურმალში ნამეტანი დაგვიზარალდა პელაგია — ბუღლის მოქნეული თეძო სიგრძე-სიგანით მოხვდა ზურგიდან და მინაზე გაიშხლართა...

...ამ გმინვებსა და არეულობას ისიც დაემატა, „საქმეს“ არ ჩამოვრჩეო, ილია მაისურაძის

ძროხამაც გაინყვიტა საბელი და ბუღლისკენ გამოიქცა...

...იქეთა ღობის სარზე გამობმული დეკეულეები ისეთი მომლოდინე თვალებით გასცქეროდნენ ბუღლას, „საქმეზე“ მობრძანებულ კანონმდებელს უმალ ჩასძახებდით დაბუგებულ ყურში, ეს კანონი კარგა ხნის დაწერილია და თქვენი გადასაკეთებელი არაფერი ჭირდაო...

...ამასობაში ბიკენტის ძროხაც „შემოეხარჯა“ ბუღლას.


...სოფლის გამგებელი, ამ ორომტრიალიდან გაქცევას რომ ცდილობდა, დანაჟუნჟლებულ ფიცრის ნატეხებზე წაებლანდ-წამოებლანდა, ნაიჩიკორტულა და პელაგიას გვერდით მოადინა ბრაგვანი... დაცემას ვინ ჩიოდა, მაისურაძის ბულამონატრებულმა ძროხამ ისე გადაუარა ზურგზე, ხერხემალსა და ნეკნებს ადგილიც კი შეეცვალათ... ისეთი გმინვა და წუხილი აღმოხდა „სოფლის უფროსს“, მეცოდებისა და შეფარებისთვის ცამაც კი გაულო ცისფერი ჭიშკარი.

...ბულამ იქეთაც იბრუნა პირი, პრეზენტაციაზე მოყვანილ დეკეულეებში ისე დამურმალდა, დევე შეიღს არ აიყვანდა ხელში, ამიტომაც იყო, არავის აღარც სტუმარი ახსოვდა და აღარც მასპინძელი.

...ჰოლანდიური „თესლი“ და მისი შესანახი „ჭურჭელი“ ფეხით გათელა ხალხმა და პირუტყვმა.

...კანონმდებელ თეოდორეს, ახლა სხვისი თესლისა კი არა, თავის თესლის გადასარჩენად ღმერთს რომ ეხვეწებოდა, ძველი სიბრძნე გაახსენდა — „მამა მყავდა ხაბაზი და ნალბანდობას რა მრჯიდა“-ო...

...სულ სხვა რამ იყო ის — თუთის ხეზე ჩამომჯდარი სეირის მაყურებელი ბიჭების გაცეხებას არც აქეთ ქონდა საზღვარი და არც — იქეთ!..



დავით-ფიქსი
გოგობიერაძე

ფოთლები

ფოთლები, ფოთლები, ახლა ყოველთვის
ამიტაცებენ, ზამთრობას მორჩნენ
ზაფხულის თრთოლვით ბალახს ხბო ერთვის,
ფოთლები, ფოთლები მე მგვანან ზოგჯერ,

ჭიქები, ჭიქები, მორჩნენ ჭიქებიც
ლამის კლუბები და კოკაინი,
მჭირდები, მჭირდები, ზოგჯერ მჭირდები,
მოვალ ფანჯრებით, მოვალ აივნით,

ნამოგიყოლებ სიჩუმეს, ნუგეშს,
ნამოგიყოლებ სურნელს შორეთის,
ნამოგიყოლებ, მარგალიტს უბნევს
სიტყვების ნიჭი, ლექსებს შნო ღმერთის,

მერე მოვივლი, მოვივლი, მოვივლი
მთელს დედამიწას, ზღვებსა და ზეცას,
თუკი მივალწევ სამყაროს საზღვარს,
სამყაროს საზღვარს, გუშინაც, დღესაც

ვიახლოვები, ვიახლოვები
ამიერიდან თან მეყოლები,
ფოთლები, ფოთლები, ისევ ფოთლები
წამის სისწრაფით და შეყოვნებით,

როგორც გამოვჩნდი, ისევე წავალ
იმ საზღვრის მიღმა, იქ მინდა ძალიან,
დიდი ღირსებით ნისლები წვანან
ნისლებში ნისლები სიზმართა ცვარია,

სიზმართა ნატვრაა, სახლია, კარავი,
ხიდეები, ბალები, წვიმებიც მორჩნენ,
ფოთლები არ გვანან, არ გვანან არავის,
როგორც მე მგვანან, მე მგვანან ზოგჯერ.

ისე

...დავრჩე ვიფიქრე, დროებით ვითომ,
ნიგნში სანიშნეს როგორც დაურთავ,
გზა ისევ ისე კვლავ სადღაც მიხმობს,
გზა ზღვაოსანთა, გზა მოგზაურთა,

ყველა ოცნების კვალი აქ არის,
ნიჟარის ძენკვზეც ჩანდა კამეა,
ისე შეგხედე, თვალი მოგკარი,
ისე, უბრალოდ, განა რამეა.

მე მუსიკა ვარ

დღესასწაულობს ჩემი სანუთრო,
მე მოკვდავი ვარ, უთვალავ ფერთა,
მაგრამ არ ვკვდები, ვდღესასწაულობ,
უკვდავიცა ვარ, ყველასთან ერთად,

დღესასწაულობს შენი სანუთროც,
შენც მოკვდავი ხარ და არც შენ კვდები,
ნახე საღამოც დღესასწაულობს,
დარჩნენ ღრუბლები, დარჩნენ ვერხვები,

დარჩნენ ცაცხვები, ნუთუ ვერ ხვდები
რატომ რჩებიან ტყეები ცაზე,
რა სიზმარია? რა სამყაროა?
ნუთუ დრო მოვა, დღეებით მაზეგ,

როცა ქალაქებს და როცა ქუჩებს,
აღარ ექნებათ დასახელება,
ან სახელს და გვარს ვინ გამოაჩენს,
სული ცად მექცა და სახე მთებად,

ტანი მინდვრებად, ბაღებს სცენიდან
ბროლის მტვერისა გარდა ვინ არხევს,
სისხლში ვარსკვლავნი, პლანეტები მაქვს,
რიჟრაჟს დილიდან გარდავესახე,

გარდავესუნთქე ღამეს, უმთვაროს,
თითქოს სიჩუმეს ხმა მიერიოთმა,
მე მუსიკა ვარ და სამუდამო
დღესასწაული, ამიერიდან.

აქვე დაანყვეთ

შემოიტანეთ, აქვე დაანყვეთ,
აქვე დაანყვეთ ჩემს გვერდით ქვები,
იდეალურ წრეს, წერტილს და ან წრფეს
თავქვე ვინიშნავ, მე ამბავს ვყვები,

დედამინამ რომ ფერი იცვალა
და აღარ მესმის შენი ხმა, ვერ გცნობ
და ველარც გხედავ, ან რა ვინამე,
ზოგჯერ მწყურია, მშია და მეც რომ

გადავეყუდე მთას და ჩემშია
მთაცა და ყოველი მწვერვალი მისი,
რატომ არ მესმის შენი და ვერ გცნობ
და ველარც გხედავ, ნუთუ ვარ ღირსი

გადავეყუდო მთის გარდა ცასაც
და დედამინას შემოვესუნთქო,
მგავდა სამყუდრო ღვთისა და ძმათა
და ახლაც მომგავს, შენც რომ ვერ
მსრულმყო

მაინც სრული ვარ, შემოიტანეთ,
შემოიტანეთ, ლოდები, ქვები,
ფოთლებს ტოტები ცად აიტანენ,
სუნთქვა დარჩება, მე ამბავს ვყვები,

რომ ეჭვი მკლავდა, მაინც ვინამე
სრულყოფილი ხმა, მივენდე ბედს რომ
დედამინამაც ფერი იცვალა,
რომ აღარ მესმის შენი და ვერ გცნობ,

რომ სულერთია ახლა ვინა ვარ
და აღმოსავლეთს სადა აქვს ბოლო
და როცა ზეცამ სახე მინაბა
ერთი ვარსკვლავი შემორჩა მხოლოდ,

იქაა ჩემი სახლ-კარი, ბინა,
აქ კი, გადმომყვა სამშობლოს განცდა,
თითქოს სიჩუმემ ხმა დაითმინა
თითქოს შეიკრა და მერე განყდა

სულზე აბმული სუნთქვათა ძენკვი
ისევ შეიკრა, ან თქმა რად მინდა
თუ მე სიცოცხლეს, ვერ გცნობ და გეტყვი
თურმე ყოველწამს ვინყებ თავიდან.

შემოიტანეთ, აქვე დაანყვეთ
აქვე დაანყვეთ ჩემს გვერდით ქვები.

თაიგულეაბი

მინდვრის ყვავილებს, ლურჯებს, იისფერთ,
ყურს მივუგდებდი, ხმას ვიგულებდი,
ცა თაიგულის ტურებს მიიფენს,
თაიგულეაბი, თაიგულეაბი

მახარებს მუდამ, ზედ ფიქრებს ვაბამ
დილით ღამის ცა თან არ ჩანს, თან ჩანს,
რალაც მინდოდა მეკითხა, მაგრამ
მე საკითხავიც სხვა ბევრი დამრჩა,

ყოფნა — არყოფნა, ყოფნა — არყოფნა,
იასამნებით თრობას ვუნდები,
როცა დრო მოვა, ნასვლის დრო მოვა,
გზად გამაყოლე თაიგულეაბი,

გზად გამაყოლე ბედნიერებაც
და მიტევებაც ღია სამების,
გულთა სამოთხის ცად მიერთებად
იასამნები, იასამნები

თან გამაყოლე, როგორც ნასიზმრალს
ნატვრას უთქვამენ, ბედის არმქონეს,
ან ბედის რჩეულს, ან დანასისხლად
კარგ მთქმელს ყოველთვის კარგი გამგონე

გვერდს დაუმშვენებს, ეტრფის და ლოცავს
დიდი ზეიმი ჩემში ვამყოფე,
ხმაც შინისაკენ მომიხმობს როცა
ხეივანის სუნთქვაც გზად გამაყოლე,

შორი ზვრების და მინდვრების მწამს მე
შორითვე წამსვლელს გზად ვეგულები,
სულითხორცამდე სურნელით სავსე
თაიგულეაბი, თაიგულეაბი

კვლავ სხივოსნობენ მგოსნობის ნიჭით
და როცა წამით ყვავილიც სულს დებს,
შეისხლავს ლექსებს, თითქოს თმას იჭრის
გზად გამაყოლე, რაც კი რამ გასურდეს.



თინა

ბიკანიშვილი

უკან ითაჩაში

V თავი

რედაქციის კარი მუდამ ღიაა. ჩვენს მოსვლამდე დარაჯი აღებს. ხამანკები ახლავე ვიყიდო, თუ სახლში დაბრუნებისას? დღეს კიტ ფოსტერი შემომირბენს, ახალი ნოველებით. მომთხოვს, იმნამსვე ნავიკითხო, შთაბეჭდილებებიც იმნამსვე გამოვთქვა და მისი შეუდარებელი ნიჭით ინიცირებულმა კათარზისმა ფერი მის თვალწინ მიცვალოს. „მეფეო, თქვენი ცხენი მხატვრობაში თქვენზე უკეთ ერკვევა!“ როდის უნდა გავცე საჩქცია კათარზისზე? ფერი, ალბათ, მაინც მეცვლება, ოღონდ კიტ ფოსტერი ამის მიზეზს ვერასდროს მიხვდება. სხეულის აბაზანა? – დიდად გამაღლობთ, თუმცა მე ტვინის აბაზანას ვამჯობინებდი, თავისი ორთქლკაბინით, სადაც მდარე გამოცდილებებს ჩამომრეცხს გამოცდილი მექისე. მაგრამ ერთი კაი, მოთუხთუხე აბაზანისთვის ჩემი ბინძური მეხსიერების გამოსანმენდად, ო, რომ იცოდეთ, რა

თანხებს არ დავიშურებდი. რად მინდა ამდენი ნაგავი? რად მინდა მეხსიერების საკუჭნაო? გამოცდილების სხვენი და ჩვევების სარდაფი. დაე, ყველაფერი მუდმივად თავიდან დავიწყო. თუნდაც კიტ ფოსტერის ნოველების კითხვის ავბედითი რიტუალი, მყისიერ კათარზისს რომ მიქადის. ცხენს უბრალოდ საკუთარი ჩრდილის ეშინოდა. მან მზის საპირისპიროდ თავი შემოუტრიალა. გონიერი გმირობა, ნებისმიერ უტვინო შეუპოვრობაზე უფრო მაღალი. უფლება რომ მქონდეს, კიტ ფოსტერს სუნამოს ვაჩუქებდი. სულ ავინყდება ამ ქალს ილღიების გაპარსვა. ჩემგან კი მყისიერ კათარზისს მოელის. წყალი ჩაასხით ჩემი ტვინის აბაზანაში, მექისეს დამიძახეთ, ახლავე მოვალ. ტანი ერთი მუჭა მეტაფორით ჩამომიხეხეთ. ყელი ოდნავ გვერდზე შქონდა გადახრილი, ნაზად, თითქოს ქალწული იყო. სანყალი ჰეფესტიონ. ქალივით ნაზი იყო უმამაცესი მხედართმთავართა შორის. მეცხრეს ოდაში უფრო რას უსმენთ? მე – ქორალსა და საყვირებს შორის მოცეკვავე ვიოლინოს, ზემოთ და ქვემოთ სიხარულით რომ დაფარფატებს. ეგეთი ბედნიერი ვიოლინო არსად მომისმენია. აი ისიც, მყისიერი კათარზისის ავტორი. დაე, იყოს სუნამონაპკურები, დაე, იყოს სუნამონაპკურები. ოღონდ არა, ოღონდ არა და თუნდაც ათასგზის ნავიკითხავ მისი მყისიერი კათარზისის ნოველებს. რა გახდა ერთი სუნამო? მე მაინც მგონია, რომ ის სიგიჟეს არ თამაშობდა. მანდ ორმაგი ქარაგმაა. ერთი მხრივ, პრინცი იმიტირებს ფსიქიკურ აშლილობას, რომ მამის მკვლელობის მიზეზი გამოიძიოს და სანაცვლო მიაგოს ვერაგ მატყუარას, მეორე მხრივ კი, ის მართლაც ბოდავს. იქნებ აჩრდილი მისივე წარმოსახვის ნაყოფია, ხოლო გუშავთა ნანახი — ინიცირებული ბოდვის სინონიმი. „მე ვხედავ მას გონების თვალთ“. „ლმერთს გეფიცებით, არასდროს დავიჯერებდი, ჩემი თვალთვე ასე ცხადად რომ არ მენახა“. ის კი ვერ შეეგუა მამის სიკვდილს. „ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა... მე ველარ ვნახავ იმის მსგავსსა ჩემ სიცოცხლეში!“ „მისი ისტორიული დრამების აფრაგაშლილი ხომალდები ექსპანსიონისტური შოვინიზმის აზვირთებულ ტალღებზე მისცურავენ.“ ფსიქიატრიაში აღწერილია უამრავი შემთხვევა, როცა მბოდავი ავადმყოფის გვერდით მცხოვრები სრულიად ჯანსაღი ადამიანი თავადაც იწყებს ბოდვას, მხოლოდ ესაა არა ფსიქიკურად აშლილობის შედეგი, არამედ მუდმივი ურთიერთობის და მუდმივი შთავონების პირდაპირი გავლენა. გუშავები და ჰორაციო ჰამლეტის ბოდვით ბოდავდნენ და თავად გახდნენ მისი ბოდვის ცხადი მიზეზი, რადგან ყველაფერი, რაც აჩრდილის გამოცხადების შემდეგ ხდება, უბრალოდ სწეული სულის ისტორიაა და არა მიცვალებულთა საუფლოდან მოვლენილი მამის თხოვნით გარჯილი პრინციის კარგად გათვლილი შურისძიება. „ჩქარა მაცნობე, ფრთებს შევისხამ ფიქრზედ უსწრაფესს და ვით არშიყი გაგფრინდები შურისძიებად.“ წესით შექსპირი იყო პირველი, ვინც

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1

უბადლოდ აღწერა შიზოფრენია, ხოლო ჰამლეტი იყო, უბრალოდ, პირველი შიზოფრენიკი. მე კი გავგიჟდები, კიტ ფოსტერი თუ არ დაისხამს რაიმე სუნამოს... აი ისიც, მგონი, მიახლოვდება, კარის შემოდებას ცდილობს... შემოალო კიდეც... ხელში ნოველები უჭირავს... სუნამო არ ასხია, ღმერთო, დამიფარე!..

ანტონიოს ვიოლინო სიხარულშიც სევდიანია. ეგეთი სევდა მხოლოდ იტალიელებს ახასიათებთ.

— თქვენთვის სიურპრიზი მაქვს. — გაიკრიჭა კიტ ფოსტერი.

რატომ ფარფატებს, იქ, ქორალსა და საყვირებს შორის, ის ვიოლინო? რა უხარია? არა, არა, დამიჯერეთ, რაღაც უხარია, სრულიად კონკრეტული და სრულიად ცხადი.

— რა სიურპრიზია, კიტ? შენ თავად სიურპრიზი ხარ, ნუთუ ახალი ნოველები მომიტანე?

— ო, რა მიხვედრილი ბატონი ბრძანდები და რა დასანანია შენი მარტო დატოვება.

— ვიდრე თქვენნაირი ქალბატონი გვერდს მიმშვენებს, მარტოობა არასდროს მიწერია.

რა საზარელი ღიმილი აქვს. ნეტავ არაფერი მეთქვა. არც გაიღიმებდა. არც სუნამონაპკურებია, ნოველებიც მოიტანა და თან კიდეც იღიმება. დღეს ბედს ჩემი გამოცდა სწადია. რა უხარია, იქ, ვიოლინოს? რომ ვკითხო, ნეტავ თუ მიპასუხებს?

— ბატონო პიტერ, თქვენ თავად ამშვენებთ ნებისმიერ ქალბატონს.

ო, ღმერთო, კიდეც გაიკრიჭა. ნუთუ ამას აღარ აქვს ბოლო?! თან სანაცვლო ქათინაურიც მტყორცნა. ოჰ, შე სუნამომარნაპკურებო ბებრუხანავ! როდემდე უნდა ვიყო შენი ნაგვის სანაგვე? რომ ვკითხო, ნეტავ თუ მიპასუხებს? იქნებ კიდეც მიპასუხოს? რა უხარია მეცხრეს ოდაში ქოროსა და საყვირებს შორის მოფარფატე ვიოლინოს? ხშირად ამის მსგავსებს ხელი საიდუმლოზე მიუწვდებათ. იქნებ დღესაც იბადებიან უნიგნური მებადურები, სამყაროს რომ სჩუქნიან საუკუნოვან განათლებას?

— რამე მკითხეთ, ბატონო პიტერ?

—მე? მე... მე არაფერი, თუმცა, იქნებ... მისმინე კიტ, იქნებ მითხრა, რა უხარია მეცხრეს ოდაში ქოროსა და საყვირებს შორის მოფარფატე ვიოლინოს?

ღმერთო! აღარ იღრიჭება. ნუთუ! გაჭრა! მგონი, სამუდამოდ შეწყდა მყისიერი კათარზისის ნოველათა უხვი ნაკადი. აღარ იღრიჭება, აღარ იღიმის, სახე მოელუშა. ნოველებს ხელიდან მაცლის. წამოწითლდა. ფეხზე წამოდგა. ღმერთო, ნუთუ? სუნამომარადყამალარნაპკურები და ჩემგან სამუდამოდ განშორებული კიტ ფოსტერი. სკამი მისნია. ნოველები მიაქვს. კარი გამოალო. არც კი შემომხედა, არც დამემშვიდობა. გავიდა. კარიც გაიჯახუნა. ვაშააააააააა! სამუდამოდ წავიდა კიტ ფოსტერი. „Leon, se'n va! Leon se'n va! pour toujours!“

რა ტკბილია თავისუფლება! ო, რა ტკბილია თავისუფლება! აი რა უხარია მეცხრეში ქოროსა

და საყვირებს შორის მოფარფატე ლუდვიგ ვანის ვიოლინოს.“

მერი სტიუარტთან სტუმრობის დღე თანდათან ახლოვდებოდა. ეს კი ყველაზე უკეთ ახლახან შეძენილმა და საგულდაგულოდ შეფუთულმა ლარნაკმა იგრძნო. ის, პიტერ პერსონის სახლში, ან განსვენებულის სტატუსით სარგებლობდა და სულ მალე დაკრძალავდნენ კიდეც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას წინ უნებლიე დამსხვრევა ელოდა, მაგრამ მთელი სივერაგე ამ უნებლიე შემთხვევის სწორედ ეს იყო, რომ ადგილი ჰქონდა უნებურობის ნიღბით ლარნაკის განზრახ მსხვრევას და ამისათვის პიტერ პერსონს ან მერი სტიუარტს განზრახ მკვლელობის მუხლით არც არასდროს გაასამართლებდნენ.

გაასამართლეთ პიტერ პერსონი. მერნმუნეთ, ის უფრო სასტიკი დამნაშავეა, ვიდრე ნებისმიერი, ვინც მსხვერპლად თუნდაც ათასობით სული შეინირა. გამოუტანეთ სასიცოცხლო განაჩენი და კოცონზე დაწვით, რადგან ასე უმოწყალოდ აჩანაგებს ბროლის ლარნაკებს.

მერისთან ხელახლა შეხვედრის დღე კი უფრო და უფრო ცხადი გახდა. ბოლოს კი, როცა მისი სიცხადე მთლიანად გადასწვდა დედამიწის ერთ ნახევარსფეროს, პიტერ პერსონი მერი სტიუარტს ისევე ეახლა.

„კარს რომ გამიღებს, მის მუხლებს შემოვხევევი, ხელის გულებზე ვემთხვევი, ფეხებს დავუკოცნი და მდულარე ცრემლით შევევედრები, ერთხელ მაინც შემახვედროს მშობელი დედა!“

რად უნდა მიცვალებულს ყვავილები?! დამერნმუნეთ, ის მათ ვეღარ დაყნოსავს. და ამის უნარს ვეღარც შეიძენს. ამ ყვავილებისგან მოგონებაც აღარ დარჩება ვინმე სულიერის მეხსიერებაში. მაშინ მიპასუხეთ, მიცვალებულს ყვავილებს რატომ ჩუქნიან?

სარფიანი საქმეა. იქვე დაუდარაჯდები. როგორც კი ჭირისუფლები მიიფანტებიან, მაშინ ნადავლის გაყოფისთვის წამდვილი ალაფობა იმართება. ალაფის სახეობას, ამჯერად, დაუმჭენარი და გამძლე ყვავილები წარმოადგენს. საფლავიდან მიაქვთ და ხელმეორედ ასაღებენ. ჩვეულებრივი ამბავია, სრულიად ჩვეულებრივი. უწყინარი მარადიორობა, დედამიწის მწვანე საფარის უნებლიე დაცვის პირობით.

როცა კარს გამიღებს, მუხლებზე მოვეხვევი, ფეხებს დავუკოცნი, ხელის გულებზე ვემთხვევი და მდულარე ცრემლით შევევედრები: ერთხელ მაინც შემახვედროს მშობელი დედა!

აქედან მარტივი დასკვნა გამოგვაქვს: არსებობს უნებლიე მარადიორობის მთელი კასტა, რომლებიც, ერთი მხრივ, სამადლობელ სიგელს იმსახურებენ, რაკი ხელს უწყობენ დედამიწის მწვანე საფარის ეკონომიურ, მომჭირნე გაჩანაგებას, რადგან დაამკვიდრეს მიცვალებულთა მეორადი მოხმარების ყვავილები, ხოლო, მეორე მხრივ კი, მათი დანაშაული რამდენიმე უხამს სახელს ატარებს. თქვენ თავად მათთვის რომელი გემეტებათ, ჯილდო თუ მკაცრი განაჩენი?

რატომ არ მიღებს კარს მერი სტიუარტი? ნუთუ შინ არ არის? ამ დროს ყოველთვის შინ მეგულებოდა. როგორ დამცინის ავი ბედისწერა. კაცმა ყვავილი იყიდა. მის ქუდს შავი ბაფთა ამშვენებს. კაცი გზას გაუდგა. შენობას მიადგა. კაცი გამოვიდა ყვავილების გარეშე. მივუახლოვდი და სისხლის სამართლის კოდექსის სრული ცოდნით განვუცხადე: თქვენ ბრალი გედებათ დანაშაულის ხელშეწყობის საქმეში. სწორედ ამ წუთას თქვენი ხელით დაიბადა კიდევ ერთი უხამსი მარადიორი. რატომ აჩუქეთ ყვავილები მიცვალებულს? შეგიძლიათ დუმილის უფლება დაიცვათ. თქვენ მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა შესაძლოა თქვენ წინააღმდეგ იქნას გამოყენებული. გაქვთ მხოლოდ ერთი ზარის უფლება. კაცის ქუდს შავი ბაფთა ამშვენებს. სამგლოვიარო ნიშანი.

რატომ არ მიღებს კარს მერი სტიუარტი? ჩემი მოთმინება შუაზე გაიპო, ორ ნაწილად გადაიხლინა. კართან ვარ უსუსურად ატუზული, როგორც წვიმის თქემით განუნული პატარა კნუტი და მშობელ დედასთან შეხვედრას ვითხოვ. რატომ არ მიღებს კარს მერი სტიუარტი?

საფლავთან ჭირისუფლები შეიკრიბნენ. ცხადი ცხოვრების გაცხადებული დაბოლოება. შორს საფლავის ქვებს ეფარებიან უნებლიე მარადიორები. ისინი მიცვალებულს ჰპარავენ უკანასკნელ საჩუქარს, გვირგვინად დანულ ყვავილებს, თაიგულების გროვას. მე მათ სისხლის სამართლის კოდექსის ზუსტი ცოდნით გავასამართლებ.

მერი სტიუარტმა კარი არ გამიღო. ვინ არის დამნაშავე? ვინ და აი ეს წყეული ლარნაკი. ეს ბროლის ნაგავი, ჩემი ბედისწერაა. მას მე თქვენს თვალწინ გაეჩანაგებ. ესეც შენ!.. ესეც შენ!.. ესეც შენ, წყეულო უსულო სიმახინჯევ, ჩემი დაღუპვა რომ განგიზრახავს...

— თქვენი საბუთები, თუ შეიძლება!

— რრრრა... რა მოხდა?

— თქვენი საბუთები, თუ შეიძლება! — პოლიციელმა სამხედრო სალაში გაიმეორა.

— ჩემი საბუთები?! აჰ, გასაგებია, გასაგებია. არ შენუხდეთ, ახლავე. — პიტერ პერსონმა ლარნაკის ნამსხვრევებს ფეხი მიჰკრა და პიჯაკის ჯიბეში პასპორტი მოძებნა.

— ინებეთ.

— პიტერ პერსონი, 48 წლის. თქვენ საზოგადოებრივი წესრიგი დაარღვიეთ. სამოქალაქო სამართლის მიხედვით ფულადი ჯარიმა დაგერიცხებათ. გთხოვთ, პოლიციის რაიონულ განყოფილებაში გამოძვევთ.

— ამას რა ვუყო? — ჰკითხა პიტერ პერსონმა და ლარნაკის ნამსხვრევებზე მიუთითა.

— ჯარიმას სწორედ ამისთვის იხდით, დანარჩენს მეეზოვეები მიხედავენ.

პიტერ პერსონი უმნიშვნელო თანხით დააჯარიმეს, მაგრამ არავინ იცოდა, რას უდრიდა მისი ზარალი — იქნებ არც მოხერხდეს ამის ციფრებით გამოხატვა.

ლარნაკი მესამედ დაიმსხვრა. ბრმა ბედისწერამ პიტერ პერსონი ფეხქვეშ გაიგდო. არადა,

იმ დროს მერი სტიუარტი თავის სიგიჟეს უსმენდა. ყურთსამენებით სმენაგაყრუებულს ზარის ხმა როგორ უნდა გაეგო?! მის გონებაში ერთადერთი აკაპელა გაჰკოდა საზარელი სიტყვებით: „or-tu-na, ve-lut Lu-na, sta-tu va-ri-a-bi-lis.“ კაცის ქუდს კი შავი ბაფთა ამშვენებდა, სამგლოვიარო ნიშანი. ამ წუთას თქვენი ხელიდან იშვა უხამსი მარადიორი.

„ქალს კი მუშტრიდან მუშტრამდე შენდობას ჰპირდებოდა ნანკიანელი ქრისტე*. ტბაში შიშველი ვზანაობდი და ტანსაცმელი მომპარეს. მეც ავდექი და ფოთლებით შევიმოსე. მას შემდეგ ქურჩბში ასე განფოთილი და განტოცილი დავდივარ: ხეებს შორის ადამიანი და ადამიანებს შორის ფოთლოვანი ხე. კარგად მომწველეთ, თორემ ოდესმე რძე მეც გამიშრება, თუმცა ამაზე ბევრს არ ვიღარდებ. მშვიდად დავუქნევ ხელს მეტაფორულ კლინიკას და თავს სრულიად გაჯანსაღებულად გამოვაცხადებ. ადამიანებს ვჭამთ და როცა გვშია ტვინს გვიღრღნის მონატრების კუჭის წრიალი. მე შენ იმდენჯერ შეგჭამე და ექვს საათში ერთხელ კუჭი მაინც ცარიელი მაქვს. მომშვიდი. მოდი ჩქარა, თავი შემაჭმევინე. ყველა გამონაგონი — მეხსიერების უსწორმასწორო ნაღვექი და მთვრალი აზროვნებაა, როგორც ფანტაზია. მას კი მუშტრიდან მუშტრამდე შენდობას ჰპირდებოდა ნანკიანელი ქრისტე.

ზარი იყო რედაქციიდან. ხვალისთვის შეკრება დაინიშნა. შემდეგი ნომრისთვის მასალა უნდა განიხილონ. ხვალ რამდენიმე პოეტს ან პროზაიკოსს დიაგნოზს დაუსვამენ. ნეტავ რომელ მათგანს ერგება ჰამლეტის დაავადება? რომელი ლექსის მიღმა იმალება პოეტი-მიზოფრენიკი? მათ ტვინში მოექვევებათ ის, რაც ჩვენ სულში ბინადრობს. — მთელის გახლეჩილობა. არადა, სულის გახლეჩილობას ყველა ატარებს. რასა და რას შორის, ეგაა გასარკვევი, რადგან ყოველთვის, როცა რაიმეს სიკვდილი ვუნოდე, სიცოცხლეზე მეტად სიცოცხლე აღმოჩნდა, ანდა პირიქით — ყოველთვის, როცა რაიმეს ან ვინმეს სიცოცხლე ვუნოდე, სიკვდილზე მეტად სიკვდილი აღმოჩნდა. მოდი, მოგეფერო, ჩემო სიკვდილო, მე შენს გარეშე სიცოცხლე არ შემოძლია. შენ ჩემი სიკვდილი გახდი, მას შემდეგ, რაც „ჩემი სიცოცხლე“ გინოდე. ნადი, დასაფლავდი. ანდა საფლავიდან ამომძახე ერთი „გამარჯობა“. მერე ვივლი და ყველგან ვიამაყებ: „სიკვდილი მომესალმა, მომილოცეთ, სიკვდილი მომესალმა!“ რა საჭიროა რედაქციის კრება? ისედაც ხომ იციან ყველაფერი?! ახალი პროზა და ახალი პოეზია, იგივე პროზა და იგივე პოეზია. ახალი სახეები, იგივე სახეები. ხვალ რომელიმე პოეტს ან პროზაიკოსს დიაგნოზს დაუსვამენ. ნეტა, რომელს ერგება ჰამლეტის დაავადება? ვინ ეფარება თავის ლექსებს გახლეჩილი სულით? გაგვამთლიანე! უნდა ნავილო წინა თვეების ჩანაწერები, რამდენიმე შენიშვნა და ორი რეცენზია. სიტყვით გამოსვლა მომიწევს, მე კი გავჩუშდები. დაე, სხვებმა ილაპარაკონ. მოდი ხვალინდელ დღეს გასესხებ

და ხვალ შენ იცხოვრე ჩემს მაგივრად, მერე თუ გინდა მთელი კვირა შენს მაგივრად ვიცოცხლებ, ჭურჭელსაც დაგირეცხავ. ყოფა და ცოდნა, იქნებ ერთი და იგივეა და ტყუილად ვაცალკევებთ? აბა, მაშინ სხვა რა პქვია აპრიორულ გამოცდილებას? ტბაში ვზანაობდი და ტანსაცმელი მომპარეს. მეც ავდექი და ფოთლებით შევიმოსე. მას შემდეგ დავდივარ ქუჩებში ასე განტოტვილი და განფოთლილი – ხეებს შორის ადამიანი და ადამიანთა შორის ფოთლოვანი ხე. როცა დადგება ჩემი ზამთარი, ამ ფოთლებისგან განვიძარცვები. მერე სიკვდილის თოვლი გამათეთრებს. ხვალ რედაქციის შეკრების შემდეგ მერი სტიუარტი უნდა ვინახულო. შემოდგომის გამოსვლებს ხურავენ. საღამოს მეცხრე აქვთ, ოდას კაპელა შეასრულებს. ისედაც მოვუსმენდი, მერი სტიუარტი რომ არ მღეროდეს. რალაც უნდა შევთავაზო, განსაკუთრებული — მოკლე გზა მისი გულის კარებისკენ, მე კი დედასთან შეხვედრა მელირსება. ხვალ რედაქციაში სიტყვით გამოსვლა მომიწევს, მე კი დუმილს ვამჯობინებ, დაე სხვებმა ილაპარაკონ.”

VI თავი

რედაქციის კარი ისევ ღია იყო. დარაჯმა გააღო. ყოველთვისაც ალებდა, დილით სისხამზე. ამ დროს იქ მხოლოდ ქუჩის მანანნალა ძაღლები თუ დაეხეტებოდნენ, თორემ სხვაგვარად კაცობილის ჭაჭანება არ იყო. ვის უღებდა კარს? კარი უნდა გაეღო, ეს მისი ფუნქციებიდან ერთ-ერთს წარმოადგენდა. ძალიან გთხოვთ, მისი ფუნქციებიდან მეორეზე, მესამეზე, მისი ოჯახის ნევრების რაოდენობაზე და მისი თვალის ფერზე ნულა შემაჩერებთ, ისედაც კრება იყო დანიშნული, რედაქციის კრება, პროზის და პოეზიის ახალი სარეცენზიო და შემდეგ ნომერში დასაბეჭდად გამზადებული მასალის განსახილველად.

საჭირო ნივთებიდან ყველაფერი წინასწარ მოიმარაგეს: ცარიელი ყავის ჭიქები და ყავით სავსე ჩაიდნები, ცარიელი ფურცლები და პროზით და პოეზიით სავსე ფურცლები, ცარიელი თავები კი – არანაირად. პირიქით, სავსე თავები, სრულიად სავსე თავები, ტვინით და მთელი მსგავსი ნერვული სისტემის ცენტრალური ორგანოს შიგნეულობით. მსოფლიოს ვერც ერთი კომპიუტერი ტვინის სირთულეს ვერ იმიტირებს, თუნდაც მცირედით, მაგრამ მაინც აქვს ამგვარი ამბიცია. ტვინის პატრონებს ეკრანის პირდაპირ დაუძლეველი სირთულე ეჩვენებათ. ის კი გულის სიღრმეში ტვინზე ოცნებობს, მაგრამ ამ ოცნებას ასრულება არასდროს უწერია. კომპიუტერი არის უტვინო, ისევე, როგორც ყველა ტექნიკური შედეგრი. ჰოდა, მათი სარედაქციო კრების ჩამონათვალის ერთ-ერთ უმთავრეს ატრიბუტს სწორედ ეს უტვინო კომპიუტერი წარმოადგენდა, მთელი შეგნებული ცხოვრება ადამიანის ტვინზე რომ ოცნებობს და ვერ ეღირსა.

— აბა, აბა, შევუდგეთ. — თუხთუხებდა მაიკ ტეფტი და თან ყავის ცარიელ ჭიქებს არიგებდა, როგორც კრების გახსნის პირველ უცილო პი-

რობას. — ყავას მხოლოდ მაშინ მიიღებთ, როცა ჩემი სმენის ორგანოებს მაგ აბდაუბდის პირველი წინადადება მოწამლავს.

— პირველი წინადადება ჩამოატარეთ.

— ვის ემეტება თავი, ხორხი, ყელი და ყია მის გამოსათქმელად.

— მე თუ მკითხავ, ჯერ ყავა უნდა დავლიოთ.

— შენიშნა ჯეკ ერორუმ.

— რატომ ვითომ?

— გლუკოზა მოწამელის პრევენციის ფუნქციითაა აღჭურვილი.

— თქვენი არ ვიცი და მე უშაქრო მინდა.

— პირველი წინადადება-მეთქი.

— ბატონო პიტერ, ჩვენ ამ წყეულმა დიალოგმა ჩიხში შეგვიყვანა. თქვენი დროული ჩართვაა საჭირო. ველარ გადაგვიწყვიტია, ჯერ ყავა თუ პირველი წინადადება? მოილეთ მონყალება, რომელიმე მხარე აირჩიეთ.

პიტერ პერსონმა ყავა დაისხა და მოსვა, შემდეგ ფურცლებით სავეს მაგიდას მიუახლოვდა და პირველი წინადადება ამოიკითხა: „როცა დავიბადე, ცხოვრების ვინრო ბილიკს შევუყევი, რომელმაც სასაფლაომდე მიმიყვანა.”

— ყველა გზა რომში მიდის, ამისი კიდეც – სასაფლაოსკენ.

— რა დავაშავეთ. — ჩაიხითხითა ჯეკ ერორუმ.

— აუშენეთ ერთი მოხრუშჩოვკო სასაფლაო.

— მაგას მაკეტი სჯობია, სასაფლაოს მუყაოს მაკეტი.

— ეგ მუნიციპალიტეტის პრეროგატივაა.

— ხარჯები იქნება ნაკლები.

— შედეგი – გარანტირებული.

— ყოველ დილით, თვალის გახელისთანავე გადახედავს სასაფლაოს მუყაოს მაკეტს და თავს მშობლიურ ატმოსფეროში იგრძნობს. — ახარხარდა მაიკ ტეფტი.

— დღე კეთილგანწყობით გაუთენდება.

— მაგისი კეთილგანწყობა ჯერ კიდეც საკითხავია.

— რამდენი რამეა საკითხავი...

— აი მთელი ეს დასტა პროზის, პოეზიის და კიდეც რამდენიმე ნოველა სარეცენზიოდ. აბა, აბა შემდეგი წინადადებაც, ამჯერად აქედან:

„მოხუცმა ნაპირზე მხოლოდ თევზის ჩონჩხი გამოიტანა“*.

— ამით რისი თქმა სურს? — თქვა ჯეკ ერორუმ. ის ყავას მიირთმევდა სრუპუნ-სრუპუნით და დროდადრო ხვნეშოდა. შემდეგ ორთქლის ყოველ ნაკადს, მსუბუქი სიამოვნებისგან, ზედ ღიმილსაც აყოლებდა და მისთვის უჩვეულო აზროვნების მადა, ალბათ, ამიტომაც აღეძრა.

— ამით იმის თქმა სურს, ჩემო მეგობარო, რომ ცხოვრების მღვრიე წყლებიდან ნაპირზე მხოლოდ ჩონჩხი გამოგვაქვს, ისიც – საკუთარი.

— ამასაც მოუნდა მაკეტი.

— მოხრუშჩოვკო სასაფლაო. — ჩაიხითხითა ჯეკ ერორუმ და თავის წილ ყავას მიადლა.

„ყველაზე სავალალო ის არის, რომ შარვალი

ბარძაყამონაცვალია ხოლმე. ღმერთმა უწყის, ვინ ლოთმა სიფილიტიკმა ატარა.* მეოცე საუკუნის გენიოსები — ქრისტესთან გაბუტული ძველი ბიჭები — დედიკოს ბიჭების წინააღმდეგ, მასკულტურამ ვინრო პოდიუმზე კუბოკრული შარვლით ჩაირონინა და ცივილიზაციებმა ტაში დაუკრეს. კლდიდან მოფრინავს ბაკ მალიგანი*, ფრინველს იმიტირებს, აპროტესტებს სხვა ფრინველის ფრინველობას. რიგითი ძველი ბიჭი — დედიკოს ბიჭების წინააღმდეგ. ფეხქვეშ გასრისა სამი ჰიპერბოლა და ოთხი ლიტოტესი, მერე ერთი მოყვითალო მეტაფორაც ამოაფურთხა და მუჭა ეპითეტები ჩაახველა. ქრისტესთან გაბუტული გენიოსები ზნეობის დანგრევით იმუქრებიან. ტიტანომაქია. გეამ ქვესკნელიდან ამოუშვა ჰეკატონხეირები. კრონოსმა მამის ბედი გაიზიარა. მახვილით მოსული მახვილითვე მოისრას. ჩვარში გახვეული ლოდი გადააყლაპეს. „ღმერთი კი მოკვდა“*. გაბუტვა მდედრის თვისება მეგონა, ქალის ატრიბუტი. ზნეობის ქომაგი უცოდველი უნდა იყოს. ძველი ზნეობის დანგრევაც უცოდველის სისხლს მოითხოვს. თქვენს შორის უცოდველმა მარცხენა ლოყის მიშვერა ამიკრძალოს. გაბუტნენ უცოდველები. „ღმერთი კი მოკვდა“.

— აბა, აბა, შემდეგი წინადადებაც ამოიკითხეთ. მე მაინც მგონია, რომ დროა პროზა და პოეზია საზღვრების გადასინჯვას შეუდგნენ. ქვის ხანა გვიახლოვდება. — ქოთქოთებდა მაიკ ტეფტი.

— და მაინც, რომელი იყო უწინარესი, აი კიდევ ერთი საკითხავი!

— რას გულისხმობ? — აფრუტუნდა ჯეკ ეროუ.

— პროზას და პოეზიას, რა თქმა უნდა. — უპასუხა მაიკ ტეფტი და გაუღიმა, იმისა ნიშნად, რომ თანამოსაუბრის ტვინთან შედარებით ქვის ხანაც პროგრესი იყო.

— რომელი იყო უწინარესი?

— ხელნაწერებს და არქეოლოგიურ მასალებს თუ ვენდობით, პოეზია.

— ხო, მაგრამ პოეზია მუსიკის იმიტაციას წარმოადგენს.

— პოეტს ესმოდა ის, რასაც ამბობდა, რიტმიანი და ჰარმონიული.

— შენ გინდა თქვა, რომ ისინი ჯერ მღეროდნენ და მერე ამ ნამღერს ინერდნენ?

— ვერ დაწვრილმანდები, სულთა გადასახლებით ცხოვრებაში არ დავინტერესებულვარ და საიდან უნდა ვიცოდე, რა ხდებოდა ბრინჯაოს ხანაში?

— ყავა მიირთვი, შენი სულისა. — აფრუტუნდა ჯეკ ეროუ და რიგით მეთე ქიქას მიაძღა. მერე ფურცლების დასტას ისე გადახედა, შუბლზე ეწერა, აზრად რაც მოუვიდა. ტვინში ერთადერთი ფიქრი ჩაეხლართა, ნეტავ ამ ფენებს მხოლოდ სენდვიჩის გასახვევი ქაღალდის ფუნქცია ჰქონდეს და რედკოლეგიის ატრიბუტიკა ლორის ნაჭრიან ფუნთუშებსაც ითვალისწინებდესო, მაგრამ იმედგაცრუების ნიშნად მხოლოდ

ხმამალა ამოიხვნემა და ყოველი შემთხვევისთვის დაატანა:

— პროზა თუ პოეზია...

„ბიჭმა გოგონას სამუდამო სიყვარული შეჰვიცა და თავისი სიტყვები იმით დაუდასტურა, რომ ყველაფერი უსახსოვრა: ცაში მზე და ვარსკვლავები, მიწაზე ზღვა და ხმელეთი — ყოველივე შენთვის მემეტებაო. მაშინ გამოდის, მეექვსე დღეს შექმნილ ადამიანს ღმერთმა უბრალოდ სიყვარული აუხსნა, ირგვლივ მიმოახედა და მერე გამოუტყდა. ანგელოზს შეშურდა ღმერთისა და კაცის სიყვარულის. ერთხელაც პოეზია დაორსულდა და შვა პროზა დიდი ტანჯვა-წამებით. გიჟური რიტმით ცხოვრობს თანამედროვე ადამიანი. მე თუ მკითხავ, მას საერთოდ არ აქვს რიტმის შეგრძნება. მანქანის საყვირებმა დააყრუეს. პოეტს ლექსი ესმოდა ბრინჯაოს ხანაში. მათი ცხოვრების რიტმი იყო საყვირივით ჟღერადი. უმეტესად მაინც ესმოდათ და ცოტას ლაპარაკობდნენ. ამგვარად მოსმენილს და გაგონილს ბერძნებმა მუზა უწოდეს. „გრცხვენოდეს, რომ პითია ხარ.“* „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ და პოეტს კარნახობდა. ესეც იცოდა მოძღვრის მოძღვარმა* და შემოქმედს გამოუწერა ერთადერთი მიქსტურა: „ბუნებას მიბაძე.“ „ოსტატმა ხის სანოლი გამოთალა.“ ყველაფერი ნათქვამია, ჩვენ მხოლოდ ვიმეორებთ. ოლონდ — იმეორებდნენ ისინიც. მინას კოჭლობით მოუყვება ბარძაყამონაცი იაკობი. ნიცშეგამონაცვალია ყველა მეოცესაუკუნელი. საუბმედ მიირთვეს ფსიქოანალიზი, საამო დესერტი კოჭლი სიფილიტიკის მოსანელებლად*. პოეტებს ლექსი ესმოდათ. რას ჩურჩულებდნენ ბრინჯაოს ხანის მუზები? ქადაგებისთვის ბაზარი საუკეთესო ადგილად ეგულებოდა. ჯამბაზმაც სწორედ ის აირჩია. ზოროასტრიზმის დაგვიანებული პროპაგანდა. გემს გაყევი, სივრცე შეიცვალე და დროსაც შეიცვლი, მთელი თორმეტი საათით. პროზამ რა დააშავა? მუდამ უნდა ეცვას პოეზიის გამონაცვალი. ახალი კაბა შეუქერეთ. თუ ბიჭია, ახალი შარვალი არგუნეთ, ოლონდ არა ბარძაყამონაცვალი სიფილიტიკის.“

— ბატონო პიტერ, თქვენ რას გვეტყობდით? ჩვენი დიალოგის ხომალდს ისევე ჩაძირვა ემუქრება, გთხოვთ, აი ამ საჭეს მიხედეთ. — ფანჯარასთან მდგარი პიტერ პერსონი მაიკ ტეფტიმ შეაფხიზლა და მაგიდისკენ მიუთითა.

— აბა, გისმენთ. პროზა თუ პოეზია, გაგვეცი პასუხი.

— მუსიკა.

— უკაცრავად, მგონი მომესმა, რას გულისხმობთ?

— მუსიკას.

— ეტყობა, სხვა რამეზე ფიქრობდა. — ჯეკ ეროუმ გვერდზე მჯდომს ჩაუჩურჩულა და ჩაეცინა.

— გმადლობთ. დღევანდელ კამათს დასრულებულად ვაცხადებ.

— გთხოვთ, გაამზადოთ რეცენზიები.

„მიმაბით, ბოძზე მიმაბით. მე ამ ხმას მო-

ვისმენ." კაცები ქალებს სამარცხვინო ძელზე აკრავენ. კაცებს სამარცხვინო ძელი თან დააქვთ, ზედ ქალები რომ გააკრან. დაითვალეთ თქვენს სამარცხვინო ძელზე გაკრული ქალების რაოდენობა და მერე საფლავის ქვაზე მიიწერეთ. რა არის გზა მისი გულისკენ? პასუხი მაქვს, მაგრამ მემარტივება. ნუთუ მხოლოდ მუსიკა?! დმერთს უსულო საგნებიც უმღერიან: მთები, ქეები და ბორცვები. მე რა ვუმღერო მერი სტიუარტს? ოთხი ხელი რომ მქონდეს, ორით დავუკრავდი და დანარჩენი ორით სამარცხვინო ძელზე გავაკრავდი, — მერი სტიუარტს მოვეხვეოდი. რატომ არა მაქვს ოთხი ხელი? სად დავესესხო რომელიმე ვიშნუს? მერი სტიუარტის გულის მოგებას ოთხი ხელი სჭირდება. პირით კი საქორწინო ბეჭედი უნდა გეჭიროს, როგორც საახალწლოდ დაკლულ გოჭს ერთი თავი ბოლოკი. ნუთუ შამფურზე უნდა შევიტრუსო? ძელზე მიმაბით, მიმაბით ძელზე*, მე ამ ხმას მოვისმენ და წყლისკენ არ გავექანები ვაბურებულები თავის დასახრჩობად. — იხვეწება ითაკის მეფე ოდისევსი. მას კი დავინყებთ მღვიმეში ნექტარს აწვდიდა ქალღმერთი კალიფსო. როგორ მოვიგო მერი სტიუარტის გული. ნუთუ მისი არსება მხოლოდ ბგერებით იწყება? ჰაერის ხმაურიანი მოძრაობით? „იქმენინ ნათელი! და იქმნა ნათელი.“ „და იყო მწუხრი და იყო განთიად — დღე ერთი“. პირში ბოლოკგაჩრილი საახალწლო ბურვაკივით ბეჭედმომარჯვებულმა სამუდამო სიყვარული უნდა შეეფიცო. ინდოეთში მოგზაურობა მჭირდება. ქალღმერთ ვიშნუს ორი ხელი უნდა ვესესხო, თვითონ კი დურგას დაესესხება. ანდა გადმომიგზავნონ, ტრანსპლანტაციის პროგრამით. ორი ხელი გამომიწერეთ, თუ შეიძლება, ორი ზედმეტი ხელი. ვის აქვს ზედმეტი ხელი? და ვისაც გინდათ, აი მაგალითად, ვიშნუს. თავის დროზე ჩემს ახლობელს ჰქონდა ზედმეტი თირკმელი. კაი ფასში გაყიდა. რა გახდა ამ ორად ორი ხელის ტრანსპლანტაცია. ნადით და იმ აგრესიულ ვიშნუს მოაჭერთ, ისედაც ზედმეტი მოუვიდა. მერი სტიუარტის გულის მოგებას ოთხი ხელი სჭირდება. ორით უნდა დაუკრა და ორით უნდა გააკრა სამარცხვინო ძელზე, ყველა კაცს რომ დააქვს თან, ერთადერთი ფუნქციით, არა, ვცდები, მეორე ფუნქციაც აქვს — ზედმეტი სითხისგან სხეულის გათავისუფლების. რა ძუნწი ყოფილა ეს შენი ვიშნუ. ამხელა ქალღმერთია და ჩემთვის ორი ხელიც ვერ გაიმეტა, მერი სტიუარტის გული რომ მოვიგო. მერი სტიუარტს მოსაფერებელი სიტყვები არ უნდა უთხრა, არც მიუძღვნა, არც დაუნერო, უნდა მოასმენინო, როგორც პოეტებს ესმოდათ თავიანთი ლექსები ბრინჯაოს ხანაში. განვედ, პროზავ და პოეზიავ! მუსიკავ, მოვედ და დამკვიდრდი ჩვენ შორის."

VII თავი

სახელმწიფო ორკესტრისა და კაპელის ხელმძღვანელი სერ თომას პენნერი უცნაური მანერით დირიჟორობდა. დილექტანტებს ეს ყოველთვის ეზედმეტებოდათ, თუმცა მცოდ-

ნეები სხვაგვარად ფიქრობდნენ. მათი აზრი ძირითადად ორად იყოფოდა, ორი უკიდურესი პოზიციით. ნაწილი თვლიდა, რომ ამ საქმის შესახებ მან უბრალოდ არაფერი უნყოდა, ნაწილმა კი ის ლამის ორფევესს გაუმეზობლა, ალბათ, სადღაც, მითიურ სივრცეებში დასასვენებელი რანჩოები ერთად იქირავეს, ორფევესმა და სერ თომას პენნერმა. თუმცა მისი დირიჟორობის მანერას რაც შეეხება, საკითხის გამოსაკვლევად ამ საქმის ზოგი კონკრეტული დეტალის მიმოხილვა მოგვიწევს.

ლონდონის ცენტრალური მუზიკჰოლი სულ რამდენიმე დიდმა მუსიკოსმა დალაშქრა, დანარჩენებს ამისთვის მკლავის სიგრძე არ ეყოთ, ან შეიძლება ფეხის ზომაც, მაგრამ უფრო, ალბათ, ნიჭი. ამათგან სერ ალან დემპტერი, როგორც ამას პროფესიონალები ამბობდნენ, მტევნების დირიჟორი იყო, რაც იმას გულისხმობს, რომ ორკესტრის ფლეგმატური ლოცმანი ხომალდს მხოლოდ მტევნების მცირე და ზუსტი მოძრაობით მიერეკება. ის ზურვით დგას მაყურებლის წინაშე, როგორც მესაჭე მთავარი ანძის მიმართ და მისი პრინციპული ინსტრუმენტი მსმენელს რჩება თვალსაწიურის იქით. მაყურებელს მხოლოდ ვინროდ აკეცილი იდაყვების მსუბუქი მოძრაობა შეუძლია შეამჩნიოს, დანარჩენი კი საიდუმლოა და უცხო მზერისთვის მიუწვდომელი.

სულ სხვაგვარი იყო სერ ჰომერ რიბლის დირიჟორობის მანერა. ასეთი კატეგორიის მესაჭეებს პროფესიონალი მუსიკათმცოდნეები მკლავების დირიჟორებს უწოდებენ. ისინი ფართოდ შლიან ორ ზედა კიდურს, როგორც არწივის მართვე ფერენისას და ასე ლალად მიაპობენ აზვირთებულ ტალღებს მელოდიის ოკეანეში. მათი დამხმარე ინსტრუმენტი ხშირად მკაფიო და მეტყველი მზერაა, ანდა ერთი მკაცრი გამოხედვა, რომელიც შედეგად ზუსტ და საჭირო ბგერას მოიტანს. მას თავყვანისმცემელი არასდროს გამოლევია, თუმცა მისი შემოქმედების დასასრულს, არ ვიცი, ამგვარი მითქმა-მოთქმა ავის მსურველმა, ან უბრალოდ ვინმე ენაჭრატალა მოლაყბემ ჭორად თუ გაავრცელა, მაგრამ ფაქტია, რომ მუსიკის მოყვარულთა რიგები ერთმა შემზარავმა ამბავმა აიკლო. ამბობდნენ, „კარმინა ბურანას“ პირველი ნაწილი მან სრულიად სუბიექტური მიზეზების გამო დაამუშავაო. თურმე „ო ფორტუნა“-ს აკაპელით ოდესღაც ოკულტური რიტუალებით გატაცებული სექტანტების ხროვა ქვესკნელიდან ბოროტ სულებს იხმობდა, ჰოდა კარლ ორფის მარადი თავყვანისმცემელი, სერ ჰომერ რიბლი, სწორედ ამგვარი რიტუალის შუა სცენაზე ფარული იმიტირების ბრალდებით გაასამართლეს. სასამართლო, რა თქმა უნდა, მხოლოდ კრიტიკოსების მდარე შეფასებებს და თავყვანისმცემლების ავ მითქმა-მოთქმას გულისხმობდა, მაგრამ ფაქტია, რომ „კარმინა ბურანას“ ოდესღაც შეენირა დიდი მუსიკოსი, სერ ჰომერ რიბლი, რომელიც ამ ამბების შემდეგ სცენაზე აღარც უხილავთ.

სწორედ ამგვარი ფატალური გაურკვევლობის გამო სერ თომას პენნერის გადანყვეტილება, რომ სამუდამოდ ტაბუდადებული საყვარელი ქმნილება ისევ გაეცოცხლებინა გრანდ მუზიქჰოლის ცენტრალურ სცენაზე, დიდი გაბედულება გახლდათ და საბედნიეროდ, მისი რისკი ამჯერად გამართლებული აღმოჩნდა. თუმცა მთავარი საკითხი მხოლოდ კრიტიკოსების გამოხმაურება, ან მაყურებლის მოლოდინის გამართლება არ იყო. არსებით მხარედ, ისეთი მუსიკალური ვეშაპისთვის, რასაც „კარმინა ბურანა“ წარმოადგენს, სწორედ დირიჟორის პროფესიული მანერა გვევლინება. როგორ გაიგებს მას შტურვალთან მდგომი გამოცდილი ლოცმანი და ამ აზვირთებული მელოდიის ტალღებს როგორ გაუმკლავდება.

სერ თომას პენნერს ჰქონდა ორმაგი განათლება, კონსერვატორიის აკადემიური და სარეჟისორო. თავისი რჩეული საქმის შესასრულებლად ამ ორმაგ ცოდნას ის შესანიშნავად იყენებდა. ამიტომ მისი გადანყვეტილება, რომ „კარმინა ბურანას“ დაძლევა სტანდარტული „მტვენის“ ან „მკლავების“ მანერით ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა, სწორი აღმოჩნდა. სერ თომას პენნერმა გრანდ მუზიქჰოლის ცენტრალურ სცენაზე გაცოცხლებულ კარლ ორფს, თამამად შეიძლება ითქვას, სრულიად ველური მანერით უდირიჟორა. და როგორც ოდისევსის მეზღვაურებს – სირინოზები... ამბიონზე შემდგარი კაპელის ორმაგი ფორტე მომაჯადოებელი ბგერით ისმოდა. მათ წინაშე იდგა მუსიკის მესაქე ოთხი მოძრავი კიდურით, რომელიც ამ დროს ძალიან ჰგავდა ინდური ტრიმურტის მესამე წევრს, მრისხანე ვიშნუს მამრობით სქესში.

სახელმწიფო ორკესტრს და კაპელას შემოდგომის საღამოების ბოლო გამოსვლა „მეცხრეთი“ უნდა დაეხურათ, მაგრამ კარგად იცოდნენ, რომ მაყურებელთა შეძახილი — „ბის“ „კარმინა ბურანას“ პირველ ნაწილს მოითხოვდა და სწორედ ამიტომ კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე ისინი „Fortuna“-ს დასაწყისს იმეორებდნენ. სერ თომას პენნერი თავისი ოთხკიდურიანი ჯადოქრობის რიგით სანახაობას აწყობდა, მისთვის ჩვეული რისხვიანი მენვრილმანეობით, მაგრამ, სამწუხაროდ, თავიანთი ყოველდღიური საზრუნავით თავმოებურებულ ორკესტრანტებს უხვკიდურიანი ვიშნუს მამრი რეინკარნაციის აღქმის ყველანაირი უნარი დაჰკარგოდათ.

დარბაზის ქვედა სცენაზე განთავსებულ ორკესტრს და ამბიონზე – კაპელას ოთხკიდურიანი ვიშნუ უხსნიდა იმას, რასაც პარტიტურაში ვერასდროს ამოიკითხავდნენ. ეს იყო მუსიკალური სანსკრიტი და მას მხოლოდ ბრაჰმანი თუ შეიცნობდა.

— თქვენ იცით, რას ნიშნავს პირველი სეპტიმა? ამბობდა ის. — თქვენ მას ცალ-ცალკე მღერით, მე კი ეს ერთ მთლიანობად მჭირდება, როგორც გამოძახილი და ექო, თითქოს დასარტყამმა დაჰკრა და თქვენ უპასუხეთ, ეს სეპტიმა არის თანმიმდევრულიც და ერთ-

დროულიც. წარმოიდგინეთ, რომ დგას მრისხანე და ბრმა თემიდე, სასწორით და მახვილით. მომწოდეთ თქვენი ვიოლინო. გმადლობთ, აი, სასწორი... წარმოიდგინეთ? ძალიან კარგი. ჰოდა ეგ თქვენი სეპტიმა თავისი ორი ბგერით, იგივეა, რაც თემიდეც სასწორი და მისი ორი პინა. ხედავთ? თემიდეც არ იცის, რომელი გადანონის. ეგ ბედისწერის გადასაწყვეტია და აი ეს ჯადოსნური სეპტიმა სწორედ იმ ბედისწერას იხმობს, რომელმაც უნდა გადანონოს. გასაგებია? სეკუნდიანი დისონანსი და ოქტავის კონსონანსი. აბა ეს რას ნიშნავს, თუ მეტყვით?

— ორი პინის განონასწორებას.

— ბრავისიმო. შაქარი შენს პირს. ზუსტადაც ამას ვგულისხმობდი. პირველი მარცვალი მკვეთრი, მეორეც ისეთივე, მესამე და მეოთხე განელეთ და ბედისწერის ქარიშხალი თქვენს თვალწინ დატრიალდება. აბაააა, გაემზადეთ!

ლუზა ამოზიდეს და ლოცმანმა საჭე მოიმარჯვა. კაპელის თეთრი სამოსი ჰგავდა ნაკეცებიან აფრებს, ქარის მიმართულებით შეფენილს, ორკესტრის ვეება სხეული კი ხომალდის კიდურებს. ნუთიც და მათ ზღვაში შეცურეს. „Fortuna! ve-lut Lu-na. sta-tu va-ri-a-bi-lis“. ოთხკიდურიანი ვიშნუ კი ჯადოქრობას შეუდგა.

— გამაგონევეეთ! ააზანზარევეეთ! ბოლო მარცვალი გამინელე, კარგია. იგივე მეორე ფრაზაში... იგივე მეორე ფრაზაში. დამთავრდა... გაისუსეთ... გაისუსეთ... ჩურჩული... ჩურჩული, საზარელ საიდუმლოს ჩურჩულებთ, საზარელ საიდუმლოს ჩურჩულებთ... თქვენ თვითონ გზარავთ... თქვენ თვითონ გზარავთ... ორმაგი პიანო... აქეთ სქილაა, იქით ქარიბდისი... ჩურჩულებთ, ჩურჩულებთ... ცოტა ხანში ურჩხულების ყფა გაისმება... ჩურჩულებთ, ვიდრე აზანზარდებით...

გაისუსეთ, გაისუსეთ... მოემზადეთ, ცოტა ხანში გამოჩნდებიან, საფრთხეს ზურგის ტვინით გრძნობთ, ჩუმი განგაში, შემზარავი საიდუმლო... მოგიახლოვდნენ, აყეფდნენ, აყეფდნენ... განგაში, სივრცე ააზანზარეთ, სივრცე ააზანზარეთ, შემოჰკარით ყველა ზარს, ცის თალები ჩამოიქცნენ, ცის თალები ჩამოიქცნენ, ჭექა-ქუხილი გაიკლაკნა, სივრცე ააზანზარეთ... სივრცე ააზანზარეთ... ბოლო შეძახილი, ფორტე სამაგია... ბებერ ატლანტს მკლავში ძარღვი გაენასკვა... ცის თალი ჩამოპირქვავდა... ცის თალი ჩამოპირქვავდა. უფრო მეტი... უფრო მეტი, აი ასე... აი ასე...

„quod per sor-tem ster-nit for-tem, me-cum om-nes plan-gi-te!“

და ბოლო ბგერის შემდეგ ყველამ იგრძნო, რომ ამ ნუთას გაშლილ ოკეანეში იყვნენ, აფრების და ხემიანი ნიჩბების ამარა, თავზე კი მათ ბედისწერის ქარიშხალმა გადაუარა.

ვიშნუმ კი ზურგქვეშ შეიკეცა ოთხი გაშლილი კიდური და ჩვეულ მენვრილმანეობას შეუდგა:

— ახლა კი შენიშვნები.

— ო, რას დაგვასაჩუქრებს.

არ გაავიგოს.

— თქვენი ვიოლინო ჭრიჭინებს. ჭრიჭინი ვიცი მხოლოდ ორღობეში მიმავალი ურმის, თქვენ კი სამყაროს ცის თალის ჩამოქცევა უნდა აუნყოთ. როგორ გგონიათ, აი ამ ჭრიჭინით, თუნდაც ერთ ძილგამფრთხალ მანანნალას გამოაღვიძებთ? თქვენ უნდა ყველა სულიერი შეაფხიზლოთ კიდიდან კიდემდე. ატლანტს მკლავი დაეღალა, ცა გადმოპირქვავდა და გრგვინვაგრიალით თავზე ცა უნდა ჩამოგექცეთ, თქვენ კი ჭრიალებთ, როგორც ბორბალმორღვეული ურემი. აბა ეს საქმეა? მე მინდა, სივრცე ააზანზაროთ.

— ქორო, თქვენ კი მუდამ მიდაბლებთ, მერე ისევ დააბალანსებთ, ისევ დამიდაბლებთ, დააბალანსებთ. ასე არ გამოვა. ნუთუ სადმე კოჭლობით მომავალი ზევსი გინახავთ?! თქვენს ბგერებში ის კოჭლია და ძლივს მოჩაქჩაქებს, სინამდვილეში კი, ყოველი მისი ნაბიჯი ცაზე ელვად იკლაკნება, სამყარო ზანზარებს, ცის თალი ვერ უძლებს მოსალოდნელ რისხვას. და ამ დროს თქვენ რას აკეთებთ? კოჭლობით, ანუ ადაბლებთ. ასე არ გამოვა. ჰაერი ღრმად შეისუნთქეთ და ზედა ბგერა თამამად შემოჰკარით.

— ნეტა რა ესმის? მაგისი ხნის ქვა აღარ დაგორავს.

— ალბათ, ანგელოზები ეჩურჩულებიან. — ალტმა ჩაიხითხითა და მის გვერდით რამდენიმე საც ჩაელიმა.

- კერძო საუბრები!
- გამოგვიჭირა.
- მოკეტე, თორემ ჩვენც მიგვაყოლებს.
- ალტი მარცხენა ფლანგიდან!
- დიახ, გასაგებია.
- ჰოდა, ძალიან კარგი. ახლა კი, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ.

დაახლოებით ამგვარი იყო სერ თომას პენერის ოთხკიდურიათი ჯადოქრობა და ვიდრე მერი სტიუარტს პიტერ პერსონის უცნაური ვიზიტებით მოგვრილი სენი შეინირავდა, ის სწორედ ამ მამრი ვიშნუს რეინკარნაციის მსხვერპლი იყო, დიდხანს და წლებს მანძილზე.

სამუშაო დღის შემდეგ კი, მერი სტიუარტს თავისი მეგობარი, ასევე სოპრანო და ასევე გაუთხოვარი კლაუდია კორრი ეწვია. მერის ნებისყოფამ უმტყუნა და სტუმარს ყველაფერი უამბო ახლად გამოჩეკილი თაყვანისმცემლის შესახებ, რომელიც რატომღაც ყოველ მოსვლაზე თითო ლარნაკს ამსხვრევდა და სანაცვლოდ მერის გული მოიგო. ნეტავ, უფრო რამ იმოქმედა მერის ფაქიზ გრძნობებზე, დამსხვრეული ლარნაკების უსუსურმა ნამცეცებმა, თუ წარმოსადეგი მამაკაცის ყურადღებამ? ამის გარკვევას კლაუდია კორრი და მერი სტიუარტი საერთო ფსიქოანალიტიკური მსჯელობის შედეგად ცდილობდნენ და სასურველი დასკვნების გამოსატანად ძია ზიგმუნდი დაიხმარეს.

- ვინ არის და რა ჰქვია?
- „ლიტერატურული დრონი“-ს მთავარი რედაქტორი.
- პიტერ პერსონი. რა სასიამოვნოა. აბა,

კარგად მომიყევი რა ხდება.

— მოსაყოლი არც არაფერია. სულ ორი ლარნაკი დაიმსხვრა.

— ეს არის და ეს?

— მეტი ჯერჯერობით არაფერი. ტელმა, ჩაი მოგვიტანე.

— გმადლობ, სიხარულო. აბა კიდევ აფლურტულდი, მეტი მიამბე, ჩიტუნო.

— ამ დღეებში მატარებელმა გადამიარა. ლიანდაგების ქვეშ, გვირაბში გავდიოდი, მან კი ზემოდან გადაიგრუხუნა. ასე რომ, კარგად მესმის ანნას ტრაგედიის.

— ხელზე მოგიტათუნა?

— არა.

— მკერდზე?

— არც მკერდზე.

— აბა, სად? არ მითხრა ახლა უკანალზეო?

— თქვა კლაუდიამ და მთელი მისი კნინობით-ალერსობითი ტონის შეუსაბამო უხეში და მამაკაცური სიცილით გადაიხარხარა.

— არადა, მუსიკას ბომონი დავუდგი. აი აქ, ამ ოთახში... არა, ვცდები, ჩემს ოთახში... ქალები მამაკაცის სიყვარულისთვის ყველაფერს გასწვდებიან, ოქროს სანმისსაც კი, მე კი ჩემს კერპს ვულალატე. სანაცვლოდ — ვინ? ვიღაც პიტერ პერსონი, რაღაც „ლიტერატურული დრონიდან“. ათენა პალადა ამას არასდროს მაპატიებს.

— ოჰ, რა გემრიელი ჩაია. რამდენჯერ დაგესიზმრა?

— ყოველ ღამით მესიზმრება.

— მერე? რამდენჯერ დაგაორსულა?

— ათასჯერ.

— რა მარდი ყოფილა, ეს ადამიანი მეც უნდა გავიცნო. ახლა კი დეიდა კლაუდიას მოუსმინე.

— კლაუდიამ ფინჯანი ლამბაქს დაახეთქა, სახე მოიმინშენელოვნა და დაიწყო: — მათ საერთო სენი ანუხებთ, მუდმივი ავადმყოფობა, დედის მუცლის ცხრათვიან კომფორტს დაეძებენ ყველგან და ყოველთვის. სანაცვლოდ რას პოულობენ? ქალის საცვლებს, ბავშვის საფენებს და საკუთარ მოზრდილ ღიბს. ზოგს ამ ჩამონათვალის იმდენად ეშინია, რომ თავს იმთავითვე იზღვევენ. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს გამოგეცხადება ეგ შენი პიტერ პერსონი და გაუნყებს, რომ თქვენ მხოლოდ მეგობრებად დარჩებით, რადგან დიდი ხანია უყვარხარ, როგორც პატარა დაიკო. „ცუნცულ, დამეხმარე და დედა მომაძებნინე!“ ასე იტყოდა ზიგმუნდის ოიდიპოსი და გირჩევ დაეთანხმო.

— ბოლოს ზიგმუნდი თავის თეორიას გაებუტა.

— ეგეც კარგად მომეხსენება. რაღაც ერთუჯრედიან ორგანიზმს შეადარა ადამიანის სიცოცხლე. ნინა ცხოვრებაში, ვიდრე ნაიფსიქიატრებადა, ნერვულ უჯრედს იკლევდა და სიბერეში ნოსტალგია მოაწვავდა, როგორც ჩანს. ჰოდა, ადგა ეს შენი ზიგმუნდი და ამ ერთუჯრედიანის მიხედვით დაასკვნა: „ნამდვილი მიზანი ყოველი სიცოცხლის არის თვითდესტრუქცია, ანუ ყოველი ცხოვრების საბოლოო წერტილი,

საბოლოო მიზანი სიკვდილია-ო”* – ბრძანა ბატონმა ზიგმუნდმა და ნაცისტურ ავსტრიას განემორა ლონდონს შინა. ჩაი მოსვი, სიხარულო, თორემ სულ გაგიცივდა.

– სიკვდილი არის არა სხვისგან მოტანილი შედეგი, არამედ ჩვენგან დასახული მიზანი, რომლისკენაც ყოველდღიურად მივილიტვით. ალბათ, ამის თქმა სურდა, არა?

– ზუსტადაც. მანამდე კი, ყველა მამრი საკუთარ მშობელთან დააქორწინა. ბოლოს მობეზრდა ბებერი ინცესტი და სიკვდილს მიაძღა. თავნება ტვინის პატრონი იყო ჭეშმარიტად. ცხვირის ყველგან ყოფდა, სადაც არ ეპატიუებოდნენ.

– მან უბრალოდ საკუთარი თეორიის სანინალმდეგო შექმნა, სიამოვნების პრინციპის მიღმა და ამით დაამტკიცა, რომ არ იყო მონა თავისი ნათქვამის.

– ნუ გამოესარჩლები, სიხარულო. დამერწმუნე, მას დღემდე არ აკლია გულუხვი ქომაგი. შენი ჩაი კი სრულიად აღარ ვარგა. ამას პატარა ცუგაც აღარ შესვლევს. ჯობია ტელმა მოიხმო.

– არა, ვეღარ დავლევ. შენ იცოდი, რომ „ყველა მამაკაცი ქალის სახით ეძებს უხიფათეს სათამაშოს“*?

– ეგ ვინ არის, ტვინმონამლული სიფილიტიკი? ჩემო სიხარულო, ქალებს იმდენი სიბრძნე კი ჰყოფნით, რომ გონებრივი შეზღუდულობა გაითამაშონ. მამაკაცებს მხოლოდ თავიანთი ხილული და უხილავი სხეულის სიგრძე-სიგანის დემონსტრირება ხიბლავთ. არადა, როდის გაიზრდება მამაკაცი? როდემდე უნდა კვებოს ის ჩვენმა ჯიქანმა?

– მე კი მეგონა მუხიკით ვიკვებებოდი. ბინძური მოლაღატე რისი ღირსია?

– ცხელი ჩაის, სიხარულო, ცხელი ჩაის, რომელიც გაგიცივდა.

– ოჰ... ტელმას დაუძახე.

– მგონი, უკვე გაიგონა. რაო, რა თქვი, „ლიტერატურული დრონიო“. რამე ხომ არ ნაკითხე?

– მკითხა, მაგრამ გვერდი ავუქციე.

– თავადაც წერს, ალბათ. ნეტავ პროზას თუ პოეზიას?

– ალბათ, პოეზიას, უფრო დავაფასებდი. გმადლობ, ტელმა.

– მიირთვი, სიხარულო, ამჯერად მაინც არ გაგიცივდეს. მე კი პოეზიას არ ვცნობ. პრიმიტივიზმის გადმონაშთია, შეზღუდული ხატოვანი აზროვნების. არადა, დიდი ხანია ადამიანი კონკრეტულიდან აბსტრაქტულამდე ამაღლდა. ესენი კი ისევ სახეებით მეტყველებენ. რაღა დროს სახეებია, როცა იდეა ლამის აღივავოს პირისაგან მიწისა?! რა არის სახე, თუკი მის უკან იდეა არ მიჭვრიტინებს?

– პლატონმა გადარაზა იდეათა სამყარო, ჭიმკართან დიდი აბრა გააკრა: „შემოსვლის მსურველებმა იკითხეთ ფედონი.“ ქამარზე გასაღების ასხმა ჩამოიცვა და ასე დაჩხრიალებს ჩვენს ჯინაზე და ჩვენს გასაგონად.

– შეუძლია მემკვიდრეობით გაიფორმოს

და სამუდამოდ დაეპატრონოს, სადმე იქირავოს რომელიმე ცერბერი. აქ დედამინაზე იდეა აღარავის სჭირდება და მით უმეტეს იდეები და „იდეათა სამყარო“ – კიდევ უფრო მით უმეტეს.

– მე მუცლად ვიღებ ოქროსკულულებიან თეზევს და ის განგმირავს ბებერ მინოტავრს.

– ახლა კი, უნდა ნავიდე, ძვირფასო არიანდე. დაიმახსოვრე, ის ეძებს დედას და ვერ პოულობს, ტრაგედიისთვის კი სამაგიეროს შენ გადაგიხდის, ჩემო ცუგურუმელავ.

კლაუდია კორრი კიბეს ლილინ-ლილინით ჩაუყვავა და ზუსტად იცოდა, უახლოეს დღეებში პიტერ პერსონის რედაქციას რომ უნდა სწვეოდა. იქ კი დახვდებოდა ყველაფერი, მხოლოდ და მხოლოდ მისთვის სახალისო. მერი სტიუარტს ჩაი მეორედ გაუცივდა.

კომენტარები:

„leon se'n va, Leon se'n va! pour toujours!“ – ფრაზა თ. დოსტოევსკის რომანიდან „იდიოტი“.

„ქალს კი მუშტრიდან მუშტრამდე შენდობას ჰპირდებოდა ნანკიანელი ქრისტე“ – რემინისცენცია აკუტაგავა რიუნოსკეს მოთხრობიდან „ნანკიანელი ქრისტე“.

„მოხუცმა ნაპირზე მხოლოდ თევზის ჩონჩხი გამოიტანა“ – რემინისცენცია ერნსტ ჰემინგუის მოთხრობიდან „მოხუცი და ზღვა“.

„ღმერთმა უწყის ვინ ლოთმა სიფილიტიკმა ატარა...“ – ფრაზა ჯეიმს ჯოისის რომანიდან „ულისე“.

„კლდიდან მოფრინავს ბაკ მალიგანი...“ – რემინისცენცია ჯეიმს ჯოისის რომანიდან „ულისე“.

„გრცხვენოდეს, რომ პითია ხარ“... – რემინისცენცია პოლვალერის აზრების კრებულიდან „სულის კრიზისი“.

„კოჭლი სიფილიტიკი“... – რემინისცენცია ჯეიმს ჯოისის რომანიდან „ულისე“.

„ღმერთი კი მოკვდა.“ – რემინისცენცია ფრიდრიჰ ნიცშეს ფილოსოფიური ტრაქტატიდან „ესე იტყოდა ზარათუშტრა.“

„მოძღვრის მოძღვარი“ – იგულისხმება ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი.

„ძელზე მიმაბით...“ – ჯადოსან კირკეს რჩევით ოდისევსმა თავის მეზღვაურებს ყურები ცვილით დაუცო, ხოლო სირენების ხმა თავად ბოძზე მიბმულმა მოისმინა და დაღუპვას ამგვარად გადაურჩა.

„ყოველი სიცოცხლის მიზანი სიკვდილია“ – რემინისცენცია ზიგმუნდ ფოიდის ეტიუდიდან „სიამოვნების პრინციპის მიღმა.“

„ყველა მამაკაცი ქალის სახით ეძებს უხიფათეს სათამაშოს“ – გამონათქვამი ფრიდრიჰ ნიცშეს ფილოსოფიური ტრაქტატიდან „ესე იტყოდა ზარათუშტრა.“

გაგრძელება იქნება



დათო ახლოური

როგორი ქართლელიაო, —
ჩემზედაც უთქვამთ
იმ დღესა.
თურმე ნუ იტყვით
მაგანი,
თავს ისე
გამოიდებსა,
მთიულობით ხომ
მინუნებს,
უშნოდ ქილიკობს
კიდეცა...
ვერ მოიშაღეს
სიავე,
იქმნენ
მგონია
იმდენსა,
სანამ
მაგათი დედაი
თვალთ
ცრემლს არ
გამოიდენსა.

ეხეტილობ შენს ქუჩაზე ეული და
გულში ისევ ბინდისფერი ბატონობს.
თითქოს სული გაქცეულა სხეულიდან,
დამტოვე და არ მინდა, რომ დამტოვო.

დავემზობი, მივეცემი დავინყებას.
ნასვლას შევთხოვ ბედისნერას ვადამდე.
ამ სალამოს ღვთისმშობელი გამინყრება,
რადგან ვიცი, ბინდისფერი ვადამრევს.

გაიელვებს ამღვრეული იანვარი,
ლამეები — ვნებიანი, თავხედი...
გვეგონა, რომ ასკდებოდა ლიახვს მტკვარი
და სიგიჟეს ვერავისთან ვამხელდით.

მაგრამ ახლა, ლანდი ვარ და ეული ვარ,
უშენობამ ცრემლი გამიბატონა...
თითქოს სული გაქცეულა სხეულიდან,
ვინც მიყვარდა — ნავიდა და დამტოვა.

აგვისტოს გახსენება

ვუყურებ ზეცას თვალცრემლიანს,
მინას — ნამიანს.
შავი ღრუბლები დაჰფენია
კულბითს და დისევს...

ქართლის ველებზე
დაბანაკდა რუსთა არმია
და მონღოლური დიდი ღამე
ჩამონვა ისევ.

ბერლინის კედელი

ახალგორში კედელია აღმართული,
ბერლინის თუ საბჭოეთის კედელი.
მოუმკიათ რუსებს შანშეს აღმახნული,
მოხიბლულან უცხო ქვეყნის ედემით.

იჩემებენ სისხლით დაცულ ქართულ მიწებს,
მოდინ და კვალს ტოვებენ ნატყვიარს...
ეს ოხერი გული ისევ ომში მინევს,
ჩემს მინაზე დღესაც ოკუპანტია.

ნადი, რუსო, საკმარია შხამის ნთხევა,
ნულარ გვინგრევ ამ გზებსა და ამ ხიდებს,
არ მოგწყინდა უცხო ცის ქვეშ ღამის თევა?
სჯობია, რომ შინ უვნებლად ნახვიდე.
ახლა მაინც, სხვა ჟამის თუ დროის მერე
დაივიწყე სისხლიანი მანტია.

საქართველო ვერასოდეს მოისვენებს,
ვიდრე ქართლში ერთი ოკუპანტია.

ციკლიდან „მომენატრა ახალგორი“

ვერ ვეგუები,
ველარ ვიტან უკვე ამ ურდოს,
მათ მბრძანებლობას
ხანგრძლივსა თუ
მოკლევადიანს.

ისეთი რამე გავაკეთო,
მინდა მამულო,
სხვას კი არა და,
გაუკვირდეს
ცოტნე დადიანს!...

ქართველ მეფეებს
თანადგომა სჩვეოდათ
სხვათა,
მერე როგორი?
ზოგჯერ თანაც
გადაჰყოლიან...
ვერ დავანახვეთ ერთგულება
ალანთა, სლავთა...
თურმე ნუ იტყვიან,
ამათ სულ სხვა
მადა ჰქონიათ.

გიორგი სააკაძეს

როცა ვამაყოზ ჩემი მარტყოფით,
გამახსენდება იქვე მარაბდაც.
რომ არ მდგარიყო ჟამი არყოფნის,
ქართლს სააკაძე ჰყავდა ფარადა...

როდი გაუვა გმირობას ყავლი,
ამაყად ვყვებით დღესაც ამ ამბავს,
არ ჩაიყოლა მარაბდის ჯავრი,
დედა უტირა ქსანზე შაჰ-აბასს.

გადაგვიჩინა ერი ღვთის ნებით,
არ დაგვანება ავსა და მავანს...
მთელი რწმენით და მთელი ღირსებით
დღესაც გიორგის მხარეზე ვდგავარ!

შური

თეთრი თუ შავი,
შური — შურია,
შავი შურითაც მშურდა ვილაცის...
არაკაცს
კაცის სისხლი სწყურია,
სისხლით რომ ტკბება,
რა ვთქვა იმ „კაცის“?!

თეთრი თუ შავი, შური — შურია,
მშურს, როცა მტარვალს
ვხედავ „იღბლიანს“...
იყურეთ, ბრიყვნო,
წინამურია,
ჩასაფრებიან
გზაზე ილიას.

ნარსულის განსენება

სხვა ხალხის და
სხვა ქვეყნების
ეგვიპტელებს არ სწამდათ.
დაჰფენოდა რომსაც ჩრდილი
კლეოპატრას წამწამთა.
„რემეჩ“¹ ეგვიპტელი იყო,
დაიჯერეს მონათ ეს —
სხვა ხალხი და სხვა ერები
ველურებად მონათლეს.
ეს ბერძნებმაც „გადაიღეს“,
მათაც ჰყავდათ მგოსნები,
ვინც არ იყვნენ ელინები,
იყვნენ ბარბაროსები.
ვინ რა იცის, რას ფიქრობდა
ამ დროს
ძველი მიდია,
სხვათა ამბავს რომ ვიხსენებ
სული თითქოს მშვიდია,
მაგრამ არა,
ვერ ვისვენებ,
მეც მჭირს სენი დიდების.
ჯერ ოშკი და ზარზმა მიყვარს,
მერე პირამიდები.

1 „რემეჩ“ — ეგვიპტურად ადამიანს ნიშნავდა და მხოლოდ ეგვიპტელის სინონიმი იყო.

შენსვილრა ქურაში

სურვილი მაქვს ავედევნო ამ ქალს
და სახლამდე მივაცილო მერე.
არ დავეძებ უცხო ქუჩის ამქარს,
დავემხოზი, დავუკოცნი ხელებს.

იჭორაონ, ჭორიკნებმა თუნდაც;
გადასძახონ ცხრა ზღვასა და ცხრა მთას...
ოლონდ „იმან“ არ გამიგოს ცუდად,
არ განყრეს და სხვა მიყვარსო — არ თქვას.

მაშინ, როცა იყავ ჯერ კიდევ ბავშვი,
გახსოვს? — ოცნებობდი, ჩემო ეთი.
კლდეებზე მფრინავი თეთრი რაშით,
ვინმეს გაეტაცნე მთიულეთში.

ახლა სოფელში ხარ, მთის სოფელში,
უკვე ჩაუვლია პირველ ვნებას.
თუმცა ქალაქელი სახლობს შენში
და იქ ხეტიალი გენატრება.

ამბობ — „მოვიწყინე, თანაც როგორ, —
ღამე ძილი აღარ მეკარება“.
ძვირად დაგიჯდა ქალაქელ გოგოს,
სოფლელი ბიჭის შეყვარება.

დაკრძალვა

უნდა ნახვიდე. ეს დღეც მძიმეა.
ჩადი. დასრულდა მგზავრობა შენთვის.
დღეს დედამინის საშო ცივია.
დღეს ვალს იბრუნებს მდუმარე ღმერთი.

ჩადი. დასრულდა ყრმობა, ბავშვობა,
ვერ დაგტოვებდა ჟამი უვნებელს.
მიდიხარ... მინის ცივი საშოდან
აღარასოდეს დაგაბრუნებენ.

მე ვნახე, როგორ ინვოდა გორი,
იბომბებოდა ჩემი ქალაქი.
რკინის ყორნები გვიმზერდნენ შორით,
ძრწოდა ქვა, ძრწოდა ხე და ბალახი.
იქ, სადაც ადრე ყვაოდა ნუში,
ბომბდამშენები საფლავს გვითხრიდნენ.
აღარ ახსოვდა მტერს ქართლის გულში
არც ღვთის ნება და არც განკითხვის დღე.
უმისამართოდ გარბოდა ხალხი,
რადგან გასაქცევს ვერსად ხედავდნენ...
ქართველი დედა შემოსეს თალხით,
დაისაკუთრეს მინა მცხეთამდე.
რუსული დროშით თეთრი გველები
სიკვდილს თესავდნენ ღვთის წილ მინაზე,
არბევდნენ ჩემს ხალხს ჯაყოს გერები

და ბინძურ ხელებს სისხლით იბანდნენ.
მე ვნახე, როგორ ინვოდა გორი,
ვიგრძენი, - გულიც როგორ დამენვა.
მშვიდობისათვის გრძელდება ომი,
დედას ვუტირებთ ყველა გარენარს.

ზამთრის სურათი

ცოცხლებიან სურათები სოფლის:
ჩემი სახლი, ჩემი ეზო-კარი,
კვერიათი — შემოსილი ჭორფლით,
სარზე მძივად აწყობილი კვარი...

კვლავ ვიხსენებ მივიწყებულ სიზმარს...
მახსოვს, მთებზე დიდი თოვლი იდო.
საღამო ხანს „მაგრდებოდა“ ბირჟა, -
„ამინდებზე“ ხშირად ბჭობდნენ იმ დროს;

თოვლი იყო საფიქრალი მათი,
თუმც მთიელებს სხვა საფიქრიც ჰქონდათ.
საუბრობდნენ ერთმანეთის ხათრით,
მერე რა, რომ ციოდა და თოვდა...

ღამეები ნათებოდა სანთლით,
ხევს ნისლივით ასდიოდა ბოლი...
სულ სხვა იყო ეტიუდი ზამთრის,
ჩექმის ჭვინტით გატკეპნილი თოვლი.

მერამდენედ მახსენებდა დედა —
„ზამთარია, არ გაცივდე, შვილო“.
...დღეს ყველაფერს სიზმარივით ვხედავ
და წარსულში დაბრუნებას ვცდილობ,

მაგრამ რისთვის? — ჩაუვლია თოვას.
დარდს რა ვუყო —
თავს მახსენებს თუ კვლავ.
ის ზამთარი აღარასდროს მოვა,
აღარც დედა დაბრუნდება უკან.



გიორგი
ახლესვილი

სახეხსთან

საუბარი საკუთარ თავთან №1

— რას მიყურებ? მადლობა თქვი, რომ ჩემი ანარეკლი ხარ. რა თქვი? მე უნდა ვიყო მადლობელი? რატომ ბატონო? იქნებ დამისაბუთოთ ეგ თქვენი მოსაზრება? და თქვენ, პატივცემულო ანარეკლო, ნუ დაგავინყდებათ, რომ ჩემს მიერ ნაყიდ სარკეში ჩანხართ და წამოიდგინეთ, ჩემს მიერ გადახდილი ელექტროენერგიის საფასურის ხარჯზე ჩანს თქვენი გამოსახულება ესოდენ მკაფიოდ. იცით ვინ ვარ? ფიზიკოსი ვარ. გეცინებათ? მეც, თქვენ წარმოიდგინეთ. არა იმიტომ, რომ ფიზიკოსი ვარ, არამედ იმიტომ, რომ თქვენი ეჭვის უსაფუძვლოება მაძლევს ამის საბაბს და თუ ჩემს ექიმობასაც ითვალისწინებთ, თქვენი ღიმილი, ჩემო კარგო, სახის მიმიკის შეცვლის ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს. თმას არ ივარცხნით? არც მე. სივარეტი? მესმის თქვენი, ორივემ მოვნიოთ. მაშ ასე, ჩემო ძვირფასო ანარეკლო, დავინყოთ იქიდან, რომ ყველა დიდ ადამიანს თავისებური უცნაურობები ახასიათებდა და ახასიათებთ. მაგალითად, ავილოთ

აინშტაინი. იგი რამდენიმე ზომით დიდ ფეხსაცმელს იცვამდა, სულ თმაგაჩეჩილი დადიოდა, მაგრამ ხომ აღმოაჩინა ფარდობითობის თეორია? რომელსაც მე დიდი მონდომებით ვუკითხავ ჩემს სტუდენტებს? ცდებით, ჩემო ძვირფასო, არ შეიძლება ადამიანი მხოლოდ ჩაცმულობით შეფასდეს, ლამაზი ჩაცმულობა მაღაზიის ვიტრინებში გამოჭიმული მანიკენებსაც აქვთ. მათ ჩაცმულობაზე ზრუნავს ფირმა, ხოლო ჩემს ჩაცმულობაზე ვზრუნავ მე. ახლა ისეთ საკითხებზე მსურს გესაუბროთ, რომელიც აქტუალურია. ასევე საინტერესოა, თქვენი შეხედულებები რელიგიასთან დაკავშირებით და სხვა, ჩვენ შეგვიძლია აბსტრაქტულ ცნებებსაც მეცნიერული დასაბუთება მივცეთ.

ალბათ, გასმენიათ, გამოთქმა ფარაონის წყევლა? გთხოვთ, ნუ შემოვიფარგლებით მხოლოდ მარტოოდენ იმ ნივთიერებებით და ბაქტერიებით, რომლებიც სარკოფაგებში აღმოაჩინეს. ავილოთ შენობა, პირამიდა და განვიხილოთ იგი. ბევრ საკულტო თუ რელიგიურ ნაწარმოებებში კოსმოსური ენერგიის მოვლინებას დედამიწაზე გრაფიკულად დაბრუნებრი ფორმით გამოსახავენ ან ადამიანის გასხვივების ამსახველი ნახატი, რომელსაც პირამიდული ან დაბრუნებრი ფორმა აქვს. განვიხილოთ დაბრი, როგორც პირამიდა. რატომ? იმიტომ, რომ კოსმოსიდან მოვლინებული ენერგია უფრო ლავირებადი და მოქნილია, ვიდრე დედამიწიდან არეკლილი, ამიტომ იგი უფრო ხისტია და ნაკლებ ლავირებადი. აქედან გამომდინარე, პირამიდა სწორკუთხაა და მკაცრ ფორმას ინარჩუნებს, ხოლო დაბრი წრიულია და მისი ძალნირები ყოვლის მომცველი.

ავილოთ პირამიდა. მისი წვერი კოსმოსისკენაა და განვიხილოთ წარმოსახვითი პირამიდა იგივე პარამეტრებით მიმართული, რომელიც ქვევიდანაა მასზე მიერთებული. მივიღებთ ორი პირამიდის ნაერთს, რომლის ერთი წვერი ზესკნელისკენაა მიმართული, ხოლო მეორე ქვესკნელისკენ. პირამიდების წვეროებიდან შემოვხაზოთ წრეები, რომლის რადიუსი პირამიდის კათეტის ტოლი იქნება. მივიღებთ ოვალურ, მინის ზედა და მინის ქვედა სივრცეს, როგორც ერთიანს. „შ“, ეს არის ის აურა, რომელიც ფიზიკურ და მეტაფიზიკურ სამყაროს აერთიანებს. ისევე, როგორც ნებისმიერი ანარეკლი სარკეში. აქედან გამომდინარე, ამ ორი საწყისის გაერთიანება წარმოშობს ენერგიას, რომელიც კოსმოსურ ენერგიასთან მუდმივ ურთიერთგაცვლის პროცესში იმყოფება. ალბათ, გასმენიათ ერთი ცდის შესახებ, როცა პირამიდულ სხეულში მოთავსებული ხორცის ნაჭერი არ გაიხრწნა და მუმიად იქცა. ეს იმიტომ, რომ ის წარმოსახვითი სივრცე, რომელზეც ჩვენ ვისაუბრეთ, საშუალებას აძლევს ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს, დაცული იყოს კვდომისგან, მეტადრე ხრწნისგან. ის მხოლოდ გარდაიქმნება და ღებულობს კოსმიურ ალექტროპიულ სახეცვლილებას, ეგრეთ წოდებულ მიძინებულ, დაკონსერვებულ კოსმიურ

ნარმოქმნს. თქვენ გგონიათ მუმიის სხეულში მოლეკულები არ არსებობენ? რასაკვირველია, არსებობენ, მაგრამ მათი განვითარების პროცესი დაკონსერვებულია. ის ბიოენერგეტიკული ველი, რომელიც ნარმოქმნილია პირამიდაში, ეს არის, მუდმივ განვითარებადი სასიცოცხლო პროცესის ფრონტი, რომლის ყველაზე ძლიერ ურთიერთზემოქმედების ზედაპირს, პირამიდის ფსკერის ცენტრი ნარმოადგენს. ამიტომ არის, რომ ფარაონთა ნეშტს პირამიდის ცენტრში ათავსებენ. რაც შეეხება მუმიფიცირების პროცესს, იგი ნარმოადგენს სხეულის მომზადებას განსაკუთრებულ სასიცოცხლო პროცესში, მისი გადასვლის აუცილებელ ატრიბუტს. მაგალითად, სხეულს ათავისუფლებენ სისხლისგან, მუცლის ღრუში განთავსებული ორგანოებისგან და სხვა, იმიტომ, რომ მიცვალებულის ბიოენერგეტიკული ველი გარდაიქმნება ასტრალურ სხეულად, რომელიც დედამიწის ბიოენერგეტიკულ ველში ერთვება და აქედან გამომდინარე, მისი სხეული აღარ საჭიროებს მინიერი, ცოცხალი ორგანიზმით კვებას. ფარაონის ნეშტი არ იმარხება მიწაში და, აქედან გამომდინარე, ის ერთგვარ ნავსაყუდელს ნარმოადგენს, მისი ეგრეთ წოდებულ სულისთვის, რომელიც თავის მხრივ იცავს კიდევაც, ხელყოფისაგან. რაც შეეხება წყევლას, იგი ერთგვარი რიტუალის შედეგია, რომელიც ფარაონის დაკრძალვის თანმხლები პროცესი იყო. მხედველობაში მაქვს ქურუმთა ლოცვა ფარაონისთვის და წყევლა მათთვის, ვინც მისი განსასვენებლის მყუდროებას დაარღვევდა. აქედან გამომდინარე, ნარმოქმნილი ველი პირამიდაში რჩებოდა, რომელსაც ფარაონის სული აკონტროლებდა. ამასთან ერთად, ის მოიცავდა პირამიდაში დაკრძალულ სხვა ადამიანების იძულებითი სიკვდილისას გამოთავისუფლებულ უარყოფით ველს, რომელიც ფარაონის ბიოენერგეტიკული ველის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას ნარმოადგენდა. იმ პირებმა, რომლებმაც შეურაცხვეს პირამიდა და ხელყვეს იგი, ფარაონი, მის არსენალში მყოფ უარყოფით შარმს ნერგავდა ხელმყოფთა აურაში და ამით მათთვის შესაბამისი განაჩენი გამოჰქონდა. გაიგეთ. ც ძვირფასო? გაძლევთ დროს, რათა ჩაურღმავდეთ ჩემს თეორიას და ამიტომ ნება მიბოძეთ დაგტოვოთ. ხვალამდე.

სყუში

საუბარი საკუთარ თავთან №2

— ...ახლა ჩვენში დარჩეს და ვითომ ეს ჩვენი სოფლის უფროსობა იზრუნებს ჩვენზე? კაი ახლა, ვინ იჯავრებს ჩვენზე, შე კაცო? ბუჭას ბიჭი მამამისს პურზე არ ეგზავნებოდა და ახლა ჩვენთვის გაიქცევა შაბიამანიზა? კაცო, იმ კაბინეტებში რომ შეიძურნებიან და დეიდგავენ ცხრა-ცხრა ტელეფონს, მერე შენ ხარ ჩემი ბა-

ტონი და გეიყრონჭებიან ამ ჰალსტუხებში... სკოლაში ნორმალურად არ სწავლობდნენ და ყანა სადანა ჰქონდათ მამებს არ იცოდნენ... კაცო, მაგნებს ისე უყვართ თოხი, რომ უკანალში რომ გუკვებო, გამოსაღებად ხელსაც არ მოჰკიდებენ. გადირევა კაცი ამათი შემხედვარე. ხოდა, იმას ვამბობდი, ბალანა თუ არ სწავლობს, ოჯახიზა არ ვარგია, შრომაში ერთი გაოფლილი პერანგი არ გამოუცვლია, ნიგნი არ ნაუკითხავს ზღაპრების გარდა, იმ კაცს შეიძლება რაიმე ანდო? აგერ ბეჟანას ბადიში პოლიციეს უფროსი გახდა და მაი კი არ მწყინს მე, მაგრამ მატყუარა და უმეზობლო კაცი, ვის ოჯახშიც მეზობელს არ უქეიფია, გაიგებს სიმართლის ფასს? ისე, მშრომელი კაციზა არავინ არი. მილიონები რომ უწყვიათ, იგინი ვერ ძლებიან და კიდო მეტი უნდებიან და ეს ჯიბეგაფხეკილები რომ მიუშვეს ბაგაზე, მაგინი სხვას დოუთმოებენ ლუკმას?

რა იყო, ნალდო? რომ აყუდებულხარ მაქანა? არ გჯერა ხომ ჩემი? ნეტაი, მართლა ვაბდლობდე და ამ ქვეყანას ეშველებოდეს რაიმე. ხვალე გერვასის ბიჭის ქორნილია, კაი ქეიფი იქნება, ალბათ, მარა, რა მიკვირს იცი, სკოლა სადანა იყო, არ იცოდა, თბილისში რომ გაგზავნეს სასწავლებლად, რაცხა კაცობა ჰქონდა, იგიც დაკარგა, მერე გერმანიაში სწავლობსო, იძახდნენ და იქიდა პანდურის რტყმევით გამოგდებულ კაცს დღეს რომ სოფლის თავკაცი ჰქვია, ამაზე რას მეტყვი, ნალდო? ბეჟანა მიყვებოდა ამასწინად, შენ ხომ იცი ბეჟანა, მალაზია რომ აქვს ცენტრში? ხოდა, ერთხელ ბალანა მისულა მასთან და „სამსახური მინდაო“, უთხრობია. ბეჟანას უთქვამს „რაი იცი, ბიძია, ჯერ ის მითხარიო“. ამდგარა ის ბალანა, დიპლომების მთელი შეკვრა მუტანია და უთქვამს „სრული კურსი მაქვს გავლილიო“. გაგიჟებულა კაცი — „ეს ვინ ყიფილაო“, რომ დულაგებია წლები, რაც დასჭირდებოდა ამდენი სასწავლებლის დამთავრებას, გამოვიდა, რომ ამ ბალანას ჩასახვამდე დუნყია სწავლა. გაგიჟებულა ბეჟანა და გოუგდია ის ბალანა გარეთ, თურმე ერთკვირიან სემინარების დიპლომებით იწონებდა თავს ბიჭი. ასეა, ჩემო ძამია, ადრე კაცი თანამდებობაზე ცოდნის გარეშე ვერ მოხვდებოდა და ახლა გაქვს უცხოური დიპლომი და კაცი ხარ უკვე. გვეყოფა უქმად ყოფნა, ნალდო, უნდა ვიმუშოთ ჩვენი ლუკმიზა, მიტო, რომე უდიპლომოები ვართ ორთავე. აბა, ჰე, დავინყოთ შრომა.

ოჯახიხი ესხიზები

რას იღრინები, ძაღლო? მთვრალი რომ ვარ, არ მოგწონს? ნაირ-ნაირებს რომ გაჭმევ, ის ხომ მოგწონს? მაინც იღრინები, არა? შენ რას გერჩი ცხოველს? შენი პოლიტიკა ჭამით იწყება და ღრენით მთავრდება. შიგადაშიგ ყეფასაც გამოურევ, მურა, ეგ ღრენა შენი საორატორო ენაა, ყეფაა შენი მეტყველების აპოგეა? შენ

ხარ ადამიანის მეგობარი? შე მართლა, ძაღლო, შენა. თუმცა რა შენი ბრაღია? მობრძანდება შენი დედა-პატრონი, ეგ პატრონი მოტყ... და დაიწყებს არიებს ოპერიდან „ცოლ-ქმარიანი“ და შენ გგონია შენზე ნაკლებად ღრინავს? არადა, რაც ეს ახალი კბილები ჩაილაგა ღრანჭებში, შენზე მაგრად იღრინება, იკბინება, მჭამს ცოცხლად, ისე, რომ გაცივებას არ მაცდის. მერე კარგი მეძებარივით ფულის გეშს აიღებს და ჯიბეში მიძვრება თავფეხიანად, თუმცა, შენც მეძებარი არა ხარ და თანაც დედალი? „ახ ტი სუკა დვესტიდოლა-როვია, პოგანკა ინოსტრანნაია, პოროდისტაია ჩეტირენოგაია ბაბა საბაჩემ სჩასტიემ.“ შენ იცი, ქალბატონო მურა, ბოდიშით, ღრმად პატივცემულო სეტერო ლედი, რა განსხვავებაა ძაღლ ქალებსა და ადამიან ქალებს შორის? არაფერი. ამის დასამტკიცებლად შემიძლია მოგიყვანოთ ერთი „სნოგშიბატელნი“ მაგალითი. აი გახსოვთ ის დღე, დასაორსულებლად რომ ნაგიყვანეთ თქვენივე თანამოჯიშე მამრთან? რატომ თქვით უარი სექსზე? შეგრცხვა ხომ? გამოტყდი! ხომ შეგრცხვა? კი, მაგრამ რატომ? გინდა ჩაგირთავ ვიდეოს და გაყურებინებ პორნო ფილმს, დარწმუნდები, რომ ჩვენ ამისი არა გვრცხვენია, უბრალოდ ძვირი ჯდება, მაგრამ ეს... კაი რა, რას მალაპარაკებ? აუუ, მოვიდა ღრმად პატივცემული ჩემი ცოლი. ... „თან მოჰყვებიან წყევლაკრულვა დემონის დარი, მიდი ცოლიყო, შენს მრისხანებას არ აქვს საზღვარი და მინას მიეც თავი ჩემი ესოდენ მთვრალი...“

— სად გასკდი? შენ არ გაგიტენდა ხვალინდელი დღე. სად ჯანდაბაში იყავი?

— აი, ლედი, ხომ გითხარი? შენზე უკეთესად იღრინება, დაიყვება, ხოლო რაც შეეხება კბენას, ეს ცოლ-ქმრული თანაცხოვრების უკიდურესი ეტაპია.

— რას ბოდავ ნეტავი? წამოდი, დაეგდე და დაიძინე. ღმერთო, რა შეგცოდე ასეთი, რომ ასეთ კაცს გადამკიდე?

— „რა დავაშავე ასეთი? ერთხელ გაკოცე, რა მოხდაა“

— მღერი, არა? შენი სიკვდილი იქნა მალე...

— ვერ მოესწრები, ჩემო ეკბატანის ვარდო.

— რატომ?

— იმიტომ.

— ესე იგი, მთელი ცხოვრება შენს გვერდით ყოფნა მაქვს მისჯილი, არა?

— ავ, ავ, ავ ...

— შენ და ამ ძაღლს ერთნაირი მენტალიტეტი გაქვთ, ჩემო ცოლიყო.

— რა თქვი?

— რა და „ბაბა სუჩი პოდხოდ კჩელოვეჩესკო-მუ ობრაზუ ჟიზნი“.

— ესე იგი, მე ბაბა ვარ, არა?

— არა, შემოგველე, ჩიჩიაცა ხარ და ბაბაც.

— და თანაც სუჩკა არა?

— სუკი, ეს იგივე ჩიჩიაა, ხოლო ბაბა კი — პური, ხოლო თქვენი ხასიათი კი მლაშე ანუ მარილიანი.

— ესე იგი...

— ესე იგი, თქვენ ჩემი ცხოვრების სუფრა ხართ აულაგებელი.

— შენ ჩემი სისხლის მსმელი ხარ!

— უკაცრავად, მე ძმარს არ ვსვამ.

— არა ხომ?..

— კი მაგრამ, რატომ უნდა დავლიო ძმარი?

— არ უნდა დალიო, არა?

— თქვენი გულისთვის კალიუმის ციანიდს შევსვავ, ჩემო სიცოცხლე.

— ძმარს კი არა, შხამს დაგალევინებ, შელოთო.

— როგორ, ჩემი სიდედრიც აქ არის?

— დედაჩემი რა შუაშია?

— შენ არ იცი, რომ დროთა განმავლობაში ძმარი შხამად გადაიქცევა?

— ვერ გავიგე?

— ამას რა გაგება უნდა? „თავო ჩემო, ბედი არ გინერია“. ცოლი დაძმარებული, სიდედრი მონამლული, ნეტა რა შევცოდე, რომ მე ბახუსის ტრფიალს ეს ორი ინტიჰომოსაპიენსი მერგო წილად?

— მე შენ გაგასაპიენსებ, გადმობრუნდი, შარვალი გაგხადო.

— „გაგიშლი სუფრას 1000 მანეთად...“

— ფული სულ დახარჯე?

— არა, ქალო, ვმღერი.

— შენ გამღერა სიკვდილმა.

— ნელა, ქმარს ასე ნუ ექაჩები, თორემ შარვალს შეიძლება სხვა რამეც გააყოლო.

— ნეტა რაში გჭირდება?

— მე არა, ჩემო სიცოცხლე, მაგრამ თქვენ ნამდვილად გჭირდებათ.

— უზრდელო!

— ლედი, ცუგა, აუცილებელია, რომ შენც უყურო ჩვენ ოჯახურ სიამ-ღრენას?

— ძაღლთან რა გინდა?

— ნახე რა მოგიტანე? ეს ფრანგული სუნამოა, ეს კი ნამდვილი ფრანგული პარფიუმერია.

— სად იყიდე? ვაი, რა კარგიაა.

— თუ არ შენუხდები, წყალი მომიტანე, რა.

— ახლავე ცივ ბორჯომს მოგიტან.

— ვააა, ტოოო.

— ასე ნუ თვრები, შენ რომ რამე მოგივიდეს, მერე მე რა ვქნა?

— შენ ჩემთან იყავი და არაფერიც არ მომივა. ჰო, მართლა, ხვალ ელისოსთან გავიდეთ, შენთვის რალაც-რალაცები შევუკვეთე.

— რაა?

— ეს სიურპრიზია.

— მითხარი რა, თუ გიყვარვარ?

— არა! შენ რომ დამწყველე?

— კაი რა, შენ ხომ იცი, მე რომ გწყველი, ჩემი ძუძუები გლოცავენ.

— ხოდა, შენც ნუ ბრაზდები, როცა მე გაგინებ, ამ დროს ჩემი ყვ...ები გლოცავენ.

— უზრდელო, ის მაინც მითხარი, რა შეუკვეთე? იცოდე, გაგებუტები.

— გადიქალო, გარეთ!

— ლედი! აივანზე! ჩქარა! მაინც რა უნდა მიყიდო?

- მოდი... ჩამეხუტე...
- კაბააა...
- სიცოცხლეოო...
- ჩექმააა...
- მომეხვიე...
- ქურქიიი...
- ფეხები ანიეეე...

მისჯილი

ნუთუ ყველაფერი მორჩა? იმ ჩათლახი ქალის გულისთვის "პრიმა" მომისაჯეს. დამპალი დედაკაცი. მესამე დღეა ამ ჯურღმულში ვარ და ზედამხედველის მეტი არავინ შემოსულა. ის დამპალიც, გეგონება კეთროვანი ვიყო, კარის სამზირიდან "მისკით" ბალანდას მომანვდის და მორჩა. ნუთუ ამაღ ღირდა ყველაფერი? ნაბიჭვარი ქალი და მისი რქიანი ქმარი, შესანიშნავი დუეტია, არა? ჩემი ხელით ქმარი მოკლა, მე სასიკვდილო განაჩენი გამომიტანეს, თვითონ კი, ვინ იცის, ვისთან არის "რაკამ" დამდგარი ახლა? ამ ცხოვრების დედა... ჩემი ბრალია. სასაცილოა, ცრემლები მომდის. რას ვტირი? იმას, რაც არ ვყოფილვარ თუ, იმას, რაც ვარ? აგერ, ზედამხედველიც მოალაჯებს. ალბათ ბალანდა მოაქვს, ან იქნებ... არა, ნუთუ ყველაფერი მორჩა? ნეტავ ვინმეს თუ დავენანე? ჩემი ცოლიც ალბათ გამომიტირებს და მერე ჩემნაირი ნაბიჭვრის ხელში მოხვდება. ან იქნებ მიერთგულოს? ვიცი, ის ჩემზე შავს ჩაიცვამს და ისე მოიხდენს, რომ მგლოვიარეს არ დაემსგავსოს. არადა, რა ზიზღით მიყურებდა სასამართლოზე? მერე განაჩენი რომ გამომიტანეს და მერე... ან რაღა მნიშვნელობა აქვს. ჩემი შვილი, ნუთუ მასაც დავავინწყდები? თუმცა რა, ის ხომ ჯერ 3 წლისაა. ნინიკო, შვილო, იცი როგორ მენატრები? ეს რა საზიზღრობა მჭირს ნეტავ? რა მატირებს? ან ეს ნიკაპი რამ ამიკანკალა? ჩემი სახე მაინც თუ გახსოვს შვილო? ანდა როდის დაიმახსოვრებდი, შენ ხომ თითქმის ვერ მხედავდი, ჩემო ღაბუა გოგო? როგორი ადამიანი და რა ქალი დადგება ნეტავ შენგან? მოვიდა ეს დამპალი ზედამხედველიც, "ცოტა მაცალე, მასუნთქე, ადამიანი არა ხარ?"

— ბრალდებულო 10558 მოემზადეთ, დაკითხვაზე მიმყევხარ! — "ნუთუ ეს ბოლოა? ან იქნებ..."

- დროზე ადექი, შენი თავი არა მაქვს.
 - მოვდივარ..
 - ნამოხვალ, აბა რა დედიშენისას იზამ?
- "ოხ რა ცივია ეს ბორკილი, იქნებ მართლა დაკითხვაზე მიყვევარ? იქნებ ეს არ არის ჩემი ბოლო? ან იქნებ ჩამიწყეს და შემინყალეს? სისულელეა, ვინ მომეხმარებოდა, ქვრივი დედა-ჩემი თუ ჩემი დამპალი სიამარი? სად მივყვევარ ამ ჩემისას? თუ მკლავთ ახლა მესროლეთ, ოღონდ უცბად, რომ ვერაფერს მივხვდე."

— ბრალდებულო შეჩერდით! სახით კედლისკენ!

— ბრძანებლობ არა? შენისთანებს ისე ვხმარობდი, როგორც მინდოდა. დღეს შენი დღეა, თუმცა შენისთანების დღე ყოველთვისაა.

- კარი გააღეს.
- ბრალდებულო შედით!
- ეს...ეს...ხომ. არა, მიშველეთ, თქვე ბოზებო, თქვენი დედა...
- დააკავეთ ეს ნაბიჭვარი და სკამზე დასვით! ეს გასაუბრების ოთახია ბრალდებულო.
- მაშინ, ეს ელექტროსკამი აქ რატომ დგას?

- ტირი? და თანაც კანკალებ? ეს სკამი შენი ბოლოს სიამოვნებაა, ჯიგარო.
- შენი დედა... შე ჩათლახო, გიხარია, არა?
- რა საზომითაც სჯი, ისევე მოგეგება.
- მე შენ გაგზომავ, შე დამპალო, მოიცა, ჯერ არა, ცოტა მაცალე, ცოტაც... გული არა გაქვს?

- მაქვს, ციხის ადმინისტრაციამ შენს ცოლ-შვილთან შეხვედრის უფლება დაგართო.
- სად არის, ჩემი ნინიკო? ჩემი შვილი? მომისმინეთ, ნვერი მაინც გამაპარსინეთ, არ მინდა ჩემ შვილს ასეთი ვეჩვენო.

— ფეხები ხომ არ დაგბანო? ან იქნებ პაემანი გავაუქმო? ვიტყვი, რომ არ ისურვე.

— არა, არ გააუქმო, გაფიცებ შვილებს, გემუდარები, ხომ ხედავ მუხლმოყრილი გთხოვ.

— მთხოვ? თანაც მემუდარები? კარგი, შეხვდი!

— მამიკო, ნინო, შვილო, ნუ გეშინია, შენ შემოგვევლოს მამა, ერთი გამიცინე, ნინუცი შვილო, შენი მამიკო გეხვენება.

— ცენა ტილიქალ?

— ხო, ვტირი, იმიტომ რომ მიყვარხარ.

— დედიკომ რო თქვა, ლო ჩენ ალაგინ გიკალს?

— დედიკომ ალბათ, იხუმრა, ძალიან მიყვარხარ, ხომ მართალი ვარ დედიკო? ქეთი ხმა ამოიღე, რა დროს ტირილია? მაპატიე ქეთი, რომ სიცოცხლე გაგმინარე. მაპატიე შვილო, მამობა ვერ გაგინიე. ქეთი გთხოვ, ნინიკოს მამა არ შეაჯავრო, ვუყვარდე მინდა. გთხოვ ნუ ტირი შვილო, ჩემო ცუნცულა გოგო. ქეთი გათხოვდი, ახალგაზრდა ხარ, ბავშვს ოჯახი უნდა. მალე დავავინწყდები და სურათით თუ გამიხსენებს მხოლოდ. ქეთი, გთხოვ ჩემი სურათები არ გადაყარო, რომ ნინოს ვახსოვდე. მაპატიე ქეთი, ყველა სისულელე, რასაც ჩავდიოდი. მაპატიე მამიკო, რომ სითბო მოგაკელი, არ მინდა მოძღვარი, თქვენ ხართ ჩემი ხატები, მე კი თქვენს ნინაშე დავინთები სანთლად, დაე დავიღვენთო, ოღონდ არ ჩამაქროთ...

- მამა, ეცა სკამი ლა აღის?
- ის ჩემი... სკამია მამიკო, იქ უნდა დავჯდე.
- ლოდის?
- მალე მამიკო.
- გიკულებ ლაა?
- ლატო ტილიქალ? იმ ძიამ გაგაბაზა? მე გაგტეპამ იმ ძიას.

— მოდი, ჩამეხუტე მამიკო, მაკოცე მამიკო. დედა, შენც აქა ხარ? ჩემო გაუხარელო დედა. შემინდე ყველა ის სიმწარე და ტკივილი, რომელიც შენთვის მომიყენებია დედა, ბოდიში დედა, მშვიდობით დედა. ნინიკო შვილო, ჩემო ბუთხუზა გოგო, ქეთი, მე თქვენ მიყვარხართ, მშვიდობით...

— შეხვედრის დრო ამოიწურა, ვწუხვარ.

— მოიცა, გთხოვ ერთი წუთი კიდევ, ხომ ხედავ დაჩოქილი გთხოვ.

— გაიყვანეთ!

„ისევ ის საკანი, ისევ ის ნარი და ეს დაკორტნილი იატაკი. ალბათ ჩემბედქვეშა ცრემლი ჰკორტნიდა მას“.

— ზედამხედველო, მე მზად ვარ, გთხოვ, სთხოვე მსაჯულებს და მათ, ვინც „ბოლო პატივი“ უნდა მომაგონ, რომ მე პატიმარი 10588 მზად ვარ სიკვდილისთვის. გთხოვ, ახლავე უთხარი, დაურეკე, სთხოვე, მოვიდნენ, გემუდარები, გადაეცი, რომ მზად ვარ.

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის პატიმარო, უკან დაიწიეთ, კარს ვხურავ.

„ერთი ლოცვა მაინც ვიცოდე, ან... არც ვიცი რაზე ვიფიქრო, ნეტა რომელი საათია? დღეა თუ ღამე? თუმცა ამას უკვე რა მნიშვნელობა აქვს. ნეტა ეხლა ვინმე მესროდეს, შიგ გულში დამახლიდეს ტყვიას, ამაზე დიდი სიხარული მე არ მჭირდება“.

— პატიმარო 10588 ადექით! ხელები უკან, ზურგისაკენ!...

„ისევ ეს ხუნდები, მინისფერი, ცივი. ნეტავ

რა უნდათ ერთად რომ მოვიდა 5 კაცი? დავაშავე რამე?“

— პატიმარო ნაბიჯით იარ!

— სად მიგყევართ?

— სადამსჯელო ოპერაციის წინასწარი მომზადების ჩასატარებლად.

„სისულელეა, მატყუებენ, ჩემი ფეხები კი ბედისწერასთან შესახვედრად მიმაქანებენ“.

— შეჩერდით! მარცხნისაკენ! შებრძანდით!

„ისევ ის ოთახი. აი იქ ბაბთა გდია, ჩემი ნინიკოს ბაბთა.“

— დაბრძანდით! გთხოვთ, ხელს ნუ შეგვიშლით, ეს დასჯა არ არის, ეს მხოლოდ მოსამზადებელი პროცედურაა.

— შეუკარით თასმები...

— კეფაზე თმა გაპარსეთ...

— თავი დაუსველეთ...

— გვირგვინი მოარგეთ...

— რა ჩქარა მოქმედებენ, ნეტავ რა უნდათ?


— ჟუჟუნა წვიმა მოვიდა, დიდი მინდორი დანამა. დანამა, დანამა, დანამა დიდი მინდორი დანამა.

— გენერატორი...

— პატიმარო, ნუ გეშინიათ, ყველაფერი წესრიგში იქნება.

— ჩაატარეთ საბოლოო შემოწმება.

— განმუხტვა! ...



შოთა შოთძე

იხანლი აბაშიძის მინანქარი ღეხეაბი

არ ვიცი, რომელი სახელი გავიგონე პირველად — ირაკლი აბაშიძე თუ კაპიტანი ბუხაიძე. მე მაშინ პირველად გავიგონე დერბენტიც და დარიალიც. საქართველოში არ მოიძებნება არც ერთი სოფელი და კუთხე-კუნჭული, „კაპიტანი ბუხაიძე“ არ ემღროთ. ეს იშვიათი შემთხვევაა და არ მეგულება საქართველოში მეორე ლექსი აკაკის „სულიკოს“ შემდეგ, რომ ასე სახალხოდ პოპულარული იყოს.

პოპულარობის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ პოეტურ მაგიაში, რომელსაც ხალხური სისადავე განსაზღვრავს. როცა „კაპიტან ბუხაიძეს“ ვკითხულობთ, სწორედ ასეთი ფიქრი გვეუფლებს. აბა ერთი სცადეთ და დაწერეთ „კაპიტანი ბუხაიძე“.

თავის დროზე ეს ლექსი მოვლენა იყო ქართულ პოეზიაში. მისი წყაროა ქართული ხალხური პოეზია და ქართველი ხალხის ისტორიის ქარტახილში დიდი ბრძოლებით გავლილი გზა, ხოლო ვერსიფიკაციული ფენომენი განსაზღვრა გარემომ და იმ დიდმა მოვლენამ, რასაც ეძღვნა იგი.

ირაკლი აბაშიძე, როგორც პოეტი, ერის ცხოვრებაში მომხდარ უდიდეს გარდატეხას მოჰყვა და მისი მოვლენების მესტიყვე გახდა. იგი ყოველთვის იდგა „იქ, სადაც ქარიშხალია“ და არასდროს მოუცლია დუმილისათვის, დანყებული იმ ბობოქარი წლებით და მოვლენებით, „კაპიტანი ბუხაიძე“ რომ დაანერინა და დამთავრებული დღევანდელი დღით, ბურჯად რომ ედგა ქართული ენციკლოპედიის დაბადებას. ამ ორ მოვლენას ერთმანეთისგან თითქმის ოთხი ათეული წელი აშორებს. მათ შორის კი სტრუქტურებით მიჯრულია ერთიმეორეზე ირაკლი აბაშიძის საზოგადო საქმენი.

საზოგადოებრივი მოღვაწეობა ყველაზე დიდი და საპატიო ტიტულია დედამიწის ზურგზე. ცხადია, მისი კათედრა იერუსალიმივით წმინდა და იალბუზივით მაღალია. მასთან მისვლა წინასწარ შედგენილი მარშრუტით შეუძლებელია. აქ საშვია საჭირო, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ერთი იძლევა. ირაკლი აბაშიძეს ალბათ არც კი ახსოვდა როდის მიიღო ეს საშვი, ან როდის აღმოჩნდა ამ მაღალ კათედრასთან. ზოგნი ამბობენ მაშინ, როცა ჯვრის მონასტერში შოთას სახეობა იხილაო, ზოგნი ამბობენ მაშინ, როცა რუსთაველის ხმა გაიგონა კატამონთანო, ზოგნი — მაშინ, როცა რუსთაველის იუბილეს თავკაცობდაო. მე თუ მკითხავ, ირაკლი აბაშიძე რომ დაიბადა, ამისი ნიჭი და მაღალ კათედრასთან მისვლის საშვიც თან დაანათლა ღმერთმა.

საქართველოში დღეს ბევრი პოეტია, „ხმა კატამონთან“ კი ერთია. ეს ლექსი რომ დაწერო, მარტო სურვილი არ კმარა, ასევე დიდი მონღომებით ქვა-ქვაზეც რომ არ დატოვო, მოღვაწე ვერ გახდები. აქ ის მაღლია საჭირო, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ.

მაგონდება 1977 წლის ივნისი. მე მაშინ ახლად დამთავრებული მქონდა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მ. გორკის სახელობის მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტი, სადაც პოეზიის სემინარებს ხელმძღვანელობდა ირაკლი აბაშიძის ლექსების მთარგმნელი, ქართული პოეზიის დიდი მეგობარი, ცნობილი რუსი პოეტი ალექსანდრე მეფიროვი. იგი უკვე პერედელკინოში იყო და მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ ვწვეოდით. სამი საათის შემდეგ პოეტის პატარა სამუშაო ოთახში ვიყავით. ალექსანდრე მეფიროვმა წაგვიკითხა ანა ახმატოვას ლექსები, ფრამენტები თავის პოემიდან „ალტერ ეგო“, შემდეგ გვესაუბრა ქართულ პოეზიაზე, გალაკტიონსა და ირაკლი აბაშიძის ლექსებზე. ზეპირად წაგვიკითხა ბევრი მისეული თარგმანი და მათ შორის „ხმა კატამონთან“. ცხადია, აინტერესებდათ როგორ იკითხებოდა ეს ლექსები „На родном языке“. როსტოველი პოეტი ა. გრიცენკო გამომესარჩლა, შოთას ირაკლი აბაშიძის წიგნი აქ არა აქვს და რას წაგვიკითხავსო. როცა რამდენიმე ლექსი ზეპირად ვთქვი, ალექსანდრე მეფიროვი თვალებგაბრწყინებული მიმხერდა. ეს იყო ორი მეგობრის, ორი შესანიშნავი პოეტის, ალექსანდრე მეფიროვისა და ირაკლი აბა-

შიძის მოულოდნელი შეხვედრა. იმ დღეს ბევრი სადღეგრძელო დაილია და მათ შორის ირაკლი აბაშიძესაც.

დღეს საქართველოში ბევრი პოეტია, უმრავლესობას ახსოვს ჩვენი საყვარელი მგოსნის მზრუნველი ხელი, ზოგ მათგანს შესანიშნავი ლექსიც მიუძღვნია ოსტატისათვის. თუ შეიძლება ითქვას, ესეც კიდევ ერთი საბუთია ირაკლი აბაშიძის გულითადობისა.

„ხმა კატამონთან“ ყოველდღიურად საკითხავი ლექსია. მე იგი არაერთხელ წამიკითხავს. შემოქმედებითი აღმაფრენის დროს, წამიკითხავს გაჭირვების ჟამს და დიდი სიხარულის წუთებში.

აკადემიკოსმა ნიკო მარმა ნიკოლოზ ბართაშვილის „მერანს“ კატასტროფის წინაშე მდგარი ერის მონოლოგი უწოდა. ვერ ვიტყვი კატასტროფის წინაშე მდგარი-მეთქი, მაგრამ ირაკლი აბაშიძის „ხმა კატამონთან“ ქართველი ერის მძაფრი მონოლოგია, რომელიც მთელ ქვეყანას ესმის.

სულაც არ არის საჭირო სმენისა და ენერჯის დაძაბვა, რომ ერის შემოფოთებული ხმა გაიგონო. აქ ისეთი ლოგიკური მახვილია დასმული, რასაც ვერავითარი ანტიქრისტი ვერ წაშლის:

**„შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა
შენ, ერთი შემრჩი სამარის პირთან.“**

ამ ლექსზე ძალიან ბევრი თქმულა და დანერვილა, ყველა ერთად რომ ავკინძოთ, ერთი საშუალოტანიანი ნიგნი გამოვა. სულაც რომ არ თქმულიყო არაფერი არც ამით დააკლდებოდა რამე, რადგან ეს ისეთი ქმნილებაა, რომელსაც გზამკვლევი არ სჭირდება. კონსტანტინე გამსახურდიამ მათ მინანქრული ლექსები უწოდა. „როცა ატილას ტკბილი ლექსი მოასმენინეს, — წერს იგი, — მან იტირა თურმე“. როცა კითხულობ ირაკლი აბაშიძის ლექსს „ხმა კატამონთან“, შეიძლება იტირო კიდევ. კატამონთან“, შეიძლება იტირო კიდევ.

„გულით მწყუროდა შენს შორეულ შთამომავალს წარმომედგინა, რას განიცდიდი და ფიქრობდი შენი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში.

მაშ, ეს „ხმები“ ისე ჩაუთვალე მას, თითქოს მართლაც გაეგონოს. იგი პალესტინის ქართული ჯვრის მონასტერში, შენს უკანასკნელ თავშესაფარში შენი დაკარგვიდან შვიდასი წლის შემდეგ“, — მიმართავს მეოცე საუკუნის პოეტი დიდ წინაპარს. ეს ის „ხმებია“, რომელთა გამოგონება არ შეიძლება, იგი შვიდასი წელია ზარივით გუგუნებს პალესტინის ჯვრის მონასტრიდან განფენილ სამყაროში. მას პირველმა მიუგდო ყური და აღმოაჩინა ირაკლი აბაშიძემ.

„პალესტინური“ ციკლის ლექსები ლოგიკური გაგრძელება და გვირგვინია ციკლისა

„რუსთაველის ნაკვალევზე“.

„გადავფრინეთ ტიგროსს და ევფრატს“... — წერს პოეტი და მკითხველმა იცის, რომ ეს „გადაფრენა“ მეოცე საუკუნის კოსმოსური ეპოქის პირმშოა და არა ზღაპრული მფრინავი ხალიჩების წყალობა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ციკლში ისტორიული თუ ლეგენდარული სახეებია გაცოცხლებული, მათი ავტორი უაღრესად თანამედროვე პოეტია. თანამედროვეა იგი ჩვენი სამშობლოს შორეულ „წარსულშიც“ და „მომავალში“.

ნაცრად და ფერფლად ქცეული უცხო ფოლიანტები, ურარტუს თეთრი, გილოათი მწვერვალები, ძველსამხრეთული ციხე-კოშკები, ძველშუმერული და ხეთური, ქალდეს გამქრალ ქალაქთა კლდეები, ელინთა ზღაპრულ ცხენთა თქარუნი და გამქრალ კვამლის სვეტები... და ამ ფონზე: „უხსოვარ ბანზე დაფრთხნენ მტრედები“.

„ — მაშ რამ?“ — ეს კითხვა სულს უწიოკებს პოეტს. ამ კითხვის ამოხსნაში სულიერ ტკივილს გრძნობს მკითხველიც.

— „რამ?“

— სიყვარულმა“, — და მკითხველმაც თავისუფლად ამოისუნთქა.

ირაკლი აბაშიძეს ჰქონდა უფლება ეთქვა: „არაბეთის ზღვასთან იდგა? — მეც აქ ვდგავარ, მეც აქ მოველ, არაბეთს ზღვასთან“.

ზემოთ ვთქვი, ირაკლი აბაშიძე „მომავალშიც“ თანამედროვე პოეტია-მეთქი. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უაღრესად რეალისტურად შეჰყურებდა მომავალს. ოცდამეერთე საუკუნის მკითხველისათვის ისევე „თანამედროვე“ იქნება, როგორც ჩვენთვის არის ახლა. ჭეშმარიტი პოეზია არასდროს იქცევა წარსულად, არასდროს არ დაბერდება, პირიქით, — რაც დრო გავა, მეტ ელვარებასა და ემოციურ ძალმოსილებას იძენს.

ირაკლი აბაშიძე უაღრესად ეროვნული პოეტია, რამაც განაპირობა მისი პოეზიის ზოგადსაკაცობრიო, გლობალური ხასიათი. ეს იგრძნობა მისი მინანქრული ლექსებით დანყებული და დამთავრებული ბოლო დროს გამოქვეყნებული მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებებით. აკაკი წერეთელი გვასწავლის, ვისაც თავისი სამშობლო არ უყვარს, იგი სხვას ვერ შეიყვარებსო. ირაკლი აბაშიძის პოეზიის ფიქრის საგანია თავისი ხალხისა და ზოგადად — ადამიანის ბედი. ავილოთ თუნდაც სხვადასხვა დროს შექმნილი ლექსები „მამა“ და „ფანტომი“. პირველი ღრმად ეროვნულია და, ამავე დროს, ტკივილიანი ფიქრი ადამიანის ბედზე. მოხუცი მამა ისე მოკვდა, რომ თვალთ არ დაუნახავს ტკბილზე ტკბილი ქვეყანა. იგი უსინათლო იყო, თხუთმეტი წელი ოდაში იჯდა და თუ გამოჩნდებოდა თემშარაზე, ძლივსძლივობით მიიკვლევდა გზას ჩალისფერ ჯოხით. იგი მოკვდა ისე მშვიდად, როგორც იცხოვრა, შემდეგ კი... მოვეუსმინოთ პოეტს:

**„არ ჩარჩენია ჯავრად მშვენება
ლურჯი ველების, ლურჯი ქედების...“**

**მე კი, მე იმ დროს რა მეშველება,
ორივე თვალით რომ ვიხედები.“**

ფილოსოფიური გააზრებითა და ზოგადსაკაცობრიო ფიქრით არის დამუხტული „ფანტომი“. კაცობრიობას საუკუნეთა გზაზე გალაქტიკაში დასდევს სიკვდილის აჩრდილი. ეს არის გალაქტიკაში აწყვეტილი კომეტა, რომელიც მოქრის დედამინისაკენ და წალეკვით ემუქრება ყინულეთში აწყვეტილი გრიგალი და ციკლონების ახალი წარღვნა:

**„სიმშვიდე!
მშვიდად შეხვდი განსაცდელს,
რა მწარეც ჩანდეს, რა დამღუპველიც;
არ შეიძლება შენს ცას არ ასცდეს,
წავა, ჩაივლის
წარღვნის ღრუბელი“.**

„მშვიდად შეხვდი განსაცდელს“, „იდექ, როგორც ბატონი“... ეს არის მაგიური ძალა, რომელიც ეძლევა კაცობრიობას თავისი მომავლის ხსნის გზაზე და მისი შემოქმედია ადამიანი.

არ მეგულება პოეტი, რომელსაც ლექსი არ დაენეროს დედაზე. კრებულები და ანთოლოგიებიც კი გამოდის სახელწოდებით — „მსოფლიო პოეტები — დედას“. მამაზე კი შედარებით ცოტა იწერება. თუ ვინმე განიზრახავს შეადგინოს კრებული „მსოფლიო პოეტები — მამას“, მჯერა მასში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ირაკლი აბაშიძის ლექსი.

არიან პოეტები და მათ შორის გენიოსებიც, რომლებსაც გენიალური ქმნილებების გვერდით მოეპოვებათ ისეთი ლექსები, რომლებიც არაფერს მატებენ არამცთუ ლიტერატურას, მათ ავტორსაც კი. ამ მხრივ ირაკლი აბაშიძე ბედნიერი გამონაკლისია. მას ტექნიკურად სუსტი ლექსი არ გააჩნია. კიდევ მეტი, მისი ყველა ლექსი თავიდან ბოლომდე მძლავრ ნაკადად მიედინება და სტროფებს შორის უჭაერო სივრცეს ვერ მიაგნებთ. ყოველივე ამას განაპირობებს ოსტატის ღვთიური მადლი და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა ლიტერატურისა და მკითხველის წინაშე.

ირაკლი აბაშიძემ მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის მდიდარ ტრადიციებზე დაყრდნობითა და შეუპოვარი შრომით გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა XX საუკუნის ქართული პოეზია. მან სიჭაბუკის წლებშივე დაიპყვიდრა საკუთარი პოეტური ხმა და შემოქმედების განვლილ დიდ გზაზე ერთგული დარჩა მისი. ეს ის „ხმაა“, რომელიც ასე რელიეფურად გამოარჩევს ირაკლი აბაშიძის ლექსებს თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

მრავალფეროვანია ირაკლი აბაშიძის პოეტური პალიტრა. ემოციურია მისი სიტყვა, ფრაზა, შესაშური შედარებები და სხვა კომპონენტები. ლექსი „პაოლო იაშვილს“ მრავალმხრივ საყურადღებოა, მაგრამ ამჯერად იგი მისთვის მოვიხმე,

რომ ვაჩვენო, თუ როგორი ზუსტი შედარებების ოსტატია მისი ავტორი:

**„ორ საქართველოს
დაჯახების მოხვდი მიჯნაზე,
ბრძოლა ფიცხელი,
ნახე, ძველზე ახლის მჯობნელის,
შენ ორთავ ქვეყნის
ტრფობა გეკრა გულისფიცარზე,
როგორც ყმანვილკაცს
სიყვარული გაყრილ მშობლების“.**

მე მგონი, უკვე ითქვა რისი თქმაც მსურდა. ასეთი ზუსტი შედარებები ბევრია ირაკლი აბაშიძის პოეზიაში. მისი სიტყვა ლაღობს და ხარობს ფერებით, როგორც ფრინველი ცით, ირემი — მთით, ბალახი — მზით, აპრილი — დლით, ნიაფი — ტყით, და როგორც ყველაფრით — ადამიანი. მან იცის ბუნების იდუმალი ენა:

**„ვიცი, მე ვიცი ბუნების ენა,
ენა ამ სიბრძნის, ამ სილამაზის:
სათიბის ენა, თავთუხის ენა,
მტვენის, მზის ემხით გავსილ აღმასის.
საუბრად მესმის ნიაფის სტვენა.
ფრინველს ნირს ვატყობ ცაში ფრენაზე...
და ისე ვკვდები, —
ეს უცხო ენა
ვერ მითარგმნია კაცის ენაზე“.**

აქ არის ერთგვარი უსაფუძვლო დაეჭვება პოეტისა. ეს ყველაფერი მან ბრწყინვალედ თარგმნა პოეზიის ენაზე. ლექსში „დარიალჰესთან“, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ალექსანდრე პუშკინის ცნობილი სტრიქონები „На холме Грузии лежит начная мгла“, ვკითხულობთ:

**„შენ ამ ქედებში ღამე დაგეცა,
ჩვენ დღეც და ღამეც
არ გვწვავს ქართველებს;
ახლა ღამესაც, იმ ძველ ღამესაც
დარიალჰესის მზე გაათენებს“.**

თუ დიდ რუს პოეტს ალექსანდრე პუშკინს საქართველოს ბორცვებზე წყვდიადი დახვდა, ახალმა საუკუნემ იქ დარიალჰესის დიდი მზე აანთო.

„მე არ ვიცი — ფიქრობდა თუ არა მიხეილ შოლოხოვი ტექნიკაზე, მხატვრულ ტექნიკაზე, როცა თავის „წყნარ დონს“ და „გატეხილ ყამირს“ წერდა. შოლოხოვის ფორმამ სრულყოფას, ალბათ, თავისთავად მიაღწია, მაგრამ მთავარი მის ნაწარმოებებში ყოველთვის იყო შინაარსი და „ავტორის სიყვარული თავისი საგნისადმი“, ეს საგანი კი — ადამიანია“, — ამბობს ირაკლი აბაშიძე.

ცხადია, არც ამ სიტყვების ავტორი არ ფიქრობდა მხატვრულ ტექნიკაზე, მაშინ როცა კატამონთან რუსთაველის ხმას უსმენდა. მე მინდა აქ დავესესხო თვით პოეტს და ვთქვა, რომ მისმა ტალანტმა აღმოაჩინა ეს „ხმები“, ისე, როგორც მეცნიერები აღმოაჩენენ ხოლმე ახალ ქიმიურ ელემენტებს და შეიტანენ სათანადო ნუსხაში.

საინტერესოა ირაკლი აბაშიძის აზრი პოეზიაზე.

„ჭეშმარიტი პოეზია, ჭეშმარიტი პოეტი, — წერს იგი, — მაინც ჰაეროსტატს ჰგავს, — ჩემს მეგობრებს, ალბათ, გაეღვიძებათ ამ მარტივ, მოძველებულ შედარებაზე, — მაინც ჰაეროსტატს ჰგავს, რომელიც უამრავი ბაგირით ეზიდება ზემოთ, სწევს და ამალღებს ადამიანის სულს, მაინც ჰაეროსტატს ჰგავს, რომლის ამწეობის უნარისა და სიმძლავრის მთელი საიდუმლო მხოლოდ მის სიდიდეშია, მხოლოდ მის სიდიდეში. მაინც ჰაეროსტატს ჰგავს, რომლის მოქმედებაც, და მით უმეტეს ამ მოქმედების გაძლიერება ჩვენს საუკუნეში გაოცებასაც კი უნდა იწვევდეს, როცა ასე მეტისმეტად დიდი იყო და დიდია გარეგანი, ატმოსფერული დაწოლა პოეტის სულზე“.

აქ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პოეტს. ამ აზრის საილუსტრაციოდ, სხვა რომ არ იყოს, მარტო მისი პოეზია კმარა.

„პალესტინის დღიურში“ ვკითხულობთ: „ჩემს თვალწინ იდგა ორი ქვეყანა კი არა, ორი ეპოქა — ეპოქა მეცნიერებისა, ჩვენი დიდ აღმოჩენათა ეპოქა, მეოცე საუკუნე თავისი შესანიშნავი წარმომადგენლებით, რომელთაც მსოფლიო სახელი მოუხვეჭიათ, მეორე მხრივ კი უფიცობის ეპოქა... მაგრამ ეს რომელი ეპოქაა? თუ ეს ეპოქის ნამუსრევია? დღეს საოცარ ანაქრონიზმად ქცეული; რამდენი ხნის წინ გადაწყდა კულტურულ სამყაროში ბრძოლა სამღვდელთა და მეცნიერებას შორის, მამ, რატომ უნდა მეორედებოდეს დღესაც ის ძველი ბრძოლის რეციდივები ჩვენს განათლებულ მეოცე საუკუნეშიც?“.

ამ სიტყვების ავტორი ჭეშმარიტი მოქალაქეა თავისი ეპოქის, მისი მხატვრული მესიტყვე და მეცნიერი, ქომაგი თავისი ერისა და საკაცობრიო ინტერესებისა. ამისი თავდებიც მისი პოეზიაა.

ირაკლი აბაშიძეს სხვა მირონი და მადლი აცხია, როგორც იტყვიან, მისი სვე ცაშია გადანყვებილი.

მაგონდება 1977 წლის 3 დეკემბერი. ბათუმში იყვნენ ქართველი მწერლები, შეხვედრები მოენყო ბათუმის ინტელიგენციასთან სახელმწიფო თეატრში, ლიტერატურულ საღამოზე მისთვის უცნობი ბევრი ახალგაზრდა პოეტი გამოვიდა. პოეტი-აკადემიკოსი გულისყურით უსმენდა ყველას. ღიმილით აჯილდოებდა, გულის სითბოს უნანილებდა. როცა ირაკლი აბაშიძე თავისი დიდების ზენიტში იყო, მაშინ ყმანვილი კაცი ვიყავი. მიუხედავად ამისა, ძალიან კარგად მიცნობდა მოსკოვური (ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში) შეხვედრების გამოისობით მაგრამ მას-

თან განსაკუთრებული ურთიერთობა არ მქონია. მიუხედავად ამისა, მე იგი მთელს ქართველ მწერალთა შორის, განსაკუთრებულად მიყვარდა. თუ რატომ, ახლაც არ ვიცი. ალბათ იმიტომ, რომ იგი ირაკლი აბაშიძე იყო.

ირაკლი აბაშიძის შემოქმედება ქართული კლასიკური მწერლობის ორგანული ნაწილია. ყოველივე ეს ბოლო დროს გამოქვეყნებული ლექსებითაც დასტურდება. მათში ძალუმად იგრძნობა ავტორის არა მარტო მახვილი თვალი, უტყუარი პოლიტიკური ალღო და თანამედროვეობის მძაფრი შეგრძნება, არამედ უაღრესად ფაქიზი ადამიანური გრძნობები.

ირაკლი აბაშიძე ერთ-ერთ ლექსში, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონები „მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული“, ამბობს:

**„ვინ რას დამძრახავს, —
დღეც არ გასულა,
მე არ მესუნთქოს
მინის სურნელით,
მე ვიყავ
ქვეყნით სავსე, კაცურად,
ხან უამურით, ხან სასურველით.
ის ხან მანთებდა სხივით, ნათელით,
ხან ჩემს სულს გლეჯდა
აფთრის კბილებით;
ქვეყნის სატკივრით
მე ვარ ჯანმრთელი,
მე უნდა მოვკვდე ამ სატკივრებით.
ვინ რას დამყვადრის, —
დღეც არ გასულა
მე არ მეცოცხლოს
ქვეყნის ხმაურით:
მე გულში მედო საგანძურად
ხმა მიწიერი, ხმა აქაური.
მაგრამ მსურს მოვკვდე,
როგორც მთის კაცი
და სამარის წინ ვთქვა გატეხილად:
რომ ზოგჯერ
ჩემთვის გახსნილ ცისკარში
მე მსურდა ღმერთიც, ღმერთიც მეხილა“.**

ეს ლექსი მშვენიერად ესადაგება ყველა ჭეშმარიტი პოეტის ავტობიოგრაფიას, პირველ რიგში კი გამოხატავს მისი ავტორის მრწამსს, სიცოცხლის აზრსა და სულისკვეთებას.



მარიამ

ბუჩქაძე

ჯიტი სასახლის ისტორია

ისტორიის უმთავრესი ნაწილი ძველ, უკვე ლეგენდარულ შენობებს უკავშირდება. ლეგენდარულობას კი ძველს ანიჭებს გამორჩეული არქიტექტორული სტილი და უფრო მეტად კი, მისი ისტორია. დღეს არაერთი უბრალო არქიტექტურული ნაგებობა ისტორიულად ითვლება სწორედ მისი დანიშნულების ან ბინადრის სახელოვნების გამო. ხშირად შეხვდებით წარწერებს: „ამ სახლში ცხოვრობდა გამოჩენილი...“ და სახლი უკვე სასახლედ წარმოგიდგებათ.

სწორედ ლეგენდარულად იქცა წერეთლების სასახლე იმერეთის სოფელ სხვიტორში მას შემდეგ, რაც საქართველოს ბუღბუღმა დაამღერა იქ თავისი ჩანგური.

ზემო იმერეთში, დაბა საჩხერესთან მიკრულ სოფელ სხვიტორში, 2 ვერსის მანძილზე, იქ, სადაც ვერხოვანის მშვენიერ სერს აქაფებული ჩიხურას მდინარე შეჰყვანეს-შესტირის, მარ-

ჯვენა მხარისაკენ კი გონჯურას ლელე ცოცხალ ქსელად თავს ევლება, მაღალი მთის ფერდობზე აღმართულია ქვითკირის ორსართულიანი სახლი, რომელიც აღმოსავლეთისკენ იცქირება. სწორედ ამ სახლში, 1840 წლის 9 ივნისს (ძვ. სტ.) დაიბადა „ერთი რაღაც დათვისბელა და ბამბისქულა“ ვაჟი წერეთლებისა. „გონჯისხევის ტყიანი მთის კალთები, ცის კაბადონზე განოლილი პერანგას ქედი, დაუდეგარი ჩიხურას ჩხრიალა წყალი, ახლომდებარე სავანე და საფალავანდიშვილო, ზემოდან გადმომყურე „მოდინახეს“ ისტორიული ციხე — „მოზღუდვილი კლდითა, მაგარი და უბრძოლველი მტრისაგან“ (ვახუშტი) — ეს უტყვი მოწმე ამ მხარის გამირული წარსულისა, — ქმნიან ისეთ საოცარ გარემოს, რომ უკვე აღარ გიკვირს, სწორედ აქ უნდა დაბადებულიყო ქართული პოეზიის უგვირგვინო მეფე — აკაკი“ — შენიშნავს გ. შარაძე (აკაკი წერეთელი, 1840-1915, ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, წიგნი 1, თბ. 2006 წ. გვ. 18).

ეს მიდამო, უკვე საფერებლად ქცეული თავისი მფლობელი მგოსნის დარად, ბევრს ხიბლავდა, რისი წყალობითაც ლიტერატურაშიც შემოგვრჩა მისი ცოცხალი სურათ-ხატები. 1887 წელს იმერეთში იმოგზაურა არტურ ლაისტმა. ქვემო იმერეთის ერთფეროვანი მწვანე ველის და შავი უდაბნოს მსგავსი ჭიათურის ქვის მალაროების ნახვის შემდეგ საწერეთლოს დიდი და დაჩრდილული ბაღი, იქ მდგარი თეთრი სასახლით, ულამაზეს სანახაობად მოსჩვენებია ა. ლაისტს.

უკეთესად ვერც ინატრებ, თავად აკაკის ისე აქვს აღწერილი მშობლიური სხვიტორის ბუნების, მისი მიდამოების სურათები. გარდა ჭაბუკობისდროინდელი (1861 წ.) პოემისა „რუსეთუმე“ (მე-10 თავი), ამ სასახლის პორტრეტს ხატოვნად



წარმოგვიდგენს მემუარული ჟანრის მოთხრობა „ჩემი თავგადასავალი“, რომელიც არა მარტო ავტობიოგრაფიაა მწერლისა და შესანიშნავი ადამიანური დოკუმენტი, არამედ იგი არის გაშლილი ქრონიკა მე-19 საუკუნის ქართული ყოფისა, აყვანილი მაღალი რეგისტრის მხატვრული ნაწარმოების დონეზე. პოეტი აღწერს სასახლეს: „...ჩიხურის პირად, მაღლობზე, სდგას ორსართულიანი ქვითკირის სახლი. უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე ციხისა, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არა ჰგავს“ (აკაკი წერეთელი, თხზულებანი, წიგნი მეორე, თბ. 1992 წ. გვ.73). სასახლე ისე მიმზიდველად დომინირებს მთიანი იმერეთის ლანდშაფტში, რომ საკვირველია, რატომ უწოდა მგოსანმა მას „უშნო შენობა“?! სასახლის ზევით სართულზე (ე.წ. ოდა) ოთხი ოთახი, ერთი სასტუმრო დიდი დარბაზი და ფართო აივანია განლაგებული (მოგვიანებით აკაკიმ, მეუღლის თხოვნით, ზედა სართულს კიდევ ერთი ოთახი მიაშენა), ქვევით კი (ე.წ. პალატი) ექვსი თვალია. ბუხრები და კედელში თლილი ქვისგან გაკეთებული თახჩები, ანუ განჯინები, დიდი ხელოვნებით არის მოჩუქურთმებული. სახლის აღმოსავლეთ მხარეს, აივნის ფანჯარასთან კედელში ქვაა დატანებული, რომელზეც ამოკვეთილია ამჟამად ოდნავ გადაშლილი წარწერა (აკროსტიხი „როსტომ“), „ქართული არქაული წყობილსიტყაობის გაუმართავი ნიმუში“ (ლ. ასათიანი), საიდანაც ჩანს, რომ ეს სასახლე როსტომ წერეთელს აუგია 1834 წლის თებერვალ-ივლისში ბერძენი ოსტატების ხელით:

„რა პატრონმა გებად მიწყო, სხუანი დრტვინვენ : ვერ სრულყოფსა! ოდეს სრულმყო უცოდველად მოდათ მიმცა იმერლებსა, საქმე პირველ საძნელთა, თორემ მერმეთ ვინ ვერ ჰქმნასა, ტვირთად მისდა ვინ აღმილო, ან ილხენდეს შინა ჩემსა. ოსტატთ ყოფილთ ბერძენთაგან ხელ მყუეს აღსაგებლად თებერვლის თვეშიდ. მომწოდებლის ხელთმძღვანელობით, სრულ მყუეს ამავეს ჩყლდ-სა წელში იულისის თვეშიდ“

ისევ „ჩემი თავგადასავლიდან“ — „სასახ-

ლეს ირგვლივ სამი კუთხით სხვადასხვა შენობა ერტყა: სამოახლო, საფარეშო, სახაბაზო, სამზარეულო, ბეღლები, საბძლები, სასიმიინდეები, მარანი და სხვადასხვა ხულები. იმათზე ცოტა მოშორებით საჯალაბო იყო და იმ საჯალაბოს გარს ერტყა საჯინბო, სათხებო, სალორე, საქათმე, საბატე, საინდოურე და სხვ... სახლს წინ დიდი ეზო ჰქონდა, სადაც უზარმაზარი ნიგვზები, ანუ, როგორც ზოგან უწოდებენ, კაკლის ხეები, საჩრდილებლად თავმოწონენ შლიდნენ შტოებს. სახლის წინ კარის ეკლესია იყო აგებული, უკან საქალებოთი“ (გვ.102-103). საკმაოდ ვრცლად გვიხატავს აკაკი თავისი ოჯახისა და მისი მოსახლკარობის (ურიცხვი შინა-ყმებისა და მოსამსახურეების) სოციალურ-იერარქიული მდგომარეობის სურათს, რომლის მიხედვითაც ნათლად იხატება თავად როსტომ წერეთლის სასახლე, როგორც ქართული ფეოდალური არისტოკრატის ცხოვრების წესის ტიპური ნიმუში. „შორეული ჩვენიანი“ — არტურ ლაისტი თავის დღიურში წერდა: „...მისი მშობლების ოჯახში ძველი ქართული ტრადიციების ნამდვილი სული ტრიალებდა. აკაკი ყოველდღე ხედავდა სურათებს, რომლებიც მისი სახლის გარეთ უქვე აღგვილიყო. მისი მშობლები დაიბადნენ და აღიზარდნენ მე-19 საუკუნის დამდეგს, როცა ჯერ კიდევ არ გამქრალიყო წინა საუკუნის კვალი! ამ სახლში ყველაფერი ქართული სულით სუნთქავდა... (ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963წ. გვ.64). ევროპელის თვალმა ამკარად სხვაგვარად აღიქვა ქართული ტრადიციული ლხინი, ძველი თაობისათვის ჩვეულ ზედმეტ ცერემონიალობად მიიჩნია და შეუძლებლად დაინახა იქ ახალი დროის სულის დაფუძნება (ჭაჭყავაძეების სახლის (წინანდალში) გარემოსთან შედარებით, ცხადია, წერეთლების სახლი სულ სხვა აურას ატარებს. აქ, ბუნებრივია, არავის მოუვიდოდა თავში აზრად ფეოდალური რომანტიულობის მოსპობა და ევროპეიზაციისკენ ლტოლვა). დრო გადიოდა და ფეოდალიზმის კვდომასთან ერთად, ამ სახლში გარემოც იცვლებოდა. აკაკის რძალი, ძმისწულის — ვასილ წერეთლის მეუღლე, სოფიო დგებუაძე გვაძლევს უფრო დანვრილებით ცნობებს როსტომ წერეთლის სახლ-კარის შესახებ 1878 წლისათვის:


1. ქვითკირის სახლი;
2. საჯალაბო ერთი თვალი (დიდი სახლი) ყავრით გადახურული, რომელიც იდგა წინა კიბის პირდაპირ;
3. სათხებო და ბოსელი (იგი ჩვენი ყოფილი ვენახისკენ იდგა);
4. სასიმიინდე ყავრით დახურული;
5. მუხის ბეღელი პურისათვის (იდგა მახარაშვილების მხარეს მაღლობზე);
6. სახაბაზო მუხის ყავრით გადახურული უკანა კიბის პირდაპირ;
7. მუხის პატარა ბეღელი (ნამცხვრისათვის, პური, ქაღი), რომელიც სახაბაზოს გვერდით იყო;
8. ბეღელი მუხის;

9. მარანი ორი სანახელით;
 10. საყდართან მიდგმული იყო საქალებო;
 11. ჭურები;
 12. სამტრედე — შარაგზისაკენ, რომლის ქვეშ იყო მოთავსებული საკურდღლე;
 13. დედისეულ ბაღში: 1. სახლი; 2. ბელელი;
3. ჭურები (როსტომის გარდაცვალების შემდეგ ეს ბაღი გაიყვეს ეკატერინემ და დავითმა; დავითს თავის კუთვნილ ნაწილში ედგა სახლიც და ნისქვილიც).

ეს ის გარემოა, სადაც უსწავლია წერაკითხვა აკაკის, აქ გაუტაცნია „ვეფხისტყაოსნის“ წარმტაც, პოეტურ ამბავს და „ადრინდელი თავმესაქცევარი ყოველგვარი თამაშობა“ მოსწყენია და სხვა საფიქრალს ასდევნებია. ამ სასახლის წიაღში დაინყეს ჟღერა უნიკალური მუსიკალური ჰარმონიით აღსავსე ლექსებმა, თუმცა მისი პირველი მხატვრული ქმნილება ლექსი არ ყოფილა. აქაც გვაოცებს მგოსანი — დრამატურგიით იწყებს, რომელიც სიმნიფის ხანაა მწერლობისა. თემად შინაურულ ყოფას იღებს (იმას, თუ როგორ აწვალებდა მოურავი გლეხებს და მერე როგორ აბეზღებდა მათ ბატონთან; როგორ ჯავრობდა ბატონი და ა.შ.). ეს ბავშვური სცენები მის დებიუტად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ, სამუხაზოდ, რუსეთიდან დაბრუნებულმა, გაზრდილმა და, როგორც თავად ამბობს, სიბრიყვემორეულმა, იუკადრისა, დახია და ცეცხლში ჩაყარა. შემდეგში, მოხუცობის ჟამს, თავადაც გაჰკვირვებია — „ყველაფერი ღირებული და მნიშვნელოვანი სოფელში მაქვს დანერვილი“-ო.

უამრავი კარგი მოგონება აკავშირებს მგოსანს მამისეულ სახლთან. მისი თავგადასავლის ფურცლებიდან ირკვევა, რომ სპარტანულად ზრდიდნენ. ხან მეტს ჭამდა, ხან მშიერიც იყო, ხან ძვირფასად მორთავდნენ, ხან უბრალოდ, ხან ბუმბულში გორავდა, ხან ხმელეთზე კოტრიალობდა. ავსაც და კარგსაც თანასწორად იტანდა. 8 წლის იყო, როცა მშობლიურ სასახლეს მოაშორეს და ქალაქ ქუთაისში გადაიყვანეს. „აქ თავდება ჩემი ბავშვობის პირველი ხანა ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუფინყარი. აქედანვე იწყება მეორეც: მტანჯავი, დამჩაგვრელი და გამაუკუღმართებელი“ (გვ.116).

აკაკის ერთი მეგობრის მოგონებაში ვკითხულობთ, რომ აკაკის ისე უყვარს ეს ადგილი, რომ „ყოველთვის და ყველგან გაიძახის: სწორედ აქ უნდა დავიმარხოვო“ (გ. ტყემელაშვილი, სხვიტორიდან მთანმინდამდე, ქუთაისი, 1991წ. გვ.21). ანდერძში კი, რომელიც მგოსანმა 1912 წლის 7 ნოემბერს დაამტკიცა ქუთაისში, ნოტარიუს აბდუშელიშვილის კანტორაში, წერია: „...ამ მამულიდან სამოსახლო ადგილს შენობებით და კარის ეკლესიით სოფელ სხვიტორში ვუტოვებ ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას... რადგანაც ზემოთ ხსენებულ სამოსახლო ადგილთან დაკავშირებულია ჩემთვის ფრიად ძვირფასი მოგონებანი, ამიტომ ვთხოვლობ, როდესაც უფალი თავისთან გამი-



წევს, დამასაფლაოთ კარის ეკლესიის გვერდით, სოფელ სხვიტორში“ (ტყემელაშვილი, გვ.21). ფრაგმენტი გ. ნიორაძის მოგონებიდან — „...აკაკის საყვარელ უსწორმასწორო ეზოში თქვენს ყურადღებას იპყრობს ტყემლის ხე და მის ძირში ორი შავათ შემოსილი ბოძი, ერთი მეორეზე სამი ალაბით დაცილებული. ეს ის ალაგი არის, სადაც სურდა აკაკის დამარხვა“ (ტყემელაშვილი, გვ. 48). გარდაცვალების შემდეგ, სადაოდ იქცა მგოსნის სამუდამო განსასვენებლის საკითხი. საჩხერელი გლეხები მოითხოვდნენ აკაკის ანდერძის ასრულებას: „ჩვენია, ჩვენ გვიმღეროდა, ჩვენთან დასაფლავდესო“, მაგრამ თბილისის კომიტეტმა, მთელი ერის ინტერესების გათვალისწინებით, მთანმინდაზე გადაასვენა საქართველოს ბუღბული, იმერლებს კი სხვიტორის გარდა, სავანეშიც აღუთქვეს აკაკის ძეგლის დადგმა, რომელიც, რა თქმა უნდა, არც მაშინ და არც შემდგომში არ დადგმულა უბრალო მიზეზის გამო — დაჰპირდნენ მხოლოდ...

აკაკის ანდერძის თანახმად, სხვიტორის ქონება კი გადაეცა ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, მაგრამ იმდენად უყურადღებოდ მოეპყრნენ იმ ბნელწლებში აკაკის მემუარულთუემემორიალურ ქონებას, რომ ბევრი რამ გაიფანტა და გაიყიდა კიდეც. აკაკის ოთახი დღეს ისე არ არის შემონახული, როგორც ეს მისი გარდაცვალების მომენტში იყო. „ხელოვნებისა და პოეზიის ამ დიად სამლოცველოს“ 1915 წლის იანვრის ბოლოს, სხვიტორიდან აკაკის გადმოსვენების დღეს, ამგვარად აღწერს პოეტი ჯაჯუ ჯორჯიკია: „ოთახის შუაგულში დგას რკინის საწოლი, რომელზედაც მიიცვალა მგოსანი, აღმოსავლეთით აივნიდან შემოსასვლელი კარია, სამხრეთით პატარა სარკმელი, კუთხეში მიკეთებულია სახატე. წინათ აქ იდგა მისი საწოლი. „ხატებს მივანდე თავი, აწი



არაფერი მიშავს, ამ ომის დამთავრებას მოვასწრებო!" (იგულისხმება მისი უკანასკნელი პოემა „ომი“) — ხშირად იტყოდა თურმე ავადმყოფი. ჩრდილოეთით ჰკიდა „სვეტიცხოვლის ხატი“ და დასავლეთით გაკეთებულია დიდი ბუხარი. ამ ბუხრის ორ ადგილას მარჯვნივ და მარცხნივ, ქვითკირში ჩასმულია სურათივით ორი ფინჯანი, მარჯვნივ მყოფ ფინჯანზე უბრალო ხაზები აქვს, მხოლოდ მარცხნივ მყოფზე დახატულია დაშლილი კარტები... აკაკის ოთახის ბუხარს კვამლის გასასვლელი განით აქვს, ზევით კი ცაზე ყელაშვერილი მამალი სდგას, რომელიც თითქოს ემზადება არემარეს განთიადი ახაროსო...“ (ტყეშელაშვილი, გვ.33). როსტომმა, აკაკის მამამ, როდესაც სასახლე ააშენა, სახურავზე ბუხრის ყელის სანაცვლოდ დაადგმევინა ჭადრაკის ფიგურების მსგავსი საკვამურები. როსტომი კი, ცნობილია, ჭადრაკის დიდი ტრფიალი იყო. ჯ. ჯორჯიკიას დროისათვის, როგორც ჩანს, სახურავზე არცერთი ფიგურა არა ჩანს, მხოლოდ აკაკის ბუხრის საკვამურია მამლის ქანდაკებით დამშვენებული. ძნელად ასახსნელია, თუ როდის ჩამოხსნეს ეს ფიგურები და ვინ? დღეს აღარც აკაკის ბუხრის საკვამურზე დგას ის მამალი... დიდად სამწუხარო და არნაკლებ სამარცხვინო ფაქტია, რომ აწინილი პოლიტიკური და სოციალური კატაკლიზმების დროს, ქვეყნის ძნელბედობის უამს 2-ჯერ გაიჭურდა წერეთლების სასახლე. 1993 წლის ივნისში მოიპარეს აკაკისეული ძველებური ხალიჩები (3 ცალი) და მუთაქა. მეორედ, 1998 წელს, გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა ბარომეტრი. დაბოლოს, 2005 წელს მოიპარეს ძვირფასი, გერმანული წარმოების (ოტო მიულერის ფირმის) ნავთის 2 ოჯახისეული ლამპა, ამასთან ერთად, ფაიფურის ანტიკვარიული ვაზა და კიდევ 1 ხალიჩაც.

აკაკის სახლი კარის ეკლესიით სხვიტორში 1926 წელს იმერეთის სიძველეთა (შორაპნის მაზრის ისტორიული ძეგლების) სიაში შეუტანია სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების ინსპექტორს, გ. ბოჭორიძეს (გ. ბოჭორიძე, იმერეთის ისტორიული ძეგლები, თბ. 1995წ.). დღეს ეს სასახლე აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმად იწოდება. მუზეუმის მნიშვნელობაზე, სადღეისო მდგომარეობასა და პრობლემებზე გვესაუბრნენ თან-

ამშრომლები, ქალბატონები: **ლეილა მაკასარაშვილი, ლეილა ზაბახიძე და რიმა კაპანაძე.** სულ 27 თანამშრომელია. ქედან 5 მათგანი სავანის ძიძისეულ ქოხს ემსახურება. მუზეუმის დირექტორია ბ. ცეზარ ლაშხი.

სახლ-მუზეუმი გაიხსნა 1939 წელს. მანამდე სახლს პატრონობდა აკაკის ნების აღმსრულებელი კოტე აბდუშელიშვილი (გარდაიცვალა 1927 წელს), შემდეგ — ანიკო თარხნიშვილი-აბდუშელიშვილისა. მუზეუმი ატარებს სახელმწიფო სტატუსს 1943 წლიდან. 100 წლის იუბილის სამზადისისათვის სახლში სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა ბორის კიპაროიძე. პირველი დირექტორი იყო ბაბო მეგრელაძე, 1943 წლის 7 თებერვლიდან კი, კოკი კეჟურაძე, რომელიც ზუსტად 40 წლის განმავლობაში განაგებდა მუზეუმს.

პირველი გამოფენა გაიხსნა 1948 წელს. 1959 წელს ჩატარდა მუზეუმის რესტავრაცია, 1960 წლისათვის კი გაკეთდა ახალი ექსპოზიცია. 1960 წელს დაირღვა მუზეუმის მემორიალური კომპლექსი. აშენდა საგამოფენო დარბაზი, გაკეთდა კიბეები, რის გამოც გაიჩნა აკაკისეული ვაზი, რაც სხვა არაფერია, თუ არა ბარბაროსული ქმედება. 1959 წელს მოხდა რეექსპოზიცია — ახალი გამოფენის შეცვლა. 1980 წელს აუღიათ კიბეები. ეზოს დაუბრუნდა ისტორიული სახე, ნაწილობრივ აღდგა მემორიალობა, გამოფენა გამოვიდა მუზეუმის შენობიდან და დროებით გადატანილ იქნა 1960 წელს აგებულ შენობაში. ამჟამად მუზეუმს საგამოფენო დარბაზი არ აქვს, თუმცა ამისათვის გამოყოფილი შენობა არსებობს მუზეუმის ტერიტორიაზე, მაგრამ ის არ შეესაბამება სათანადო დონეს და სახსრების უქონლობის გამო სასახლის ერთ კუნტულში უფუნქციოდ თავმოყრილი ექსპონატებიც ყოველ წუთს ელიან თავის გულშემატკივარს... მუზეუმის თანამშრომლები დიდ მადლიერებას გამოხატავენ ბ. ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რომლის მხარდაჭერითაც ბოლო პერიოდში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა სახლ-მუზეუმში, მაგრამ მათ კვლავ აწუხებთ დიდი პრობლემები — საექსპოზიციო დარბაზის უქონლობა.

მეტად სასიხარულო და აღსანიშნავი ფაქტია, რომ სასახლის კარის ეკლესიაში, რომელშიც დიდი ხნის მანძილზე არ ტარდებოდა წივალოცვა, სწორედ წელს, 2009 წლის 21 ივნისს, აკაკის დაბადების დღეზე, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის წინამძღოლმა, მეუფე დანიელმა აღავლინა აკაკის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი. ამ ეკლესიის გარდა, სასახლის ეზოს არქაულ იერს უნარჩუნებენ ძველი სამოახლოები, სასიმინდე, საფარემო და სხვა საჭირნახულე დანიშნულების ხის ნაგებობები. უზარმაზარი კაკლის ხეებიც ისევ ისე თავმომწონედ შლიან შტოებს...



ანსამბლი „მოძახილი“

ეს სივრცე

ანსამბლი „მოძახილი“ ახალი სიხყვა, ახალი ახავი, ჩახთუი მახიხაიუხი საშემსახელებლო ხელოვნებაში

ძნელია იყო გუნდის მომღერალი და სოლისტი ერთდროულად, მაგრამ ანსამბლ „მოძახილში“ ამ ექსპერიმენტმა გაამართლა.

გუნდი ასრულებს ყველა სიმღერას მაღალპროფესიონალურ დონეზე: სინქრონული, თანაბარი უღერადობით. ეს არის თანამედროვე საგუნდო-საშემსრულებლო მუსიკაში ახალი სიტყვა, ახალი ეტაპი და ახალი ხედვა იმ მსმენელისათვის, ვინც „მოძახილს“ უსმენს და აფასებს.

ანსამბლი „მოძახილი“ 2009 წლის 5 მარტს შეიქმნა. ის რვა წევრისაგან შედგება. ხელმძღვანელები: დავით არჩვაძე და ზვიად ბერიაშვილი. I ხმები: ბესო ოდიშელიძე, თემურ რიჟამაძე, II ხმები: მერაბ ვარდოსანიძე, ილია ბახუაშვილი. III ხმები: დარჩი ბახუაშვილი, მიშა

მარკოზია, IV ხმები: სერგო აბაზაძე, გიორგი კონტრიძე.

ანსამბლის ყველა წევრი სხვადასხვა დროს სხვადასხვა გუნდის მომღერალი იყო. მათი მოღვაწეობა მუსიკის სფეროში საკმაოდ საინტერესოა.

დავით არჩვაძე: მრავალი სიმღერის, კომპოზიციის ავტორი და შემსრულებელი. ანსამბლ „დარიალის“ აღსაზრდელი თემურ ქეცხიშვილის ხელმძღვანელობით. მოღვაწეობდა და დღემდე მოღვაწეობს ანსამბლ „ქართულ ხმებში“, ამავე დროს არის სტუდია „ქართული ხმების“ პედაგოგი. მას აქვს საინტერესო გამოცდილება და ღვაწლი სხვადასხვა სოლო მომღერლის კარიერაში და აღზრდაში. დავით არჩვაძე თბილისის ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის მგალობელია.

ზვიად ბერიაშვილი: მოღვაწეობდა ეროვნულ-მუსიკალურ ცენტრში საგუნდო კაპელის მომღერლად, პროფესორ გივი მუნჯიშვილის ხელმძღვანელობით. დღემდე მღერის ანსამბლ „იმერში“ რობერტ გოგოლაშვილის ხელმძღვანელობით. დავით არჩვაძესთან ერთად მუშაობს საბავშვო ანსამბლ „მოძახილში“.

ბავშვობაში მღეროდა ანსამბლ „მართვეში“, შემდეგ აკადემიურ ანსამბლ „ერისიონში“, სტილიზებული ფოლკლორის თეატრ „ნაბადში“ იყო მომღერალი, მსახიობი და მუსიკალური ხელმძღვანელი. მას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს გუნდთან ინდივიდუალური მუშაობისა. არის დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის მგალობელ ვაჟთა გუნდის რეგენტი.



ბესო ოდიშელიძე: დიდ ტრადიციებზე აღზრდილი, ლეგენდარული მომღერლის — ილია ზაქაიძის მოსწავლე. (ილია ზაქაიძის შესრულებით კოსმოსში არის გაგზავნილი სიმღერა „ჩაკრულო“, რომელიც მარად-ყამს იარსებებს.) ბავშვობის ასაკის შემდეგ მოღვაწეობდა ანსამბლ „ზარებში“, ხელმძღვანელი — ციური მჭედლიძე და ანსამბლ „ივერიონში“.

თემურ რიჟამაძე: იყო სტილიზებული ფოლკლორის თეატრ „ნაბადის“ მსახიობ-მომღერალი, მღეროდა ქ. თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ანსამბლში (ხელმძღვანელი ბადრი თოიძე) და ანსამბლ „მძლევარში“ — ხელმძღვანელები: ტარიელ და კახა ონაშვილები.

მერაბ ვარდოსანიძე: მღეროდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „თბილისში“. ხელმძღვანელი — ნუგზარ კურცხალია. ანსამბლებში: „არაგველები“ — ხელმძღვანელი მამია ბაქრაძე; „ერისიონი“, „ალილო“, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის გუნდში მსახიობ-მომღერლად. მას აგრეთვე აქვს ჩანერილი სხვადასხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებების სოლო პარტიები. უახლოეს მომავალში გეგმავს გამოუშვას სოლო დისკო.

ძმები ილია და დაჩი ბახუაშვილები, მომღერალ ამირან ბახუაშვილის შვილები არიან. (ბატონი ამირანი დღემდე მღერის ანსამბლში „მხოლოდ შენ ერთს“). ისინი მრავალი წელი მღეროდნენ ანსამბლ „მძლევარში“. ხელმძღვანელები: ტარიელ და კახა ონაშვილები.

მიშა მარკოზია: მოღვაწეობდა ანსამბლ „ზარებში“. ხელმძღვანელი — ციური მჭედლიძე და აგრეთვე ანსამბლ „ივერიონში“.

სერგო აბაზაძე: იყო ხაშურის რაიონის კულტურის სახლის დირექტორის მოადგილე და სოლო მომღერალი.

გიორგი კონტრიძე: ანსამბლ „მართვეს“ აღსაზრდელი. მღეროდა ანსამბლ „მძლევარში“ და არის მრავალი ტრიოსა და კვარტეტის ერთ-ერთი გამორჩეული საუკეთესო ხმა.

ალსანიშნავია, რომ ყველა ტრადიციული ოჯახიდანან, ყველა თავისი საქმის პროფესიონალია და პასუხისმგებლობის დიდი უნარის მქონე, რაც ანსამბლზე მკაფიოდ აისახება.

ანსამბლ „მოდახილის“ რვავე წევრი, გარდა იმისა, რომ გუნდში ერთად მღერის და ფანტასტიკურად ჟღერს როგორც ფორტე, ასევე პიანო, ყველა ინდივიდუალური სოლისტია, როგორც ხალხურ, ასევე კომპოზიტორის ნაწარმოებში. ამ ანსამბლს სოლისტების ანსამბლსაც კი ეძახიან.

გუნდს დიაპაზონი საკმაოდ მაღალი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ტემბრის მომღერლები არიან (ორ-ორი ხმაა ყველა ხმაში) აქვთ დამოუკიდებელი იმპროვიზაციების უსაზღვრო მარაგი. ამ ანსამბლის მოსმენის შემდეგ არ შეიძლება მსმენელი დადებითი ემოციებით არ აივსოს. მათ იმდენად განსხვავებული ჟღერადობის ხმები აქვთ, რომ მსმენელს ამაღლელებელი განწყობილება და უსაზღვრო კმაყოფილება ეუფლება. მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლი დიდი ხნის ჩამოყალიბებული არ არის, ამ მოკლე დროში აქვს ხშირი ჩართვები სხვადასხვა რადიო და ტელე გადაცემებში.

ანსამბლმა ჩაწერა დათო არჩვადისეული ვერსია ორი კომპოზიციისა — „გაზაფხულა, აყვავილდა ნუში“. ეს სიმღერები ერთი და

იგივე ლექსზე ორმა დიდმა კომპოზიტორმა შექმნა: რ. ლალიძემ და ბ. კვერნაძემ, ასევე ქალბატონ მარიკა კვალიაშვილის სიმღერა — „ოდა სვანეთს“. სხვათა შორის, ეს კომპოზიცია რამდენიმე ფორმისაგან შედგება: როგორც თავისუფალი, ასევე ქართული საცეკვაო რითმისგანაც. ხელმძღვანელების თქმით, ამ კომპოზიციის შესრულების შემდეგ, უკვე სხვა სირთულეების გადალახვაც ანსამბლისათვის ძალიან ადვილი იქნება.

ანსამბლს ჩანერილი აქვს დავით არჩვაძის ორი კომპოზიცია: ერთი ხალხურ მოტივებზე, მეორე კი მომღერალ ნათია ქოროლიძემკვლთან ერთად.

„მოძახილს“ ჰყავს ორი კვარტეტი, რომელიც პარალელურად მუშაობს სხვადასხვა კომპოზიტორის მიერ შექმნილ სიმღერებზე. როგორც ახალ, ასევე ძველი კომპოზიციების ახლებურ ვერსიებზე, ახლებური არანჟირებით.

დავით არჩვაძემ და მერაბ ვარდოსანიძემ ჩანერეს და გადაიღეს ვიდეოკლიპი ჯანსუღ კახიძის სიმღერაზე მულტფილმიდან — „საზამთრო“.

როგორც ვიცით, 2010 წლის 4 აპრილს ემთხვევა კათოლიკური და მართლმადიდებლური აღდგომა. არსებობს იდეა, რომ აპრილის თვეში ანსამბლი „მოძახილი“ მიიღებს მონაწილეობას ფესტივალში „აღდგომიდან ამალღებამდე“. კონცერტში შესრულდება მხოლოდ საორღანო მუსიკა და ქართული საგალობლები. ქართულ საგალობლებს შესარულებს ანსამბლი „მოძახილი“.

უნდა აღინიშნოს, რომ მარიკა კვალიაშვილთან სახლში, ანსამბლი ერთ-ერთი სიმღერის „ოდა სვანეთს“ რეპეტიციის დროს,

ესტუმრათ ქალაქის მერი — ბატონი გიგი უგულავა, ასევე მერიის წარმომადგენლები, კომპოზიტორთა და მწერალთა კავშირის წევრები. ანსამბლის სხვა რეპერტუართან ერთად სტუმრებს მოასმენინეს ამ სიმღერის სამუშაო ვარიანტი და გაჩნდა სურვილი ბატონ გიგისაგან, რომ „მოძახილი“ ხელოვან ხალხთან (მხატვრები, პოეტები, კომპოზიტორები, ქორეოგრაფები) ერთად გამგზავრებულიყვნენ ტაო-კლარჯეთში, წმინდა მიწაზე მოსალოცად. აღსანიშნავია, რომ ის მიძინებული, ქედმაღალი და მადლიანი ტაძრები, რომლებიც მოკლებულია ქართულ ლოცვასა და გალობას, ანსამბლმა „მოძახილმა“ გაათბო თავისი ქართული გულიდან ამოსული გალობითა და სიმღერით.

ანსამბლის წევრებს მიზნად აქვთ დასახული შეასრულონ სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერები და კომპოზიტორთა ნაწარმოებები; გამოუშვან სოლო და ხალხური სიმღერების ალბომი.

ანსამბლს ჰყავს პროდიუსერი — თემურ ალიხანაშვილი, ტელეკომპანია „მზეს“ პროგრამების სამსახურის უფროსი და ანსამბლ პატარა „მოძახილის“ აღსაზრდელის მშობელი.

ანსამბლ „მოძახილს“ ბევრი კომპოზიტორი პირდება ახალ სიმღერებს, ბევრი კი უკვე შეიქმნა კიდევ.

ჩვენ გვწამს, რომ „მოძახილი“ აასრულებს თავის ჩანაფიქრს: მეტად მიიპყრობს მსმენელის ყურადღებას, გაამართლებს ხალხისა და კომპოზიტორთა იმედებს, რათა თითოეულის გულისნათქვამი საამკარაოზე გამოიტანოს.





ჩოხის სუხუას შეოქადაბითი ნაბოხასოხია

რა ხდება ბასიონის წინ...

2009 წელი, 22 ივლისი
სალამოს 7 საათი, რეპეტიცია

თბილისში ამერიკის ვიცე პრეზიდენტი ბაიდენი ჩამოდის, ქუჩები გადაკეტილია, მეტრო არ მუშაობს... რუსთაველზე ხალხი არ ჩანს, მხოლოდ თაბუკაშვილის ქუჩაზე მიედინება ადამიანთა გუნდი, იძულებული გამხდარან შემოვლითი გზებით იარონ და როგორღაც გაიკვლიონ — გზა შინისაკენ.

რუსთაველის თეატრი კი მუშაობს საპრემიერო სპექტაკლზე „ბიდერმანი და ცეცხლისნამკიდებელნი“ და უწყვეტი რეპეტიციისათვის ემზადება.

სცენაზე დილიდან რეპეტიციაა, საშინლად დაღლილი მსახიობები ბოლო სუნთვას იკრეფენ, ძლივს დალასლასებენ... სტურუას ბოლოდროინდელი სტილი — მუშაობა დილიდან შუალამემდე, ქანცვანყვებამდე — ძალაშია... თავად მას კი არც დაღლილობა ეტყობა, არც გუნება უფუჭდება, მხოლოდ ესაა, რომ სიგარეტს სიგარეტზე უკიდებს... განსაკუთრებით კარგ ხასიათზე მაშინაა, როცა უწყვეტი რეპეტიციისათვის ემზადება ხოლმე, ხუმრობს, იცინის... ზის,

გვერდით გონა გიორგაძე უზის — გამნათებელი. მოპირდაპირე სკამებზე სხედან გურამ ბრეგაძე — ამ სპექტაკლის მეორე რეჟისორი, ოდნავ მოშორებით დედამისი, თეატრმცოდნე ნელი შურლაია, სტურუას რეპეტიციების მუდმივი დამსწრე და აღმწერელი, უკანა რიგში კი რედაქტორი — ნინო კანტიძე. სხვადასხვა სკამებს იკავებენ სპექტაკლის მხატვარი გოგი მესხიშვილი და კომპოზიტორი — გია ყანჩელი. ამჯერად სტურუას მახლობლად ერთი სკამი მეც გამოვძებნე.

იგი საზეიმოდ აცხადებს:

— დღევანდელ რეპეტიციას ვუძღვნით ბაიდენს. *Прогон имени Байдена.*

და მოულოდნელად მე მომმართავს,

— თევზაძე, ანდერძს შენ გიბარებ, თუ დღეს მოგკვდი, ცუდად გავხდი, გული ნამივიდა და გავითიშე, ხელოვნური სუნთქვის პროცედურები ჩამიტარეთ...

— კი ბატონო, ძალიან კარგი!.. ყველაფერს ჩავინერ... — ავყევი სიცილით ხუმრობაში.

— არა, დამაცადე... ჯერ აქეთ-იქეთ ხელები ამიმოძრავეთ, თუ არაფერი გამოვიდა, მაშინ მოიტანეთ აგური და მთხლიშეთ პირდაპირ გულზე...

ლაპარაკისას თავადაც იცინის და შიგადაშიგ პაუზებს აკეთებს, მაგრამ მისი ნათქვამი მაინც სერიოზულად ისმინება.

— თუ ასეც არაფერი იქნა და ვერ მოვსულიერდი, მაშინ გონას პულტიდან ორი მავთული გამოიყვანეთ და შემიერთეთ... გაატარეთ 300 ვოლტი... თუ არაფერი შემველა და... სისხლი ნამომივიდა ყურებიდან,

მაშინ მოიყვანეთ ბაიდენის მანქანა, რადგან აქ სხვა არაფერი იქნება, დამასვენეთ ზედ და წამილეთ პირდაპირ სამტრედიაში, ჩემს სოფელში... დამასაფლავეთ მამაჩემის ბაბუის — თედორეს გვერდით, ჩვენს ეზოშია დასაფლავებული...

ყველანი ვიცინით, შემდეგ მოდის გოგი მესხიშვილი და მასაც დაწვრილებით უმეორებს ანდერძის ტექსტს და შინაარსს, გოგიც იცინის, მაგრამ არც ისე მხიარულად...

ნეტავ, მართლა ასე ფიქრობს სტურუა? რას გაიგებთ მის ამბავს, მაგრამ როცა მაგონდება, ეს სულით ხორცამდე თბილისელი, კოლორიტულ თბილისურ გარემოცვაში გაზრდილი ადამიანი რა სევდით ლაპარაკობს თავის სოფელზე, იქაურ გარემოზე, იქ დატოვებულ წიგნებზე... ვხვდები, რომ მისი მონატრება პატრიარქალური სამყაროს გაქრობა-დაკარგვითაა გამოწვეული და საკუთარი ფესვების ძიება ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი...

სცენა თანდათან ბნელდება, მერე ნათდება.

სცენაზე მრგვალი ბატუტი დგას, რომელსაც ზემოდან ჩამომავალი, მომცრო ზომის პანო — ფიზიკულტურელთა კომპოზიცია ეფარება. იქვეა რამდენიმე ფერადი კიბე, უკანა კედელი — შავი ნახევარწრეა ვერცხლისფერი კარის ჭრილებით...

მაღლა მეხანძრე ჩიტი ირწევა...

გოგი მესხიშვილს შემოჰყავს ანკა ნიჟარაძე და სურათების გადაღებას ავალებს.

მოქმედებას მეხანძრე გოგონების ქორო იწყებს.

სტურუა — ქორო, ძალიან კარგად გამოგდით ა ა ა-ს თქმა... ამირან, უფრო ჩქარა ასწიე პანო... როგორც დაუშვი, ასეთივე სიჩქარით უნდა ასწიო ხოლმე, მიდი...

შემოდის მუსიკა, სილრმეში ნინო არსენიშვილი გამოჩნდა.

სტურუა — სტოპ, ნინო, აგვიანებ, გეტყვი, როცა უნდა მოტრიალდე მუსიკაზე, მიდი, თავიდან...

ისმის მუსიკა.

სტურუა — ნინო, მოტრიალდი, წამოდი... მანდ სიბნელეა, რამეს ხედავ?

სპექტაკლში უხვადაა მუსიკა...

სტურუა — მუსიკა ჩუმად გავიყვანეთ, მერე ჭრიჭინები... ყურადღება, ვაგრძელებთ... ერთი წუთით, მამლის ყვილი ცოტა უფრო ჩუმად, უფრო ჩუმად, უკან არ მინდა განათება...

სცენა ჩარჩოშია ჩასმული, ჩარჩოზე ადამიანების ფოტოსურათებია.

— ეს ხალხი ვინ არის?.. ვკითხულობ მე.


სტურუა — კომუნისტები, ძველი ბოლშევიკები და ტერორისტები... სტოპ, პაატა მოვიდეს, ჯანელიძე... როგორც კი მუსიკა დაიწყებს — ბუ-ბუ-ს, დაიწყე მაგიდის სიღრმიდან ამოსვლა...

და მართლაც, სცენის სიღრმიდან ამოდის გრძელი მაგიდა... ბატონი რობერტი მეხანძრე გოგონებს მიმართავს:

— სად ნახვედით, შუაში არ შეხვიდეთ, ყველანი გვერდზე დადექით...

ისმის ჩიტის ჭიკჭიკი...





სტურუა — ძალიან განათებულია, დაუნიე, მუსიკა რომ მიწყნარდება, ჩამოუშვებთ პანოს...

— არა, ბესოს შემოსვლაზე ჩამოდის, — ეპასუხება რეჟისორის თანაშემწე მარინა ამალლობელი.

სტურუა — დამავინწყდა... რა ვუყოთ ნინოს კაბას? კასრაძემ ძლივს გაიძრო მოსასხამი... წინა „პრაგონზე“ ვთქვი და ისევ ისეა... მარინა, გოგონები როცა გადიან, ფარდა ავიდეს ზევით... არ დატოვო.

ნინო კასრაძე — კაბა ისე ლამაზია, რაღაც კარგ სცენას მოითხოვს...

სტურუა — მაპატიე, ნინო, შენი კაბის გულისთვის სცენას ვერ დაგიდგამ...

ნინო კასრაძე — რატომაც არა, დღეს გავიხდი და შეეხედოთ, როგორ მოვასწრებ გადაცმას...

სტურუა — არა, შენ დადე, მანანა გადაიკიდებს და ელეგანტურად წაიღებს, ოღონდ არ დახიოს... ნინო, კაბა არ დაიკარგოს... ახლა „კაკ-კუკის“ სცენაა, ხომ?

ამალლობელი — დიახ!..

სტურუა — მოემზადეთ!.. ია, აბა ველოსიპედით შემოისეირნე... აი, ასე... და აიზერი-ნგის შემოსვლა...

ამჯერად ბატონი რობიკო ია სუხიტაშვილს მიმართავს, რომლის გროტესკულად თვალისმომჭრელი გმირი ნამდვილად სიცილის ნიაღვარს გამოიწვევს თბილისელ მაყურებელში.

მალიდან კანისტრები ჩამოდის, შემდეგ

ისევ ადის.

სტურუა — გოგოებო, ნანა, შენ ამ სკამს წაიღებ, მანანა, შენ — იმას...

ნინო არსენიშვილი — როცა ბესო ზემოთ ადის, ჩვენ ვტრიალდებით და...

ნინო კასრაძე — მე წავალ!..

სტურუა — წადი...

ზემოდან კვლავ ჩამოდის კანისტრები.

ნანა ლორთქიფანიძე — რაღაც ბგერა ისმის...

სტურუა — სტოპ, ბეჟან, დააბრუნე მუსიკა „ჰამლეტიდან“...

ნინო არსენიშვილი — ეს როგორ გავაკეთო?.. გავაკეთებინეთ რა... ბესოს რომ კიბე მოაქვს, შემოვტრიალდებით, ჩავიჩოქებთ და...

სტურუა — არა, ჯობია ზურგით წამოხვიდეთ და მერე შეტრიალდეთ...

ნინო კანტიძე — ბესოს სიმლერის შემდეგ...

ერთი პატარა ეპიზოდის მოძრაობა უამრავ დაზუსტებას მოითხოვს.

სტურუა — ნუ ყვირიხართ, იმლერეთ... ერთხელაც...

ქორო მლერის — კაკ-კუკ...

სტურუა — მუსიკა ოდნავ ხმადაბლა, გოგოები რომ გაიქცევიან, ისევ ხმამალლა... სტოპ, როგორ არის კანისტრების პირველი მდგომარეობა? ასე?.. აბა, მეორე?.. აბა, მესამე?..

კასრაძე — კიდევ ერთხელ გავაკეთოთ, რა...

გადიან და ქოროს შემოსვლა თავიდან იწყება.

სტურუა — მარინა, ნუ იბნევი!.. ვინ იცის, გზები გათავისუფლდა?..

კანტიძე — რუსთაველი თავისუფალია, კაციშვილი არ ჭაჭანებს...

გოგი მესხიშვილი — მთელი გზები გადაკეტილია... დარეჯანს წამნამები არ გავუკეთოთ?...

სტურუა — არა, მე მინდა რომ ლოყები შევუღებოთ წითლად, როგორც ფუფალას...

და სცენას კიდევ ერთხელ გადიან.

— იდეალური იყო, ამბობს ბატონი რობიკო და სიგარეტს აქრობს. ახლავე დავინწყოთ, **Готовьтесь к прогону!**.. ესე იგი, როგორც კი სისხლი წამომივა, სამტრედიაში... სად არის თევზაძე?..

...და მე მახსენდება კარელ ჩაპეკი — არაჩვეულებრივი მოთხრობების ციკლიდან ერთ-ერთი, კონკრეტულად კი — „როგორ იდგმება სპექტაკლი“... იქაც ხომ ზუსტად ასეა, ყველა რეჟისორს მიმართავს, ყოველ მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო დეტალს რეჟისორთან აზუსტებენ, მას შესჩივიან მსახიობები, დამლაგებლები, სცენის მუშები, გამნათებლები... თანამემნე გამუდმებით რაღაცას ეკითხება და შენიშვნებს ბლოკნოტში იწერს... ვიღაც ვიღაცას აბეზღებს, რეჟისორი კი უდრტვივნეულად და სიამოვნებით ისმენს, მერე უყვირის საცოდავ დრამატურგს, რომელსაც რაღაც აზრი გასჩენია პიესის გადანყვეტასთან დაკავშირებით და რომელიც რეჟისორის ყვირილის შემდეგ თვითმკვლელობაზე იწყებს ფიქრს... დახეულია მთავარი მოქმედი ქალის კაბა, დამტვრეულია სკამი, აფეთქებულია ყველა ნათურა, გამნათებელი კი თეატრიდან გარბის... პრემიერაზე ყველა მილოცვებს იღებს, მათ შორის მოულოდნელად გაბედნიერებული დრამატურგიც, რომელიც მზად არის ახალი პიესის დასაწერად...

დღესაც, მაქს ფრიშის „ბიდერმანისა და ცეცხლისწამკიდებელნის“ უწყვეტი რეპეტიციის წინ, დაახლოებით ამგვარი სურათი თამაშდება, არც მთლად ისე გროტესკული, მაგრამ უაღრესად ცოცხალი და ხალისიანი.

მეხანძრე გოგონები სხვადასხვანაირები არიან, თავისებურად ლამაზები... მათ შორის ორი ფეხმძიმეა და მალე შემცვლელი დასჭირდებათ. სახეგანათებულნი ლოტბართან ერთად გადიან სიმღერას, მაგრამ დაღლილები სჩანან. წინო კასრაძეს თმები დაუხვევია და პატარა თავზე კულულებად აყრია, სახე ოდნავ შევსებია და ძალიან უხდება, თუმცა ტანად კვლავაც სუსტი და მოხდენილია.

სტურუა — დარეჯან, ახალი ტექსტი დაგინერეთ და არ შეგეშინდეს..

დარეჯანს ლოყები ასწითლებია, ტურებიც ასევე წითლად მოუპრუნავს...

გოგონები კვლავ მღერიან, ბატონ რობიკოს მოსწონს, კმაყოფილია. ლოტბარიც მათთან ერთად მღერის, — „იძინოს, იძინოს, იძინოს მშვიდად...“

რა შესანიშნავი იქნებოდა, რომ რუსთაველის თეატრში ლოტბარის გაკვეთილები დაკანონებულიყო, მსახიობები თავისუფლად ამღერებოდნენ და მათი ნიჭიერებაც უფრო წარმოჩინდებოდა...

რობერტ სტურუა — თუ შეიძლება ერთხელაც...

გოგონები კიდევ მღერიან...

სტურუა — წადით, ნერვები ნუ დამაგლიჯეთ, სკამებთან ერთად ცხვირსახოცებიც წაიღეთ... მეტი აღარ შემიძლია, **Это адский труд...**

გოგი მესხიშვილი — პირველი აქტი მთლიანად გაიარეთ?

სტურუა — „სლექვა“, ერთი-ორი კვირა კიდევ უნდა... ხვალ დილიდან ვანათებ...

და ნაცნობ მელოდიას ღიღინებს...

სტურუა — გურამ, **Поручение дипломатического характера, поиди к актеру Папуашвили, он смотрит по телевизору Папуашвили, он смотрит по телевизору Байдена, скажи ему на ухо, Робик просил передать, что он гений, потом поиди к Дарчия и скажешь, что он сверх гений...**

გურამ ბრეგაძე — ზანგურთან არ მივიდე?

სტურუა — **Поиди к Зангури** და... პანჩური ამოარტყი... გამოთიშეთ მორიგე შუქები...

გორჩა განათების პარტიტურას აწყობს.

სტურუა — ცეცხლი... ხანძარი... ყველაფერს სათანადო შუქი გაუკეთე...

— ზაზა რომ დაეცემა, იმაზე გავაკეთებ წითელ შუქს, — შენიშნავს გორჩა.

მარინა ამალლობელი სკამებს დაეძებს.

სტურუა — ნანა ლორთქიფანიძემ წაილო... და კვლავ გორჩას მიმართავს, — უკანაც იყოს, კედლებიც გაანათე...

სცენა წითლად ნათდება.

სტურუა — როცა ამ წითელ შუქს ვუყურებ, მახსენდება ფოტოლაბორატორია, ბავშვობისას რომ გვქონდა...

შემოდის ზაზა.

— რობერტ, რატომ დაპატიჟე ხალხი?..

სტურუა — არავინ მოვა, მხოლოდ ჩემი ექიმი...

ბატონი რობიკო ყურადღებით შესცქერის გოგი მესხიშვილს და ღიმილით ეკითხება:


— რას ჭამ?..

ისიც ღიმილითვე პასუხობს:

— ატამს...

და ვითომ ატამი გადაყლაპა...

სტურუა — ვა, რა კარგად გავაკეთე, მოდი,



შენც იმსახიობე...

ზაზა — აქ, წინ, არავინ დაჯდეს, ყველანი უკან... გახდომა უნდა დავინყო, ეს რა სენი შემეყარა...

სტურუა — Нервы, нервы... რა სისულელეა ჭამა.

ზაზა — ღამე რომ მიხვალ სახლში, თავისუფლად შეიძლება შეჭამო მხოლოდ ჭიქა მანონი, მაგრამ არა, აუცილებლად უნდა დააყოლო პური, კარაქი... ახლა თავისუფალი რომ ვიყო, წავიდოდი, სადღაც გადავიკარგებოდი... Берег слоновой кости... ვიცხოვრებდი სასახლეში... და ყველაფერი გასაგები იქნებოდა... ჩვენ ვართ სუფთა აფრიკა, Африканизация Грузии... აწი, როგორც კი პარტერში გავიგებ ტელეფონის ხმას, პირდაპირ გავდივარ სცენიდან...

სტურუა — ვუთხარი მხოლოდ ერთ ნათესავს, ისიც ექიმს და მოვიდა 600 კაცი... ნახე რა საშინელი ნახატი მაქვს მობილურზე?.. გაჩვენო?..

— დიახ...

— მოიცადე... და ურეკავს ექიმს, თან მაჩვენებს საშინლად დაკლაკნილი გველის სურათს, რალაც ფოტოს...

სტურუა — ამის შხამი თეატრის შხამივითაა, ან იქვე გაგათავებს, ან სიკვდილისგან გიხსნის... დახურეთ ფარდა, გაასწორეთ სინათლე...

გოჩას აძლევს ბოლო მითითებებს... ისმის მარინა ამაღლობელის ხმა, უხმობს არტისტებს.

სტურუა — გურამ, Дипломатическая миссия выполнена?..

— Не совсем ...

სტურუა — Полный аншлаг, გავლენ, დაინყებენ ჭორაობას, ეს რა საშინელება იყო... და გაუფუჭებენ მსახიობებს ხასიათს... რა ვერაგობაა... ღმერთო, რატომ მაქვს თმები ასე? ქარი მიბერავს ხოლმე და თავზე მცვივა... ისე კი ნამდვილ მამაკაცს თმები არასოდეს არ უნდა ჰქონდეს...

რეკავს მისი მობილური.

სტურუა — აი ნახეთ, როგორ რეკავს ჩემი მკურნალი გველი...

ექიმი ურეკავს, უკვე მოსულა თეატრში.

სტურუა — მარინა, დახვდი რა, თუ შეიძლება...

გოგი — არ შეიძლება მსახიობების პორტრეტები გადავიღოთ, ისე როგორც ჩვენს ახალგაზრდობაში კეთდებოდა?.. იცი რა, რობიკო?.. სპექტაკლი მაგონებს სურათებს კახეთის ცხოვრებიდან — სცენაზე ჭურები გამოგიტანია... აი თურმე რა ყოფილა, მე კი ვერ მიხვდები...

სტურუა — გურამ, რალაც უნდა ჩავუმატოთ, თუ ვინმემ ვერ მოისმინა ზაზას მონოლოგი, ვერაფერს გაიგებს...

გურამი — შემდეგ კი გვაქვს ტექსტი, მაგრამ მაინც ვერ მიხვდებიან...

სტურუა ლილინებს — რა კარგია, ვერ მიხვდებიან, ვერ მიხვდებიან...

ზაზა სცენაზე სასაცილო ნითელი შარვლითა და სიმლერ-სიმლერით შემოდის... —

რას დაეხეტება ეს ხალხი, იმის მაგივრად, რომ ივლისში დაისვენონ „პრაგონზე“ მოვიდნენ...

სტურუა — Прибавилось народу? Не очень?.. Байден нас спас, пока... ვსვამ ექიმის გამონერილ წამლებს, ვაიმე, სახლში დამრჩა, არა უშავს, მერე დავლევ, დავინყოთ?... ა-მას წინათ ვფიქრობდი პოლიტიკორექტურაზე, ეს არის дозволенное лицемерие...

ექიმი — მე ვითვლი სიგარეტს...

სტურუა — არ ვენევი, ვიღებ ღერს, ვამტვრევ და ეს არის, რაც არის...

გოგი — მუშებს ნიღბები არ უკეთიათ, იქნებ...

სტურუა — არაფერია... ველოდებით, მარინა ვინყვებთ?..

სიჩუმე...

— დროზე!

...და სტურუა ბრდღვინავს.

— მარინა!..

სიჩუმე...

— ბეჟან, ჩამირთე მიკროფონი... ხალხო, ადამიანებო...

ამაღლობელი — ყველანი სცენაზე არიან!..

სტურუა — მხიარულად, მსუბუქად, ჩვენ არ ჩაგვთვალთ ადამიანებად!.. გამთიშეთ... გოგოებს ყველას ქუდები ხურავთ...

სცენიდან გოგი მესხიშვილის ხმა ისმის, რალაც მითითებებს იძლევა, შემდეგ სინათლე ქრება, ფარდა ნელა მისრიალებს და ტანში ჟრუანტელი გივლის...

სცენაზე წითელი კვამლი ბოლავს, ჩამოცხა... მეხანძრე გოგონების პირველი შემოსვლაა, პირველი სიმღერა და მათი მომხიბლავი ლიმბილი... ამ სცენას უეჭველად ტაში მოჰყვება...

ზაზა ქოლგით ხელში...

ყველანი კომედიანტებს გვანან...

ეს მოხეტიალე თეატრის სპექტაკლია...

ო, რომ იცოდეთ რა ლიმბილით შესცქერის სტურუა სცენას... იქ კი პატივცემული არტისტები ცეკვავენ, ეს ყველაფერი ძალიან ნააგავს ოპერეტას.

მაღლა ატაცებულ სკამზე მჯდომი ზაზა მღერის, ბატონი რობიკო ტაქტს ითვლის.

თამაშდება ინტერმედია, მღეროან ზაზა და ბესო, ორი მომღერალი და ორკესტრი დირიჟორით...

რიტმი ოდნავ ჩავარდნილია...

წინო კასრადის პირველი არაჩვეულებრივი შემოსვლა უმშვენიერესი კაბითა და მოსასხამით...

შემდეგ სიღრმიდან დარეჯანი შემოდის ძალიან ლამაზი, ახლოს კი — სასაცილოა, რატომღაც მგონია, სცენა უფრო გროტესკული რომ იყოს, აჯობებდა. ზაზას და ბესოს სცენები კი ნედლია...

ზაზას რეპლიკა: — ცეცხლისნამკიდე-

ბელი რომ იყოს, იტყოდა?.. იტყოდა?.. და ბესოსთან ერთად ლუკით ჩადის სცენის ორმოში.

ისმის გაუბედავი ტაში.

სტურუა — დაუკარით თუ უკრავთ...

ისეთივე გაუბედავი სიცილი.

სტურუა — ეჰ, დღევანდელ მაყურებელს სიცილისაც ეშინია...

სტურუა კვლავ და კვლავ სანახაობას სთავაზობს მაყურებელს, კვლავ და კვლავ ფერადოვან და ალეგორიულ სანახაობას...

„დილის საუზმის“ სცენა — წინოს და ზაზას ეროტიკული პაროდია სცენაზე და მაყურებლის გადამდები სიცილი... არაჩვეულებრივი სცენაა...

ძალიან კარგია წინოს და ბესოს სცენა, თუმცა იქნებ ოდნავ განელილი.

კოსტუმები ხაზგასმით საკარნავალო, ჭრელი, ფერადი.

წინო კასრადე წარმოსთქვამს საბედისწერო ფრაზას:

— ბოლოს და ბოლოს, მოგვეცით უფლება ვიცხოვროთ ისე, როგორც ჩვენ გვინდა, ჩვენ გვსურს...

ბატუტი ისე შემოაქვთ, როგორც ცირკში აღმართავენ ხოლმე ატრაქციონისათვის საჭირო გალიებს, რათა შემდეგ მტაცებელმა მხეცებმა აღრჭიალონ კბილები და მაყურებლები დააშინონ.

და ზაზა პაპუაშვილის შეძახილი იქვე გამართავს ჩემს ფიქრს:

— ვაშა, რობიკო ცირკობანას თამაშობს.

დიახ, სცენაზე საცირკო ბალაგანია გამართული...

ეს ჩვენი ცხოვრება ქცეულა ცირკად!.. ცირკია, აბა, რაა...

დარეჯანის ორივე შემოსვლა ძალიან კარგია...

ზაზა მღერის:

— ჩვენ ყველას გადაგვნვავენ...

...ჩვენ ყველას...

...და ბედნიერად ვიცხოვრებთ...

...და პირველი აქტი სრულდება, სრულდება არაჩვეულებრივად... სათქმელი მეორე აქტისთვის, ალბათ, ცოტალა დარჩა...

ბატონ რობერტს ლილი ფოფხაძე უახლოვდება:

— რა არ მოგწონს?..

სტურუა — პირიქით, მომწონს... მიდის ერთი საათი და 25 წუთი, მინდა კი, რომ იყოს ერთი საათი და 10 წუთი...

აი, თურმე ამჯერად რა არ აკმაყოფილებს მაესტროს!..

ასეთი იყო „ბიდერმანის“ უწყვეტი რეპეტიცია. სამწუხაროდ, ეს ჩანაწერები არასრული სახეა რობერტ სტურუას სარეპეტიციო შემოქმედებისა, მაგრამ რალაც გარკვეული

პასაჟი მისი პორტრეტისთვის, ალბათ, აქაც მოიძებნება.

რამდენიმე სიტყვა არტისტების შესახებ:

რეჟისურის სტილისტიკიდან გამომდინარე, ნინო კასრაძისა და ზაზა პაპუაშვილის თამაშის გროტესკული სტილი მათგან სცენური ქმედების სიზუსტეს, ამოცანათა გააზრებულ თანხვედრას, სხეულის სრულყოფილ ფლობას, ხმის მრავალფეროვან მოდულაციას და თავშეკავებულ ემოციურობას ითხოვს. ამ სპექტაკლში ვერ ნახავთ დიდი ადამიანური ვნებების ბორგვას, აქ დიდი ადამიანური აზრების აფიშირება უფროა და მსახიობთა შემოქმედებითი პოტენციალს მას ექვემდებარება. მაგრამ ნიუანსები, რომლითაც ეს ორი არტისტი გმირის სახეს ძერწავს, მათი დიდი შესაძლებლობების დასტურია. რად ღირს თუნდაც ზაზა პაპუაშვილის ანგელოზის ფრთებით შემოსვლისა და ცადამალლების სცენა. ათასგვარი სისაძაგლის ჩასადენად შთაგონებული, მორცხვი ღიმილით გაცისკროვნებული სახე... ნინო კასრაძის არაჩვეულებრივი პლასტიკა, მიზნედილი გამოხედვა, დამფრთხალი თუ გაჯიუტებული, დარცხვინილი თუ ვნებაარეული ფესტიკულაცია... ხოლო ამ ორი გმირის ურთიერთობის პაროდული მწვერვალი — მათი სასიყვარულო სცენა, არტისტული ნიჭიერების აშკარა სახეა.

ია სუხიტაშვილის გარეგნული გამჭვირვალობის მიღმა, მისი კომედიური, სახასიათო ნიჭი გამოიკვეთა. გმირისადმი დამოკიდებულების კონკრეტულობა, ფაქტურული სიცხადე, საერთო სტილისტიკის მორჩილება და დახვეწილი თავისთავადობა ძველ ფოტოებზე წარმოდგენილ კლასიკურ არტისტულ პორტრეტებს მახსენებს, ხოლო დარეჯან ხარშილაძის გმირის სრულყოფილება, მსახიობის ამოუნურავ შესაძლებლობებზე მიუთითებს.

ბესო ზანგურის არტისტული პიროვნება სპექტაკლიდან სპექტაკლში იზრდება და ყალიბდება. იგი იძენს მრავალ საჭირო თვისებას, რაც რუსთაველის თეატრის სცენის ათვისებისთვისაა აუცილებელი: შინაგანი და გარეგნული მოქნილობა, დახვეწილობა, მგზნებარება... ამას გარდა, ხმის ტემპრი, მუსიკალობა, რეჟისურის განსხვავებული სტილისტიკის შეგრძნება და გმირის სახეზე მოუაზრებისა გამუდმებული ფიქრი.

დავით დარჩიასა და ირაკლი მაჭარაშვილის ეპიზოდური გმირები სტურუსას ლოგიკას ემორჩილებიან და ანსამბლის საერთო სულისკვეთებას ერწყმიან.

არავინ დაიჯეროს, რომ სპექტაკლში მონაწილე აქტიორები მხოლოდ რეჟისო-

რის ფხიზელ თვალებს არიან მინდობილნი, ძალიან ხშირად მინახავს ისინი დაღლილობისაგან და ფიქრისგან ძალაგამოცლილნი, და რომ მიკითხავს მიზეზი, ერთი პასუხი მიმიღია, ბოლო მომილო ჩემმა გმირმა, ნეტავ გამაგებინა ვინ არის და რა სურსო!..

დაბოლოს, არ შეიძლება არ ითქვას, ქოროს შესახებ — იგი ისეთი ორგანული ჩანართია სპექტაკლის საერთო ქსოვილისა, რომ პერსონიფიცირება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზები არიან ეს გოგონები, ასე შეუპოვრად რომ დააბიჯებენ სცენაზე და... ასე მხიარულად მღერიან...

თავის შემოქმედებაში სტურუსა ჯიუტად უბრუნდება ერთსა და იმავე თემას — ათეული წლების მანძილზე იგი ვერ პოულობს გამოსავალს ჩვენი ცხოვრებისეული მდგომარეობიდან, თუმცა გაცხოველებით ეძიებს მას. დროდადრო გგონია, რომ რელიგიური რწმენისა და ქრისტეს თავგანწირვის მაგალითით მშვიდდება, მაგრამ იმ სამყაროს რეალობა, რომელშიც ცხოვრობს, გამუდმებით აწვალავს, აწამებს და ერთი და იგივე კითხვის წინაშე აყენებს — როგორ უნდა დამარცხდეს ბოროტება გარემომცველ სამყაროში, ადამიანებში კი — შური, ეჭვი და ერთმანეთის გაუტანლობა?.. რა დააწყნარებს გულს?.. ყოველი პასუხი ილუზორულია და ვერც ერთ კითხვაზე იგი პასუხს ვერ სცემს, ერთი კია, მისი კითხვები მთვლემარე გონებას აფხიზლებს და ადამიანთა სინდისს აფორიაქებს. ამით არის სტურუსა საინტერესო, საინტერესო, როგორც შემოქმედი-რეალისტი, მკაცრი და ზოგჯერ უხემცი.

2009 წლის 7 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში სპექტაკლ „ბიდერმანისა და ცეცხლისწამკიდებელის“ პრემიერა გაიმართა. მაყურებლის ინტერესი, რა თქმა უნდა, დიდი იყო, მაგრამ მისი ხილვით გამოწვეული ალტაცება, შედარებით ნაკლები, რაც რამდენიმე საგაზეთო პუბლიკაციაშიც გამოიხატა.

ნეტავ, რატომ?..

იქნებ მაყურებელს არ ესია მოგნა ბურჟუაზიული ხიბლით დატყვევებული საკუთარი სახის ხილვა?..

სარკისმილმა სამყარო ხომ სრულიად ახალი რაკურსით აღმოგაჩენინებს ჩვეულ სინამდვილეს!.. და თუ ამგვარად მომართული სარკეები იმდენად მრავალია, რომ მხოლოდ საკუთარ პორტრეტს კი არა, საზოგადოების დანახნაგებულ კომპოზიციას ხედავ?.. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დამოკიდებ-

ულეზა გასაგებია...

ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლი!.. რამდენ კომპრომისსა და დანაშაულს მოიცავს იგი...

მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა!..

რამდენიმე კითხვა ბატონ რობერტს:

— მთელი თქვენი შემოქმედებით ძალადობას ებრძვით, ყოველი თქვენი სპექტაკლი ძალადობის წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ რა მერე?.. იცვლება რამე?..

სტურუა — ანუ შედეგი?.. შედეგი არ ვიცი არის თუ არა, რაღაც, ალბათ იქნება. თუმცა, ისეთი სულელიც არა ვარ, დავიჯერო, რომ ეს ბრძოლა უსათუოდ გაათავისუფლებს ხალხს, ძალადობას შეაჩერებს... მაგრამ საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ზოგჯერ მერყეობს, კიდევ ერთ საყრდენს იძენს. ხალხი დაბნეულია, რა არის სიმართლე?.. რა არის სიცრუე?.. ყველაფერი ისე აირია — სიკეთე... ბოროტება... მართლმსაჯულება... უსამართლობა... ხალხმა ორიენტირები დაკარგა და როდესაც თეატრში მოსული ნახავს, რომ თურმე სიკეთე მაინც სიკეთეა, ათი მცნება მაინც ათი მცნებაა, რაღაცნაირად დამშვიდდება და თავის ცხოვრებას გააგრძელებს... ყველაფერი წარმავალია, სიკეთე მაინც გაიმარჯვებს...

— მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველთვის, რატომღაც, ბოროტება იმარჯვებს...

— არა, ასეც არ არის, შეგვიძლია შევხედოთ, როგორც ჭიქას, რომელიც ნახევრად ავავსეთ წყლით, ზოგისთვის ის ნახევრად ავსებულია, ზოგისთვის ნახევრად ცარიელი... ბოროტებისა და სიკეთის მუდმივ ჭიდილში ზნეობრივად მაინც სიკეთე იმარჯვებს, რა გრძელიც არ უნდა იყოს ღამე, მზე მაინც ამოვა და გათენდება...

— ჭეშმარიტება რალაშია?

— ჭეშმარიტება ზნეობრივი კანონებია!.. როგორც კანტმა თქვა, უფრო სწორედ კი, ეს მისი ეპიტაფიაა, მოგეხსენებათ მან პირველი რეალური კოსმოგენური თეორია ჩამოაყალიბა სამყაროს შექმნის შესახებ. მან თქვა, მე მაცოცებს კანონები, რომლებიც ადამიანთა ურთიერთობას ეხებაო... ანუ ადამიანმა იცის სად არის სიმართლე და სად არის სიცრუე...

— ფრიშის „ბიდერმანისა და მეხანძრეების“ თემა სწორედ ძალადობა და მისი სახის გამოაშკარავებაა, ნუთუ არსებობს შენიღბული ძალადობა?

— კი, ამაზეა, მაგრამ კიდევ იმაზეა, რომ ბოლოს და ბოლოს უარესი განსაცდელიც ყოფილა კაცობრიობის ცხოვრებაში — ფაშიზმი, სტალინიზმი, უარესი დიქტატურებიც, მაგრამ ადამიანი მაინც აგრძელებდა ცხოვრებას, გამრავლებას, სიყვარულს, შრომას, ასე რომ დაჩლუნგებასა და დაჩაჩანაკებას ჯობს ვიმხიარულოთ და მთელი ეს პრობლემები მხიარულად გადავიტანოთ...

— მაინც ვერაფერს შევცვლით?..

— როდესაც იმ ყველაფერს აგრძელებ,



რაც ღმერთმა თუ განგებამ გიბრძანა, უკვე ძალიან დიდი გამარჯვებაა... ის იგავიც მაგონდება, როცა სოფელში ხარკის ასაკრეფად მისულებს გლეხები სიცილით დახვდნენ და მხოლოდ მაშინ ირწმუნა მეფემ, რომ ხალხს აღარაფერი გააჩნდა... ჯობია ასე იყოს, მაინც არაფერი არა გვაქვს... (და სტურუა გემრიელად იცინის...)

— ბიდერმანზე მუშაობისას თითქმის თავიდან დაწერეთ ტექსტები, მთელი სცენები, საერთოდაც ხშირად სწადით ხოლმე ამას, რატომ?

— ეს პიესა ომის შემდეგაა დაწერილი, ომის შემდეგ კი კაცობრიობა ცდილობდა გაეგო, რა ფენომენია ფაშიზმი, რატომ მოიკიდა ფეხი ისეთ მონინავე ქვეყანაში, როგორც გერმანია და თითქმის ყველაფერი უბრალო ადამიანებს გადაბრალდა, უბრალო ადამიანი რომ არა, ფაშიზმი ვერ იმძლავრებდაო, მაგრამ ეს ძალიან სქემატური ახსნაა. რა უნდა ქნას უბრალო ადამიანი, რომელსაც ჰყავს ცოლი, შვილები, ნათესავები... როგორ შეებრძოლოს, როცა არც შეუძლია შეებრძოლება, არც სურს და არც უნდა შეებრძოლოს, მან ცხოვრება უნდა განაგრძოს...

„რიჩარდ III-ში“ რამდენიმე ეპიზოდი მქონდა, როდესაც პირველი შეტაკებაა რიჩარდის ბანაკსა და მეფე-დედოფლის ბანაკს შორის, ამ დროს სცენაზე გლეხი ჩაივლიდა რაღაც ტომრით მხარზე... დაძაბულ სცენებში ორი თუ სამი ამგვარად დატვირთული გლეხი გამოჩნდებოდა ხოლმე. მართალია, მერე ეს მიზანსცენები სპექტაკლიდან ამოვიღე, მაგრამ მე ვგულისხმობდი, რომ ძალაუფლების გაყოფისას ხალხს სულ ფეხებზე ჰკიდია დიდებულთა ბრძოლა, თუ ვის დარჩება ტახტი... ხალხს ცხოვრების გაგრძელება ევალება... თუკი ამაოება, რომელშიც ასე გართულია სახელმწიფო მოხელე, ჩვენ შეგვაჩერებს, მაშინ საქართველო არსებობას შეწყვეტს... ისევ ჯობია ვიმხიარულოთ... (და იგი კვლავ იცინის)

— ამიტომაც შეცვალეთ ტექსტები და თანამედროვეობას მოარგეთ?

— არა, არაფერი არ შემიცვლია. ორი სცენის გარდა, ტექსტები არსად არ არის მაინცდამაინც შეცვლილი, ოდნავ შემცირებულია, ბოლო ორი სცენა კი მთლიანად თავიდანაა დაწერილი, მაგრამ იქაც გამოყენებულია დედნისეული ტექსტი... მეჩვენება, რომ პიესაში ძალიან ბევრი ლაპარაკია ერთ პრობლემაზე — შეუშვან თუ არ შეუშვან სახლში და დაწვან თუ არ დაწვან სახლი... დღეს მაყურებელი უფრო ადვილად ხვდება ყველაფერს, ვიდრე მაშინ. როცა დრამატურგი წერს პიესას, წერს მთლიანად, რასაც ფიქრობს... შემონახულია შექსპირის სრული პიესები და შექსპირის სასუფლიორო ეგზემპლარები, მათ შორის ძალიან დიდი განსხ-

ავებაა, მთელი ტექსტებია ამოყრილი... ერთია, როცა დრამატურგი წერს მხატვრულ ნაწარმოებს ქალაქში და მეორე, როცა ის სცენაზე გადააქვთ. 21-ე საუკუნე, ცუდია ეს თუ კარგი, მაინც მთლიანად რეჟისორის საუკუნეა და იგი მკვეთრად ერევა დრამატურგის ფუნქციაში, ეს არც არის გასაკვირი, თეატრის, დრამატურგიის ისტორიაში ამას სწადიოდნენ უკვე თუნდაც ფრანგები, რომლებიც იღებდნენ ცნობილ, კლასიკურ ბერძნულ პიესებს და თავის ვერსიებს ქმნიდნენ. ასე რომ, არავითარ დანაშაულს არ ვხედავ, თუ პიესას ჩვენს კორექტურას გავეუკეთებთ. დრო ისე სწრაფად იცვლება, რომ ის, რაც 50 წლის წინ მოგვწონდა, დღეს ცხოვრებამ სხვა ვარიანტად შემოგვთავაზა. მაგალითად, ახლა შექსპირის „ქარიშხალი“ უნდა დავდგა. რასაკვირველია, ისე, როგორც შექსპირმა დაწერა, ვერ დადგამ... არა, რა თქმა უნდა, დადგამ, მაგრამ გამოვა ზღაპარით... ფესტივალზე, მარჯანიშვილის თეატრში, გია ყანჩელმა პოლონური სპექტაკლი ნახა და მითხრა, რომ შექსპირის მიხედვით მხოლოდ პირველი ორი სურათი იყო, დანარჩენი კი აბსოლუტურად სხვა ტექსტი, ბრეხტიც კი... თუმცა საკმაოდ გახმაურებული სპექტაკლია, მაინც მოძველებულია, ოთხი წლის წინ დადგმული...

ყველა ქვეყანას თავისი გამოცდილება აქვს, თითქოს ყველა ქვეყანა ერთნაირად ვითარდება, ვგულისხმობ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, მაგრამ მაინც, ყველას, განვითარების რაღაც თავისი ეროვნული ნიშნები აქვს. ამიტომ ჩვენ ისეთი რამ მოვძებნეთ, რაც მხოლოდ ქართველებს ახასიათებს — ასეთ სერიოზულ პრობლემაზე ამდენ სიცილს, ალბათ, რუსი ვერ აიტანს, ვერც გერმანელი. ყანრსა და აზრს შორის ასეთი დიდი კონტრასტი, როცა სერიოზულ პრობლემას ასე მხიარულად აწვდი მაყურებელს, ტიპიური ქართული მიდგომაა თემისადმი.

— სწორედ ამიტომ არის მთავარი მოქმედი გმირი ჯამბაზის ტანსაცმელში ჩაცმული?

— დიახ, იცით რა?... არ მახსოვს ვინ თქვა, წარსულს სიცილ-კისკისით უნდა დაემშვიდობო, რა საჭიროა ტირილი და ოხვრაგოდებო... ეს უკვე წარსულია, მართალია, ჯერ კიდევ არის, მაგრამ რაც ხდება, ეს უკვე წარმავალია... ამიტომ მხიარულად შევხედოთ მას... კი, ტრაგიკული ფინალია, მაგრამ უფრო იმის მომასწავებელი, რომ თუ ფხიზლად არ ვიქნებით, შეიძლება მართლაც ყველაფერი ნაილეკოს... მეჩვენება, რომ ახლა უფრო რთული დროა, ვიდრე იყო, მაგრამ თუ გავიხსენებთ რა ისტორია გამოიარა საქართველომ, ძალიან სასაცილოდ მოგვეჩვენება ყველაფერი დღევანდელი... ჩვენი მეხანძრე გოგოები კიდევ მეხვეწებოდნენ, არ გინდა ასეთი საშინელი ხანძარი, ვაი, მართლაც რომ

ავიხდესო...

(და სტურუა კვლავ გულიანად იცინის).

რობერტ სტურუას მთელ შემოქმედებას ცხოვრების იმგვარი მეტაფიზიკური შეგრძნება განსაზღვრავს, განათლებულ ადამიანს რომ შეეფერება, ანუ დაემორჩილო საკუთარ მონოდებას, მას ემსახურო... სხვათა გმირობას არ დაელოდო და პიროვნულ-ყოფითი ექსპერიმენტი საკუთარ თავზე ჩაატარო. ცოცხალი აზრის გამოვლენის გარეშე ხომ ნორმალური ცხოვრება შეუძლებელია. ფიქრი ფიქრს მისდევს და ადამიანად რომ დარჩე, უეცრად ანთებული აზრი რალაცნაირად უნდა დააკავო, ოცნებად აქციო... სწორედ აქ ეყრება საფუძველი ადამიანურ მორალს, რომელიც, ისევე, როგორც აზრი, მთლიანად ავტონომიურია. მორალური საქციელი, ისევე როგორც აზრი, ან არსებობს, ან არა. რობერტ სტურუა, ფაქტობრივად, მხოლოდ ამაზე საუბრობს. გამუდმებით წარმოაჩენს, რომ ზნეობრივ საქციელს ადამიანის ბედნიერებისაკენ სწრაფვა, გარეგანი კეთილდღეობა, სიყვარული კი არ განსაზღვრავენ, არამედ თავად ზნეობრივი კანონის პატივისცემა და მოვალეობის გრძნობა. ამგვარი აზროვნება და არსებობის სოციალური ფორმა ცენტრალურია რობერტ სტურუასათვის, რადგან საკუთარი ცხოვრების მაგალითზე იგი ისწრაფვის ქვეყნის მიერ განცდილი ტოტალური ბოროტება სცენურ რეალობად აქციოს და ქართულ კულტურაში ერთგვარი ყოფით-პიროვნული ექსპერიმენტი ჩაატაროს. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ცხადია, რომ სწორედ ამგვარი ექსპერიმენტის საფუძველზე დაიბადა ის სამყარო, რომელსაც რობერტ სტურუას სამყარო შეიძლება ვუნოდოთ, პრეტენზიით — მთელი ქვეყნის აზროვნებითი გაუნათლებლობა გადაელახა, და ეს არც არასოდეს დაუმალავს.

სტურუას შემოქმედებითი თავისებურება სპექტაკლის ტექსტისათვის საჭირო სიტყვების შერჩევამაც მდგომარეობს. შეიძლება ითქვას, რომ იგი განსაკუთრებული ლექსიკონით სარგებლობს. ეს ლექსიკონი უზომოდ ვრცელია და ამავდროულად შეზღუდულიც, რაც იმის გამო ხდება, რომ რომელიც სახის შესაქმნელად საჭირო სიტყვების ძიებისას, ეყრდნობა რა დრამატურგის მიერ შემოთავაზებულ მასალას, უმდიდრეს ქართულ სიტყვიერებაში ძალიან ფრთხილად ეძებს შესაფერისს და პოულობს სწორედ იმ ერთადერთს, რომელიც მის მიერ ჩაფიქრებულ მოქმედებას ნაადგება. ხოლო თუ ვერ მოძებნა ამდაგვარი, მაშინ სიზუსტეს სიტყვათა შეთანხმებით აღწევს. სწორედ ამის გამოა, რომ სტურუას სპექტაკლების ლექსიკა მოძრავია და ოდნავ შემთხვევითიც, თუმცა ახალი და ცოცხალი. მაშინაც კი, როდესაც ერთგული

რჩება დრამატურგისა, ცდილობს „ძველი“ სიტყვების ახალი, უფრო ინტიმური და პირობითი სახე გამოავლინოს. ყოველ ამ სიტყვას სტურუასთან უფრო მკვეთრი და ღრმა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვენთვის. ყოველ მათგანს, მსგავსად მუსიკალური ნოტისა, იგი მრავალჯერ წარმოსთქვამს, თითქოს რხევის სიხშირეს უმონმებსო. ეს სიტყვები, როგორც მუსიკალური ლეიტმოტივები, დროდადრო სხვადასხვა ვარიაციებით მეორდება და გრძნობათა და განწყობილებათა პირობით სურათს ქმნის. სტურუას სპექტაკლებში არა მხოლოდ ცალკეული სიტყვები, ხშირად მთლიანი სინტაქსური წყობა იმდენად ზუსტი და პირობითია, როგორც მუსიკალური ფრაზა.

სტურუას შემოქმედებითი სტილი ფერწერულ ფაქტურასაც ჰგავს. მისთვის ახლობელია ხაზების, ფორმებისა და ფერების სამყარო და ალბათ, სწორედ ფერწერულ ტერმინოლოგიაში შეიძლება მისი სტილისა და მხატვრული მანერის ზუსტად შესატყვისი ტერმინის მოძიება. მხატვრული სახის შექმნის საოცრება, ილუზიის რღვევა, შეღებილ-გაფერადებული ნილაბი — მწუხარე თუ მოცინარი ტუჩების, ცრემლიანი თუ სიცილიანი თვალების უტყვი მონაცვლეობა — იმ შინაგანი დრამის მიზეზად გვევლინება, საკაცობრიო მახსოვრობის რომელიღაც შრეში რომ თამაშდება. სტურუას შემოქმედებითი თემები და სიუჟეტები მთელი თავისი ტიპებითა და ხასიათებით ცხოვრებისეულ შეგრძნებებს უკავშირდება, მისი სპექტაკლების პერსონაჟთა მრავალფეროვნება უხვია, მათში წარმოდგენილი ესთეტიკური ფასეულობანი — ძვირფასი.

ერთი სიტყვით როგორ უნდა განისაზღვროს სტურუა, როგორც ამბის შემთხვევლი და დამდგმელი? „იზმების“ მრავალფეროვანი სამეფოდან რომელ ერთს უნდა შეესაბამოს მისი ნამოღვაწარი? ესთეტიზმს? რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ტერმინი მხოლოდ ნაწილობრივ თუ მოიცავს მთელ მის შემოქმედებას. რეალიზმს? რა თქმა უნდა, მაგრამ სათქმელად ეს ძლიერ მცირეა. ისტორიზმს? შესაძლოა, თუმცა წარსული მისთვის ყოველთვის ანმყოში არსებობს. ფსიქოლოგიზმი? ძლიერ პირობითი და მცირედი ოდენობით, რადგან მას აინტერესებს განცდა არა როგორც რეალური პროცესი, არამედ მისი მხოლოდ გამომსახველობითი ფორმები და შედეგი.

ავტორის პიროვნებისადმი, მხატვრული სიტყვისადმი თავისი დამოკიდებულებით, კომპოზიციური წყობის სიცხადით, უცვლელი გემოვნებით და ბოლოს, თავისი შეხედულებებით ხელოვნებაზე, როგორც წარმოსახვისა და ფანტაზიის მშვენიერ თამაშზე, სტურუა აღადგენს კლასიციზმის საუკეთესო



ტრადიციებს, რომელთაც თანამედროვეობის ცოცხალ დღევანდელობას და ცოცხალ შეგრძნებებს უხამებს.

ხელოვნების ამ ნათელსა და მშვენიერ სიხარულში ძვეს მისი მომხიბლობის მთავარი მიზეზი და საიდუმლო.

და ისევ...

სტურუა — რას შევებით, სად მიგაქვთ ეს ფარდა, ნუ გამაგიჟეთ... შუქი, შუქი ჩქარა... სად არიან ცეცხლისნამკიდებელნი?..

რეჟისორის თანაშემწე — ბატონო რობიკო, კასრადის კაბას ვერ ვპოულობთ, რა გვეშველება?..

სტურუა საოცარი სიმშვიდით — სხვა შეარჩიეთ გარდერობში, რალაცას იპოვნით!..

კასრადე — როგორ, ბატონო რობიკო, რალაცით გამოვიდე სცენაზე? მე ისეთი მშვენიერი კაბა მეცვა...

სტურუა — შენ ყველა კაბაში მშვენიერი ხარ!..

(თუმცა, ეს საფინალო სცენა მისტიფიკაციაა...)

მაქს ფრიში (15.5. 1911. ციურიხი), შვეიცარიელი მწერალი და დრამატურგი. ნერდა გერმანულ ენაზე. სწავლობდა ფილოლოგიასა და არქიტექტურას.

პიესა „ბიდერმანი და ცეცხლისნამკიდებელნი“ (1958) მოგვითხრობს პატარა პარფიუმერული ნარმოების მეპატრონეზე, რომელმაც საკუთარი ტყავის ვადარჩენის მიზნით სახლში შეუშვა დამნაშავენი, ქალაქის ვადანვა რომ ჰქონდათ ვადანყვეტილი. ბიდერმანი არც ისე ზნეობრივი პიროვნებაა, მას თვითმკვლელობამდე მიჰყავს თავისი სანარმოს თანამშრომელი. მიუხედავად იმისა, რომ სახლის სხვენი ბენზინიანი კანისტრებით ივსება, ბიდერმანს მაინც აქვს იმედი, რომ ეს ხალხი მშვიდობიანი მოქალაქენი არიან. საბოლოოდ, თავაზიანად ვადასცემს მათ ასანთს ხანძრის გასაჩაღებლად. იწვის მთელი ქალაქი, იღუპება თავად ბიდერმანიც ცოლთან ერთად და სრულიად მოულოდნელად, ჯოჯოხეთში ხვდება.

პიესაში მონანილეობს მეხანძრეთა ქორო, რომელიც ირონიულად წააგავს ანტიკური ტრაგედიების ქოროს. ქორო სიფხიზლისაკენ მოუწოდებს ბიდერმანს, მავრამ მაშინ, როდესაც ობივატელის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, მისი ზოგადი სენტენციებით შეჩერება შეუძლებელია.

მომამზადა მანანა თევზაძემ



ყველაფერი კარგადაა

მათა რეჟანიძე

თანამედროვე ქართული ჯიჲო: ტანდენსიაჲი და ჰიჲობიჲეჲი

ქართულ კინოში არსებული ზოგადი კრიზისული სიტუაციის შესახებ საუბარი ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დაიწყო. ყველაზე მკაფიოდ იკვეთებოდა ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო ამ მდგომარეობის არსებობას. დაფინანსების სიმწირე რეჟისორებს არ აძლევდა საშუალებას შეექმნათ საინტერესო ნამუშევრები და შემოქმედებითი კრიზისი, რაც პრაქტიკულად არსებული პროდუქციის ჟანრულ-თემატურ, სტილისტურ თავისებურებაშიც ვლინდებოდა.

თანამედროვე ეტაპზე კინონარმოების ერთგვარი გამოცოცხლება დაიწყო. შეიქმნა დამოუკიდებელი პროექტები, გაჩნდა საპროდიუსერო ჯგუფები, კერძო სტუდიები, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუწყონ ქართულ კინონარმოების აღორძინებას. ამ გარემოში

რეჟისორებს საშუალება მიეცათ გამოევილინათ საკუთარი შესაძლებლობები, მიეღოთ გარკვეული დაფინანსება, დაეწყოთ მათთვის საინტერესო და მეტ-ნაკლებად ფინანსურად მომგებიანი პროექტების შექმნა. შედეგად, თუ გადავხედავთ ბოლო პერიოდის საერთო პროდუქციას, რომელიც განსხვავებული მხატვრული ღირებულებისა და ხარისხისაა, ვნახავთ, რომ საერთო ჯამში დღეს ქართულ კინოში ჩნდება განვითარების გარკვეული პერსპექტივები. რაც შეეხება მეორე ფაქტორს, ანუ შემოქმედებით კრიზისს, ვფიქრობ, ამ ფონზე, მცირე გამონაკლისის გარდა, ქართულ კინოში მდგომარეობა რადიკალურად არ შეცვლილა.

შესაძლოა, შემოქმედებითი კრიზისის ერთ-ერთ ფაქტორად ფილმის სუსტი დრამატურგია, თემატურ-იდეური ასპექტები მივიჩნიოთ. კონოხელოვნებაში, როგორც ვიზუალურ ხელოვნებაში, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გამოსახულებას, ფილმის პლასტიკურ-ვიზუალური სახეებით აზროვნებას, მაგრამ თემატურად ცარიელი გამოსახულება კარგავს თავის ღირებულებას და რჩება ცარიელ ფორმად. ფაქტობრივად, რეჟისორები უპირატესობას ანიჭებენ ორიგინალური სცენარით შექმნილ ნაწარმოებს, რომლის სიუჟეტი ხშირად ფაბულის დონეზე რჩება. რა თქმა უნდა, როდესაც ავტორს აქვს გარკვეული სათქმელი და შეუძლია მკაფიოდ, საინტერესოდ მოაქციოს ის ორიგინალურ, გნებავთ, ექსპერიმენტულ ფორმაში, ასეთი

გოგონა სლაიდიდან




ტიპის ნამუშევრები ყოველთვის საინტერესო და მისაღებია, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალზედ იშვიათიც. დღეს ქართულ კინოში გარკვეულწილად ყურადღება ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზებას მიექცა, რაც წლების მანძილზე იგნორირებული იყო. ეს არ შეიძლება ჩაითვალოს საერთო, მძლავრ ტენდენციად, მაგრამ ცალკეული მცდელობებიც, შეეხო კლასიკურ თუ თანამედროვე ლიტერატურას, დრამატურგიას, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია.


დავით ჯანელიძის „ჯაყოს ხიზნები“ მიხეილ ჯავახიშვილის ამავე სახელწოდების რომანის მოტივების მიხედვით შეიქმნა. ზოგადად, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება გამოირჩევა განსაკუთრებული თხრობის სტილითა და მანერით, „ჯაყოს ხიზნების“ შინაგანი მუხტითა და ემოციით სავსე გმირები, რეალისტური გარემო და დროის დაუნდობელი ჭიდილი, რომელიც ანგრევს ადამიანებს, ცვლის მათ შინაგან სტრუქტურას, ცხოვრების ჩვეულ რიტმს, თავისთავად დღესაც აქტუალური და საინტერესოა. რეჟისორი ფილმის ტიტრებშივე აზუსტებს, რომ ფილმი შექმნილია რომანის მოტივების მიხედვით. რაც თავისთავად გულისხმობს მისთვის საინტერესო თემატიკის წინა პლანზე წამოწევისა და რომანის ზუსტი ეკრანიზებიდან გასვლას, ანუ თავისუფალ ინტერპრეტაციას. ამ ეტაპზე რეჟისორს აინტერესებს სამეულის — ჯაყოს, მარგოსა და თეიმურაზ ხევისთავის ურთიერთდამოკ-

იდებულება. რეჟისორი ფილმის დასაწყისში გვთავაზობს ქრონიკალურ კადრებს, რითაც ერთგვარად აკონკრეტებს დროს. ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციური პროცესები, ახალი დროება ანგრევს ხევისთავთა იდილიურ, უზრუნველ, ჩვეულ ყოფას. მარგოსა და თეიმურაზის ურთიერთობები პირველივე კადრებში დაშლილი, გათიშულია. მარგოსთვის სულ ერთია რა ელის წინ, რა გადანყვეტილებას მიიღებს თეიმურაზი სტუმრად მოსული ჯაყოს შემოთავაზების თაობაზე, რადგან ყველაფერს აზრი და მნიშვნელობა დაკარგვია. ჯაყო დამპყრობელია, ახალი დროების ადამიანი, რომელმაც ხევისთავებისგან მათივე უნიათობით და უგერგილობით ყველაფერი მიიღო. ერთადერთი, რაც მას სჭირდება, რაც ხევისთავებისგან დარჩა მოსაპოვებელი, მარგოა. შეხვედრის პირველივე ეპიზოდში ჯაყოს ცხვარი მოჰყავს ხევისთავებისთვის. მან უკვე იცის მათი გაკოტრებისა და სიღარიბის შესახებ და შეუძლია მათი მოხიზვლა,



საკუთარი უპირატესობის დემონსტრირება, დაპყრობა — ეს საკვებია — მატერიალური კეთილდღეობა. ფილმის მსვლელობის დროს სხვადასხვა ეპიზოდებში, კადრში ხშირად ხაზგასმით მოჩანს მაგიდაზე დაყრილი ხორცი, როგორც სიმბოლო ჯაყოს ხორციელი ვნებებისა, რაც, ვფიქრობ, სწორხაზოვანი მეტაფორაა. თეიმურაზი მონყვეტილია რეალურ გარემოს, სოფლად ცხოვრება უფრო აახლოებს ბუნებასთან, უკვე არარსებულ წარსულთან და მეტად ინფანტილურს ხდის მას. ფილმში ძირითადი აქცენტი უკვე მარგოსა და ჯაყოს ურთიერთობაზე გადადის. ჯაყოს მიერ მარგოს ფიზიკური დაპყრობა ძალით ხდება, თუმცა თეიმურაზის ინდეფერენტულობა საბოლოოდ უბიძგებს მას ცოცხალი, ენერგიული, უხეში და ამავე დროს პატივმოყვარე ჯაყოსკენ. მარგომის გადაკეთებას, ცივილურ ფორმაში მო-







ქცევასაც ცდილობს, ვინაიდან ძლიერი მამაკაცის გარდა ესთეტიკურად მიმზიდველი საყვარელიც ჭირდება. მიხეილ ჯავახიშვილის რომანისგან განსხვავებით თეიმურაზი მსხვერპლია არა მხოლოდ ჯაყოსი, არამედ მარგოსა და საკუთარი სიბეცის. ჯაყოსა და მარგოს ქორწინება თეიმურაზის საბოლოო დამარცხებაა. ფილმის რეჟისორი გვთავაზობს საკმაოდ ბანალურ ფინალს. ვინრო ლაბირინთში მიმავალი თეიმურაზი საბოლოოდ ყრუ კედელს ეჯახება. აღნიშნული მეტაფორა პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებს, რომ თეიმურაზის ტიპის ადამიანებისთვის გამოსავალი, მომავალი აღარ არსებობს! შეიძლება ითქვას, რომ დავით ჯანელიძე „ჯაყოს ხიზნებში“ იღებს ნანარმოების ძირითად ფაბულას, რაც საშუალებას არ აძლევს ავტორს სრულად გაშალოს, დაამუშაოს გმირთა სახეები, შექმნას თვითმყოფადი და ქმედითუნარიანი გარემო.

სამწუხაროდ, ქართულ კინოში, ბოლო პერიოდში უფრო მკვეთრად გამოიკვეთა ტენდენცია შეიქმნას სწორხაზოვანი, ტრაფარეტული, შეიძლება ითქვას, ყოველგვარი პრობლემებისგან დაცლილი ნანარმოები. ძირითადი აქცენტი გადატანილია მარტივ სიუჟეტურ წყობაზე. ამ ტენდენციის აშკარა მატარებელია ავთანდილ ვარსიმაშვილის „ყველაფერი კარგად იქნება“ და „იდიოტოკრატია“, გია აგლაძის „გოგონა სლაიდიდან“ და ირაკლი ჩხიკვაძის „თბილისური ლავ-სთორი“.

ფილმი „თბილისური ლავ-სთორი“ გიო მგელაძის ამავე სახელწოდების ნანარმოებ-

ის მიხედვით შეიქმნა. ფილმში თხრობა შემდეგი პრინციპით იგება: სხვადასხვა რეჟისორის თვალთ დანახული ერთი მოვლენა. ფორმის თვალსაზრისით იგი მეტად მოგვაგონებს აკუტაგავას „უსიერი ტყის“ საერთო სტრუქტურას, როდესაც ერთ მოვლენას სხვადასხვა თვითმხილველი თავისებური ინტერპრეტაციით მოგვითხრობს და ყოველი მონათხრობი რეალურად არსებული ფაქტია, სხვადასხვა ქვაკუთხედით დანახული და აღბეჭდილი. მეორე მხრივ, ნებისთ თუ უნებლიედ, გახსენდება მსოფლიო კინოში არაერთხელ განხორციელებული ექსპერიმენტები, როდესაც რეალურად მოხდა რამდენიმე რეჟისორის ნამუშევრის გაერთიანება ერთ სისტემაში. მაგალითად, ლარ ფონ ტრიერის პროექტი „ვეროპის სახეები“, რომელშიც მოხდა რამდენიმე რეჟისორის: ფატინ აკინის, ბარბარა ალბერტის, შარუნას ბარტასის და სხვათა გაერთიანება. ირაკლი ჩხიკვაძის ფილმში სტრუქტურა შემდეგი პრინციპით იგება — ფილმში წინა პლანზე წამოწეულია სამი თემა: „აბორტის“, „ნარკომანის“ და „ჯადოს“, ანუ ცრურწმენის





თემა. თითოეული თემა დაკავშირებულია მარტივი სიუჟეტური ხაზით. ფილმის მთავარი გმირი ელოდება ბავშვს მეგობარი ბიჭისგან. მათ შორის ხდება კონფლიქტი და გოგონა მეგობრების რჩევით გადანყვეტს ბიჭს გაუკეთოს ჯადო. ბიჭი ნარკოტიკის მაღალი დოზის მიღების შემდეგ იღუპება. გოგონა მისგან შვილს ელოდება. ფატალური ფინალი — ჯადოს ბრალდება. ფილმი იკინ-

ძება ცალკეული ინტერვიუებით, სადაც თითოეული რეჟისორი გვთავაზობს ეპიზოდის, თემის გადანყვეტის მისეულ ვერსიას. თუმცა „მისეული ვერსია“ ვფიქრობ, ხმამაღალი ნათქვამია, ვინაიდან ძირითადად ხდება მოქმედი გმირების (მსახიობების) შეცვლა ეპიზოდებში. თითოეული რეჟისორის, ამავდროულად ფილმის რეჟისორდენტის, ხედვის ინდივიდუალური შტრიხები თხრობის პროცესში ნაკლებადაა შეტანილი. ანუ ეს არაა რადიკალურად განსხვავებულ სტილთა, ფორმათა ერთგვარი ეკლექტიკური ნაზავი. ერთადერთი გამონაკლისია ნიკა მაჩაიძის ეპიზოდები, სადაც ისტორიის გადატანა საოპერო უანრში ხდება. აქ არის თავად ავტორიც, ანუ რეჟისორი ამ პრობლემებს ნაწარმოების ავტორის გიო მგელაძის დამოკიდებულებითაც გვთავაზობს. თხრობა ერთი შეხედვით კოლაჟურია, თუმცა საერთო ჯამში მეტად მოგვაგონებს სატელევიზიო გადაცემის, ფილმის სტრუქტურას. აქ განარკომანებული თაობის მიმართ ტკივილი დაკარგულია, რომელიც მთხრობელის ტექსტში იკითხება ირონიად — საზოგადოების გარკვეული ფენის ცრურწმენისა და მისი ცხოვრების წესის, ყველაფრის მიმართ, როგორც ერთგვარი გართობისადმი დამოკიდებულება. საზოგადოების, რომელიც სხვის აზრს ანიჭებს დიდ მნიშვნელობას და ამ დროს საკუთარი ცხოვრება, პირადი განცდები და სურვილები ავინყდება. საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ „თბილისური ლავ-სთორი“ შედარებით უფრო საინტერესო ნამუშევარია, ვიდრე ავთო ვარსიმაშვილის „იდიოკრატია“, „ყველაფერი კარგად იქნება“ და გია ავლაძის „გოგონა სლაიდიდან“. ამ ფილმების ესთეტიკურ ღირებულებაზე საუბარი, ვფიქრობ, არასწორია. ვინაიდან მათ მსგავ-






სი ღირებულება საერთოდ არ გააჩნიათ. ეს ფილმები გამოირჩევა უგემოვნობით, სწორსაზოვნებით. ავთო ვარსიმაშვილის ფილმები გია აგლაძის ნამუშევართან შედარებით მეტნაკლებად აწყობილია სიუჟეტური ხაზის განვითარების თვალსაზრისით, თუმცა უნდა ითქვას, რომ თეატრის რეჟისორის არაკინემატოგრაფიული აზროვნება სახეზეა. ამ ფილმებში, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია სხვა პრობლემა. რეჟისორთა დამოკიდებულება თავისი პუბლიკის მიმართ. ეს პრობლემა დღეს ძალიან მტკივნეულია. ვინაიდან ქართველ მაყურებელს დღეს სატელევიზიო ეთერით ნებისმიერი დამოუკიდებელი ტელე-არხები სთავაზობენ უგემოვნო, დაბალი ხარისხის, ერთგვაროვან პროდუქციას, იქნება ეს ერთი ტიპის შოუები თუ სერიალები, ამერიკული მასობრივი კინოს ნიმუშები და სხვა, თითქოს შეგნებულად, ეტაპობრივად ხდება მაყურებლის გემოვნების დეგრადირება. ფაქტობრივად, ყოველგვარი რეიტინგული, რეალური გამოკითხვების გარეშე ხდება ამ ტიპის ნამუშევრების ეთერში გაშვება. ჩვენ თვითონ ვახდენთ მაყურებლის გემოვნების დევალვაციას და შემდგომ ვწუნუნებთ მათი დაბალი ხარისხის გამო. შესაძლოა, ავტორთა ასეთი ქედმაღლური, დისტანციური დამოკიდებულება თავისი პუბლიკისადმი არის ერთგვარი მცდელობაც საკუთარი უნიჭობისა და შემოქმედებითი უუნარობის დაფარვისა. ქართული კინოს ბოლო პერიოდში შექმნილ ამ ნამუშევრებში აშკარად იგრძნობა რეჟისორთა დამოკიდებულება მაყურებლისადმი, როგორც უგემოვნო მასისადმი, რომელიც უნდა გაართო და ახალისო „სრული იდიოკრატიით“, შესთავაზო

„ტუტცის“ ცუდი ქართული ვარიანტი და თან ისე, რომ სიუჟეტის ერთ სისტემაში აწყობა, მისი განვითარებაც კი ვერ შეძლო.

დღეს ქართულ კინოში მიმდინარე პროცესები საკმაოდ მრავალფეროვანია. მიუხედავად არსებული მსგავსი სიტუაციისა, რა თქმა უნდა, არებობს მეორე მხარეც. დღეს ქართულ კინოში იქმნება საინტერესო ნამუშევრებიც. დილეთანტიზმის, არაპროფესიონალიზმის გვერდით არსებობენ რეჟისორები, რომლებიც სტილის, ფორმის, სათქმელის თვალსაზრისით სრულიად გამართულ და საინტერესო ნამუშევრებს სთავაზობენ ქართველ მაყურებელს.





მიხეილ ჭიაურელი

სუისა
ყარაბაგაძე

აფეხა, ბასონო მიხეილ!

კარგი კინო ხელოვნების ზეიმია, რომელიც აერთიანებს შემოქმედების სხვადასხვა დარგებს. კინო ეს არის მწერლობის, მხატვრობისა და მუსიკის შერწყმა, შესხეულება, ერთ არსებად გარდაქმნა. მიუხედავად იმისა, რომ კინომატოგრაფია ასწლეულებით უმცროსია სხვა სახელოვნებო დარგებზე, იგი უკვე ღირსეულ მეტოქეობას უწევს ამა თუ იმ შემოქმედებით ნამუშევარს. დღეს კინოს უფრო მეტი მიმდევარი ჰყავს, ვიდრე, ვთქვათ მწერლობას, მხატვრობას, მუსიკას. ეს იმიტომ, რომ ჩვენი დროის ადამიანი უფრო მეტად პრაგმატიკოსია, ვიდრე მეოცნებე, მოაზროვნე და ანალიტიკოსი; დღევანდელი კინოც პრიმიტიულ აღქმაზე და სანახაობით ეფექტებზეა აგებული. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ფილმს მრავალწლიანი ისტორია აქვს და ზოგიერთი სურათი შედევრადაც შეიძლება ჩაითვალოს, დღეს ქართული კინო სულს ღაფავს. ქვეყნის მესვეურთათვის ხელოვნება და მათ შორის კინოც მეთაქმარისხოვანია ან საერთოდ უხარისხო. მას, ვისაც

მატერიალურად ხელეწიფება ფილმის გადაღება, კიდევ იხარებს გულის ჭიას, მაგრამ მსგავს ნამუშევრებს ქართულ ფილმს ვერ დავარქმევთ და ზოგიერთ მათგანს ფილმი არც შეიძლება ეწოდოს. დღევანდელი ქართული კინოს დიდი ნაწილი თითქმის პლაგიატობაა და ეს მიმბაძველობა-ნამბაძველობაც იმდენად უნიჭოდ ხდება, რომ არათუ ხელს უწყობს, არამედ ძირს უთხრის ქართულ, ეროვნულ კინემატოგრაფიას. უარეს დღეშია დოკუმენტური კინო. არადა, ეს უანრი პირდაპირ მისწრებაა ტელევიზიისთვის. ჩემი აზრით, საქართველოზე და ქართველებზე გადაღებული დოკუმენტური კინო უფრო წაადგებოდა ჩვენს ხვალისდელ დღეს, ვიდრე ბრაზილიური, ვენეციური, კოლუმბიური და არგენტინული სატელევიზიო ბალასტი.

თექვსმეტ იანვარს, ანუ ბედობის მეორე დღეს კინოსახლში ბატონ მიხეილ ჭიაურელის ფილმის პრეზენტაცია მოეწყო. ვიმედოვნებ, დოკუმენტურ კინოს პრეზენტაციები დაებედება და იქნებ არაფრის მომცემ სერიאלებსაც ჩაენაცვლოს ქართული, შემეცნებითი, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული დოკუმენტური კინო. პრეზენტაციაზე ნაჩვენები იყო ორი სურათი: პირველი ფილმი ეძღვნებოდა მრავალგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, ყველასათვის უსაყვარლეს ფალავანს ლევან თედიაშვილს; მეორე ფილმი კი თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელებს, რომელთა მსგავსი წარმატებები დღევანდელ ქართულ ფეხბურთს ნამდვილად წაადგებოდა.

მართალია, ფილმი ლევან თედიაშვილზე საბჭოთა პერიოდში იყო გადაღებული და თემატიკაც საბჭოური გახლდათ, მაგრამ სურათი მეტად საინტერესო საყურებელი აღმოჩნდა. ჩვენი ბეჭდაუდებელი ფალავანი ტატამიდან საგარეჯოს რაიონში, კოლმეურნეობის თავჯდომარის კაბინეტში აღმოჩნდა. სწორედ ამ პერიოდს ეხებოდა ფილმი ლევან თედიაშვილზე. სურათი საკმაოდ საინტერესოდ დაიწყო — კახელმა გლეხმა კახური სიღინჯით მიგვიპატიჟა ხვავით სავსე მაგიდასთან, უხვი შემოდგომა გვახარა, რამდენიმე სიტყვით ლევანის ბავშვობაზეც მოგვიყვა, გვადღევრძელა და ერთბაშად გამოცალა ღვინით სავსე ფიალა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კადრები ოთხმოციან წლებში იყო გადაღებული, ჩემში სასიამოვნო გრძნობები აღძრა, რადგან შემოდგომა, მოსავალი და გლეხის მიერ წარმოთქმული სადღევრძელო მარადიული თემებია. აფერუმ რეჟისორის მოხერხებას — კომუნისტური დაკვეთა წმინდა ეროვნული დასაწყისით. აღმოჩნდა, რომ ჩვენი ბეჭდაუდებელი ფალავანი სამეურნეო საქმეშიც ისეთივე მოხერხებული ყოფილა, როგორც ტატამზე. თედიაშვილის სიკარგეზე

ბევრს საუბრობდნენ კახელები, ვგონებ, სამართლიანად, რადგან კახელებს პირფერობა არ გამოსდით და, რომც სცადონ, ადვილი შესამჩნევია, მათ ხასიათს თუ კარგად იცნობ. ლაპარაკი იქით იყოს და საქმეც გვაჩვენა ჩვენი ფალავნის მოხერხება. წლების მანძილზე სოფელს სასმელი წყალი არ ჰქონდა. თედიაშვილის მოხერხებითა და მონდობებით მთის ანკარა წყალმა ამოჩქეფა სოფელში. თედიაშვილი წყალს დაენაფა და გულწრფელი მადლიანი სიხარულიც გამოხატა კახურად, სიტყვაძუნად. ამ ფილმში ერთი მშრომელი გლეხი საუბრობდა თედიაშვილზე და სასოფლო საქმეზე. საყურადღებო გახლდათ ამ გლეხის ბრძნული მონოლოგები, ყველაზე მეტად იმან გამახარა და გამაოცა, რომ სასხლავიანმა მოხუცმა ვაჟა-ფშაველაზე წამოიწყო საუბარი, თურმე უზომოდ ყვარებია ვაჟას შემოქმედება და უამრავი პოემა თუ ლექსი იცოდა ზეპირად. აფერუმ, სასხლავიან კალმეურნეს ვაჟას დაფასებისთვის და საბჭოური ფილმის რეჟისორს ამ ფაქტის წინამორწინებისთვის. ფილმის ფინალში თვალუნვდენელ ნახნავებში, უზარმაზარ ბელტებზე, მედიდურად, გამარჯვებულის ნაბიჯებით მიემართება ფალავანი და თავმჯდომარე ლევან თედიაშვილი. ამ საბჭოური ფილმის ფინალშიც ისევ საქართველო დავინახე. აფერუმ, „საბჭოთა“ რეჟისორის მოხერხებას.

მეორე ფილმი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ვეტერან ფეხბურთელებს ეძღვნებოდათ. ნახევარი საუკუნის წინ „თბილისის

ოფიცერთა სახლის“ ფეხბურთელები ისეთ ამბებს ატრიალებდნენ თურმე სტადიონზე, რომ ერთ უკმაყოფილო გულშემატკივარსაც ვერ ნახავდით. რომ არა მიხეილ ჭიაურელის ფილმი „TODO“, მე ვერასოდეს გავიგებდი, რომ არსებობდა „დინამოს“ სწორი და ტოლი გუნდი. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თბილისელი ბიჭები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ გასული წლების მსოფლიო ფეხბურთის კორიფებს. სამწუხაროდ, დღევანდელი ფეხბურთელები ჩვენს თაობას ისე ვერ გვანებივრებენ საფეხბურთო სანახაობით, როგორც „TODO“-ელები საკუთარ გულშემატკივარს. ფილმი სავსე იყო ძველი კადრებით, ვეტერანთა და გულშემატკივართა მოგონებებით, ლამაზი წარსულით და უიმედობით. 2009 წელს ფილმით „TODO“ მიხეილ ჭიაურელმა ლამაზი საჩუქარი გაუკეთა ვეტერან ფეხბურთელებს და ფეხბურთის გულშემატკივრებს. თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელებიდან მხოლოდ ოთხი კაცია ცოცხალი და ისინიც აღარავის ახსოვს, თუ არ ჩავთვლით მათსავით ხანში შესულ რამდენიმე გულშემატკივარს და მივიწყებულ ქართველ სპორტსმენებზე შეყვარებულ რეჟისორს.

იმედს ვიტოვებ, რომ მიხეილ ჭიაურელის ამ უმშვენიერეს დოკუმენტურ ნამუშევრებს ფართო აუდიტორიაც იხილავს. მიიმედება, რომ ქართულ დოკუმენტურ კინოს ეკრანი დაებედა და მიხეილ ჭიაურელიც მრავალჯერ გვასიამოვნებს საინტერესო ნამუშევრებით.





გია მარკოზაშვილი

მაცა სურგულაძე

ბია მახოზაშვილის ბამოფანა – მონოლოგი მახაღიჯლობაზე

გია მარკოზაშვილი - საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

დაიბადა 1949წ. 25 თებერვალს ქ. თბილისში.

1969-1970წ. სწავლობდა ი.ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში გ.თოიძის კლასში.

1970-1977წ. სწავლობდა ქ.თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე — ს. ქობულაძისა და უ. ჯაფარიძის კლასში.

1979 წლიდან არის მხატვართა კავშირის წევრი.

1971 წლიდან მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში.

მიღებული აქვს:

პირველი პრემია — ახალგაზრდა მხატვართა რესპუბლიკური გამოფენა — კონკურსი. ქ. თბილისი 1971წ.

მესამე პრემია — საერთაშორისო პლენერი. ქ. ვილნიუსი 1984წ.

რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის წოდება. ქ.თბილისი 1990წ.

პერსონალური გამოფენები:

ქ.თბილისი, ქ.მოსკოვი, ქ.ვილნიუსი.

ჯგუფური გამოფენები:

კანადა, ბულგარეთი, ფინეთი, მონღოლეთი, შვეიცარია, მექსიკა, რუმინეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, შვედეთი, იაპონია.

2003წ. ქ.ამსტერდამი — გალერეა „პიტერ ბრეიგელი“;

ქ. ბერნი — გალერეა „ტონი ჰერბერი“;

ქ. კოპენჰაგენი — გალერეა „ლეგერ მალმო“;

2005წ. ქ. ბაზელი — გალერეა „სტამპა დიეგო და გილი“;

ქ. მოსკოვი — გალერეა „ცმს“;

ქ. სამარა — გალერეა „ბაბილონი“;

2009წ. ქ.თბილისი — გალერეა „ფიროს-მანი“.ნამუშევრები დაცულია:

ტრეტიაკოვის გალერეა — ქ.მოსკოვი; ალმოსავლეთის მუზეუმი — ქ.მოსკოვი; რუსული მუზეუმი — ქ.სანკტ-პეტერბურგი; ნაციონალური გალერეა — ქ. პლევენი;

კერძო კოლექციები — საფრანგეთი, ინგლისი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, პოლონეთი; აშშ; გერმანია, იაპონია, რუსეთი, ლიტვა, ბულგარეთი, ისრაელი, იტალია, პორტუგალია, საბერძნეთი, უკრაინა, ჰოლანდია, შვეიცარია, საქართველო.

გია მარკოზაშვილი XXს.-ის 70-იანი წლების მხატვართა თაობას განეკუთვნება. 70-იანი წლები გარდამავალი პერიოდია ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში. პერიოდი, რომელიც, მიუხედავად მხატვრული სტილისა და მსოფლმხედველობის ამორფულობისა, მნიშვნელოვანი ეტაპია, რადგან სწორედ ამ წლების მიწურულიდან ჩნდება ქართული მხატვრობის (როგორც „დროში აცდენილის“), მსოფლიო ხელოვნების განვითარების საერთო მიმართულებაში შეღწევის მცდელობის ცალკეული ნიშნები. გ.მარკოზაშვილის შემოქმედება ამ მცდელობის თვალსაჩინო მაგალითია. მის ადრეული პერიოდის ნამუშევრებში მხატვრული ფორმა „ტრადიციულისა“ და „ახლის“ ერთგვარი „შეთანხმების“ და ამავე დროს „ურთიერთჭიდილის“ შედეგია. „ტრადიციული“ — სრულიად ახლებურად იაზრება, ხდება მისი ტრანსფორმირება და შერწყმა დასავლური კულტურის მონაპოვართან. რიგ შემთხვევაში ეს ურთიერთშერწყმა თვალსაჩინო და ხელშესახება. უმეტესწილად კი იმდენად დაფარული, რომ შორეულ რემინისცენციად გვევლინება.

გ. მარკოზაშვილი მაძიებელი მხატვარია. სწორედ ამით აიხსნება მისი შემოქმედების

თემატიკური, ჟანრული თუ სტილისტური მრავალფეროვნება, როგორც საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმალური რეალიზაციის, ასევე ახალი ტექნიკური თუ მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების მიგნების მცდელობა.

რეალიზმის ადგილს მის შემოქმედებაში ჰიპერრეალიზმი, სიურრეალიზმი და აბსტრაქცია იკავებს. მიმდინარეობები, რომელსაც მხატვარი დროთა განმავლობაში სისტემატიურად უბრუნდება და საკუთარ ვარირებას გვთავაზობს. ყოველ მათგანს მხოლოდ ავტორისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ხელნერა გააჩნია: განზოგადებული, ასოციაციური აზროვნება, ერთგვარი მონუმენტალიზმი, ექსპრესიულობა, სევდანარევი სენტიმენტალიზმი, მსუბუქი ირონია და აკადემიურობა. მხატვრული ფორმა თითქმის ყველა შემთხვევაში ხელშესახები და ნათელია, „მატერიალურია“. აბსტრაქციაშიც კი იგრძნობა ფარული ტექტონიკა, აზრის სიცხადე, ნამუშევრის იდეისა და მისი გამომსახველობითი მხატვრული ხერხების ჰარმონიულობა. შინაარსი თითქმის ყოველთვის განსაზღვრავს ფორმას. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მის პეიზაჟებში. თემატურ კომპოზიციებთან შედარებით აქ უფრო მეტი შინაგანი თავისუფლება იგრძნობა. ემოციური მუხტი დომინირებს რაციონალურზე. პირველივე შეხედვისთანავე ყურადღებას იპყრობს ნახატისა და ფერის დინამიკა, ცხოველხატულობა. განსაკუთრებული ფერწერულობით გამოირჩევა მშობლიური კუთხის ბუნების ამსახველი ტილოები. აქაც კონკრეტულიდან მიღებული ზოგადი შთაბეჭდილების ხაზგასმა ხდება. პეიზაჟს მხატვრის შემოქმედებაში ძირითადი თუ არა, განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს. მისი თემატური კომპოზიციების უდიდესი ნაწილი პეიზაჟურ სივრცეში ვითარდება. აბსტრაგირებული პეიზაჟური სივრცის შემოტანა სრულიად გააზრებულად ხდება და როგორც მაკროსამყაროს მარადიულობის მინიშნება, ისე აღიქმება.


თავისებური ასახვა ჰპოვა ამ ჟანრმა ჰიპერრეალისტურ ნამუშევრებშიც. მაგ. „სახლი საგურამოში“, „თეთრი ეკლესია“. ამ უკანასკნელში ჩნდება პოსტმოდერნისტული ნიშნები. მხატვარს საგანგებოდ შემოაქვს ალეგორიული მომენტი — გზაზე ეკლესიისაკენ მიმავალი თეთრი ბატები, ასოცირებული ჭეშმარიტების საზიარებლად მიმავალ ცოდვილებთან. იგი არღვევს ფორტრეალიზმის ესთეტიკის ვინრო, მკაცრ ჩარჩოებს და ჰიპერრეალიზმი, როგორც მოტივი, მხატვრული ალუზია, ისე იკითხება. სწორედ ამ ნამუშევრიდან ხდება გადასვლა გ.მარკოზაშვილის შემოქმედების ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან — ე.წ. „პოსტმოდერნ-

ისტულ“ ეტაპზე. მხატვარს შექმნილი აქვს ნამუშევრების საკმაოდ ვრცელი სერია („ახალი წელი“, „ნათლობა“, „ოჯახი“, „მე შემეძინა ვაჟი“, „საიდუმლო სერობა“ და ა.შ.), სადაც ყველაზე უკეთ იკითხება მისი პიროვნული მრწამსი, დამოკიდებულება ტრადიციისა და ისტორიზმის, ქრისტიანული რელიგიის და მარადიული ფილოსოფიური პრობლემებისადმი. არც ერთ მათგანში არ არის ჟანრული მომენტი, კონკრეტულობა. ყველგან ხაზგასმულია განზოგადებული, განყენებული აზრი, რომელიც მუდმივად არსებობს დროისა და სივრცის განზომილებაში.

მარკოზაშვილის შემოქმედების ზემოაღნიშნული ეტაპი თავისებურად იქნა წარმოდგენილი ექსპოზიციაში, რომელსაც ოქტომბრის თვეში გალერეამ — „ფიროსმანი“ უმასპინძლა.

მაყურებლისადმი უდიდესი პასუხისმგებლობით შერჩეული, ბოლო ათი წლის ნამუშევრებით დაკომპლექტებული ექსპოზიცია, ყოველდღიურობის ორომტრიალში აღმოჩენილი, ერთგვარი პარალელური, კამერული სივრცეა, სადაც მუდმივი ფასეულობები, მხოლოდ ავტორისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხელნერი თაა ფორმადქმნილი.

ნამუშევართა უმრავლესობა XXI საუკუნეშია შესრულებული. სამწუხაროა, რომ ამ საუკუნეშიც ქართული კულტურული სივრცე ისევ ჭრელი და ქაოტურია. ჭრელია თავისი სოციალური თემატიკით, განსხვავებული მხატვრული მიმდინარეობებისა და დინებების ურთიერთპარალელური თანაარსებობით,



სტილის სიმრავლითა და პოლისტრუქტურულობით.

რთულია ამ სივრცეში ორიენტირება – საკუთარი თავის პოვნა და სხვისი დანახვაც; სივრცეში, სადაც ისევე მუდმივი ჭიდილია დასავლეთიდან „აგრესიულად“ შემოჭრილ უახლეს და უკვე მყარად ფესვგადგმულ ტრადიციულ ინფორმაციას შორის. სადაც ყველაფერ ახალს ხშირად ისე ამჯობინებენ „კარგად მივიწყებულ“ ძველს, რომ არც ის ახალი აინტერესებთ და არც „კარგად მივიწყებული ძველის“ ფასი იციან.

ამ სივრცეში ყოველი შეხვედრა საზოგადოებასთან ერთგვარი დილემაა შემოქმედისთვის – იყო „მოდური“, „ტრადიციული“, ე.წ. „მოთხოვნადი“, „კარგად შეფუთული გასაყიდი პროდუქტი“, თუ იყო უბრალოდ მხატვარი, პროფესიონალი, გიყვარდეს და გჯეროდეს იმის, რასაც პუბლიკას აწვდი და, რაც მთავარია, „ეძიებდე და ჰპოვებდე“.

გია მარკოზაშვილის წლევიანდელი გამოფენა ჩემთვის მუდმივი ძიების შედეგად

სასურველი ადგილის პოვნით განცდილი თვითკმარობის, საკუთარი საქმის უდიდესი სიყვარულის, ერთგულებისა და პროფესიონალიზმის მოკრძალებით გაცხადებაა.

ჟანრულად და სტილისტურად განსხვავებულ ნამუშევრებს ერთი საერთო თემა აერთიანებს – ერთგვარი სევდანარევი სიყვარულით გამთბარი სამყარო, მოკრძალებული და ყოველგვარ პათეტიკას მოკლებული, ისეთი, როგორც თვითონ გია მარკოზაშვილია. ჩემში, როგორც მაყურებელში, ეს ყოველივე ასოციაციურად ინვესტს „კარგად დაჭერილი პაუზის“ განცდას, რომელიც მუსიკალურ ნაწარმოებში, ნებისმიერ ფრაზაზე უფრო მნიშვნელოვანი და მეტყველი შეიძლება იყოს.

პაუზა ისეთივე სიმბოლოა, როგორც მთელი ექსპოზიცია, რომელიც მიუხედავად ჟანრული მრავალფეროვნებისა (აბსტრაქტული კომპოზიციების სერია, პორტრეტი, ანიმალისტური კომპოზიციები,



ნატურმორტი, პეიზაჟი), ცალკეული მოტივებისა და ციტატებისგან შემდგარი ერთი მთლიანი პოსტ-მოდერნისტული ნამუშევარია.

ამ ნამუშევარში გარკვეული პერიოდულობით მეორდება ერთი და იგივე სიმბოლიკა: თევზი, ფარშევანგი, თუთიყუში, ბელურისა და ჩიტბატონის მსგავსი ფრინველის პირობითი, კრებითი სახე, თვალი, პეპელა და ა.შ.

ეტიმოლოგიური არსით განსხვავებული სიმბოლოების ეკლექტური კავშირი შინაარსობრივად ერთიან კონტექსტს ქმნის — სამყაროს მთლიანობის, მარადიულ ფასეულობათა პირველსაწყისის „გაერთმნიშვნელოვანებული“ საყოველთაობის ციტირებას ახდენს.

თუ ქრისტიანულ სიმბოლიკას მივყვებით, თევზი ქრისტეს იკონოგრაფიული გამოსახულებაა, ჩიტბატონა — ქრისტეს ვნებების, ბელურა — ქრისტესმიერი სიყვარულის, პეპელა — ამადლების, ყარყატი — მახარებლის, ფარშევანგი — უკვდავების, მკვდრეთით აღდგომის, ხოლო მის ფრთაზე აღნიშნული „თვალი“ კი — ეკლესიის.


ამ კონტექსტში ყურადღებას შევაჩერებდი რამდენიმე ნამუშევარზე, რომელიც იდეურად კრავს ექსპოზიციას და მხატვრის ძირითადი სათქმელის ერთგვარი კოდია. ესენია: „გადაჯაჭვულნი“, „ბალეტი“, „ფარშევანგი 1“, „ფარშევანგი 2“, „ბიჭის პორტრეტი ცისფერ სამოსში“, „პეპელა“, აბსტრაქტული კომპოზიცია 1, „გადაფრენა“, აბსტრაქტული კომპოზიცია 2, „ბიჭი და კოკო“, „ნატურმორტი კოკოშასთან ერთად“.

ამ ნამუშევრებში, ზემოთ ჩამოთვლილ სიმბოლოთა გამოსახულებები უმეტესწილად პირდაპირი მინიშნებების სახით გვხვდება („გადაჯაჭვულნი“, „ბალეტი“, „ფარშევანგი 1“, „ფარშევანგი 2“, „პეპელა“, „გადაფრენა“, „ბიჭი და კოკო“, „ნატურმორტი კოკოშასთან ერთად“), ხოლო რამდენიმე მათგანში შორეული რემინისცენციის სახეს ატარებს. მაგ: ბიჭი ცისფერ სამოსში, რომელიც ერთი შეხედვით პროფილში მდგომი ბიჭის ჩვეულებრივი პორტრეტული სახეა, მით უფრო, რომ ეს სახე სხვა პორტრეტებშიც მეორდება („ოჯახი“, „ბიჭი და კოკო“), მაგრამ აქ მთავარი აქცენტი მისი თვალია — სახის პროფილში, ფრონტალურად მოცემული, გადიდებული, სინათლის ბლიკით ამონათე-

ბული, ეს მხატვრული ხერხი ძველი ეგვიპტური ხელოვნების ერთგვარი ალუზიაცაა და ამავე დროს ფარშევანგის კუდზე არსებული „თვალის“ შორეული გამოძახილი. ასეთივე გამოძახილია „აბსტრაქტული კომპოზიცია 1“ სასურათო სიბრტყის ცენტრში ცისფერი საღებავის წრიული მონასმით აქცენტირებული თვალის პირობითი მოტივი. ეს მოტივი თითქმის ყველა სხვა დანარჩენ ნამუშევარში ტრიალებს. ზოგან ის ბუნებრივი, ფიზიოლოგიურად საჭირო მხედველობის ორგანოა (ანიმალისტური კომპოზიციები, პორტრეტები), ზოგან კი მხატვრის მიერ ხელოვნურად შეტანილი ობიექტი (აბსტრაქციები), როგორც სიმბოლოში ჩადებული კიდევ ერთი სიმბოლო (თვალი-ეკლესია-ქრისტე-სიყვარული) — ყოველ სულიერში გაცხადებული ღვთის — როგორც სიყვარულის — მარადიულობის გამოძახილი.

პირობითობა, ასოციაციური აზროვნება, სამეტყველო ენის ერთგვარი მინიმალიზმი (ამ ტერმინის ვიწრო მნიშვნელობით) — გია მარკოზაშვილის შემოქმედების ზოგადი მახასიათებელია. ამ მხრივ ინტერესს იწვევს გამოფენაზე წარმოდგენილი ანიმალისტური კომპოზიციები. თემა, რომელიც არაერთი მხატვრის შემოქმედებაში გვხვდება. კომპოზიციის ხაზგასმული სიმარტივე, გამოსახულებათა სიბრტყოვანება, ფერის და ნახატის პირობითობა, ფიროსმანის ნამუშევრების ილუზიას ბადებს. შემთხვევითი არ არის საგამოფენო სივრცეში მათი პორტრეტებთან ერთად განთავსება, რადგან ძალიან მეტყველი სახეები, პორტრეტული ტიპაჟების სრულიად გამიზნული „თამაშის“ განცდას ბადებს. („ვირუქელა“, „გაურკვეველი წარმოშობის ცხოველი“, „მტაცებელი“ და ა.შ.).

დაუსრულებლად შეიძლება საუბარი გია მარკოზაშვილის შემოქმედების მრავალფეროვნებაზე, მით უფრო, რომ მისი ნამუშევრების რაოდენობრივი სიმრავლე და თვალშისაცემი პროდუქტიულობა ამის საშუალებას იძლევა, თუმცა ამ სტატიის ფორმატი არ ითვალისწინებს მხატვრის შემოქმედების დეტალურ, სიღრმისეულ სტილისტურ ანალიზს, არც პრეტენზიას ვაცხადებთ გამოთქმული მოსაზრებების ობიექტურ ჭეშმარიტებაზე, უბრალოდ, ეს ერთი მაყურებლის მიერ, ერთი კონკრეტული მხატვრის მონოლოგიდან მიღებული სუბიექტური განცდის ხმამაღალი გაზიარებაა.



სამსონ ლუკაძე

ბიან მახოზაშვილი – ბამონსოხეხილი ხომანახილოსი

მცირე ხნის წინ მხატვართა კავშირის გაღწევა „ფიროსმანში“ მოეწყო საქართველოს დამსახურებული მხატვრის გია მარკოზაშვილის ფერწერულ ნამუშევართა გამოფენა.

მის ნაწარმოებებთან ახალმა შეხვედრამ უკეთ ცხადყო მხატვრის შემოქმედებაში შინაგანად შეკავშირებული ორი ნაკადის არსებობა. პირველში მისი ხელოვნება მთელი პირობითობის დროს, არ ცდება ფიგურატიულობის საზღვრებს, საცნობ რეალობას, მეორეში კი ნამყვანია წმინდა ფერწერული ენით გადმოცემული, ზოგან კი რადიკალური აბსტრაქტიზაცია, თუმცა ვხვდებით ერთგვარად გარდამავალ ნაწარმოებებსაც ამ ორ პოლუსს შორის.

გვას გამოფენაზე საყურადღებო აღმოჩნდა მხატვრული სახეების ის ადამიანური სიღრმე, რომელიც თავშეკავებული, ფარული დრამატიზმით არის შეფერილი. გავისხენოთ „ანტიკვარი კაროს პორტრეტი“. ესაა პატარა ადამიან-

ისადმი ღრმა თანაგრძნობით აღვსილი ქმნილება: კარო კოლორიტული თბილისელი — ამ გარეგანი მხარის მიღმა კი სჭვივის თავისებური მრავალშრიანობა პერსონაჟისა და მისი ღირსების მნიშვნელობა. არანაკლებ საგულისხმოა „ბიჭი და კოკო“. ადამიანისა და ფრინველის მშვიდი კონტაქტი ძალიან ფაქიზი ინტონაციების მატარებელია ამ დასამახსოვრებელ სურათში. შთამბეჭდავია აგრეთვე „ოჯახი“, რომელშიც თაობათა კავშირის გულისხმიერი უწყვეტობის არსებითი თემაა წამყვანი, ყბადაღებული, მამათა და შვილთა“ კონფლიქტის საპირისპიროდ.

დამაინტერესებელია ფანტასმაგორიული ნაწარმოებებიც. მათ შორის გამოირჩევა „გადაჯაჭვულნი“, რომელშიც იკვეთება პარადოქსულობა მსუბუქად სურრეალისტური, „პორტრეტი“ თევზისა. „გადაფრენა“ უფრო ხალისიანია, იუმორისტული, თუმცა უცნაურობა მას აქაც არ აკლია.

ძლიერი ხატოვანებითაა აღსანიშნავი „საღამო“, რომელშიც სახლი — ხილვა თუ სახლი — მირაჟი, ღრმად პოეტურ განწყობას ქმნის.

ე.წ. „აბსტრაქტულ“ კომპოზიციებში თავს იჩენს მიდგომათა უთუო მრავალგვარობა, ხერხთა ფართო არსენალი. მაგ. ნითელ კომპოზიციებში თვალსაჩინოა სერიოზული სკოლას ფერწერული ოსტატობისა. აქ ენერგიულობას ინტენსიური ფერადობისა თან ახლავს მოუხელთებელ ნიუანსთა მიერ ჩენილი, სარწმუნო მხატვრული ეფექტები.

ზოგიერთი სინათლით გაჯერებული აბსრაქტული ქმნილება თითქოსდა „რებუსულია“; სხვებში ვირტუალობისა და განყენების თანამყოფობა ჩანს, ერთ-ერთ, იისფერებით გაჯერებულ ტილოს კი, დიდად თავისებური „თერაპიულობაც“ ახასიათებს.


ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა „ფარშევანგმა“ დაუსაზღვრელ სივრცესთან შესისხლხორცებული მთის ფონზე. ეს არის მისტიკურობის მატარებელი სურათი, რომელიც თითქოსდა გადის საკუთარი საზღვრებიდან, იძენს რა უჩვეულო მასშტაბურობას.

თუკი „წითელი ხიდი“ გამოირჩევა გაბედული, „ავანგარდული“ ექსპერიმენტულობით, კოლაჟურ „პეპელაში“ იხსნება სულ სხვა მხარე — რეალური არსების ხატება პირობითად წარმონდება აჭურული ქსოვილის დამაჯერებელი ტრანსფორმაციით.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები 2000 წლის შემდგომ არის შესრულებული. ისინი, ერთი მხრივ, აგრძელებენ მხატვრის შემოქმედებისათვის ჩვეული სახეების სამყაროს, და ამასთანავე, მეორე მხრივ, მათ თვალსაჩინოდ შემოაქვთ ზოგჯერ უჩვეულო ამოცანები,

გამომხატველი მიგნებათა თუ მონაპოვართა ახალი ფაზისა.

საზოგადოდ აღსანიშნავია, რომ გიას მხატვრობა ამჟღავნებს ერთ გადამწყვეტ თვისებას: ავტორი კვლავაც გამოუსწორებელ რომანტიკოსად რჩება, რასაც თავისი არსებითი საფუძველი აქვს. კარგად მახსოვს სუმბათაშვილი — იუჟინის (ამჯამად ვერიკო ანჯაფარიძის) უაღრესად მყუდრო, თბილისური, სამეზობლოდ ქცეული მომცრო ქუჩა; მისი ძალზე სტუმართმოყვარე ოჯახი; ერთ პანია, ოთახისხელა ეზოში „შემყუდროვებული“ მინიატურული სახელოსნო; უზარმაზარ ბაბინიან მაგნიტოფონზე აჟღერებული „ბითლზისა“ თუ „დორზის“ ჰანგები... იქ გია მარკოზაშვილი ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებამდე, უამრავ სურათს ქმნიდა, თავდაუზოგავად შრომობდა. ვფიქრობ, სწორედ იმ დღის, ძლიერ სახეცვლილი ქუჩის, უბნის, გარემოს არაჩვეულებრივი სულიერი დატვირთვის მატარებელი, ან კი ღრმა ნოსტალგიის აღმძვრელი აურა უჩუმრად სუფევს მის ქმნილებებში, მუდამ თან სდევს გია მარკოზაშვილის შემოქმედებას.





გაბრიელ ჯაბუშანური მეუღლესთან, დებთან და დისშვილთან ერთად. გასული საუკუნის 50-იანი წლები.

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი“, იოსებოძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“ – ტელ: 95-51-70,
და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დიზაინერ-დამკაბადონებელი
ლექსო ოთარაშვილი

კორექტორი:
მანია მიქაია

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.

Web: www.litandart.com.ge

litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში



გია მარკოზაშვილი



